არსებობს ინტელექტის სხვადასხვა ტიპი, რომლებიც ვლინდებიან ექსპერიმენტული მოსინჯვის პროცესში. ესენია: ხელით შრომის უნარი, შემოქმედებითი უნარი, პრობლემათა გონევერული გაგების უნარი, მეცნიერული ნიჭი და ა.შ. თანამედროვე ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე კაცობრიობა უპირატესობას ანიჭებს და მაღალ შეფასებას აძლევს ინტელექტის სხვადასხვაგვარ ფორმას, რადგან ამ საზოგადოებას ესაჭიროება განსხვავებული მიმართულების კადრები - მკვლევარები და გამოგონებლები.

მეცადინეობის და ცოდნის გადაცემა-შეთვისების განსაკუთრებული მეთოდი საწყის ეტაპზე შესასწავლი მასალით დაინტერესებაა, რაც გულისხმობს მეცადინეობის ისეთნაირად წარმართვას, რომ ბავშვი თვითონ ამოქმედდეს, თვითონ ჩაატაროს ექსპერიმენტი, თვითონ გამოიკვილოს, გაარჩიოს და სათანადოდ განალაგოს ინფორმაციული მასალა და როცა მას კითხვები გაუჩნდება აი, ეს იქნება სწორედ შედეგის მომცემი გაკვეთილი, რომელიც ინტე-

ლექტუალური ცოდნის მიღების საფუძველია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეცადინეობა უნდა დავიწყოთ ექსპერიმენტული სამუშაოთი, რომლის დროსაც მოსწავლეებს აუცილებელი ინფორმაცია უნდა გადავცეთ.

დღეს პრიორიტეტული როლი მეცნიერებაში ინფორმატიკისა და მართვის ელექტრონულ სისტემებს ეკუთვნის, აქედან გამომდინარე, ტექნიკის ათვისება - შესწავლის თვალსაზრისით ფიზიკის სწავლებისას გასათვალისწინებელია და წინა პლანზე გადმოდის ისეთი მოთხოვნების განხორციელება, როგორიცაა:

1) სასწავლო მასალის გადაცემისას სწორად ნაბიჯ-ნაბიჯ როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული მასალის შემოქმედებითად დამუშავების შესაძლებლობა;

2) თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პოპულარიზაცია.

სწავლებაში თანდათან უნდა დამკვიდრდეს და მიზანშეწონილია სასწავლო სახელმძღვანელოებში ცალკე თავად შევიდეს მასალა თანამედროვეობის ახალი და პროგრესული მიღწევების შესახებ ტექნიკაში. ეს ხომ კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ფაქტია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრების რიტმის პირობებში მაღალი ტექნოლოგიების დამკვიდრება, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მიკროელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა, რობოტოტექნიკა, ატომური ენერგეტიკა, თვითმფრინავთმშენებლობა, კოსმოსური ტექნიკა, მიკრიბიოლოგიური მრეწველობა.

ადამიანთა ცხოვრებაში დამკვიდრდა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა და საკომუნიკაციო საშუალებებმა, რომლებიც კვანტური ფიზიკის მიღწევებს ეფუძნება. შეიქმნა აუდიო-ვიდეო კომპიუტერული ტექნიკა გლობალური საინფორმაციო ქსელი „ინტერნეტი“, ასევე განვითარდა და ახალი სახით წარსდგა თანამედროვე ხელოვნური თანამგზავრები,

რომლებიც დანიშნულების მიხედვით უკვე სხვადასხვა სახისაა: საკომუნიკაციო, სააკვლევი, საანავიგაციო, სადაზვერვო, მეტეოროლოგიური, კავშირგაბმულობის და სხვა. მათი საშუალებით ხორციელდება რადიო და სატელევიზიო სიგნალების გადაცემა, გემებისა და წყალქვეშა ნაგებობის კოორდინატების განსაზღვრა, დედამიწის რადიაციული და მაგნიტური სარტყლების შესწავლა მზის გამოსხივების შესწავლა - დადგენა, ამინდის პროგნოზირება, კოსმოსურ სხეულებს შორის მანძილის განსაზღვრა, უკაბელო კავშირის განხორციელება და სხვა.

ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი საკითხების გაცნობა - შესწავლას როგორც ინდუცირებული გამოსხივების მოვლენა, რომელსაც საფუძვლად დაედო ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხელსაწყო ელექტრომაგნიტური ტალღების კვანტური გენერატორის ანუ ლაზერის შექმნას, რომელიც წარმოადგენს სინათლის წყაროს, რომელიც ინდუცირებული გამოსხივების პრინციპზე მუშაობს და უნიკალური თვისებებით გამოირჩევა.

ისევე როგორც განსხვავებულია ლაზერის ტიპები, ასევე განსხვავებულია მისი გამოყენების სფეროც, ასეთია: კავშირგაბმულობა, მედიცინა, ლაზერული მეცნიერული კვლევები, სამხედრო ლაზერები, ლაზერული შოუ და სხვა.

ყველაზე საინტერესო და მიზიდველი იქნება ინფორმაცია იმ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების შესახებ, რომლებიც 1993 წლიდან მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპერიმენტ „ატლასში“ ცერნში. 1964 წელს ცნობილი ბრიტანელი ფიზიკოსის პიტერ ჰიგსის მიერ თეორიული მოსაზრების „ჰიგსის“ ბოზონის ექსპერიმენტული დადასტურება 2012 წ.-ს განხორციელდა, რომლის მოწმეც იქ მომუშავე ასობით მეცნიერი გახდა. ამ აღმოჩენაში მნიშვნელოვანი როლი ქართველ მეცნიერთა ჯგუფს ეკუთვნის.

„ჰიგსის ბოზონი“ ანუ როგორც მას უწოდებენ „ღვთის ნაწილაკი“ მატერიის განსაკუთრებული ფორმა, როგორც ამას განმარტავენ იქ მომუშავე

ცნობილი ქართველი ფიზიკოსები. პროფ. ჯემალ ხუბუას განმარტებით, ეს ასე „რთული მექანიზმი გამარტივებულად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ, რომ რომელიღაც (არადაკვირვებად) საწყის მდგომარეობაში, თავის დაბადებამდე ნაწილაკებს არ გააჩნიათ მასები. ეს ჩანასახოვანი მდგომარეობა სიმეტრიულია, მაგრამ არამდგრადი (მისი ენერგია არ არის მინიმალური) ველთან ურთიერთქმედება, რომლის ქვანტებსაც წარმოადგენენ ვირტუალური ჰიგსის ბოზონები, იძლევა ბიძგს ამ სიმეტრიის სპონტანური დარღვევისაკენ და ნაწილაკები გადადიან უფრო მდგრად მდგომარეობაში, როდესაც იძენენ მასას“. როგორც აღმოჩნდა ეს უმცირესი ნაწილაკი ანუ ბოზონი პასუხისმგებელია სხვა ნაწილაკების მასაზე და გრავიტაციაზე. ეს არის სამყაროს მოწყობის არსებული თეორიის ბოლო ნაწილაკი. იგი ელემენტარული ნაწილაკია და ფიზიკაში შემოტანილია ელემენტარული ნაწილაკების სტანდარტული მოდელის შესაბამისად.

როგორც მეცნიერები განმარტავენ საკითხს შესწავლა-დამუშავება არის მცდელობა ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს და მასში მიმდინარე პროცესების რაც შეიძლება ზუსტად აღწერიასა .

ამრიგად, კაცობრიობა ცდილობს რაც შეიძლება მეტად ჩასწვდეს სამყაროს და მასში მიმდინარე კანონზომიერებებს. მეცნიერულ-ტექნიკური მეცნიერების მიღწევები და სამეცნიერო კვლევები ფიზიკის სწავლებას უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს, რაც გულისხმობს საგნის ახლებურად სწავლების სტანდარტებს. სწავლებისას წინ უნდა წამოვიწიოთ საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტის გზები, ექსპერიმენტულ სამუშაოს და შემოქმედებით აზროვნებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და აუცილებელია მათ მეტი სიცხადე შეემატოს.

ნატო ქავთარაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნონა ესიავა, აკადემიური დოქტორი,
რამაზ ესიავა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ექსპერიმენტისა და საინფორმაციო
ტექნოლოგიების როლი ფიზიკის სწავლებაში“.

რეზიუმე

1. აზროვნების განვითარებისა და მკვლევარ-
გამომგონებლების ჩამოყალიბებისათვის ფიზი-
კის სწავლებაში ექსპერიმენტული მეთოდის
აქტიურად და ფართოდ გამოყენების აუცილებ-
ლობას;

2. ფიზიკის სწავლებაში გაცნობა-შესწავლის
თვალსაზრისით იმ მასალის ჩართვას, რომელიც
პრიორიტეტულია და წამყვან როლს ასრულებს
თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაში.

*Nato Kavtaradze, the doctor of pedagogic sciences
Nona Esiava, academical doctor
Ramaz Esiava, the doctor of technical sciences
Georgian Technical University*

The role of experiment and IT (Information Technology) during (in) studying physics

Summary

*Keywords: Indutsirebili, boson, laser, quantum,
electro-magnetic, Atlas experiment.*

1. the importance of active and broad use of
experimental methods during studying physics for
developing skills of the researcher-inventors.

2. providing (involving) the issues which are
important and have leading role in modern life for
studying physics.

*Nato Kavtaradze, doctor pedagogических
наук, профессор*

*Нона Есиава, академический доктор
Рамаз Есиава, доктор технических наук, профессор
Грузинский Технический Университет*

«Об эксперименте и о роли информационных
технологий в изучении физики»

Резюме

Ключевые слова: бозон, лазерная, квантовая,
электро-магнитные, Атлас эксперимент.

1. Развития мышления и создания эксперимен-
тального метода и его широкого и активного
использования в изучении физики;

2. включения в изучении физики тех данных,
ко-которые играют приоритетную и ведущую роль в
современной жизнедеятельности.

კონცეპტუალური ინჟინერინგის მნიშვნელობა ხარისხის მართვაში

ბახუტაშვილი ელისაბედი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: კონცეპტუალური, ინჟინერინგი, კონტროლი, ხარისხის ინსტრუმენტები, ფორმალურ-ლოგიკური იდეა, სტანდარტები, მოტივირებული ქმედებები, სტრატეგიკაცია.

ხარისხი რთული უნივერსალური კატეგორიაა. ხარისხის მართვა ოპერატიული ხასიათის ტექნიკისა და საქმიანობის მეთოდები და სახეებია, რომლებიც გამოიყენება ხარისხის მოთხოვნების შესასრულებლად. ხარისხს, როგორც მენეჯმენტის ობიექტს, ახასიათებს მენეჯმენტის ყველა შემადგენელი ნაწილი: დაგეგმვა, ანალიზი, კონტროლი.

ხარისხის უზრუნველყოფა დამოკიდებულია მართვის სისტემაზე, რომელიც არეგულირებს საქმიანობას და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების სტაბილურობას.

ხარისხის ინჟინერინგი ეს კონკრეტული “ხარისხის ინსტრუმენტების” ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება ხარისხის მენეჯმენტის რეალიზაციისათვის.

ხარისხის ინჟინერინგის მეთოდოლოგიური საფუძველია შუხარტის, დემინგის, ისიკავას, ტაგუტის, მიცუმის და აკაოს ხარისხის კონცეფციები.

ხარისხის ინჟინერინგის მეთოდებია:

1. **კონტროლისა და ხარისხის მმართველობის სტატისტიკური მეთოდები** (Statistical Quality Control (SQC)).
2. **ხარისხის შვიდი მარტივი და “ახალი” ინსტრუმენტებია:** მარტივი ინსტრუმენტებია: “საკონტროლო ფურცელი”; ისიკავას დიაგრამა; პარეტოს დიაგრამა; ჰისტოგრამა; გაზნევის დიაგრამა; სტრატეგიკაცია; საკონტროლო რუკები.

ამ ინსტრუმენტების საშუალებით შესაძ-

ლებელია, როგორც საწარმოო, ასევე მმართველობითი პროცესების მოდელირება, მათემატიკური სტატისტიკის ინსტრუმენტებით.

საკონტროლო ფურცელი მონაცემების შეკრებისა და მათი ავტომატური მოწესრიგების ინსტრუმენტებია. საკონტროლო ფურცლის საშუალებით დგინდება ჯამური მტყუნებების ცხრილი (შემოიღო შუხარტიმ 1925 წელს). ისინი ასახავენ ხარისხის მაჩვენებლების ცვლილებების ხასიათს.

საკონტროლო რუკის აგება მოიცავს 4 ეტაპს. **1 ეტაპზე ხდება მონაცემთა შეგროვება.** გამოითვლიან საშუალო არითმეტიკულს; მე-2 ეტაპზე ხდება პროცესის შესაძლებლობის შემოწმება. აქ მოსალოდნელია გადახრები ზედა და ქვედა საზღვრებში. მე-3 ეტაპზე ხდება საკონტროლო რუკების აგება, ხოლო მე-4 ეტაპზე ხდება საკონტროლო რუკების ანალიზი.

საკონტროლო რუკები იგება აგრეთვე ხარისხობრივი ნიშან-თვისებებისათვისაც, როგორც არის: 1. **დეფექტური ნაკეთობათა წილის რუკა** და 2. **წუნდებული ნაკეთობების რიცხვის რუკა.** რუკების ანალიზი გარანტიაა დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ჰისტოგრამა (Histogram) ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტი იძლევა საშუალებას ვიზუალურად შეფასდეს სტატისტიკური მონაცემების განაწილების კანონი. ჰისტოგრამას აქვს სვეტებიანი გრაფიკის სახე.

გაზნევის დიაგრამა (Scatter diagram) – კორელაციური დიაგრამა აიგება ორ პარამეტრს (ცვლადს) შორის, რომელიც შეიძლება იყოს ხარისხის მახასიათებელი და მასზე მოქმედი ხარისხის ორი სხვადასხვა მახასიათებელი. ორ პარამეტრს შორის ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი.

განშრევების მეთოდით ხდება სტატისტიკური მონაცემების განშრევება (დაყოფა). განშრევების მონაცემების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: 1. A პარტიდან არ უნდა ვისარგებლოთ ამა თუ იმ მასალით; 2. წარმოებაში უნდა იყოს გამოყენებული ახალი აღჭურვილობა.

სტრატეფიკაცია ეს არის მონაცემთა დახარისხება ზოგიერთი კრიტერიუმების მიხედვით. აქ მთავარია ჩამოყალიბდეს რომელი ცვლილებები იქნება გამოყენებული.

სტრატეფიკაციის საშუალებით ხდება დეფექტების წარმოშობის წყაროს ანალიზი. ყველა ეს დეფექტები კლასიფიცირებულია ოთხ კატეგორიად – მიმწოდებლების, ოპერატორების, ცვლის და მოწყობილობების მიხედვით. ანალიზიდან დგინდება, რომ დეფექტების არსებობაში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს მიმწოდებლებს.

ხარისხის ინჟინერინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს **მიზეზ-შედეგობრივი დიაგრამა (ისიკავა)** (Cause and effect diagram), რომელიც გამოიყენება იმ დეფექტების ანალიზის დროს, რასაც მივყავართ მნიშვნელოვან დანაკარგებამდე. იგი საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნეს დეფექტების მიზეზები რათა გატარდეს ღონისძიებები მათი თავიდან ასაცილებლად.

პარეტოს დიაგრამა საშუალებას იძლევა წარმოაჩინოს სხვადასხვა დეფექტებით დანაკარგების სიდიდე. პარეტოს დიაგრამის გამოყენება მიზანშეწონილია მიზეზ-შედეგობრივ დიაგრამასთან ერთად.

პარეტომ შეიმუშავა ლოგარითმული მათემატიკური მოდელები, რომლის ანალიზის გრაფიკული ილუსტრაციები დიაგრამის სახით წარმოადგინა **მ. ლორენცმა**. დეფექტების აღმოსაფხვრელად უნდა გატარდეს გამაფრთხილებელი ზომები პრობლემების გადასაჭრელად.

“ახალი” ინსტრუმენტებიდან აღსანიშნავია PDPK, საშუალებათა დიაგრამა; ხისებრი დიაგრამა; მატრიცული დიაგრამა; მატრიცული მონაცემების ანალიზი; ურთიერთობის დიაგრამა; ისრისებრი დიაგრამა.

კონცეპტუალურ ინჟინერინგს მიეკუთვნება **ტაგუტის მეთოდი**. ხარისხის ფუნქციის სტრუქტურირება (Quality Function Deployment (QFD)). ეს ექსპერიმენტული მეთოდია, რომელშიც ცხრილების საშუალებით ხდება მონაცემთა წარმოდგენა. ამ ცხრილებს აქვთ სპეციალური ფორმა და მიიღეს დასახელება **“ხარისხის სახლები”** ამ ტექნოლოგიის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმის გაგებაში, რომ სამომხმარებლო თვისებების სტანდარტების ნორმებსა და ტექნიკური პირობების პარამეტრებს შორის დიდი განსხვავება არის.

ასევე მნიშვნელოვანია FMEA-ს განხორციელების ტექნოლოგია (Failure Mode und Effects Analysis), რომელიც არის მომხმარებელზე ეფექტის წარმოქმნის და გავლენის შესაძლებლობის ანალიზის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება შესამუშავებელი პროდუქციისა და პროცესებისთვის, რათა შემცირდეს მომხმარებლის რისკი პოტენციური დეფექტებისგან.

FMEA წარმოადგენს ნაკეთობათა ხარისხისა და პროცესების ანალიზის ერთ-ერთს სტანდარტული ტექნოლოგიებიდან. ასევე აღსანიშნავია: უარის სახეთა და შედეგების ანალიზი, რომელსაც განიხილავს იგივე FMEA; ვარგისობის და კვლავწარმოების ინდექსების აპარატი; “ექვსი სიგმა” (Six Sigma); კენტი ლოგიკის (Fuzzy Logic) გამოყენების მეთოდი.

კონცეპტუალობა - ეს ცოდნის განზოგადობაა თავის ენობრივ ფორმაში წარმოდგენილი, ეს რეალური ობიექტის ცოდნის წარმოდგენა რეალურ გარემოში.

კონცეპტუალიზმის ფუძემდებელთა ძირითად წარმომადგენელთა შორის არიან ამერიკელები რ. ბერრი, დ. ჰიუმლერი, ლ. ვაინერი, დ. გრე-ჰემი, ე. ჰესე, ნ. ბაუმანი, ონ კავარა და სხვ.

კონცეპტუალიზმის პირველ პლანზეა საგნის მოვლენის ფორმალურ-ლოგიკური იდეა. კონცეპტუალიზმში განიხილება არა იდეის გამოხატვა, არამედ თვით იდეაში, მის კონკრეტულ პრეზენტაციაში არა სიტყვიერი ტექსტის ფორმით, არამედ კინო-ვიდეო-ფოტოჩანაწერების ტიპის დოკუმენტური მასალები.

ხარისხის მართვაში კონცეპტუალური ინჟინერინგის მეთოდები გამოისახა საერთაშორისო სტანდარტების (ISO 9000) სახით, რომელსაც საფუძვლად დაედო დიდი ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის სტანდარტი BSI 5750.

ISO 9000 სტანდარტი უზრუნველყოფს მომსახურების გაუმჯობესებას, წარმოების ეფექტურობის ზრდას, ტექნიკური და ტექნოლოგიური ოპერაციების წარმართვას და კომპანიის პერსონალის მოტივირებულ ქმედებებს.

ამრიგად, ISO 9000 სტანდარტები ეს კონცეპტუალური ინჟინერინგის უნივერსალური ინსტრუმენტებია ხარისხის სისტემის შესაფასებლად სერტიფიკაციის დროს და ხარისხის მენეჯმენტის მოდელის შექმნაში.

ლიტერატურა

1. ნ. ლიბრაძე, ნ. სამსონია. ხარისხის მენეჯმენტი ენერგეტიკასა და ტელეკომუნიკაციებში. 338.244(02)48. სტუ. 2005.
2. ი. ზედგინიძე და სხვ. ხარისხის მენეჯმენტი. სტუ., “ინფორმატიზაციის ცენტრი”, 2002;
3. ჯ. ჯეაშვილი. პროდუქციის ხარისხის მართვა. თსუ., 2005. გვ. 316, უპკ (UDC) 658. ISB №99940-12-21-5.
4. ნ. ლიბრაძე, ე. ხახუტაშვილი. ტელეკომუნიკაციის კომპანიათა ხარისხის მენეჯმენტი (ლექციების კურსი), 155 გვ., უპკ. 658.373, სტუ., 2015., ISBN 978--9941-14-350-2ა.

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კონცეპტუალური ინჟინერინგის მნიშვნელობა ხარისხის მართვაში.

რეზიუმე

ხარისხი რთული უნივერსალური კატეგორიაა. ხარისხის მართვა ოპერატიული ხასიათის ტექნიკისა და საქმიანობის მეთოდები და სახეებია, რომლებიც გამოიყენება ხარისხის მოთხოვნების შესასრულებლად.

ხარისხის ინჟინერინგი ეს კონკრეტული “ხარისხის ინსტრუმენტების” ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება ხარისხის მენეჯმენტის რეალიზაციისათვის.

აღნიშნული სტატია ეხება კონცეპტუალური ინჟინერინგის მნიშვნელობას ხარისხის მენეჯმენტში. განხილულია ხარისხის მართვის შვიდი მარტივი და “ახალი” ინსტრუმენტები, რომლებიც აისახა საერთაშორისო სტანდარტებში (ISD 9000). ისინი უზრუნველყოფენ მომსახურების გაუმჯობესებას, წარმოების ეფექტურობის ზრდას, ტექნიკური და ტექნოლოგიური ოპერაციების წარმართვას, კომპანიის პერსონალის მოტივირებულ ქმედებებს, ასევე ხარისხის მენეჯმენტის უნივერსალური მოდელის შექმნას და სერტიფიკატის მიღებას.

ასეთია კონცეპტუალური ინჟინერინგის მნიშვნელობა ხარისხის მართვაში.

Елисабед Хахуташиვილი, Ассоциированный Профессор, Грузинский технический университет

Значение концептуального инжинеринга в качестве менеджмента

Резюме

Ключевые слова: Концептуальная, инжинеринг, управление, качество инструмента, формально-логический идея, стандарты, мотивированные действия, стратификация.

Качество сложное универсальная категория. Управление качеством это методы и виды оперативной деятельности, которые используются для реализации качества менеджмента

Инжинеринг качества, это конкретная совокупность «инструментов качества», которые используются для реализации менеджмента.

Данная статья касается значения концептуального инжинеринга качество менеджмента. В ней рассмотрены семь простых и «новых» инструментов, которые выявились в международных стандартах (ISD 9000). Они обеспечивают улучшение обслуживание, рост эффективности производства, управление технических и технологических операции, мотивации персонала компаний, а также создание универсального модели качество менеджмента и присвоение сертификата.

Такова степень значения концептуального инжинеринга в качестве менеджмента

Elisabed Khakhutashvili, Associate Professor Georgian Technical University

Conceptual Engineering importance in a Quality Management

Summary

Key words: Conceptual, engineering, control, quality tools, formal-logical idea, standards, motivated actions, stratification.

Quality is complex universal category. Quality management is methods and types of operative nature technique and activities that are used for quality requirements.

This is concrete “Quality Tools” combination of quality engineering that is used for the realization of quality management.

The present article concerns to the meaning in quality management of conceptual engineering.

Are discussed seven simple and “new” instruments that are reflected in the international standards (ISO 9000), they provide service improvement, increase production efficiency, management of technical and technological operation, company personnel motivated actions, creation of universal model of quality management and to receive certificate.

Such is conceptual engineering meaning in quality management.

ფილოლოგია ФИЛОЛОГИЯ PHILOLOGY

პლავტუსი

(ნაწილი II)

(ფრაგმენტი მსოფლიო თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოდან)

(ძვ.წ.-აღ. დაახლ. 254-189 წ.წ.)

*გომამე მათა, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: კომედია, ენაკვიმატობა, თვითმყოფადობა, ხასიათი

საზრიანი მსახურის სახე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ხშირად განმეორებადია პლავტუსის კომედიოგრაფიაში. კომედიაში “მკვეხარა მეომარი”, კვლავაც თავისი ბატონისათვის, პლევსიკლესთვის წართმეული შეყვარებულის დასაბრუნებლად გაჯილი მსახური პალესტრიო, მოჩვენებითი ერთგულებით ემსახურება ქალს დაპატრონებული მკვეხარა მეომარი პირგოპოლინიკეს. ფსევდოლუსის მსგავსად, საბოლოოდ მოხერხებული მონა, თავის ნამდვილ ბატონად მიჩნეული შეყვარებულის პირადი საქმეების მოგვარებასა და ბაქია პირგოპოლინიკესთვის ჭკუის სწავლებასაც შესძლებს. თუმცა, პალესტრიოს მიერ მეომრის წინააღმდეგ გათამაშებული და ამ მიზნით, დაქირავებული სპექტაკლის მონაწილეები თავად მათ დამქირავებელსაც კი აფრთხობენ თავიანთი გაიძვერობით. გონებაშეზღუდული და ხარბ პირგოპოლინიკეს მოხერხებული, ურცხვი თაღლითი და ცრუპენტელოზაში გამობრძმედილი როსკიპი აბრიყვებს. ამდენად მკვეხარა მეომრის დამარცხება მართალია კომიკურია, სიცილის

მომგვრელი, მაგრამ გარკვეულწილად სკეპტიციზმის გამომწვევიც, რადგან არსებითად ერთ გაიძვერას კიდევ უფრო გაქნილი გაიძვერები აბრიყვებენ. პიესის ფინალში პოზიტიურ განცდას იწვევს შეყვარებულების გამარჯვება, თუმცა ცხადია ისიც, რომ ამ გამარჯვების შესაძლებლობას ფულის ძალა და მოსყიდულ ავანტიურისტთა მოხერხებულობა იძლევა. როგორც წესი პლავტუსთან შეყვარებულთა სახეები უფრო სქემატური და ნაკლებ საინტერესოა. მხიარულ და ენაკვიმატ ავანტიურისტთა გარდა, რომელთა ლიდერადაც პალესტრიო გვევლინება, კომედიაში საინტერესოაა წარმოჩენილი ორი ხაზგასმულად კონსტრასტული ხასიათის ადამიანთა სახეები და ფსიქოტიპები. ერთი მათგანი მკვეხარა მეომარია, - თვითმტკობი და ბრიყვი პირგოპოლინიკესი, - საკუთარ თავზე მუდამ აღმატებულად მოლაპარაკე და ნებისმიერი, მისთვის მათმებლური სიცრუს დამჯერი პირგოპოლინიკესი თავს სამყაროს ცენტრად აღიქვამს, - გარემომცველებს მისით აღტაცებული, მისით მოსულდგმულე ან პირუკუ, მის მოშურნე არსებებად. მკვეხარა მეომრის სრული ანტიპოლია პლევსიკლეს მამის მეგობარი და

სატრფიალო ამბების მოგვარებაში აქტიურად დამხმარე პერიპლექტომენუსი. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ის სრული გაგებითა და თანაგანცდით განიმსჭვალემა ახალგაზრდა შეყვარებულის მგზნებარე განცდების მიმართ და ამავდროულად თავად ანტიკური სამყაროში ესოდენ დამკვიდრებული ზომიერების გრძნობის დაცვის მომხრედაც და თავისებურ განსახიერებადაც გვევლინება. არა მხოლოდ პრაგმატული გონის, – ე.წ. ცხოვრებისეული სიბრძნის, არამედ ზოგადად მოაზროვნე ადამიანისათვის დამახასიათებელი სიბრძნით გამორჩეული, ანტიკური კომედიოგრაფიისთვის საკმაოდ არასტერეოტიპული პერსონაჟი, შუახნის პერიპლექტიმენუსი, – იმხანად გაცილებით უფრო ასაკოვნად მიჩნეული ადამიანი თავს ჯერ კიდევ ძალ-ღონით, ახალგაზრდული ენერჯითა და მხნეობით აღსავსედ მიიჩნევს, არ კარგავს სიცოცხლით ტკობის უნარს და ამავდროულად სულიერად მოწიფული, ცხოვრებისეული სიბრძნეს ნაზიარევი კაცის შეხედულებებით გამოირჩევა. ძველი ბერძნების მსგავსად, მის ცხოვრებისეულ კრედოს ზომიერების გრძნობა წარმოადგენს, გრძნობასა და გონებას შორის ჰარმონიული თანაარსებობის მიღწევა. მისი ლიბერალური და ამავდროულად საღი აზრით აღსავსე შეხედულებები ადამიანების მიმართ კეთილგანწყობისა და ამავდროულად, გარკვეული სკეპტიციზმის გამომხატველია. პერიპლექტომენუსი ადამიანებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, დახმარების, თანადგომის, თანაგრძნობის გამოვლენის საჭიროებას როგორც ქადაგებს, ასევე ავლენს კიდევ. თუმცა ადამიანებისა და ადამიანური ურთიერთობების იდეალიზაციის წინააღმდეგაცაა. მკვებარა მეომრის სრული ანტიპოდი, პერიპლექტომენუსი, არასოდეს აღიქვამს გადაჭარბებულად და ეგზალტირებულად მისადმი კარგ დამოკიდებულებას. ნათესავების მისადმი მგზნებარე ყურადღებას, საკუთარი მართლაც კარგი ზნის გარდა, საკმაოდ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობითაც ხსნის, მით უფრო რომ დაოჯახებაზე უარის მთქმელს არც პირდაპირი

მემკვიდრე ჰყავს. ყოველგვარ ილუზიებისგან თავისუფლების მიუხედავად, ან შესაძლოა სწორედ ამგვარი თავისუფლების წყალობითაც მოკლებულია ყოველგვარი მიზანტროპიას, გარემომცველებს ღებულობს ისეთებად, როგორებიც არიან, – გადაჭარბებულად არ აღიქვამს არც მათ ღირსებებს და არც მანკიერებებს. ცდილობს ცხოვრების ყოველი წამით დატკბეს და სხვასაც სასიამოვნო განწყობა შეუქმნას. ყოველმხრივ ცდილობს თავი აარიდოს კამათს, უთანხმოების შემთხვევაში კი შეუმჩნეველად განერიდოს აბეზარ მოკამათეს. სტუმართმოყვარე, თავაზიანი და მხიარული, – როგორც საუბრის, ასევე სხვისი მოსმენის უნარის მქონე, მკვებარა მეომრის სახით წარმოჩენილი ეგოცენტრული და ინფანტალური ნარცისიზმის სრულ ანტიპოდად ექცევა. მოწიფული სულის ადამიანისთვის დამახასიათებელი რეალობის ადექვატურად აღმქმელი, არც თავის პერსონას ანიჭებს გადაჭარბებულ მნიშვნელობას, გარე სამყაროსთან მიმართებაში. ქალებისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად, პერიპლექტომენუსი შეგნებულად უარს ამბობს დაოჯახებაზე. ოჯახური მოვალეობებისგან თავისუფალი ცხოვრების წესს ირჩევს, თუმცა ნებისმიერ არჩევანს, ამ თვალსაზრისით თანაბრად ღირსეულად მიიჩნევს. განსხვავებული შეხედულებებისა და აზრის პატივისმცემელი, გონიერ ადამიანებშიც საპასუხო პატივისცემას იწვევს.

მისთვის ხოტბის შემსხმელი ნებისმიერი ცრუპენტელა მაამებლის დამჯერე ნარცისებისგან განსხვავებით, პერიპლექტომენუსი ადექვატურია როგორც გარემომცველთა პრაგმატული ინტერესების აღქმისას, ასევე სიყვარულის, მეგობრობის, თანაგრძნობისა და ნებისმიერი უანგარო, წრფელი გრძნობების დაფასებისას. აშკარაა თავად პლავტუსისეული სიმპათიაც. კეთილგანწყობისა და ჯანსაღი სკეპტიციზმის შეთავსების უნარის მქონე ადამიანებთან მიმართებაში.

ლიტერატურა:

1. History of the Theatre, by Oscar G. Brockett, Indiana University, Allyn and Bacon, Inc, Boston, 1974,

2. ტიტუს მაკკიუს პლავტუსი, ელინისტური და რომაული კომედია, ფსევდოლოუსი, თბ., 2013, გვ. 146.
3. The Oxford Illustrated History of Theatre, by Oxford University Press, 1995.
4. Theater, The Penguin Dictionary by John Russell Taylor, Penguin books, 1978.
5. <http://antique-lit.niv.ru>
6. Тронский И.М. История античной литературы. М., Высшая школа, 1988, с. 143.
7. ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, 2009. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი.
8. ანტიკური ლიტერატურა. საუნივერსიტეტო კურსი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი.
9. რისმაგ გორდუბიანისა და ნანა ტონიას საერთო რედაქციით, II გამოცემა, 2007.

მაია გოშაძე, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
პლავტუსი
(ნაწილი მეორე)

რეზიუმე

სტატია “პლავტუსის დრამატურგია” შეეხება რომაული კომედიოგრაფიის პირველი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის შემოქმედებას და შეადგენს მომავალი, მსოფლიო თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოს ნაწილს.

სტატიაში განხილულია პლავტუსის ერთ-ერთი საუკეთესო კომედია “მკვებარა მეომარი”. პიესა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პერსონაჟთა სახეების თვალსაზრისით. პლავტუსი წარმოაჩენს სამ, ძალზედ თვითმყოფადი პერსონაჟის სახეს, რომლებიც იმავდროულად უკიდურესად კონტრასტულ გმირებს წარმოადგენენ. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ სახეების თავისებურებების

წარმოჩენას ეთმობა. პიესა “მკვებარა მეომარი” ასევე გამოირჩევა პლავტუსისათვის დამახასიათებელი ფეიერვერკული გონებამახვილობით.

Maia Goshadze, An associate professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University
Dramaturgy of Plautus
(The second part)

Summary

Key words: comedies, witty, character, contrasts

The article Dramaturgy of Plautus’s (The second part) is about Dramaturgy of Plautus’s who was the first important comic writer, who have come down to us and is the part part of the manual of the world theatre history.

The article Plautus’s includes the analysis of his play “The Braggart Warrior”. Plautus play was much admired for his witty jokes, for his varied poetic meters’ and wide range of comic powers. The chief interest in his works, does not lie in intrigue but in character, very interesting and showing contrasts in human behavior. This play in every time has a great popularity.

Maia Goshadze, асоциированный профессор, Грузинского Государственного университета театра и кино имени Шота Руставели
Драматургия Плавта
(часть вторая)

Резюме

Ключевые слова: комедия, остроумием, самобытность, характер

Статья «Драматургия Плавта» касается первого крупнейшего представителя римской комедииографий и представляет собой часть учебника по истории мирового театра.

В этой части статьи анализируется одна из лучших комедий Плавта «Хвастливый воин». Пьеса особенно привлекает к себе внимание благодаря трём самобытным и одновременно контрастным художественным образам. В статье большое внимание уделяется именно этим трём героям. Комедия Плавта как всегда выделяется большим остроумием.

პრიპიდეს დრამატურგია
(ნაწილი III)

(ფრაგმენტი მსოფლიო თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოდან)
(ბვ.წ. 485/480 – ბვ.წ. 406 წ)

*მაია გოშაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: დეჰეროიზაცია, ექსპანსია, სისასტიკე, ინსტინქტები

ევრიპიდეს შემოქმედების შესახებ ლიტერატურაში ხშირად ხაზგასმითაა აღნიშნული ბრმა შემთხვევითობის გაზრდილი როლი ადამიანთა ცხოვრებაში, რის ერთ-ერთ დასტურადაც “იონი” მიიჩნევა, სადაც თითქოს მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით არ ხდება დედა შვილის მკვლელი, შემდგომში კი შვილი დედის მკვლელი. მელოდრამასთან მიახლოებულ “იონში”, მართლაც, სიუჟეტური პერიპეტიები უკიდურესად დაძაბულ ვითარებებს ქმნიან. ათენის მეფის ერეხთევსის ასული კრეუსა აპოლონისგან ფარულად გაჩენილ შვილს ბედის ანაბარა მიაგდებს. დედის მიერ კალათაში მიტოვებულ პირმშოს, აპოლონი გადაარჩენს, შემდგომ კი ცრუ მისნობის საშუალებით იონის ქმრის, ქსუთოსის ვაჟიშვილად გაასაღებს. ჩვილის თავიდან მოცილების შემდეგ, ქსუთოსზე გათხოვილ იონს შვილი ადარ უჩნდება. სწორედ მათი უწყალობის მიზეზის გასარკვევად მიდის ცოლ-ქმარი დელფოსში. ცრუ მისნობის შედეგად გახარებული ქსუთოსი, მისგან უკანონოდ გაჩენილად მიჩნეულ ვაჟს აღიარებს, მაგრამ საკუთარი პირმშოს დამკარგავი და სხვისი შვილის გაზრდის არმსურველი იონი გერის მოწამვლას გადაწყვეტს. მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით გადაურჩება სიკვდილს იონი, შემდგომ კი - დედინაცვლად მიჩნეული კრეუსა იონის შურისძიებას. აპოლონის წყალობით დედა-შვილი სიმართლეს იგებენ. ღმერთის ნებითვე ქსუთოსს და იონს

ერთმანეთი მამა-შვილად მიაჩნიათ, რაც პიესის ბედნიერ ფინალს უზრუნველყოფს. ნაწყენი და გულნატკენი არავინ რჩება. იონი კი ყველაფერს ბედისწერას მიაწერს; - ადამიანის ცხოვრებაში ბრმა შემთხვევითობის გადამწყვეტ მნიშვნელობას აღიარებს, რომელსაც ერთ წამში შეუძლია გააუბედუროს ან გააბედნიეროს მოკვდავი. მაგრამ ამ თვალთახედვით ცხოვრებისა და ევრიპიდესეული დრამის აღქმა გარკვეულ კითხვებს აჩენს. რამდენად გამართლებულია მოვლენათა ტრაგიკულად დასასრულის შესაძლებლობა, მხოლოდ შემთხვევითობას მივაწეროთ. კრეუსა შვილის შესაძლო მკვლელად არა გაუგებრობის, არამედ უდანაშაულო ყმაწვილისადმი სიძულვილისა და გაუმართლებელი შურისძიების სურვილის გამო იქცევა. მის გამაუბედურებლად მიჩნეულ ღმერთს ქალი ვერაფერს დააკლებს, მსხვერპლად კი უდანაშაულოს, - არსებითად განტევების ვაცად ქცეულ ყმაწვილს ირჩევს. ამდენად, შემთხვევითობა სინამდვილეში თავად ადამიანთა შეგნებული არჩევანისა და მოქმედების შედეგს წარმოადგენს ხშირად და არა ადამიანისგან დამოუკიდებლად მოქმედ ძალთა და გარემოებათა შედეგს.

საგულისხმოა, რომ პიესა “იონის” მთავარი სიუჟეტური ხაზი, - დაკარგული შვილების თუ უცნობი მშობლების პოვნის ამსახველი, ელინისტური ეპოქის დრამისა თუ კომედიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიუჟეტად იქცევა. შემთხვევითი არ არის, რომ ჭეშმარიტი აღიარება ევრიპიდეს დრამამ სწორედ ელინისტურ ხანაში ჰპოვა.

ადამიანთა ცხოვრებაში თავად ადამიანთა

მოქმედების გარდა, შემთხვევითობის როლის მნიშვნელობას წარმოაჩენს პიესა “იფიგენია ტავროსელეში”, რომელიც გოეთეს ამავე სახელწოდების მქონე ტრაგედიის პირველწყაროდაა მიჩნეული. დრამა მოგვითხრობს ტავროსელთა ქვეყანაში არტემისის ტაძრის ქურუმად ქცეული იფიგენიას მიერ თავისი ძმის, ორესტესისა და მისი მეგობრის პილადესის სიკვდილისაგან გადარჩენის შესახებ. დასთან შეხვედრის წყალობით გადაურჩებიან მეგობრები მსხვერპლად შეწირვის ხვედრს.

ასევე მელოდრამასთან სიახლოვეს ავლენს, მაგრამ უფრო წარმატებულადაა მიჩნეული აგამემნონისა და კლიტემნესტრას პირმშოს ხვედრის წარმომჩენნი დრამა “იფიგენია ავლისში”.

ქალთმომულოებაში ევრიპიდეს დადანიშნულების აბსურდულობის კიდევ ერთ დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ “იფიგენია ავლისში”, სადაც ტროას ომის ნამდვილ გმირად არა მხედართმავარი აგამემნონი, არა აქაველთა ჯარის რიგითი ჯარისკაცები თუ რჩეული გმირები, არამედ ნორჩი იფიგენია იქცევა. პიესა ეფუძნება მითოლოგიურ ამბავს აგამემნონის მიერ საკუთარი ქალიშვილის, იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის შესახებ, რის გარეშეც ტროას ომის დაწყება შეუძლებელი ხდებოდა. ტროასკენ მიმავალი აქაველთა ფლოტი, ზურგის ქარის ამო მოლოდინში გაურკვეველი დროით შეყოვნდება. მისნობის შედეგად ირკვევა, რომ არტემისი მხედართმავრისგან მისი ქალიშვილის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს, სანაცვლოდ კი ომში ბერძნებს მფარველობას აღუთქვამს. აგამემნონი, ძალზედ რთულად მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას მაინც გადაწყვეტს და ქალიშვილს, ცნობილ გმირზე, აქილევსზე გათხოვების საბაბით ავლისში გამოიძახებს. კლიტემნესტრასა და იფიგენიას ავლისში ჩამოსვლისთანავე გაირკვევა სიმართლე. აგამემნონი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მისნობის შესახებ ჯარმა უკვე შეიტყო. მხედართმავრის

მხრიდან გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში სიკვდილი უკვე არა მხოლოდ იფიგენიას, არამედ მთელ მის საგვარეულოს ემუქრება. მაგრამ საქმეს ისიც ართულებს, რომ კლიტემნესტრასთან შემთხვევითი შეხვედრის შედეგად, აქილევსი გაიგებს, რომ იფიგენია მასთან ქორწინების საბაბით მსხვერპლად შეწირვისთვის ჩამოიყვანეს. აღშფოთებული აქილევსი იფიგენიას დაცვას თავის მოვალეობად მიიჩნევს. კლიტემნესტრაც ქმარს მტრად, აქილევსს კი მხსნელად მიიჩნევს. მდგომარეობა უკიდურესად იძაბება. აშკარა ხდება რომ იფიგენიას ვერაფერი უშველის, მის დამცველებს კი მისსივე ბედის გაზიარება მოუწევთ, რადგან ბერძნებს ტროას აღება ნებისმიერ ფასად სურთ. როგორც, უაზრო მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, ასევე ქვეყნის ინტერესების დასაცავად, იფიგენია უარყოფს მისი გადარჩენის მცდელობას და ნებაყოფლობით თავგანწირვას გადაწყვეტს. პიესის დასასრულს კი იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის დროს, არტემისი სასწაულს მოახდენს; იფიგენიას გააქრობს და მის სანაცვლოდ სამსხვერპლოზე ირემს გააჩენს. იფიგენიას სასწაულებრივი გაქრობა ქალღმერთის სამეუფოში მისი წაყვანის მაუწყებლად აღიქმება.

“ელექტრას” მსგავსად “იფიგენიას ავლისში” მკვლევარები მელოდრამის ჟანრს მიაკუთვნებენ, სადაც სჭარბობს გულისამაჩუყებელი სენტიმენტალიზმი და პათეტიკურობა. მართლაც ცრემლის აღმძვრელია იფიგენიასა და აგამემნონის შეხვედრა, რომლის დროსაც დარდითა და სინდისის ქენჯნით შეპყრობილ მამას, ბავშვურად სუფთა და მიამიტი ქალიშვილი დიდი მონატრებისა და სიყვარულის გამომხატველი გრძნობით ეალერსება. მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ეპიზოდს პიესაში, ძმების აგამემნონისა და მენელაოსის კამათი სცენა წარმოადგენს. როდესაც შფოთით შეპყრობილი აგამემნონი იცვლის გადაწყვეტილებას და ქალიშვილის გადარჩენას გადაწყვეტს, მენელაოსი ხელთ იგდება

კლიტემნესტრასადმი ხელმეორედ მიწერილ წერილს და ძმის გაკიცხვას იწყებს. მენელაოსის სიტყვები, არავითარ ილუზიას არ სტოვებს ტროას ომის წამომწყებთა პრაგმატული მოტივაციის შესახებ. ევრიპიდე ამჯერადაც ნებისმიერი ექსპანსიის სრულ დეჰეროიზაციას ახდენს. აქველებისთვის, უპირველესად კი მხედართმთავარ აგამემნონისთვის ომი მომხვეჭელობისა და მოძალებული ამბიციების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენდა და არა მშვენიერი ელენეს დაბრუნებით შელახული ღირსების აღდგენის საშუალებას. ძმის გაკიცხვისას, მენელაოსი მას უახლოეს წარსულს ახსენებს, - ახსენებს თუ როგორ ცდილობდა მხედართმთავრად არჩევამდე ამომრჩევლის გულის მოგებას, - მლიქვნელობისა და სხვათა მამებლობის ტაქტიკის გამოყენებას, რომელიც მიზნის მიღწევითანავე ქედმაღლობითა და ამპარტავნებით შეიცვალა. აშკარად ავტორისეული შეფასებების გამომხატველი პერსონაჟის სიტყვებში, ძალაუფლების მოპოვებისკენ მსწრაფი ადამიანის ბუნების უცვლელი ხასიათი ვლინდება. მიზნის მისაღწევად, თავის დამამცირებელი ადამიანი, - მტრებთანაც კი არაგულწრფელი კეთილმოსურნეობით მოსაუბრე, სასურველი მდგომარეობის მოპოვებისთანავე მიუწვდომელი და გულცივი ხდება. არა მხოლოდ გასაჭირი და უბედობა, არამედ წარმატებაც ადამიანის სულიერი უმწიფრობისა თუ მოწიფულობის საცდელ ქვად იქცევა.

არტემისის მხრიდან, იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის მოთხოვნა გარკვეულწილად, ძალაუფლებისა და პრაგმატულ ღირებულებებზე დაფუძნებული წარმატების მოხვეჭისთვის საჭირო საფასურის გადახდის გარდაუვალობის სიმბოლურ აქტად შეიძლება მივიჩნიოთ. უანგაროთ მოსიყვარულე იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის აქტი, აგამემნონის სულის ყველაზე ძვირფასი ნაწილის გაწირვის გამომხატველადაც შეიძლება მოვიაზროთ.

აქველებთა საერთო ფონზე ძალზედ მომ-

გებიანად გამოირჩევა იფიგენიას დამცველად ქცეული აქილევსი, - ერთადერთი მამაკაცი ევროპიდეს ამ დრამაში, რომელიც არა ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ ღირსების დასაცავად იბრძვის. გარემომცველებთან იძულებით დაპირისპირებული აქილევსის სახით, - სწორედ საყოველთაოდ დამკვიდრებულისა და აღიარებულისგან პიროვნების განზე განდგომისა და გაუცხოების ევრიპიდესეული მოტივი წარმოჩინდება.

პიესაში “იფიგენია ავლისში” ტროას ომის გმირთა დეჰეროიზაციის მიუხედავად, ევრიპიდე (“ტროელი ქალებისა” და “ორესტესისგან” განსხვავებით) არ მიმართავს პერსონაჟთა დემონიზაციას, - ცალსახად ნეგატიური მხრიდან მათ წარმოჩენის ხერხს. აქველების მხედართმთავარიც და მისი ძმაც, გაორებულ ადამიანებად წარმოდგებიან, რომლებშიც ერთმანეთს ებრძვის ახლობლისადმი თანაგრძნობა და პატივმოყვარეობა. გარკვეულ დროს, აგამემნონში ანგარებას მამობრივი გრძნობა სძლევს, მენელაოსშიც კი - ძმისადმი თანაგრძნობა. მაგრამ ძალაუფლების მოხვეჭის გზაზე შემდგარი, უმეტესწილად საკუთარი არჩევანისვე მიმართ იქცევა. გაკეთებული არჩევანი კი ხშირად შეუქცევად ხასიათს იძენს, როდესაც გადაწყვეტილების შეცვლა და გზიდან გადახვევა შეუძლებელი ხდება. თავისუფლების ძალაუფლებისთვის გამწირავისთვის არსობრივად რაიმეს შეცვლა ყოველთვის უკვე დაგვიანებული აღმოჩნდება ხოლმე, - მის მიერვე არჩეული თამაშის წესების შეცვლა კი შეუძლებელი.

ლიტერატურა:

1. გორდეზიანი რისმაგ, ბერძნული ლიტერატურა, ტ. 16, თბ., ლოგოსი, 2001.
2. ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, 2009. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი.

3. ანტიკური ლიტერატურა. საუნივერსიტეტო კურსი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.
4. History of the Theatre, by Oscar G. Brockett, Indiana University, Allyn and Bacon, Inc, Boston, 1974.
5. The Oxford Illustrated History of Theatre, by Oxford University Press, 1995.
6. Theater, The Penguin Dictionary by John Russell Taylor, Penguin books, 1978.
7. Theater, by Phyllis Hartnoll, A concise history, Thams and Hadson L., 1995.
8. <http://antique – lit niv.ru>

ექსპანსიისკენ მიმართული ომის. სწორედ ომის დროს ვლინდება ადამიანის ყველაზე ბნელი, ქვენა ინსტიქტები. თავისუფლების ძალაუფლებისთვის გამწირავისთვის არსობრივად რაიმეს შეცვლა ყოველთვის უკვე დაგვიანებული აღმოჩნდება ხოლმე, მის მიერვე არჩეული თამაშის წესების შეცვლა კი შეუძლებელი. მხოლოდ იფიგენიასავით მაღალი ცნობიერების ადამიანები ახერხებენ გარე სამყაროში დამკვიდრებული უსამართლობისა და ქაოსის იმთავითვე მიუღებლობას.

Maia Goshadze, An associate professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University
Euripides' Dramaturgy
(The third part)

SUMMARY

Key words: detheorization, expansion, instincts, violence

მაია გოშაძე, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევრიპიდეს დრამატურგია
(ნაწილი მესამე)

რეზიუმე

სტატია “ევრიპიდეს დრამატურგია” შეეხება დიდ ბერძენ ტრაგიკოსთა სამეულის უკანასკნელი წარმომადგენლის, ევრიპიდეს დრამატურგიას და შეადგენს მომავალი, მსოფლიო თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოს ნაწილს.

სტატია მოიცავს დიდი ბერძენი ტრაგიკოსის პიესების “იონისა” და “იფიგენია ავლისში” განხილვას. პიესაში “იონი” მკვეთრადაა წარმოჩენილი ერთის მხვრივ შემთხვევითობის როლი ადამიანთა ცხოვრებაში, მეორეს მხრივ კი თავად ადამიანთა პასუხისმგებლობის პრობლემა. პიესაში “იფიგენია ავლისში” კვლავ ტროას ომის მაგალითზე სრული დეჰეროიზაცია ხდება არა მხოლოდ ტროას, არამედ ნებისმიერი,

The article “Euripides Dramaturgy” (The third part) is about Euripide’s drama who was the last representative of three Greek tragedians and is the part of the manual of the world theatre history.

The article includes the analysis of plays “Eon” and “Iphigeniain Aulus” of the great Greek tragedian.

Eon (dates unknown, but probably between 417 and 715) and “Ephigenia in Aulus (produced after Euripides’ death). Euripides also suggested the chance rules in the world.

“Ephigenia in Aulis” is also full detheorization of not only Trojan but also any war directed towards expansion. The play aims reveal the inner nature of human what is devoid of any halo during the war of turned into a disaster. The darkest, brute instincts of human is revealed exactly during the war. The war gives the opportunity to use violence on someone without impunity and the chance to destroy someone else.

*Maia Goshadze, Асоциированный профессор,
Грузинского Государственного университета
театра и кино имени Шота Руставели*

**Драматургия Еврипиде
(часть третья)**

РЕЗЮМЕ

*Ключевые слова: дегероизация, экспансия,
жестокость, инстинкты.*

Статья «Драматургия Еврипида» содержит в себе анализ двух пьес последнего представителя среди трёх греческих трагических поэтов, - в

частности трагедий «Ион» и «Ифигения в Авлиде». В «Ионе» особенно выделяется, как, мотив ведущей роли слепого случая в человеческой жизни, так и мотив ответственности человека за свой поступки. В пьесе «Ифигения в Авлиде» также, развивается тема полной дегероизаций любой войны направленной на завоевание других стран. Именно во время войны проявляются самые низменные, тёмные инстинкты человека. Толко единичные одиночки, вроде Ифигении не приемлют насилие и жестокости царящей во внешнем мире.

Multicultural Symbiosis and the Process of Globalization.

Mebuke Tamar, Georgian Technical University

Key words: *language, culture, symbiosis, anti-biosis, language policy, globalization.*

The process of globalization, in spite of all its advantages, has brought about many questions, among them the question of languages and cultures survival. How can we solve the problem of living in a united world and not lose our identities? How can the process of globalization be beneficial for all nations and serve the purpose of cultural symbiosis that will enrich all peoples involved in it?

Oxford Advanced Learner's Dictionary defines the term symbioses as interaction between two different organisms living in close physical association, typically to the advantage of both. For example, we see how plants and animals live together in symbiosis; as we breathe out carbon dioxide the plants take it and give us back oxygen. The term also embraces mutually beneficial relationship between different people or groups. The origin of the word comes from Greek **sumbiōsis** 'a living together', from **sumbios** 'companion'.

The opposite of symbioses is antibiosis -- a biological interaction between two or more organisms that is detrimental to at least one of them; it can also be an antagonistic association between an organism and the metabolic substances produced by another. Examples of antibiosis include the relationship between antibiotics and bacteria and the relationship between animals and disease-causing pathogens.

We have tried to base our paper on the above mentioned definitions as everything in the world was created according to the principle of similarities. When we speak about different processes in connection with languages, we must remember that language occupies a unique role in the life

of human beings. A language as such is not only a means of expression of a particular view of the world by a definite nation (according to Wilhelm von Humboldt); it is of a significance as it is able to express a separate culture.

Culture has been defined as the shared values, traditions, norms, customs, arts, history, folklore, and institutions of a group of people. Why should we be concerned about culture? First, understanding culture helps us to understand how others interpret their environment. We know that culture shapes how people see their world and how they function within that world. Culture shapes personal and group values and attitudes, including perceptions about what works and what doesn't work, what makes sense and what does not.

In the paper *The Relationship Between Language and Culture and the Implications for Language Teaching* A. N. Leveridge argues that the relationship between language and culture is deeply rooted. Language is used to maintain and convey culture and cultural ties. Different ideas stem from differing language use within one's culture and the whole intertwining of these relationships start at one's birth. But it is not until the children are exposed to their surroundings that they become individuals in and of their cultural group. From birth, the child's life, opinions, and language are shaped by what it comes in contact with. Brooks (1968) argues that behaviours which are acceptable will vary from location to location thus forming the basis of different cultures. It is from these differences that one's view of the world is formed. Hantrais (1989) puts forth the idea that culture is the beliefs and practices governing the life of a society for which a particular language is the vehicle of expression. Therefore, everyone's views are dependent on

the culture which has influenced them, as well as being described using the language which has been shaped by that culture. The understanding of a culture and its people can be enhanced by the knowledge of their language. This brings us to an interesting point brought up by Emmitt and Pollock (1997), who argue that even though people are brought up under similar behavioural backgrounds or cultural situations but however speak different languages, their world view may be very different. As Sapir-Whorf argues, different thoughts are brought about by the use of different forms of language. One is limited by the language used to express one's ideas. Different languages will create different limitations, therefore people who share a culture but speak different languages, will have different world views. Still, language is rooted in culture and culture is reflected and passed on by language from one generation to the next (Emmitt & Pollock 1997). Therefore, language is regarded as one of the main bases of national identity. From this, one can see that learning a new language involves the learning of a new culture (Allwright & Bailey 1991). Consequently, teachers of a language are also teachers of culture (Byram 1989).

This vital role of language for the life of a nation has been realized for a long time. Only after having a language in common can people speak about cross-cultural communication. This fact has been used throughout the human history both for forming a common cultural space and while creating empires. However, nowadays we have come across a new trend in the language policy – globalization of the English language. On the one hand, there is nothing new in this phenomenon. At different times different cultures gained prominence and their languages became prevailing for the whole educated world, like Latin used to be the language of science and in a way retained its importance up to the present time, knowledge of the French language was thought to be obligatory

for everybody belonging to European culture in XVIII and most part of XIX centuries. The German language became widespread during the first half of the 20-th century. All these languages co-existed with national languages, enriched them and the people of other cultures by the achievements in the fields of science, literature and art. However even then other nations had to struggle to preserve their national languages from excessively big influence from dominating languages.

On the other hand, we see that the position of the English language nowadays differs from the status of other universal languages in many ways due to the striving of one country to rule the whole world. Again we must admit that there is nothing new in this phenomenon to some extent. We can also well understand that it is impossible to rule other nations and exercise influence over them if you cannot communicate in one language. However we feel that this time we have come across the language aggression that in a way threatens the survival of many other languages and lessens their importance and as a consequence other nations and cultures as all other languages but English are regarded as not significant. For example, most universities worldwide require an English test as an entry requirement, thus forwarding the ideology that the knowledge of English is superior to the knowledge of other languages and that to succeed in a globalized economy; one must be able to speak English (Hu 2005). This process is aided by the increasing influence of television and internet which have brought down the world to a single “village”. Such a reality shows that our world has entered the age of globalisation of the English language, in which most observers see a tendency towards homogeneity of values and norms (Stromquist & Monkman 2000: 7).

As a way out we can suggest a symbiosis of cultures that will preserve a rich variety of languages and cultures that make our world so diverse and unique.

Speaking about multicultural symbiosis in language use we should consider language policy which larger nations exercise over smaller nations as well as correct ways of teaching a foreign language so that learning of an alien language becomes really beneficial for the people who learn it.

The implications for language policy makers are that policies must be formed which not only include but celebrate local languages. Policies must not degrade other languages by placing them on a level of lower importance. They should incorporate the learner's first language, the usage, and complexities as a means to create better linguistic comprehension as well as cultural understanding. We should keep in mind that by giving away our native languages by and by we not only give away our languages that represent the basis of our psyches, world perception and culture, but are on a way of losing national identities. In other words, instead of language symbiosis which should be beneficial to everybody, we are entering an era of language antibiosis.

The implications of language being completely entwined in culture, in regards for language teaching and language policy are far reaching. Language teachers must instruct their students on the cultural background of language usage, choose culturally appropriate teaching styles, and explore culturally based linguistic differences to promote understanding instead of misconceptions or prejudices. Language policy must be used to create awareness and understandings of cultural differences, and written to incorporate the cultural values of those being taught.

Language teachers must realize that their understanding of something is prone to interpretation. The meaning is bound in cultural context. One must not only explain the meaning of the language used, but the cultural context in which it is placed as well. As Porter (1987) argues, misunderstandings between language educators often evolve because of such differing cultural roots,

ideologies, and cultural boundaries which limit expression.

Policies for language teaching must encompass and include cultural values from the societies from which the languages are derived as well as being taught. In other words, when making policies regarding language teaching, one must consider the cultural ideologies of all and every student, the teacher, as well as the culture in which the target language is being taught. This problem, as described by Yule (1996), is that people have pre-existing schemata or knowledge structure in their memory of what constitutes certain ideas.

Finally, language and culture are intertwined to such an extent whereas one cannot survive without the other. It is impossible for one to teach language without teaching culture. The implications for language teaching and policy making are therefore vast and far reaching. As a teacher of language, one must be culturally aware, considerate of the students' culture, and inform students of cultural differences thus promoting understanding. Language policy must reflect both the target language culture as well as the students', teacher's, and administrative persons' culture thus avoiding any cultural misinterpretations.

A. N. Leveridge mentions the following qualities, which are essential for a multicultural educator: awareness of your own cultural values and biases, attitudes and beliefs; cultural self-awareness and sensitivity to one's own cultural heritage; awareness of how your own cultural background and experiences have influenced attitudes, values, and biases about psychological processes; recognize the limits of multicultural competency and expertise; possession of knowledge about one's social impact upon others. One should be knowledgeable about communication style differences, how one's style may clash with or foster the counseling process with persons of color or others different from themselves. One should value bilingualism and do not view an-

other language as an impediment to teaching.

Cultural competence is rooted in respect, validation and openness towards someone with different social and cultural perceptions and expectations than your own. People tend to have an “ethnocentric” view in which they see their own culture as the best.

Promotion of cross-cultural communication may be seen as one way out for overcoming language aggression of one culture. Communication provides an opportunity for persons of different cultures to learn from each other. It is important to build skills that enhance communication. One should try to be open, honest, respectful, non-judgmental, and - most of all - willing to listen and learn.

However, just speaking about the importance and value of each language and each culture for educated humanity does not help to solve the problem, though culture is the only phenomenon which remains after civilizations perish. We will never resolve a problem of multicultural or multilanguage symbiosis if we do not speak about certain attempts to achieve the goal.

In connection with this we may remember T.S.Eliot's attitude to the national problem and his ambiguous stance towards all those parts of the “United Kingdom” that are not England and not English. On the one hand, he affirmed diversity of culture and insisted on the need for what he termed “regions” to remain culturally distinct. In Notes towards the Definition of Culture he argued that a man should feel himself to be, not merely a citizen of a particular nation, but a citizen of a particular part of his country, with local loyalties (Christianity and Culture 125). On the other hand, he distinguishes them from what those he labeled “the greater peoples”, in which England was included but not Scotland. England, he made clear, was not a region: the Englishman, for instance, does not ordinarily think of England as a ‘region’ in the way that a Scottish or Welsh

national can think of Scotland or Wales (Christianity and Culture 126). That Scots have continually thought of Scotland as a nation does not seem to be part of his conceptualization. What matters is the relegation of Scotland to a region whose importance, like that of other “regions”, which he calls “satellite cultures”, lies in its contribution to the richness and complexity of English culture. He offers two reasons for the sustaining of local cultures, the first being that any vigorous small people wants to preserve its individuality. The other reason for the preservation of local culture is one which is also a reason for the satellite culture continuing to be satellite, and not going so far as to try to cut itself off completely. It is that the satellite exercises a considerable influence upon stronger culture; and so plays a larger part in the world at large than it could in isolation. For Ireland, Scotland and Wales to cut themselves off completely from England would be to cut themselves off from Europe and the world, and no talk of auld alliances would help matters. But it is the other side of the question that interests me more, for it is the side that has received less acknowledgement. It is that the survival of the satellite culture is of very great value to the stronger culture (Christianity and Culture 128-29).

This brings us to the main argument of our paper: a language as such is not only a means of expression of a particular view of the world by a definite nation (according to Wilhelm von Humboldt); it is of a significance if it is able to express a separate culture. And only that language or cultural policy may be considered to be right if it allows a culture, any culture, to become known to the world at large, to say its say in the dialogue of cultures (or according to T.S.Eliot to become a satellite culture). This is especially important for small nations who will never be able to feel self-respect if bigger or greater nations don't listen to what they have to say, don't study from the wisdom they have acquired.

This problem gained great prominence at the present moment for most nations of the world, especially for small nations, which have no influence on big politics and just have to bear it. As a part of present changes, the English language (and often not in its best form) has become a means of international communication. Old relations are broken, new ones are hard to establish because of language, historical and cultural differences. During the process of globalization each country should try, first of all, to find its place among other cultures of the world not to lose its identity. The problem is: will the main trend of modern globalization policy allow small nations to preserve their languages and culture and enter with them in mutually beneficial process of cultural and language symbiosis, or would the world leaders opt for language and cultural antibiosis in the hope to get a more easily governed world?

Bibliography:

1. Allwright D & Bailey KM (1991) Focus on the language classroom: an introduction to classroom research for language teachers. Cambridge: Cambridge University Press.
2. Brooks N (1986) Culture in the classroom. In JM Valdes (ed) Culture bound: bridging the cultural gap in language teaching. Cambridge: Cambridge University Press, pp 123–128.
3. Byram M (1989) Cultural studies in foreign language education. Clevedon: Multilingual Matters.
4. Eliot T.S. 1973. Notes towards the Definition of Culture. Faber & Faber.
5. Eliot T.S. Christianity and Culture.
6. Emmitt M & Pollock J (1997) Language and learning: an introduction for teaching (2nded). Melbourne: Oxford University Press.
7. Englebert (2004) Character or Culture? An EFL Journal, 24(2), 37-41.

Hantrais L (1989) The undergraduate's guide to studying languages. London: Centre for Information on Language Teaching and Research.

8. Hui Du (2005) False alarm or real warning? Implications for China of teaching English. Journal of Educational Enquiry, Vol. 6, (1), 90- 109. Information for foreigners (n.d.) Retrieved June 17, 2007 from <http://iff.immigration.gov.tw/front/residence.php>
9. Leveridge A.N. The Relationship Between Language & Culture and the Implications for Language Teaching. TEFL.net
10. Oxford Advanced Learner's Dictionary.
11. Porter E (1987) Foreign involvement in China's colleges and universities: a historical perspective. International Journal of Intercultural Relations, vol 11, no 4, pp 369–385.
12. Stromquist NP & Monkman K (2000) Defining globalization and assessing its implications on knowledge and education. In NP Stromquist & K Monkman (eds) Globalization and education: integration and contestation across cultures. Lanham: Rowman & Littlefield, pp 3–20,

თამარ მეზუკე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კულტურათა სიმბიოზი გლობალიზაციის დროს

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: ენა, კულტურა, სიმბიოზი, ანტიბიოზი, ენის პოლიტიკა, გლობალიზაცია

სტატიაში განიხილება ენის პოლიტიკა გლობალიზაციის პროცესის დროს, როგორც ის საშუალება, რომელიც შეიძლება მოგვცეს შედეგად მრავალი ეროვნული ენების არა მარტო შენარჩუნება, არამედ ამ ენებზე დამყარებული კულტურების სიმბიოზი, ანუ ურთიერთ სასარგებლო თანაარსებობა.

*Тамар Мебуке, Грузинский Технический
Университет*

Симбиоз культур в период глобализации

Ключевые слова: язык, культура, симбиоз, антибиоз, языковая политика, глобализация

В статье рассматриваются различные подходы к языковой политике в период глобализации. Правильная языковая политика может являться тем средством, в результате которого будет сохранено многообразие национальных языков и основанных на них культур, что может привести к их симбиозу, то есть взаимовыгодному сосуществованию.

*Tamar Mebuke,
Georgian Technical University*

Multicultural Symbiosis and the Process of Globalization

Summary

Key words: language, culture, symbiosis, anti-biosis, language policy

The paper deals with different approaches to language policy in the period of globalization. Correct language policy may be considered the means of preserving a variety of national languages and based on them cultures that may lead to cultural symbiosis, that is beneficial for everybody cultural co-existence.

**პუბლიცისტური სტილი ტექსტური კატეგორიების ჭრილში და მათი
თავისებურებანი**

*ცუცქერიძე მერი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

XX

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტიკა, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

პუბლიცისტიკა არის საზოგადოებრივ - პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა, რომელიც განიხილავს თანამედროვე აქტუალურ თემებს. იგი მამატაბურად იყენებს ცხოვრებისეულ მასალას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ფაქტების ასახვით გარკვეულ პოლიტიკურ იდეას ავითარებს. საზოგადოების მოთხოვნებითაა ნაკარნახევი ენობრივი საშუალებების ფუნქციურად მოტივირებული სისტემების გამოყენება მეტყველების სხვადასხვა სფეროში. ყოველი ასეთი სისტემა ხასიათდება ნიშან - თვისებების ერთობლიობით, რომელთა ნაწილი მეორდება სხვადასხვა სისტემებში, მაგრამ რომელთა განსაზღვრული კომბინაცია განასხვავებს ერთ ენობრივ სტილს მეორესაგან [ბუდაგოვი 1967:68]. სოციალური და საკომუნიკაციო ფაქტორები, რომლებიც ენის ფუნქციური დანაწევრებისას განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ, ისტორიულად ცვალებადია, რის გამოც თითოეული კონკრეტული ენის სტილთა სისტემაც არ არის უცვლელი. გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტორები შესაძლოა სხვადასხვა ხარისხით ახასიათებდეს სხვადასხვა ენის ერთსა და იმავე სტილს [კოსტომაროვი 1969:83].

პუბლიცისტური სტილის გამოყენების დიპაზონი საკმაოდ ფართოა მაგალითად თანამედროვე ინგლისურ ენაში. პუბლიცისტური (სხვა ტერმინოლოგიით - იდეოლოგიურ- პოლიტიკური) სტილი მეტყველების ისეთი ფუნქციური სახესხვაობაა, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივი ურთიერთობის ფართო სფეროს: პოლიტიკურ-იდეოლოგიურს, საზოგადოებრივ-

ეკონომიკურს, კულტურულს და სხვა. იგი წინურ სტილთა შორის ყველაზე პოპულარულია, რადგან მის გავრცელებას ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი - პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. უფრო სრულად პუბლიცისტური სტილი ვლინდება გაზეთებსა და პოლიტიკურ საგაზეთო ან საჟურნალო პუბლიცისტიკაშიც. [ვინოგრადოვი; კვარაცხელია 1990: 119]. თუ გავითვალისწინებთ პუბლიცისტური სტილის ამგვარ ფართო და მრავალმხრივ გამოყენებას, ასევე იმ ფაქტს, რომ სხვა ფუნქციური სტილებისაგან განსხვავებით, ის არსებობს ორი სახით ზეპირი და წერილობითი სახით, შემთხვევითი არ არის, რომ პუბლიცისტური სტილის საზღვრები მეტად მოძრავია და ამასთანავე, ხასიათდება დიდი გამჭვირვალობით, რაც წარმოადგენს მის ერთ-ერთ თვისებრივ თავისებურებას. ასევე სავსებით კანონზომიერია, ის, რომ სხვადასხვა სფეროში პუბლიცისტური სტილის გამოყენების საზოგადოებრივი მნიშვნელობა იცვლება დროთა განმავლობაში, დროის ცვლილებასთან ერთად. შესაბამისად, ამ სტილის გამოყენების სპეციფიკა იმ სფეროში, რომელიც საზოგადოებრივი ყურადღების ფოკუსი ხდება, ზეგავლენას ახდენს ზოგადად პუბლიცისტიკის თავისებურებებზე. თანამედროვე საზოგადოების განვითარების უცილობელ ფაქტს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარება და მათი როლის ზრდა საზოგადოების ცხოვრებაში. ამიტომ ამა თუ იმ სფეროში გამოყენებული პუბლიცისტური სტილის თავისებურებათა შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს.

ტრადიციული სტილისტიკის თვალსაზრისით სტილისტური მოვლენები და სტილთა

კლასიფიკაცია უნდა მომხდარიყო საკუთრივ ლინგვისტურ ბუნებიდან გამომდინარე. დღეს ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენა ფუნქციურ სტილის შექმნაზე უდავოდ მიაჩნიათ, თუმცა არაენობრივი ფაქტორების სპეციალური თეორიული შესწავლა ახლაც ხშირად არალინგვისტურ საქმედ ითვლება. ამ აზრის იყო ფ. დე სოსიურიც. ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ფაქტორების გამაერთიანებელი კონცეფციის უქონლობა პრინციპებისა და ნომენკლატურის ფორმულირებათა იმ არაერთგვარობის მიზეზია, რაც ნიშანდობლივია ფუნქციურ სტილთა კვლევის თანამედროვე ეტაპზე. ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა შორის მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს; სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციას, ფორმას, შინაარსს, კომუნიკაციის მიზანს და იმ სოციალურ გარემოს, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება.

ხოლო ა. გარდნერს სტილის მაწარმოებელ ფაქტორად მიაჩნია მეტყველების მიმართება კომუნიკაციის ისეთ ელემენტებთან, როგორცაა მსმენელი, მეტყველების საგანი და ენობრივი ინვენტარი. მიმართებას მეტყველსა და ადრესატს შორის ე. წ. ინტერაქციის ფუნქცია გამოხატავს. იგი ითვალისწინებს ადრესატის პიროვნებას, ადრესატთა კოლექტივის ხასიათს, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოწოდების, დარწმუნების, გაფრთხილების, მართვის, ინსტრუქტირების მიზანს წარმოადგენს. საინტერაქციო ფუნქციის ტიპური მაგალითია პუბლიცისტური სტილი, თუმცა იგი მეტნაკლებად სხვა ფუნქციურ სტილებშიც (ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, სასაუბრო) ვლინდება. [კვარაცხელია 1990:11]

პუბლიცისტური სტილის სახესხვაობები ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც არ გამოდიან ზოგადი ნიშან-თვისებების ჩარჩოებიდან, რაც წარმოადგენს მოცემული სტილის არსს და განაპირობებს მის ერთიანობას. პუბლიცისტური სტილის ამგვარი ზოგადი ნიშან-თვისებათა რიცხვს მიეკუთვნება დამაჯერებლობის ფუნქცია, რომელიც ახდენს ენობრივი საშუალებების ერთ მთლიან სის-

ტემად ორგანიზებას. პუბლიცისტური სტილის თავისებურებებთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ მოცემული სტილი, ისევე როგორც თანამედროვე ინგლისური ენის სხვა სტილები, გამოირჩევა ექსტრალინგვისტური დეტერმინირებით, რაც დაკავშირებულია გამონათქვამის მიზანთან [გალპერინი 1973:20]. პუბლიცისტის ინვარიანტულ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ექსპრესიული და ლოგიკური საწყისის შეხამება და წონასწორობა [ტიკოცკი 1972] ლოგიკური საწყისი პუბლიცისტიკაში გამოხატულებას პოულობს აბსტრაქტულ განზოგადებაში, ლოგიკურად დასაბუთებული თხრობის ზუსტ მანერაში, საწიგნო ლექსიკის გამოყენებაში, რაც აახლოებს პუბლიცისტურ სტილს სამეცნიერო სტილთან.

ავტორები, რომლებიც მუშაობენ თანამედროვე პუბლიცისტიკის საკითხებზე, ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ მკითხველის დარწმუნების მიზანი ასევე პოულობს ასახვას შემფასებლობაში, რაც მეტად დამახასიათებელია ყველა პუბლიცისტური მასალისათვის და პრაგმატულ წესს წარმოადგენს ამ სფეროში [მსუ-ს მოამბე 1962: 77]. ამის დასტურად გამოდგება ვრცელი უცხოური ლიტერატურა მასობრივი კომუნიკაციის საკითხებზე, სადაც გაშუქებულია ახალ ამბებთან და თვალსაზრისებთან დაკავშირებული მოსაზრებების საკითხები. პუბლიცისტიკის უმთავრესს უცვლელ ნიშან-თვისებას ასევე წარმოადგენს ტრადიციულისა და ორიგინალურის მუდმივი შეხამება ტრადიციულის სიჭარბით [ზუბოვი 1974:168]. ამგვარი შეხამების ხარისხობრივი თავისებურება იცვლება პუბლიცისტური სტილის სახესხვაობასთან მიმართებით [გალპერინი 1977: 287].

როგორც ვხედავთ, საგაზეთო-საქურნალო პუბლიცისტიკა პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა, რომელიც თავისი დანიშნულების, ამოცანებისა და საკომუნიკაციო პირობათა გამო საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს და მთლიანად განპირობებულია ექსტრალინგვისტურ სა-

ფუძველთა თავისებურებებით. საგაზეთო-სა-
ჟურნალო პუბლიცისტიკას ახასიათებს აშკარა
და უშუალოდ გამოხატული ზემოქმედების ანუ
ექსპრესიული ფუნქცია. ეს ფუნქცია ხშირად
გაუნაწევრებლად რეალიზებული პრესაში, რაც
იმას ნიშნავს, რომ ამ სტილს მიმართავენ მაშინ,
როცა ავტორს ამომრავებს მიზანი, ადრესატს
მიაწოდოს რაღაც გარკვეული ინფორმაცია, რაც
შეიძლება სწრაფად და გასაგებად და ამავე დროს
მასში - მასობრივ მკითხველში) გამოიწვიოს სა-
სურველი მიმართება შეტყობინებისადმი, ამი-
ტომ გაზეთში ფაქტების უბრალო გადმოცემა
კი არა გვაქვს, არამედ ფაქტისადმი ავტორის
დამოკიდებულება, რომელიც აშკარა ფორმითაა
გამოხატული. უფრო მეტიც, ავტორი ცდილობს
თავის სიმართლეში დაარწმუნოს ადრესატი.

საინფორმაციო ფუნქცია, ისევე როგორც, ზე-
მოქმედების ფუნქცია, სხვა ფუნქციური სტილე-
ბისთვისაცაა დამახასიათებელი. საინფორმაციო
ფუნქცია სამეცნიერო ენის ერთ-ერთი მთავარი
ფუნქციაა, მაგრამ ინფორმაციის ხასიათი და
მისი მოწოდების ხერხები განსხვავებულია,
ამასთანავე, ზემოქმედების ფუნქციაც საგაზეთო-
პუბლიცისტიკურ მეტყველებაში სრულიად
გამორჩეული ხასიათისაა. თუ სამეცნიერო მე-
ტყველებაში ავტორი მიმართავს ადრესატის
გონებას, ლოგიკური დასკვნებისა და ზუსტი
გამოთვლების მეშვეობით ასაბუთებს დებუ-
ლებებს, ობიექტური არგუმენტაციით ცდილობს
ადრესატის დარწმუნებას, პუბლიცისტი ამ
დარწმუნებას ემოციური ზემოქმედების გზი-
თაც ეწევა, რისთვისაც აშკარად გამოხატავს
თავის დამოკიდებულებას შეტყობინებისადმი.
საყურადღებოა ისიც, რომ ეს დამოკიდებულება არ
არის ღრმად ინდივიდუალური - იგი გარკვეული
სოციალური ჯგუფის, ფენის, პარტიის აზრს
გამოხატავს, რომელიც მასებისადმი მიმართული.
ასეთი რამ სამეცნიერო ურთიერთობის სფეროში
არ გვაქვს. პუბლიცისტიკა ცხოვრებას უშუალოდ
ასახავს, მისი ინფორმაცია ფაქტოგრაფიული
და დოკუმენტურია, თუმცა ეს იმას როდი
ნიშნავს, რომ პუბლიცისტიკისათვის უცხო იყოს

ტიპიზაცია და განზოგადება. მაგრამ ეს ვლინდება
არა თვით ფაქტების წარმოდგენისას, არამედ
უფრო ამ ფაქტების განმარტება-გამუქებისას.

ზემოქმედების ფუნქცია არა მარტო აერთი-
ანებს პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტე-
რატურას, არამედ კიდევაც მიჯნავს მათ,
რამდენადაც მისი ხასიათი ამ ორ ფუნქციურ
სტილში პრინციპულად განსხვავებულია. ზე-
მოქმედების ფუნქცია, როგორც ვთქვით, მნიშ-
ვნელოვნად განისაზღვრება ინდივიდუალური
ან კოლექტიური ავტორის პოზიციის გამოხატვის
ფორმით. ავტორი-პუბლიცისტი პოზიციას
ყოველთვის პირდაპირ და ღიად გამოხატავს,
მხატვარი ავტორის პოზიცია კი ჩვეულებრივ
რთულად და არაიშვიათად მთელი მხატვრული
ნაწარმოების მრავალპლანიანი სამეტყველო
და კომპოზიციური სტრუქტურით ვლინდება
და ამიტომ ზემოქმედებას აქ მტკიცებისა და
დარწმუნების ისეთი აშკარა, აგიტაციური ხასიათი
არა აქვს, როგორც საგაზეთო პუბლიცისტიკაში.

საინფორმაციო ფუნქცია პრესაში ხორცი-
ელდება ისეთი ფართო თემატიკის გადმოცემით,
როგორცაა თანამედროვეობის აქტუალური
საკითხები (პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნე-
ობრივი, ფილოსოფიური, კულტურის, აღზრ-
დის, საყოფაცხოვრებო...). პრესის ფურცლებზე
ხვდება პრაქტიკულად ნებისმიერი ფაქტი, მაგრამ
იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ იგი
საზოგადოებრივად საინტერესო უნდა იყოს.

საინფორმაციო ფუნქცია საგაზეთო-პუბ-
ლიცისტიკური სტილის ისეთ საშუალებით ხორ-
ციელდება, რომლებიც მეტყველების ინტელექ-
ტუალურობის გამოვლენას უკავშირდება:
დოკუმენტალიზმი, რაც მჟღავნდება ობიექტუ-
რობასა და თხრობის შემოწმებულ, უტყუარ
ფაქტოლოგიურობაში, გამონათქვამის ხაზგას-
მულ დოკუმენტურ-ფაქტოლოგიური სიზუსტე-
ყოველივე ეს ცხადდება ენაში.

ზემოქმედების ფუნქცია, უპირველეს ყოვ-
ლისა, აისახება პუბლიცისტიკური სტილისათვის
დამახასიათებელ განსაკუთრებულ ექსპრესიასა
და შემფასებლურ ემოციურობაში. ამ თვისებათა

შესაქმნელადმონაწილეობსენისყველაერთეული. ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენებით პრესის ენა უახლოვდება მხატვრულ მეტყველებას და შორდება - მეცნიერულს.

პუბლიცისტური მასალების შინაარსი, თვით მათი შერჩევა შეიცავს ინფორმაციულ და შემფასებლურ მომენტებს. უარყოფით და დადებით შეფასებათა შორის დაპირისპირება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის დამახასიათებელი თავისებურებაა, რაც გამოიყენება პრესაში ფუნქციურ-სტილისტიკურად. აღნიშნული ლექსიკა, როგორც სოციალურად აუცილებელი და მნიშვნელოვანი, ენის პრაგმატული ფუნქციის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; სტილისტიკური თვალსაზრისით ნეიტრალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვებიც კი პრესაში შემფასებლურ ექსპრესიას იძენს. ერთი ჯგუფი ამ სიტყვებისა აშკარად დადებით-შემფასებლურია, რაც უკავშირდება იმ ცნებების გამოხატვას, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი მსოფლმხედველობისათვის; მეორე ჯგუფი გამოხატავს იდეოლოგიურად მტრულ ცნებებს და ამიტომაც უარყოფით-შემფასებლურია [კვარაცხელია 1990:160].

ინგლისურ-ამერიკულ ჟურნალებში გამოყენებული თანამედროვე ინგლისური ენის პუბლიცისტური სტილის თავისებურებათა განხილვისას მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ საკუთრივ რომელი სტილი გვხვდება ჟურნალებში. ჩვენი აზრით, ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული ენის საჟურნალო მასობრივი კომუნიკაციის თავისებურებათა გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ინგლისურ და ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ პუბლიცისტურ სტილსა და საგაზეთო სტილს, ორივე გაერთიანებულია საერთო "journal-ese" სტილში [კრისტალი, დერეკი, დევი 1969:173; უორნერი 1961:390]. ჟურნალის ენასთან დაკავშირებული სტილისტიკური

პრობლემები მხოლოდ არაპირდაპირ ასახვას პოულობენ ჟურნალისტიკისათვის განკუთვნილ ზოგ ინგლისურსა და ამერიკულ პრაქტიკულ სახელმძღვანელოებში, სტილისტიკური გამოკვლევების ძირითადი ნაწილი კი ეხება მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ საკითხებს.

შევჩერდებით პუბლიცისტის დამახასიათებელ თავისებურებაზე ჟურნალებში. ინგლისურ ჟურნალებში გამოქვეყნებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მასალები წარმოადგენენ პუბლიცისტური სტილის ძირითადი ნიშან-თვისებების უფრო კონკრეტიზებულ გამოხატულებას, რაც აისახება კომუნიკაციის ამ სფეროს ექსტრალინგვისტიკური თავისებურებებით. ბრიტანულ-ამერიკულ ჟურნალებს მთავარ დანიშნულებად მიაჩნიათ მოვლენებისა და ფაქტების ინტერპრეტაცია საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ზემოქმედების ფუნქციას უკავშირდება სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციებისა თუ სხვა ელემენტის ჩართვა საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტის წიგნურ ენაში. ეს მოვლენა მხატვრული მეტყველების გარდა სხვა ფუნქციურ სტილსაც ახასიათებს. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პუბლიცისტური ხერხი გამიზნულ მასობრივ აუდიტორიასთან.

როგორც ვხედავთ ლინგვისტურ ლიტერატურაში აღინიშნება გარკვეული ერთსულოვნება პუბლიცისტური სტილის ნაირსახეობასთან დაკავშირებით. მართალია, საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც განპირობებულია თემატიკით, ჟურნალის ტრადიციებით, ჟურნალისტთა ინდივიდუალურობით და ა. შ. მისი წამყვანი ფუნქცია განაპირობებს მის როგორც ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული შერჩევისა და შესაბამისობის სისტემის ერთიანობას.

ლიტერატურა:

1. დარასელია მ. 2005 თბილისი. პუბლიცისტური დისკურსი, მეტაფორა და მისი განსაზღვრის თეორიული საფუძვლები.
2. გკვარაცხელია. 1990. ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
3. Аргументация в публицистическом тексте (жанрово-стилевой аспект): учеб.пособие. 1992. Свердловск.
4. Будагов Р.А. 1967. Литературные языки и языковые стили, Москва.
5. Гальперин И.Р. 1973. О понятии „стиль“ и „стилистика“. ВЯ, # 3.
6. Гальперин И. Р. 2004. Текст как объект лингвистического исследования. Москва.
7. Платонова О.В., Виноградов С. И. 2000. Средства массовой информации и культура речи// Культура русской речи. Москва.

*მერი ცუცკირიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
**პუბლიცისტური სტილი ტექსტური
კატეგორიების ჭრილში და მისი
თავისებურებანი**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პუბლიცისტური სტილი ტექსტის კატეგორიების ჭრილში, რომელიც დამახასიათებელია საზოგადოებრივ - პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურისათვის.

პუბლიცისტური სტილი მაშტაბურად იყენებს ცხოვრებისეულ მასალას და აწვითარებს პოლიტიკური მოსაზრებების ფაქტების ამსახველ სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობას.

თანამედროვე საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარება და ზრდა, ამიტომ ამა თუ იმ სფეროში გამოყენებული პუბლიცისტური სტილის თავისებურებათა შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს.

*Мери Цуцкиридзе, Горийский
Государственный Учебный Университет*
**Публицистический стиль и его
особенности с точки зрения текстовых
категорий**

Резюме

Ключевые слова: публицистика, лингвистические и экстралингвистические факторы.

В статье рассмотрен публицистический стиль с точки зрения текстовых категорий, который характерен для литературы общественно-политического характера.

Публицистический стиль масштабно использует жизненный материал и отражая факты общественно-политической деятельности, развивает определенную политическую идею. Значительным фактом развития современного общества является именно развитие и рост средств массовой информации, поэтому изучение особенностей публицистического стиля, используемого в той или иной сфере, вызывает большой интерес.

*Meri Tsutskiridze,
Gori State Teaching University*
**Publicistic Style and its Features from the
Point of View of Text Categories**

Summary

Key words: journalism, linguistic and extralinguistic factors.

The paper examines publicistic style of journal and newspaper articles from the point of view of text categories, which is characteristic for social and political literature.

Publicistic style uses life materials at a large scale and develops certain political ideas by reflecting the facts of social and political activities. The development and growth of mass media is an important fact for developing modern society, therefore the study of different applications of publicistic style in various fields causes great interest.

ჟურნალისტიკა
ЖУРНАЛИСТИКА
JOURNALISM

სისხლიანი სპეცოპერაციები, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი

*ადამაშვილი მარიამი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: სპეცოპერაციები, სისხლიანი, სახელმწიფო პოლიტიკა, ოპერაცია, სამართალდამცავები.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიხეილ სააკაშვილი აცხადებს: „წულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ და იწყება „გმირობათა“ კასკადი, რომელიც სააკაშვილის და მის მომხრეთა გადაგვარებული ზრახვების განხორციელება იყო. 2004 წლის მარტში პირველი დიდი „გმირობა“ ჩაიდინა სახელმწიფო გადატრიალების შემოქმედმა ხელისუფლებამ. გიგა ბოკერია, გიორგი ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი წინ წარუძღვა სპეცრაზმის სამხიდიან სატვირთოებს, შელენეს გლდანის მართლმადიდებლური ტაძრის კარი და მღვდელი და მრევლი იქიდან გამოათრიეს. ნიღბიანი სპეცრაზმელები გულის წასვლამდე სცემდნენ დილის ლოცვაზე მისულ ქალებს, სისხლის და მოთქმა გოდების ფონზე ბარამიძემ მშვიდი სახით მისცა კომენტარი „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას“ - „რუსთავი-2“, რომელიც შემდეგ სისხლიანი რეჟიმის ყველაზე დიდი პროპაგანდისტი და ავტორი გახდა.

ხელისუფლების სათავეში „ნაცმოძრაობის“ მოსვლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტ-

ტროს მიერ ჩატარებული და მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაციების ჩამონათვალი, რომელიც მედია საშუალებებმა მეტ-ნაკლებად გააშუქეს, ასე გამოიყურება:

2004 წლის 4 მარტს იმერეთში ჩატარებულმა სპეცოპერაციამ 4 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. პოლიციის მიერ გაავრცელებული ინფორმაციით, ეს ოპერაცია განხორციელდა თერჯოლაში მდებარე ბენზინგასამართ სადგურიდან 2 ავტომობილის გამტაცებლების დევნის გამო, რომლებიც პოლიციამ ქუთაისში, ერთ-ერთი ექვმიტანილის - გაგა ჭეიშვილის სახლში იპოვა. ორმხრივი სროლის შედეგად გარდაიცვალნენ: პოლიციელები - თერჯოლელი როინ რობაქიძე და ქუთაისელი გია ხატიაშვილი; თავად ექვმიტანილი გაგა ჭეიშვილი და შემთხვევითი გამვლელი, გვარად შალიკიანი. ამ სპეცოპერაციის დროს, სამართალდამცავებს ექვმიტანილის სახლი შეეშალათ და უდანაშაულო ადამიანის ბინაში შეიჭრნენ, სადაც ფეხმძიმე ქალს ეძინა. ნიღბიანების დანახვაზე ფეხმძიმე ქალბატონს სტენოკარდიული შეტევა მოუვიდა და გარდაიცვალა.

2005 წლის მონაცემებით, სპეცოპერაციების დროს დაიღუპა 19 სამართალდამცავი და 24 ექვმიტანილი. 19 სამართალდამცავიდან ცხრამეტივე რომ შსს-ს თანამშრომელი იყო, ეს უდაოა,

მაგრამ ამ 24 ექვმიტანილიდან მაგალითად აფრასიძეების მაგვარი ექვმიტანილი რამდენია, ეს საზოგადოებისთვის დღემდე გაურკვეველია, ისევე, როგორც ის, თუ რატომ არ ცდილობენ სამართალდამცავები მათივე განმარტებით ექვმიტანილების ცოცხლად აყვანას და შემდეგ გასამართლებას. სამართალდამცავების მოქმედებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაციები სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცა.

2005 წლის 3 ივნისს დილის რვა საათზე, პანკისის რაიონის სოფელ დუისში, ექვმიტანილ ავთანდილ გუმაშვილის დაკავების მიზნით სპეცოპერაცია შუა სოფელში, ხალხმრავალ ადგილას ჩატარდა. სამართალდამცავებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს, რათა იქიდან ავთანდილ გუმაშვილი გამოსულიყო. სახლიდან ხელეზაწეული ვახტანგ გუმაშვილი (ავთანდილის ბიძაშვილი) გამოვიდა, რომელიც ნიღბიანებმა ჩაცხრილეს. ადგილობრივების მტკიცებით, პირველად ცეცხლი სამართალდამცავებმა გახსნეს, რასაც მოჰყვა ავთანდილ და ვახტანგ გუმაშვილების ლიკვიდაცია და ავთანდილ გუმაშვილის სახლის გადაწვა. იმათ, ვინც სპეცოპერაციის ამ ფორმით ჩატარება გააპროტესტეს, სამართალდამცავებმა ცეცხლი გაუხსნეს.

2005 წლის 21 ივლისს ვაშლიჯვარში ჩატარებულ სპეცოპერაციას - პრეზიდენტ ბუშზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში ექვმიტანილი ვოვა არუთინიანის დაკავებას, რომელიც რბილად, რომ ვთქვათ დაუგეგმავი და მოუშაადებელი იყო, ერთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა.

2005 წლის ივლისში კოდორის ხეობაში, "ამბოხებულ" ემზარ კვიციანის დასაკავებლად ჩატარებულ სპეცოპერაციას ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ სპეცოპერაციის უმძიმესი შედეგი 2008 წლის აგვისტოში მივიღეთ - კოდორის ხეობა დღეს საქართველოს იურისდიქციაში აღარ არის.

2005 წლის 10 აგვისტოს - მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშენკოს სვანეთში ჩასვლის

წინ, დაბა მესტიიდან სოფელ ლენჯერში მიმავალი რევაზ ცალანი ოთხმა სპეცრაზმელმა დაუმორჩილებლობის მიზეზით სასტიკად სცემა, რის შედეგადაც სიმსივნე განუვითარდა და 2006 წლის მაისის ბოლოს გარდაიცვალა.

შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი 2006 წლის 10 მაისს, გაზეთ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ "2005 წელს პოლიციამ დააკავა 11'000 ადამიანი და აქედან, 15 შემთხვევაში მოუწია სასიკვდილო ძალის გამოყენება, რის შედეგადაც დანაშაულში ექვმიტანილი 21 ადამიანი დაიღუპა".

2006 წლის 27 მარტს, მე-5 საპრობილეში ღამის 2 საათზე ჩატარებულმა სპეცოპერაციამ 7 პატიმრის სიცოცხლე იმსხვერპლა. ოფიციალური ინფორმაციით, სპეცოპერაცია ციხეში ბუნტის ჩასახშობად ჩატარდა. ამ დროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, სისასტიკითა და პატიმართა ცემა-წამებით სახელგანთქმული ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობდა.

2007 წლის 9 მარტს ოზურგეთში ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა - შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევსას, ძეხნილი ოლეგ მესხიძე სამართალდამცავებმა მისივე საცხოვრებელ სახლში მოკლეს.

2007 წლის 20 მაისს მელიქიშვილის გამზირზე აკადემიკოსი გურამ შარაძე დახვრიტეს. ეს არ ყოფილა სპეცოპერაცია, მაგრამ იყო გახმაურებული მკვლელობა, რომლის ირგვლივ საზოგადოების ინტერესი დიდია. მკვლელობიდან რამდენიმე წუთში - შესაშური სისწრაფით, ექვმიტანილის სახით გიორგი ბარათელი დააკავეს. მას ახლა 27 წლით თავისუფლების აღკვეთამიუსაჯეს, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი და გურამ შარაძის ოჯახი მიიჩნევს, რომ გურამ შარაძე პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია, გიორგი ბარათელი კი ნამდვილი მკვლეელი არ არის.

2007 წლის 7 დეკემბერს, ქუთაისის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორის ივანე კაპატაძის გასროლილ ტყვიას, 19 წლის ვალერი

ფხაკადის სიცოცხლე შეეწირა. საქმე აღიძრა არა განზრახ მკვლელობის, არამედ "დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილების" მუხლით (სსკ 114-ე მუხლი) და კაპატამეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2008 წლის 1 თებერვალს სენაკში, შამათავას ქუჩაზე, დღის 12 საათზე ჩატარებული რამდენიმე წუთიანი სპეცოპერაციის შედეგად გამსახურდიასდროინდელი გვარდიის წევრი, 36 წლის თენგიზ გოგია საკუთარ სახლში ჩაცხრილეს და ბოლოს, იმ ოთახში, სადაც გოგია იმყოფებდა, ყელყუმბარა შეაგდეს, რამაც გოგიას სხეული ნაფლეთებად აქცია.

2009 წლის 17 იანვარს, პეკინის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელიც ნარკორეალიზატორის აყვანას ისახავდა მიზნად, მსხვერპლით დასრულდა - სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის 26 წლის თანამშრომელი თემურ ჭუმბურიძე დაიღუპა, რომელსაც სოდ-ში მუშაობა სულ რამდენიმე თვის დაწყებული ჰქონდა და სპეცოპერაციაზე სხვის ნაცვლად ისე წაიყვანეს, რომ იარაღის ხმარება არ იცოდა.

2014 წლის 13 მარტს გამთენიისას სპეცდანიშნულების რაზმმა დააპატიმრა გლდანის ეკლესიის წინამძღვარი - ბასილ მკალავიშვილი. მისმა მომხრეებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს სპეცრაზმელებს, რომლებიც ეკლესიის კარის შენგრევას ცდილობდნენ, რაც იოლი არ აღმოჩნდა. გადაწყვიტეს, ტაზრის კარი სატვირთო მანქანით შეენგრიათ და შეამტვრიეს კიდეც. სპეცოპერაციის დროს სასტიკად დაარბიეს ტამარში მყოფი ხალხი, გამოიყენეს ცრემლსადენი შაშხანები და ხელკეტები. დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ბასილ მკალავიშვილს ბრალად ედებოდა 2002 წელს ბაპტისტური და იელოველთა სექტების კუთვნილი ლიტერატურის განადგურება. მანამდე კი მკალავიშვილის მომხრეები სასტიკად გაუსწორდნენ „თავისუფლების ინსტიტუტს.“ ორგანიზაციის რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის, გიგა ბოკერია, ბასილ მკალავიშვილის

მომხრეებმა იმიტომ სცემეს, რომ ეს ორგანიზაცია „იელოვას მოწმეთა“ უფლებებს იცავდა. 13 მარტის სპეცოპერაცია კი სწორედ გიგა ბოკერიას შურისძიებად მოინათლა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი საჯაროდ აცხადებს: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ქუჩურ დარბევებს, ხოლო მკალავიშვილისთანა ხალხი ციხეში უნდა იჯდეს!“ ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ მწერლებს დაერივნენ. მწერალთა სახლიდან კინწისკვრით გამოყარეს მწერლები და სამათხოვროდ გასწირესერის მოაზროვნენაწილი. 2004 წლის 11 მარტს, ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების საბაბით, გლდანში ჩატარებულ სპეცოპერაციას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ საზოგადოებაში ეკლესიაზე იერიშის მიტანამ, სატვირთო მანქანით ეკლესიის კარის შენგრევამ, მსხვერპლზე არანაკლები რეაქცია - შოკი გამოიწვია.

7 ნოემბერს ახალგაზრდა მმართველებს ნერვებმა უმტყუნეს. სპეცრაზმი, რომელიც ვანო მერაბიშვილის, მაშინდელი შს მინისტრის დაქვემდებარებაში იყო, რეზინის ტყვიებით, ხელკეტებით, მომწამვლელი გაზებით და წყლის ნაკადით შეიარაღებული დაერია საპროტესტოდ ქუჩაში გამოსულ საკუთარ მოქალაქეებს. სისხლი და ცრემლი ერთმანეთში ირეოდა, დაჩეხილ-დალეწილი სხეულებით იყო მოფენილი რუსთაველის გამზირი... ეს იყო საარაკო ამბავი... იმ დღეს დაშავებულები დღესაც დაინვალიდებულნი არიან...

8 აგვისტოს ცხინვალში შეჭრილმა ქართულმა ჯარმა სასტიკი მარცხი განიცადა. უამრავი ქართველი შეეწირა ამ უაზრო ომს, დახოცილთა ცხედრებს სანამ ბუზი და მატლი არ დაეხვია, მანამდე სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ვერ „მოახერხა“ მიცვალებულების დასაფლავება, რადგან მთელ საქართველოში მაღალს და ბნელს მსტოვრები ჰყავდა გაგზავნილი: ყველას შთააგონეთ, ცხინვალში ომი ქართველებმა მოიგესო. ისმოდა სიმღერები და ტრამპაცუმბა. ეს იყო სატანური რიტუალი - დაჩეხილ გვამებზე ცეკვა... ამასობაში „ვიდაცის“ უჩინარმა ხელმა

„ვარდების გადატრიალების“ ერთ-ერთი შემოქმედი ზურაბ ჟვანია რაულ უსუპოვთან ერთად საიქიოს გაისტუმრა. რასაც სულ მალე ლევან სამხარაულის და მისი მეგობრისა და კლასელის მკვლელობები მოჰყვა. სამივე ზურაბ ჟვანიას, ასე ვთქვათ, წააკლეს. მკვლელობათა სერია დროდადრო ახალი ძალით და ინტერპრეტაციით, თუმცა ერთი და იგივე ხელწერით იფეთქებდა ხოლმე. ხელწერის მიხედვით, ყველა გარდაცვლილი სასტიკი გულგრილობითაა მოკლული... საზოგადოება შეძრა ოქროყანის სასაფლაოზე შიშველ-ტიტველი 29 წლის სანდრო გირგვლიანის ნაწამები გვამის ხილვამ. მის მკვლელობაში ხელისუფლების მაღალჩინოსნები მთავარი მონაწილეები იყვნენ...

არ ვიცი, ხელისუფლებას რომ ვამბობ, სწორი ტერმინოლოგიით თუ ვაფასებ, შესაძლოა, უნდა ვთქვა მკვლელთა ბანდები, რომლებმაც შემდეგ თბილისის ცენტრში დღისით მზისით პოლიციის სპეცრაზმისგან საცერივით დაცხრილული 28 წლის ზურაბ ვაზაგაშვილის სისხლში მცურავი სხეული დააგდეს კორტებთან, მზე დაუბნელეს ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს... ჯერ ზუსტად დაუდგენელი მიზეზების გამო თბილისის ცენტრში ტყვიით თავი გაუხვრიტეს აკადემიკოს გურამ შარაძეს, რომელიც ხელისუფლების კურსის მძაფრი კრიტიკით გამოირჩეოდა. ამას მოჰყვა: გაია კრილაშვილი, რომელიც მოკლეს თბილისში, გლდანში (თანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას. როინ შავაძე – ოფიციალური ვერსიით, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად იყო ნაწამები.

საკაშვილის სახელს პირდაპირ უკავშირდება ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება. ისიც სიცოცხლის ბოლო ხანებში ხელისუფლებას აკრიტიკებდა. ვითომდა გულის შეტევით გარდაცვლილი პატარკაციშვილის საფლავთან არც ერთი ნაციონალი არ მისულა. სამაგიეროდ, მისი ქონება ჭილყავაგებივით დაიტაცეს... მაგრამ რაც მოხდა ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაარსებულ და ნალოლიაგებ

ტელეკომპანია „იმედში“, ეს არის კლასიკური მაგალითი ბარბაროსობის და ტირანიის. ტელეკომპანიის აპარატურა დალევს და დაამსხვრიეს, რეზინის ხელკეტებით სცემეს ჟურნალისტებს, შენობაში გაუშვეს მომწამლავი გაზი... თუმცა ნაცხელისუფლების ქმედებების „გვირგვინად“ მაინც აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა ითვლება, რომლის ორგანიზატორი თვით გიორგი ბარამიძე იყო. თვითმფრინავებით უშენდნენ ჭურვებს აფრასიძეების სახლს, პატარა ბავშვების თვალწინ დახვრიტეს უდანაშაულო ადამიანები. ერთ-ერთმა „მოლაშქრემ“ უკვე მიცვალებულ ომებ აფრასიძეს ბეჭედი რომ ვერ მოაძრო, თითი მოაჭრა თურმე... ამ ამბავზე მერე სააკაშვილმა თქვა: დიახ, მე გავეცი აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვის ბრძანებაო... ამასობაში ქუთაისში „დიდების მემორიალის“ ადგილას სააკაშვილმა ახალი პარლამენტის შენობის აგების ბრძანება გასცა. ძეგლი, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეებმა თავის დროზე „ქართული ფილოსოფიური ტრაქტატი“ უწოდეს, ერთ დღეში დაანგრიეს. ამ ნგრევას დედა და მისი 10 წლის გოგონა ემსხვერპლა...

ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო ტოტალური დაჭერები ტელეკამერების თანხლებით, რაც საზოგადოებისთვის მძაფრსიუჟეტთან სერიალად იქცა. საქართველოს გენერალური პროკურორის - ირაკლი ოქრუაშვილის - ასეთი მკვეთრი ნაბიჯები საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევდა - მავანთათვის გულის მოსაფხან საშუალებად იქცა, ზოგისთვის კი დაკავების ასეთი ფორმა კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა.

ოქრუაშვილის პირველი „შთამბეჭდავი“ საქმე, როგორც თვითონ გვამცნო, ბორდელად გადაკეთებულ სასტუმროში შევარდნა და უძველესი პროფესიის ქალებისა და მათი კლიენტების დაწიოკება იყო. გენერალურმა პროკურორმა შეშინებული „დამის პეკლები“ მთელ საქართველოს ტელეეთერთ აჩვენა. ეს ფაქტი საზოგადოებისთვის სასერიოდ, ოქრუაშვილისთვის კი ერთგვარ სავიზიტო

ბარათად იქცა. ბორდელების ხმაურიანი დაწიოკების შემდეგ საზოგადოებისთვის არანაკლებ შოკისმომგვრელი იყო ბონდო შალიკიანის დაკავებაც. ქუთაისში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 15 კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს. ამ ოპერაციას 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ დროს დააკავეს ბონდო შალიკიანიც. სამართალდამცველები ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის, ბიზნესმენ ბონდო შალიკიანის სახლში, ერთ-ერთი ექვმიტანილის - „აფხაზას“ ძეგნის მოტივით შეცვივდნენ, თუმცა „აფხაზა“ ვერ იპოვეს. სპეცოპერაციას ესწრებოდა გენერალური პროკურორი - ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ტელევიზიის გადამღებ ჯგუფთან ერთად შალიკიანს შინ, საძინებელში შეუვარდა, ცოლქმარი წამოყარა და შალიკიანი საცვლების ამარა გაიგდო წინ. ეს კადრი მთელმა საქართველომ ნახა. ბონდო შალიკიანს ოფიციალურად იარაღის უკანონო შენახვაში ედებოდა ბრალი, თუმცა ეს სპეცოპერაცია ყველამ „კანონიერ ქურდებთან“ ბრძოლის კამპანიის დასაწყისად აღიქვა.

საკაპშილის ხელისუფლებამ წინამორბედ შევარდნაძის მთავრობასაც უმაღლესი გამოუტანა განაჩენი - ზოგი ქვეყნიდან გააქცია, ზოგი დიდი ხნით ციხეში გამოკეტა, ზოგსაც გარიგება დაუდო და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ქვემო ქართლში შევარდნაძის რწმუნებულმა - ლევან მამალაძემ და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა - კახა თარგამაშემ მეზობელ რუსეთს შეაფარეს თავი. ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი - დავით მირცხულავა და კონტროლის პალატის მაშინდელი თავმჯდომარე - სულხან მოლაშვილი ციხეში დიდი ხნით გამოკეტეს. რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი - აკაკი ჩხეიძე კი ხელისუფლებას გაურიგდა და დიდი ოდენობით გირაოს სანაცვლოდ თავისუფლება მოიპოვა. ედუარდ შევარდნაძის სიძე, სატელეფონო კომპანია - „მაგთიკომის“

დამფუძნებელი - გია ჯოხთაბერიძე გამტენიისას თვითმფრინავის ტრაპზე აიყვანეს. აეროპორტში ვიპ გასასვლელით შესულმა ჯოხთაბერიძემ ტავი პარიზის ნაცვლად იზოლატორში ამოყო. მანამდე კი პროკურატურაში დაიბარეს, სადაც მიტაცებული ფულის დაბრუნების საკითხსა და დამალული გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით გარიგება შესთავაზეს. გარიგებაზე უარი მიიღეს. ჯოხთაბერიძე მხოლოდ მას შემდეგ გატავისუფლდა, რაც მისმა მეუღლემ - მანანა შევარდნაძემ 15 500 000 დილარი გადაიხადა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი ყველა წელიწადს, ზოგჯერ წელიწადში ორჯერ მშვიდობიან, ცივილიზებულ საპროტესტო მანიფესტაციებს აწყობდა ისე, რომ „ერთი ფოთოლიც“ არავის შეურხევია, და როგორ იქცეოდა ამ დროს ხელისუფლება? ძალადობა, უსამართლობა, დაჭერები, ციხე და სატანჯველი მათი „დემოკრატიული იარაღი“ იყო განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ ამის ჩამდენი ხელისუფლების მისამართით. ზოგიერთები ამბობენ, რომ გზები გაკეთდა, იყო შედარებით იაფი ელექტროენერჯის გადასახადი, იგებოდა შადრევნები, გაკეთდა ფასადები მარჯანიშვილის მოედანზე, „გამშვენდა“ სიღნაღი და ა.შ. სანამ ღმერთი აწონის ცოდვა-მადლს, ჩვენ დავფიქრდეთ, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო და არის - გზები, ატრაქციონები და ყინულის მოედნები თუ ადამიანების სიცოცხლე, რომელიც ერთხელ ეძლევა და იმასაც ვიღაც ზნედაცემული ღორად დაბადებული ზონდერ-ნაციონალი წაგართმევს? ქართველმა ხალხმა იმდენი უნდა მოახერხოს, რომ „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებში საერთოდ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. პარტია უნდა გაუქმდეს და აიკრძალოს. ეს ადამიანები საზოგადოებისგან იზოლირებულნი უნდა იყვნენ, როგორც მოკვეთილები, ბოროტების მსახურები, ჯოჯოხეთის მოციქულნი.

მარიამ ადამაშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სისხლიანი სპეცოპერაციები, როგორც
სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი

რეზიუმე

ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო ტოტალური დაჭერები ტელეკამერების თანხლებით, რაც საზოგადოებისთვის მძაფრსიუჟეტო სერიალად იქცა. ასეთი მკვეთრი ნაბიჯები საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევდა - მავანთათვის გულის მოსაფხანსაშუალებად იქცა, ზოგისთვის კი დაკავების ასეთი ფორმა კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიხეილ სააკაშვილი აცხადებს: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ და იწყება „გმირობათა“ კასკადი, რომელიც სააკაშვილის და მის მომხრეთა გადაგვარებული ზრახვების განხორციელება იყო.

*Mariam Adamashvili, PhD,
Georgian Technical University*

Summary

Key words: *Special operations, bloody, public policy, media, operations, law enforcement.*

The government which came to power with roses has begun total arrests accompanied by TV cam-

eras that turned to the public into the action series. Such drastic steps caused variegated reaction in society – for some people it turned into a means of revenge, and for some people this form of arrests was categorically unacceptable. Immediately after coming to power Saakashvili declares: “Zero tolerance, all in jail!” and it starts a cascade of “heroism” that was the implementation of degraded intents of Saakashvili and his supporters.

*Мариам Адамашвили, докторант Грузинского
Государственного университета*

Резюме

Ключевые слова: *Специальные операции, кровавый, государственная политика, медиа, операции, правоохранительных органов.*

Пришедшая с розами власть начала тотальные аресты в сопровождении телекамер, которые превратились для общества в остросюжетный сериал. Такиерезкиешагивызывалинеоднородную реакцию в обществе – для некоторых превратилось в средство отмщения, а для некоторых такая форма арестов оказалась категорически неприемлемой. Сразу после прихода к власти Саакашвили объявляет: «Нулевая толерантность, всех в тюрьму!» и начинается каскад геройств, который был осуществлением деградированных умыслов Саакашвили и его сторонников.

ნაციონალური რეჟიმის ეკლექტი

ადამაშვილი მარიამი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: რეჟიმი, ნაციონალური, ეკლექტი, საბოტაჟი, დემოკრატიული.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა უდიდესი ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით დაამხო „ნაციონალური მოძრაობის“ უძლეველობის მითი. ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ქვეყნის გუშინდელი დღე კომმარულ მოგონებად დარჩენილიყო და იმ ავადსახსენებელ მოვლენაზე, სააკაშვილის რეჟიმი რომ ჰქვია, მხოლოდ თეორიული ინტერესით გველაპარაკა; მხოლოდ იმისათვის გაგვეანალიზებინა ჩვენი ცხრაწლიანი სამწუხარო გამოცდილება, რათა, როგორც თავისუფლების ღირსი ერი, თვით ცნობიერების დონეზე ავმალელებულიყავით. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გავიცნობიეროთ, რომ განვლილი ცხრა წელი ყველა ერთად ვმონაწილეობდით სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ დადგმულ ტრაგიკომიკურს პექტაკლში, სახელწოდებით - „იმიტირებული დემოკრატია.“ მიუხედავად სპექტაკლის ძირითადი მონაწილისა და მაცურებლის - ხალხის აღშფოთებისა და სცენარში არსებითი ცვლილებების შეტანის მსურველი ახალი ხელისუფლების დიდი მცდელობისა, „ნაციონალები“, მართალია, ნირწამხდარნიდა შეფუცხუნებულნი, კვლავაც უსირცხვილოდ განაგრძობენ ქართველი ხალხისა და მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრას და საკუთარი თავის მამა აბრამის ბატკნად წარმოჩენას. აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლების საბოლოოდ დათმობა არ უნდათ და ამისათვის ყველაფერს გააკეთებენ. ახლა უკვე „წამებულის“ და „ჩაგრულის“ მანტიამოსხმულნი, „დემოკრატიული“ ღირებულებების დაცვის საბაზით, ახალ-ახალი კონფლიქტების პრო-

ვოცირებას გეგმავენ. სიტყვით თუ საქმით, შინ თუ გარეთ ხელისუფლების დისკრედიტირებას ცდილობენ; ფარული საბოტაჟითა და ჭორების გავრცელებით ქვეყნის განვითარებას აფერხებენ, რათა ხალხში უკმაყოფილება გამოიწვიონ. ძალაუფლების ვნებით შეპყრობილნი ვერ აკონტროლებენ თავიანთ ქვეყასა და რიტორიკას. ვერ აცნობიერებენ, რომ მოსახლეობაში მათ მიმართ გაჩენილია სიძულვილსა და მრისხანებაში გარდამავალი ირონია, რომელიც, ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს, შეიძლება ყოვლისწამლეკავ სტიქიურ ძალადგა დაიქცეს. ეს გარემოება უფრო აქტუალურს ხდის რეჟიმის ბუნების გააზრებას, შეძლებისამებრ, მისი ფარული ზრახვების წვდომასა და სააკაშვილის, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ შემოქმედი და მასულდგმულებელი პერსონის ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

მთავარი იდეა, სამოქმედო დევიზი, რომელიც არსებითად გამოხატავს სააკაშვილის („ნაცმოძრაობის“) სახელმძღვანელო აზრს, მის ჩანაფიქრს, რომელშიც მთელი სისრულითაა წარმოჩენილი მისი ანტისახალხო, ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული ბუნება და ამასთან, რითაც ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ტრაზახობდა და ტრაზახობს, არის ის, რომ მან საქართველოში განახორციელა „მენტალური რევოლუცია.“ სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უცნობია თუ რას გულისხმობს სააკაშვილი, როცა თავმომწონედ გაიძახის „მენტალური რევოლუცია“ განვახორციელო. ერის მენტალიტეტის რევოლუციური შეცვლის ავკარგი რომ შევაფასოთ, უნდა გავერკვეთ როგორც რევოლუციის, ისე მენტალიტეტის, კერძოდ, ეროვნული მენტალიტეტის არსში.

რევოლუცია, მოგეხსენებათ, არის რაიმეში ძირფესვიანი ცვლილება. ეროვნულ მენტალიტე-

ტში იგულისხმება ერის სულიერი სამყარო, მისი სტრუქტურა, ფსიქოლოგიური წყობა, აზროვნების წესი, რომელიც გამომუშავდება და ყალიბდება უმაღლეს საზრისებთან ეროვნული ცნობიერების მიმართებაში და გამოხატულებას ჰპოვებს ეროვნულ თავისებურებებში, ტრადიციებში, ცხოვრებისწესში, ქცევებში, ათასგვარ ცხოვრებისეულ წვრილმანში. ასევე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ბედისტრიალმა, თუნდაც ათასგვარი განსაცდელით სავსე უახლოესმა წარსულმა, ქართველი კაცის მენტალიტეტში ისეთი თვისებები გააჩინა, რომლებიც, გლობალიზმის ეპოქაში, ახლო თუ შორეულ მეზობლებთან უშედავათო მეტოქეობის პირობებში, შეიძლება ხელისშემშლელ ფაქტორებად გვექცენ, როგორც პიროვნული თვითსრულყოფის, ისე ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. საკუთარი თავის მტერი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს მენტალიტეტში ამგვარი ხარვეზების დაძლევაზე უარი ვთქვათ, თუმცა, ეს მოხდება არა სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების გემოვნებითა და გადაწყვეტილებით, არა რევოლუციურად და არა მათეული მეთოდებით. ერთადერთი, ვისაც ამის უფლება და შესაძლებლობა აქვს, არის ქართველი ხალხი. ის თვითონ გადაწყვეტს რა არის მისმენტალიტეტში შესაცვლელი და ეს განხორციელდება ბუნებრივად, ყოველგვარი სტრესებისა და კატაკლიზმების გარეშე. ხალხს აქვს ამის დიდი გამოცდილება და მოქნილობა.

რაც შეეხება ნაცმოძრაობის შეფებს, მათ არა აქვთ ამგვარი ცვლილებების განხორციელებაზე ლაპარაკისა და ფიქრის უფლებაც კი. მათთვის უცხოა ქართველობა. ვგულისხმობ, არა ეთნიკურ წარმომავლობას, არამედ სულიერ წყობას, ცნობიერებას, შეხედულებებს, ღირებულებებს, ცხოვრების წესს, მენტალიტეტს. „მეტაფიზიკური სივარდილის“ და სხვა გარემოებათა გამო მათ განიცადეს მუტაცია, ფსიქიკაში წაშალთ წარსული და ისტორიის ათვლა 2003 წლიდან დაიწყო. მათთვის ყოველივე ქართული საზრისსაა მოკლებული, დაცინვის ობიექტია, „გოიმურია“, ამიტომ ქართულ სივრცეს ავსებენ

ისეთი ურთიერთობებით, სიმბოლიკებით, ფასეულობებით, ტერმინოლოგიით, ნიშნებით, რომლებშიც საკუთარ „სამშობლოში“ გრძნობენ თავს. მათ ამ სურვილსა და მისწრაფებას ეწინააღმდეგება ჩვენი რწმენა, ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია; რომელიც თითოეულ ჩვენგანშია, ჩვენ ცნობიერებაშია, აზროვნების წესშია, წეს-ჩვეულებებშია, მოკლედ, ჩვენს მენტალიტეტშია. ამიტომ წამოიწყეს ჯვაროსნული ლაშქრობა ეროვნული მენტალიტეტის წინააღმდეგ.

„მენტალური რევოლუცია,“ როგორც სხვა მრავალი ავანტიურისტულ-უტოპიური პროექტი, სააკაშვილის აშკარად არაადეკვატურ ფსიქიკაში მომწიფებული ახირება და ქიმერა იყო და როგორც ყველა უტოპია, თუნდაც ხალხის გაბედნიერების კეთილშობილური იდეის განხორციელებას ისახავდეს მიზნად, უკვე ჩანაფიქრშივე გულისხმობდა «გასახედნიერებელ» ხალხზე ძალმომრეობასა და ტოტალურ დანაშაულს.

საქმე ისაა, რომ ერის სულიერ სამყაროში ძირფესვიანი და თანაც ძალიან სწრაფი ცვლილება, რასაც „მენტალური რევოლუცია“ მოიაზრებს, ბუნებრივი, ევოლუციური გზითა და ჰუმანური მეთოდებით შეუძლებელი და განუხორციელებელია. აქედან გამომდინარე, ერზე „ზრუნვით“ გაჯერებულ ამ „მამულიშვილურ“ განზრახვაში აუცილებლობით იმთავითვე მოიაზრებოდა: საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული მანქანის ამუშავება; ეროვნული ცნობიერების დაშლა-დაკნინება; ქართული ენისადმი აგდებული დამოკიდებულება; ეკლესიის მიმართ აგრესიული პოლიტიკის განხორციელება; შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მოსყიდვა, მეორე ნაწილის „ჩარეცხვა;“ ეროვნული გმირების, სასიქადულო მამულიშვილების, ზოგადად ავტორიტეტების „განგვირგვინება,“ ამასთან ცრუ გმირების, ავტორიტეტების შექმნა; ერთი მხრივ, ახალგაზრდების „ნაცბანაკებში“ გადამზადება, „ტვინების გამორეცხვა,“ „ბუჩქებისაკენ მოწო-

დება, „მეორე მხრივ, ციხე-კოლონიებში შერევა და წამებით, ცემით, ცოცხებით, „დუბინკებით“ „მორჯულება;“ საგანმანათლებლო სისტემაში გაუთავებელი და „გაუაზრებელი“ ექსპერიმენტები; საბიუჯეტო სახსრების ფლანგვა-მითვისება და ახალ-ახალი გადასახადებით, ნაირგვარი სათამაშო ბიზნესით მოსახლეობის უკიდურესი ძარცვა; სტრატეგიული ობიექტების, მიწების, ტყეების, მდინარეების, კორუფციული გარიგებებით გაყიდვა-გასხვისება; ქართული სოფლების აყრა; მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციების გაბრუნების მცდელობა; ჩაშვების, მოსმენა-მიყურადების, ბოზობის, მათხოვრობის წახალისება; შავისა და თეთრის, ბოროტებისა და სიკეთის ერთმანეთში აღრევა; გულგრილი, ეგოისტური საზოგადოების შექმნა; ქართველი ერის გათითოვაცება და გადაგვარება. ეს არის იმ განზრახულობათა არასრული ჩამონათვალი, რომელიც სააკაშვილის მიერ ჩაფიქრებულ და ნაწილობრივ განხორციელებულ „მენტალური რევოლუციით“ იგეგმებოდა.

ასეთ გრანდიოზულ, რევოლუციად წოდებულ ნგრევას, ბუნებრივია, ნაცმოდრაობა მარტო თავს ვერ გაართმევდა, ამიტომ „დემოკრატიულ აღმშენებლობაში“ თითქმის ყველა სახელმწიფო და ნაწილობრივ კერძო ორგანიზაციები უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი, პარლამენტით დაწყებული და სასჯელ-აღსრულებითი პენიტენციური სისტემით დამთავრებული: სამინისტროები, გუბერნატორები, რაიონული გამგეობები, უმაღლესი სასწავლებლები; ე. წ. სტუდენტური თვითმართველობები; სკოლები დანიშნული დირექტორებით, დაშინებული მასწავლებლებითა და გაკადნიერებული მანდატურებით; სახელისუფლო ტელევიზიები, მიკერძოებული ინფორმაციით, სიკეთეზე და ბოროტებაზე ერთნაირად მოლადავე, პოლიტიკურად ანგაჟირებული შოუებითა და გამართობ-გამაოგნებელი გაუთავებელი სერიალებით,

საკაშვილს ეროვნული მენტალიტეტის რევოლუციურად შეცვლისათვის, როგორც ითქვა, ფართო ფრონტი ჰქონდა გაშლილი,

მაგრამ განსაკუთრებული სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობითლაპარაკობდა და ლაპარაკობს ქურდული მენტალიტეტის დამარცხებაზე. როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს. ჯერ ერთი, ქურდულ მენტალიტეტს ეთნიკურ წარმომავლობასთან ფორმალური დამოკიდებულება აქვს და, მეორეც, მისი დამლევა, ფრიად რთული და დელიკატური პრობლემაა. მისი აღმოფხვრა ფიზიკური განადგურებით, საპატიმროებით, „ნულოვანი ტოლერანტობით,“ ცოცხებითა თუ სადისტური წამებით შეუძლებელია და, რაც მთავარია, ზნეობრივად მიუღებელი და სამართლებრივად დასჯადია. ნაცმოდრაობამ ქურდული სამყარო კი არ დაამარცხა, ჩაანაცვლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო სასამართლოს და შესაბამისად, სამართლის არქონა მიიყვანდა სააკაშვილს „ავაზაკთა მთავრის“ სკამამდე. ჯერ კიდევ ნეტარი ავგუსტინე ბრძანებდა: სამართლიანობის გარეშე, სახელმწიფო სხვა არა არის რა თუ არა ავაზაკთა ხროვაო. ავაზაკობა კი, როგორც მოგეხსენებათ, „ძმათა შებორკილება და ტაცებაა.“

უნდა ვაღიაროთ სააკაშვილის „ნიჭი“ - მან დემოკრატიული დასავლეთის თვალწინ შექმნა ანტიდემოკრატიული ქვეყანა იმიტირებული სასამართლოებითა და პროკურატურით, „გამჭვირვალე“ პოლიციით; იმიტირებული ევროპული სტანდარტების სასჯელაღსრულების სისტემა - ნამდვილი კაციჭამია ზედამხედველებით, რეალური ცოცხებითა და „დუბინკებით.“ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ხშირად და ხმამაღლა გაისმის ხმები, რომ საქართველოს ცხრა წლის განმავლობაში, მეტი რომ არა ვთქვათ, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი მართავდა. ამ აზრს მოსახლეობის დიდი ნაწილი იზიარებს, მაგრამ მათ ინტონაციაში თუ გამომეტყველებაში ჩანს, რომ ეს არა-ადეკვატურობა სხვადასხვანაირადაა გაგებული და შეფასებული. ერთ, შედარებით მცირე ნაწილს სააკაშვილის სიგიჟეები მოსწონს

კიდევ. ერთგვარი მაზოხისტური კმაყოფილების გრძნობაც კი უჩნდება, თითქოს საკუთარი განუხორციელებელი ლტოლვებისა და სურვილების ხორცშესხმას ხედავს მასში, მეორე ნაწილი, მის ცინიზმით სავსე, თავკერძულ ქცევებს სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობას უკავშირებს და მისადგილს პრეზიდენტის სასახლეში კი არა საგიჟეთში ხედავს. სააკაშვილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია „გაფარჩაკებულია,“ მაგრამ მაინც განაგრძობს პრეზიდენტის როლის თამაშს, როგორც ზემოთ ითქვა, ნაციონალების მიერ დადგმულ სპექტაკლში, რომლის ფინალი, მოქმედ პირთა სიმრავლის, მოვლენათა განვითარების მრავალ ვარიანტულობისა და რაც ყურადსაღებია, მთავარი მოქმედი პირის, უგანგებოდ ახირებული და ირაციონალური ბუნების გამო, ძნელად სავარაუდოა. მოკლედ, სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენა, რთულ, ბუნდოვან ვითარებაში გააზრებული მოქმედებისათვის აუცილებლად მიმაჩნია და ამდენად, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ადამიანის სულს ეშმაკი სწორედ ამპარტავნობის მეშვეობით უფლება და აცდუნებს. სულხან-საბას განმარტებით, ამპარტავანი არის თავის თავისა და თავისი საქმის მომწონებელი და დიდობის მოყვარე და უდიდესობის უმსგავსოდ მდომი, გულ-მაღალი და სწავლის მოთაკილე. თავით თვისით შეძლებასა რასმე ჩემულობდეს და არა ძალითა ღვთისითა. ძნელია, ამაზე კარგად დაკონკრეტულად დახატო სააკაშვილის პორტრეტი, თავის თავზე ავადმყოფურად შეყვარებული ნარცისი, რომელსაც დაკარგული აქვს თვით რეფლექსიის უნარი და თავი მთელს დუნიაზე ყველაზე ჭკვიანი ჰგონია. „უდიდესობის უმსგავსოდ მდომი“-ო, ამ სიტყვებში არა მარტო ის ჩანს, რომ მას „უდიდესობა“ - პირველკაცობა, პრეზიდენტობა ყველაზე მეტად უნდა, არამედ ისიც, და ისაა მთავარი, რომ ეს სურვილი მოდის „უმსგავსო,“ ესე იგი, უტიფარი, თავხედი, მოძალადე, ავადმყოფური ინსტიქტისგან. თუ

უკიდურესად ამპარტავანი პერსონის სულიერ სამყაროს ფსიქოლოგის მზერას მივაპყრობთ, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს რელიგიური თვალთ დანახულ ბიპოლარულ მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზთან. ამგვარი ფსიქიკური აშლილობისას, მართალია, პიროვნება ურღვევი და უცვლელი რჩება, შემეცნებითი პროცესებიც ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ ემოციური სფერო დიდად ზიანდება. ავადმყოფს აღენიშნება ჰიპერაქტიურობა, ჭარბსიტყვაობა და გადამეტებული ოპტიმიზმი. მდგომარეობის გათვლებისას, შეტევისას ავადმყოფს ეზრდება არაადეკვატურობა; გრძნობს ენერჯის მოზღვავებას, მოქმედებისა და ლაპარაკის დაუოკებელ წყურვილს; ვეღარ ერკვევა, ან ცინიკურად არ ითვალისწინებს რა არის დასაშვები და რა დაუშვებელი სოციალურ და პერსონალურ პლანში, მაგალითად: რელიგიურ, პოლიტიკურ, ან სექსუალურ ურთიერთობებში. უქრება რეალობის განცდა. თავი ყოვლის შემძლე ეჩვენება, რის გამოც მისი ქცევა ხდება ავანტიურისტული და, სოციალურად და პიროვნულად სახიფათო. თანდათან მატულობს განდიდების ბოღვა...

არავისთვის დაფარული არ არის, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოსახლეობისათვის მიყენებული შეურაცხყოფის, დამცირების, ენით აღუწერელი ცინიკური ძალადობის შედეგად საზოგადოებაში დაგროვილია სამაგიეროს გადახდის ვნება, რომელიც შესაძლოა საერთო სახალხორისხვადიქცეს დასტიქიის სახით ქუჩაში „გამოვარდეს.“ ამის გამო, სამართლიანობის აღდგენა ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. უკვე საკმაო დროა, რაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, დიდი მოთმინებითა და იმედით ელოდება, რომ ბოლოს და ბოლოს, სამართალი იხეიმებს და დამნაშავე რეჟიმი წარსდგება თემიდას წინაშე.

1990-იანი წლებით ბილისი. თავისუფლების მოედანი.. პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი ხალხი და “ზვიადი”! “ზვიადი”- ქუხს ხალხი.

2000-2001 წლები. შეხვედრის ადგილი უცვლელია. პარლამენტის შენობა და ამჯერად

სახელი, რომელმაც შეაკავშირა უამრავი ადამიანი, არის - ედუარდი.

2003 წელი. კვლავ თავისუფლების მოედანი და “მიშას”! “მიშას” - დაბადება...

და ბოლოს 2012 წელი - ადგილი ამჯერადაც უცვლელია. თავისუფლების მოედანი. პარლამენტის შენობა. უამრავი ადამიანი და სახელი “ბიძინა” - რომელსაც სკანდირებს ხალხი.

ჩვენი ისტორიის ამ ოთხი ფურცლიდან, პირველი სამი წარსულია, რომელსაც აერთიანებს რა? სისხლიანი დასასრული ან ნგრევა და არაერთი სისხლიანი, პასუხგაუცვლელი კითხვა, მმართველობის პერიოდში. ზვიად გამსახურდია გადაადგეს და დევნილად აქციეს, რასაც ომი ნგრევა და სისხლის ღვრა ახლდა თან. შევარდნაძე კი, რომელსაც ერთ დროს მთელი ერი უჩოქებდა სულ წიხლის კვრით გააქციეს. “დემოკრატიის შუქურა” მიშა კი მართალია ვერც გადაადგეს და გააქციეს, სამაგიეროდ დატუქსული ბავშვივით კუთხეში დააყენეს ჯერჯერობით.

ეს ფრაგმენტები ჩვენი ისტორიიდან ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და საერთო გამომწვევი საფუძველიც გააჩნია. ამ სამივე მონაკვეთს ჩვენი ისტორიული წარსულისა, გარე ძალები განსაზღვრავდა, თუმცა რაღა თქმა უნდა, საკუთარი და არა ქართველთა ინტერესების გათვალისწინებით. ამ სამივე რეჟიმს კიდევ რა აერთიანებს იცით? ხომ გაგიგონიათ “ციხე შიგნიდან ტყდებო”, ხოდა სამივე ჯერ მმართველი ჯგუფი ერთად იწყებს ბრძოლას ეროვნული იდეებისთვის, მაგრამ შემდეგ იშლებიან და სწორედ გაოპოზიციონირებული ყოფილი მმართველები “აგდებენ” თავიანთ ლიდერებს.

და ბოლოს, თუ დაკვირვებით, გადავხედავთ ისტორიას, დავინახავთ, რომ ფაქტობრივად ერთი და იგივე ხალხი დგას მიტინგებზე, როგორც წესი, ჯერაკერპებენ, ბელადად აქცევენ ადამიანს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ იგივე ხალხი ქვებს ესვრის მას და ლანძღავს.. და ასე გრძელდება გასული საუკუნიდან დღემდე.. ზვიადი, ედუარდი, მიშა, ბიძინა, მერე ალბათ, სხვა იქნება და ასე უწყვეტად გაგრძელდება.

*მარიამ ადამაშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ნაციონალური რეჟიმის ეკლუბი

რეზიუმე

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა უდიდესი ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით დაამხო „ნაციონალური მოძრაობის“ უძლეველობის მითი. ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ქვეყნის გუშინდელი დღე კომმარულ მოგონებად დარჩენილიყო და იმ ავადსახსენებელ მოვლენაზე, სააკაშვილის რეჟიმი რომ ჰქვია, მხოლოდ თეორიული ინტერესით გველაპარაკა; მხოლოდ იმისათვის გაგვეანალიზებინა ჩვენი ცხრაწლიანი სამწუხარო გამოცდილება, რათა, როგორც თავისუფლების ღირსი ერი, თვით ცნობიერების დონეზე ავმაღლებულიყავით. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გავიცნობიეროთ, რომ განვლილი ცხრა წელი ყველა ერთად ვმონაწილეობდით სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ დადგმულ ტრაგიკომიკურს პექტაკლში, სახელწოდებით - „იმიტირებული დემოკრატია.“

*Mariam Adamashvili, PhD,
Georgian Technical University*

Summary

Key words: *Mode, national, thorns, sabotage, democratic.*

Enough time has passed since the Georgian people demolished a myth of invincibility of the “National Movement” with the greatest effort and the assistance of the International Community. This time should be sufficient that the yesterday of the country remains as a nightmarish memory and the people talk about the vindictive phenomenon called as the Saakashvili’s regime only with theoretical

interest; it should be sufficient to analyze our nine years of frustrating experience so as nation worthy of liberty have risen to the level of self-awareness. First of all we must realize that during the past ten years we were all participating in the tragicomic play staged by Saakashvili and his supporters under the title “Imitated democracy”.

*Мариам Адашвили, докторант Грузинского
Государственного университета*

Резюме

Ключевые слова: режим, национального, шипы, саботаж, демократическое.

Достаточно времени прошло с тех пор, как грузинский народ с величайшим усилием и

содействием Международного Содружества разрушил миф о непобедимости «Национального движения». Этого времени должно было достаточно для того, чтобы вчерашний день страны остался кошмарным воспоминанием, и о том злопамятном явлении, именуемом как Режим Саакашвили, говорили только с точки зрения теоретического интереса; анализировать наш девятилетний опыт только для того чтобы мы, как народ, достойный свободы, возвысились на самом уровне мышления. В первую очередь мы должны осознать то, что прошедшие девять лет мы все вместе участвовали в поставленном Саакашвили и его единомышленниками трагикомическом спектакле, под названием «Имитированная демократия».

თანამედროვე ინფორმაციული სივრცე და მასმედია

ბრეგვაძე ნიკოლოზი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, სივრცე, მასმედია, კონკურენცია, კანონი.

თანამედროვე მედია სივრცის პრობლემებზე საზოგადოებაში ბევრს მსჯელობენ, ჟურნალისტები, ექსპერტები, პოლიტიკაში დასაქმებული და დაუსაქმებელი პიროვნებები, ასევე ის ადამიანები, ვისაც სამწუხაროდ წარმოდგენა არა აქვს რას ნიშნავს ჭეშმარიტად დემოკრატიული და დამოუკიდებელი მედია.

აქედან გამომდინარე განსხვავებული მიდგომები არსებობს ქართული მედიის პრობლემების მოგვარებაში. უპირველეს ყოვლისა უნდა გავმიჯნოთ ცნება სიტყვის თავისუფლება და დამოუკიდებელი მედია, სიტყვის თავისუფლება შეიძლება არსებობდეს საზოგადოებაში, მაგრამ მედია არ იყოს დამოუკიდებელი. მედიის დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლების ხარისხი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი. საზოგადოების დემოკრატიულობის, სიტყვის თავისუფლების რეალიზაცია დამოუკიდებელია საზოგადოების მზადყოფნაზე დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე შესაბამის კანონმდებლობაზე, მოქალაქეების სურვილზე, თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებზე წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება თუ დაფუძნებული არ არის დემოკრატიულ ინსტიტუტებზე მართო სიტყვის, თავისუფლებაა.

რაც შეეხება დემოკრატიული მედიის დამოუკიდებლობას და მის საფუძველზე განხორციელებულ სიტყვის თავისუფლებას, ეს სერიოზული პრობლემაა არა მართო საქართველოსთვის. უპირველეს ყოვლისა მედიის დამოუკიდებლობა დგას მის თვითდაფინანსებაზე, მომგებიანობაზე, ინფორმაციული ბაზრის არსებობაზე, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, სარეკლამო მედია ბაზარზე და საერთო ეკო-

ნომიკაზე (ფულზე), აქედან გამომდინარე თუ მედია საშუალება წამგებიანია, იგი ვერ აფინანსებს საკუთარ გამოცემას და ხელოვნურად ცდილობს მის ფუნქციონირებას იძულებული ხდება მიმართოს დონორ ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობებს და სწორედ აქედან იწყება ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენს გონიერ საზოგადოებას აწუხებს.

მედიის ანგაჟირების საფუძველები არ უნდა არსებობდეს. მაგალითად: ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის ჟურნალისტებმაც მიიღეს ფულადი პრემიები რუსეთში მოღვაწე კრემლთან დაახლოებული ბიზნესმენისაგან, ერთის მხრივ კანონით არ ეკრძალებათ არც ჟურნალისტებს და არც სხვა შემოქმედებით პროფესიის ადამიანებს მიიღოს უცხო თუნდაც მტრულად განწყობილი ქვეყნის მოქალაქისაგან მსგავსი პრემიები (პარტიებს და პოლიტიკაში დასაქმებულებს უცხო ქვეყნებისაგან დაფინანსება კანონით ეკრძალებათ), მეორეს მხრივ არსებობს გარკვეული აზრი, რომ მსგავსი რამ, როდესაც ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს და რუსეთის მთავრობასთან დაახლოებული ადამიანისაგან მსგავსი «პრემიის» მიღება საჩოთიროა და გარკვეულ დისკომფორტთანაა დაკავშირებული. ეს საკითხი სერიოზული დისკუსიის თემაა, რადგანაც მორალთან უფრო გვაქვს საქმე ვიდრე კანონთან. ეს ფაქტიც კი საკმარისია, რომ დაფვიქრდეთ, რადგანაც ჩვენ ვსაუბრობთ დამოუკიდებელ მედიაზე და ჟურნალისტებზე მხედველობაში უნდა გვქონდეს მათი მატერიალური, სულიერი, პროფესიული მდგომარეობა ქართული მედიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა იწყება ეკონომიკიდან, გარემოდან და სახელმწიფო, დემოკრატიული მთავრობა ვალდებულია, ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას. ამისათვის

კი აუცილებელია, როგორც ცივილურ ქვეყნებში არსებობს მედიის დამოუკიდებლობის ფონდები, ასევე მსგავსი ფონდები უნდა შეიქმნას საქართველოშიც (როგორც ქალაქებში ასევე რეგიონებში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით), რომელსაც დააფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. ხალხი - გადასახადების გადამხდელი, ასევე სურვილის მიხედვით დონორი ორგანიზაციები და სხვა, მაგრამ მისი განმკარგველი იქნება დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი, საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც პროპორციული ნიშნით შევლენ საზოგადოების წევრები, ჟურნალისტები, ექსპერტები, ფინანსისტები ასევე პარლამენტის წარმომადგენლები, ხმების კვოტების გათვალისწინებით. ასეთ ფონდს ნამდვილად შეეძლება დამოუკიდებელი მედიის სპექტრს განვითარების საშუალება მისცეს და გარკვეულ წილად მედია კონკურსების საფუძველზე ინფორმაციული ბაზრს შესაბამისად დააბალანსებს. ასეთი მიდგომა არ უარყოფს კონკურენციას, საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, არამედ იგი ხელს შეუწყობს, ინფორმაციული ბაზრის დარეგულირებას, რომ მედია არ იყოს ანგაჟირებული და პოლიტიზირებული.

ქართული მედია სივრცე დღეს იმყოფება სერიოზული გამოცდის წინაშე ან ქართული მედია იქნება ყოველთვის პოლიტიზირებული და ანგაჟირებული და გარკვეული ჯგუფების ინტერესების გამომხატველი, ან გახდება დამოუკიდებელი, თავისუფალი, ობიექტური, შუამავალი საზოგადოებასა და მთავრობას შორის.

მასმედია სტრუქტურულად მოიცავს ურიცხვ ინდივიდსა და დაწესებულებას, რომლებიც განსხვავდებიან მიზნებით, მსოფლმხედველობით, ტექნოლოგიებითა და კულტურალური კონტექსტით, ან, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, მედია საკომუნიკაციო ინდუსტრიისა და პროფესიის წარმომადგენელთა კრებულია მაგ., კორპორაციები, გამომცემლობა, ჟურნალისტი, რედაქტორი და სხვ.

მასმედიის მნიშვნელობა განუზომელია, მას

მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ. იგი არის ყველგან: სახლში ტელევიზორი, საფოსტო ყუთში გაზეთი, სამუშაო მაგიდაზე კომპიუტერი, რადიო, სარეკლამო ფურცლები და ა. შ.

ფუნქციათა მრავალფეროვნება ასევე მრავალფეროვან კრიტიკასაც განაპირობებს. მასმედიას ადანაშაულებენ დროის ფუჭად გაფლანგვაში, ბავშვთა ძალადობისადმი წინასწარგანწყობის შექმნაში, საზოგადოების კრიმინალიზაციაში, საზოგადოებრივი სისტემის დანგრევაში, აჯანყების, რევოლუციებისა და ხალხის მასობრივი დაღუპვის ინიცირებაში. მეორეს მხრივ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მოდერნიზებულია მისი მასმედია. რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ მასმედია პროგრესის და განვითარების სასარგებლო ფუნქციებსაც ასრულებს.

კონკურენციაში უპირატესობის მოსაპოვებლად თანამედროვე მასმედია ამუშავებს უამრავ მასალას, რათა დააკმაყოფილოს საზოგადოების სხვადასხვა სფეროს ინტერესები. შედეგად, მედიის შემცველობა ხშირად წინააღმდეგობრივია ან შეიცავს საზოგადოებისათვის შეურაცხმყოფელ და პოტენციურად გამთიშველ თემებს, ვინაიდან ის, რაც ერთისთვის საინტერესოა, ხშირად მეორისთვის მიუღებელია.

თანამედროვე მასმედია აძლევს საშუალებას ლიბერალურ დემოკრატიას, რომ გაუმკლავდეს იმ ძალადობას, პროპაგანდას და ცეზურას, რომელიც წარსულში აუცილებელი იყო კომპლექსური საზოგადოების ერთიანობის შესანარჩუნებლად.

მოსახლეობის უმრავლესობის დრო და ფინანსები ინფორმაციის მოძიებაში იხარჯება; ამიტომ ადამიანი კმაყოფილია თვით ტენდენციური ან ლიმიტირებული ინფორმაციის მიღებითაც, რისთვისაც მხოლოდ ტელევიზორის ჩართვაა საჭირო. რაც მეტ ინფორმაციის წყაროს შევადარებთ მით უფრო ნათელ სურათს მივიღებთ სამყაროს შესახებ;

მედია საშუალებებით ნიუსების გადაცემის სისწრაფეს უდიდესი და ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსალოდნელი უბედურების

შესახებ ხალხის გაფრთხილების საქმეში. იქნება ეს ურავანის მოახლოება თუ მტრის ძალების თავდასხმა, ან ტრანსპორტის მოძრაობის შემაფერხებელი გარემოებების მიწოდება მძღოლებისათვის. ყოველივე, ბოლო პერიოდში, მდინარე ვერეს ხეობაში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმაც ცხადყო.

ციფრული ტექნიკის განვითარებასთან ერთად უფრო იზრდება და ადვილად ხელმისაწვდომი ხდება მასმედიის შესაძლებლობები. თანამედროვე საზოგადოებაში ამ საშუალებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერნეტი. ეს კი გულისხმობს მასობრივი კომუნიკაციის ყველა იმ საშუალებას, რომელიც ელექტრონულ სახით გვხვდება ქსელში. სხვანაირად მას “ინტერნეტული მასმედია“ ეწოდება.

საზოგადოება დღითიდღე ვითარდება, რაც პირველ რიგში ცოდნის დაგროვებას უკავშირდება. ჩვენ ყოველ დრე ვცდილობთ მივიღოთ ახალი გამოწვევები და ამის ხარჯზე დავზოგოთ საკუთარი დრო. თანამედროვეობის მიღწევები კი ამის უდიდეს შესაძლებლობას გვაძლევს. სწორედ ამის ნათელი მაგალითია ინტერნეტ მედია, სადაც ბეჭდითი და სამაუწყებლო მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ძირითადად ელექტრონული წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების სახითაა წარმოდგენილი. ინტერნეტ მედიის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია მყისიერად გაეცნოს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მომხდარ უახლეს ფაქტებს, მიიღოს მისთვის სასურველ თემატიკაზე შექმნილი, დაწერილი ნებისმიერი მედია ინფორმაცია. ეს საკმაოდ მოსახერხებელი და ეფექტური მეთოდია დროის მოკლე მონაკვეთში სასურველი ინფორმაციის მიღებისა და თვალსაწიერის გაფართოების. სწორედ ოპერატიულობა წარმოადგენს ინტერნეტ მედიის, ისევე როგორც თავად ინტერნეტის მთავარ ღირსებას.

თანამედროვე მსოფლიოში, ინტერნეტ მედიის როლი შეუცვლელია ხდება. იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის

საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნეტის მომხმარებელია, შესაბამისად ამ კატეგორიას ურჩევნიათ საურველი ინფორმაცია, სწორედ ინტერნეტის საშუალებით მიიღონ და არ დახარჯონ დრო სხვადასხვა გაზეთის თუ ჟურნალის საყიდლად ან თუნდაც ტელევიზორის ყურებაში. ინტერნეტის მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით, 1995 წლისთვის ინტერნეტის მომხმარებელთა საერთო რაოდენობა, მსოფლიოს მოსახლეობის 0.4%-ს შეადგენდა, 2011 წელს კი – უკვე 30%-ია. ამრიგად, სულ რამდენიმე წელიწადში, ინტერნეტი მილიონობით ადამიანისთვის ინფორმაციასთან წვდომის უნივერსალურ წყაროდ იქცა – ყველგან და ყოველთვის.

იქიდან გამომდინარე რომ ინტერნეტ მედია საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესის ობიექტს წარმოადგენს, დღითიდღე მატულობს ასეთი პროდუქციის რიცხვი. დღეს უამრავი საიტი არსებობს, რომელიც თითქმის იგივე პრინციპებზეა აგებული რაზეც თუნდაც გაზეთები, ტელევიზია და სხვა მედია საშუალებები.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ჩვენგანისთვის ცხადია თუ რამდენად მომგებიანია ინტერნეტ მედიის საშუალებით ჩვენი ცოდნის გაფართოება, ხშირად მაინც გავავიწყდება ინტერნეტის ეს ნამდვილად დასაფასებელი ღირსება და მხოლოდ გართობისთვის ვიყენებთ ინტერნეტს. ეს კი დადებითად არ მოქმედებს ადამიანის არც ჯანმრთელობაზე და არც არაფერ ღირებულს ვსწავლობთ. ამიტომ მნიშვნელოვანია ვაკონტროლოთ საკუთარი თავი. თუკი ინტერნეტს გააზრებულად მივმართავთ იმისთვის რომ სასურველი ინფორმაცია მოვიძიოთ მაშინ აღარ უნდა გადავერთოთ სხვა საკითხებზე და ვცადოთ რაც შეიძლება სარფიანად გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიის ეს მნიშვნელოვანი ღირსება.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერნეტ მედია საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი დღესაც ტრადიციულ ინფორმაციის მიღების წყაროდ

მინც ტელევიზორს ასახელებს, აღინიშნება თანამედროვეობის გავლენა და შესაბამისად ინტერნეტმედიის როლიც დღითიდღე იზრდება. დღეს საკმაოდ აქტუალური და ხშირად განხილვადია თემა თუ რამხელა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ინტენდენციაროდღეს ინტერნეტ მედია ანაცვლებს მასმედიის ტრადიციულ საშუალებებს. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რომ ყველაფერს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. მთავარია თავად გავაკეთოთ სწორი არჩევანი და ადამიანის გონების ასეთ შედეგებს გავუფრთხილდეთ, კვლავ საკუთარი განათლებისა და წინსვლისთვის გამოვიყენოთ.

“ჟურნალისტი საზოგადოების ადვოკატია ძალაუფლების მქონე პირთა წინაშე. იგი გამართულად, პროფესიონალურად და კომპეტენტურად უნდა იცავდეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი «სუბიექტის» - საზოგადოების ინტერესებს».

ინტერნეტმა ტრადიციულ ჟურნალისტიკას დიდი დარტყმა მიაყენა. ინფორმაცია გაცილებით უფრო საყოველთაო და ხელმისაწვდომი გახდა. ბლოგების, სოციალური ქსელების, ვიდეოების ასატვირთი ვებგვერდების გაჩენამ ხელი შეუწყო ადამიანებს, საჯაროდ გამოხატონ თავიანთი აზრი, ყოველგვარი იმ ტექნიკური შეზღუდვის გარეშე, რასაც აქამდე მათ მედია საშუალებების ცენტრალიზაცია უქმნიდა. ამ ყველაფერმა ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაზე ჟურნალისტების მონოპოლია შეასუსტა.

ჩვენი ძირითადი მიზანია ამ კონტექსტში საქართველოს შემთხვევის განხილვა. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშის მიხედვით, ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი სწორედ ხელისუფლების მედიაზაზრის კონტროლს უკავშირდება.

რამდენად არის ხსნა ახალი მედიის პოტენციალსა და ახალი მედიის მიერ ინსპირირებულ ცვლილებებში. საინტერესოა, როგორ

შეიცვლება ჟურნალისტიკის ხასიათი და რა მიმართებები ჩამოყალიბდება ჟურნალისტიკასა და დემოკრატიას შორის. გულისხმობს თუ არა ეს ცვლილებები ტრადიციული ჟურნალისტიკის მიერ საკუთარი თავის აღქმის შეცვლასაც?

აქამდე მიიჩნეოდა, რომ ჟურნალისტი ნეიტრალური და ობიექტური დამკვირვებელი უნდა იყოს (როგორც მეცნიერი), მისი ამოცანა კი განვითარებული მოვლენების გაშუქება, მათი საზოგადოებისთვის მიწოდება და ინფორმირებაა.

ჟურნალისტი იკავებდა მოკრძალებულ პოზიციას საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის, ცდილობდა, საკუთარი საქმიანობა ინფორმაციის მოპოვებით, დამუშავებითა და გადაცემით შემოეფარგლა.

ამავე დროს, ჟურნალისტიკა ბიზნესი იყო და მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ახალი ამბების მომგებიან გავრცელებასაც გულისხმობდა. ჟურნალისტი, არა როგორც მოქალაქე, საზოგადოების რიგით წევრად, არამედ ერთგვარ მეწარმედ, ბიზნესმენად აღიქმებოდა. დემოკრატიის ნაკლები ტრადიციის მქონე ქვეყნებში, ისეთში, როგორც საქართველოა, სწორედ ჟურნალისტიკისადმი ამგვარი კომერციული მიდგომა გახდა იმის საფუძველი, რომ მედია საშუალებები ადვილად მოექცნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ხელში. ძირითადად კი - yofilma ხელისუფლებამ “რუსთავი 2”-ისა და იმედის წარმატებული ბიზნესების ხელში ჩაგდებათ ნიუსების ინდუსტრიის თავისი ვიწრო მიზნებისთვის გამოყენება მოახერხა. იბადება კითხვა: ნუთუ ჟურნალისტიკა აქამდე მხოლოდ ეს იყო და სხვა არაფერი? მსგავსი ცენტრალიზაციის პირობებში, რატომ ინარჩუნებდნენ ჟურნალისტები მოსაზრებას, რომ ისინი მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი აგენტები არიან?

დასავლელი ჟურნალისტები დარწმუნდნენ ორ რამეში: პირველი, რომ ძველი ბიზნეს მოდელები ინტერნეტის ერაში ისე კარგად აღარ მუშაობს, როგორც ადრე, და მეორე, რომ ინფორმაცია დღეს გაცილებით უფრო იაფი

ღირს, ვიდრე აქამდე. ფორუმებზე, სოციალურ ქსელებზე, მობილურებზე, ბლოგებზე განთავსებული ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და მისი გადამოწმებაც შედარებით იოლი გახდა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა (ეს ქართველ ჟურნალისტებს განსაკუთრებით ეხებათ) პროფესიული განათლების ნაკლებობაა. ძალიან ცოტაა ისეთი ჟურნალისტი, რომელსაც სპეციფიკურად ერთი სფერო აინტერესებდეს და ბოლომდე იკვლევდეს მას. საზოგადოებას აცნობს ამ სფეროს პრობლემებს, გადაჭრის შესაძლო გზებსა და სავარაუდო დამნაშავეებს.

წარმატებული ჟურნალისტიკისთვის ორი მთავარი პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო: საზოგადოების ნდობის მოპოვება და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. პირველ შემთხვევაში, ეს შეუძლებელია დამოუკიდებლობის და საზოგადოების ინტერესების გამოხატვის გარეშე, მეორე შემთხვევა-

ში კი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საკითხის პროფესიონალური ცოდნა.

ზემოთ მოცემული ერთ-ერთი პირობის დაუკმაყოფილებლობას მაინც მივყავართ ისეთი ტიპის ჟურნალისტიკასთან, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს, ანუ მიკერძოებულ, დაბალიხარისხის თვალსაზრისებთანაწინააღმდეგობის ინდუსტრიასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთადერთი გამოსავალია დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ახლებური გააზრება. ჟურნალისტიკის საზოგადოების ადვოკატია ძალაუფლების მქონე პირთა წინაშე. ისე, როგორც პროფესიონალ ადვოკატს მოეთხოვება, იგი გამართულად, პროფესიონალურად და კომპეტენტურად უნდა იცავდეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი “სუბიექტის” - საზოგადოების ინტერესებს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების, ბლოგების და ახალი მედიის სხვა საშუალებების ათვისება და განვითარება.

ქართული სატელევიზიო არხის მიერ 13 ნოემბერს საფრანგეთში მოხდარი ტერაქტის გაშუქება

გაგიევა მადინა,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
XX

საკვანძო სიტყვები: პარიზის ტერაქტები, ტელეკომპანიების მუშაობა, მედია, საფრანგეთი.

2015 წლის 13 ნოემბრის ღამით საფრანგეთის დედაქალაქში ექვს სხვადასხვა ადგილას ერთდროულად მოხდა აფეთქებები და შეიარაღებული თავდასხმები. ქვეყნის ხელისუფლების განცხადებით, ამ მოვლენებს თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ტერორისტული აქტების კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს. ბოლო მონაცემებით ტერაქტების შედეგად 132 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ასობით მოქალაქე დაშავდა.

ტერაქტიდან სულ რამდენიმე წუთში მსოფლიოს წამყვანმა არხებმა პარიზი პირდაპირ ეთერში ჩართეს. თუმცა ქართული ტელეკომპანიების ეთერში ეს ამბები მხოლოდ 10 საათის შემდეგ მოხვდა. მაგალითად, ადამიანებს, ვინც ტელევიზორები დილის 9-10 საათზე ჩართეს, განსხვავებული „სანახაობა“ დახვდათ. წამყვანი არხები - „იმედი“ და „რუსთავი-2“ ამ დროს მხატვრულ და მულტიპლიკაციურ ფილმებს აჩვენებდნენ. ეკრანზე მომხდარის შესახებ მორბენალი სტრიქონიც კი არ იყო განთავსებული.

იგივე შეიძლება ითქვას პირდაპირი ჩართვის ჯგუფებზე. თუ სხვა ქვეყნების ჟურნალისტები ადგილზე იმავე ღამეს ჩავიდნენ, ქართულ არხებზე პირდაპირი ჩართვები მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა.

სპეციალური გამოშვება დეტალური, დაზუსტებული ინფორმაციით, მსოფლიოს წამყვანი მედიის მიერ გავრცელებული კადრებით, საერთაშორისო გამოხმაურებებითა და ექსპერტთა კომენტარებით, იმავე ღამეს არცერთი ქართული ტელეარხის ეთერში არ გასულა. შესაბამისად, მაყურებელს, რომელსაც არც ინტერნეტი აქვს და

არც უცხოენოვანი არხების ნახვის საშუალება, დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბის შესახებ არაფერი გაუგია.

საკმაოდ საინტერესო იყო საინფორმაციო გამოშვებებიც, რომელიც დღის განმავლობაში გადიოდა ეთერში. წამყვანები ისეთ ინფორმაციებზე ამბობდნენ „ამ წუთებში გახდა ცნობილი...“, რომელიც უკვე რამდენიმე საათის წინ მოხდა.

ტელევიზიები

პირველი, ვინც საკუთარი ტელეკომპანიის საიტზე პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ ინფორმაცია განათავსა, „რუსთავი-2“ აღმოჩნდა. „ტერაქტისაფრანგეთში-დაღუპულია 40ადამიანი, 60 კი ტერორისტებს მძევლად ჰყავთ აყვანილი“ - ეს წინადადება ვებგვერდზე ტერაქტიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, 01:36 გამოქვეყნდა. თუმცა მომხდარის გასაშუქებლად “კურიერის” სპეციალური გამოშვება ეთერში მხოლოდ 14 ნოემბერს, 11:00 გავიდა. ჟურნალისტებს ჩაწერილი ჰქონდათ საფრანგეთში საქართველოს ელჩის, ეკატერინე სირამე-დელონეს სატელეფონო კომენტარი, თუმცა მას არ გააჩნდა დაზუსტებული ინფორმაცია გარდაცვლილთა შორის საქართველოს მოქალაქეების არსებობის შესახებ. წამყვანმა ეთერში საელჩოს ცხელი ხაზის ნომერი გამოაცხადა.

ინფორმაციას ტერაქტის შესახებ ვებგვერდის მეშვეობით მთელი ღამის განმავლობაში აშუქებდა «ტაბულაც».

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ამ დროს იტალიური ტელესერიალი “ჩენტო ვეტრინე” გადიოდა. არხის საიტზე მომხდარის შესახებ პირველი და არასრული ინფორმაცია

მეორე დღეს, 14 ნოემბერს, 10:00 გამოქვეყნდა. ამ დროისთვის საერთაშორისო მედიამ უკვე გაავრცელა იმ ადგილების ზუსტი ნუსხა, სადაც შეიარაღებული თავდასხმები და აფეთქებები მოხდა. თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში მხოლოდ «სტად დე ფრანსის» შესასვლელთან და „ბატაკლანის“ საკონცერტო დარბაზში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე იყო საუბარი: “ფრანგული გამოცემა France-24, პოლიციაზე დაყრდნობით, წერს, რომ ბატაკლანის თეატრში დაღუპულთა რიცხვი 100 ფარგლებშია. მათ შორის 4 ტერორისტია. სულ კი ტერორისტული აქტების დროს, არსებული მონაცემებით, 140-მდე ადამიანია დაღუპული“. ინფორმაციაში აღნიშნული იყო, რომ პარიზში ტერაქტები იმ დროს განხორციელდა, როდესაც საფრანგეთი-გერმანიის საფეხბურთო ნაკრებების ამხანაგური მატჩი მიმდინარეობდა. თამაშს საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ესწრებოდა და ერთერთი აფეთქება სწორედ სტადიონის მახლობლად მოხდა. ტერორისტული აქტების შესახებ პირველი სრული ინფორმაცია 14 ნოემბერს, “მომზის” 12:00 გამოშვებაში გავიდა.

პარიზში მომხდარი ტერაქტების შესახებ ტელეკომპანია “იმედის” ეთერში ინფორმაცია და პირველი სიუჟეტი ასევე 14 ნოემბერს, 11:00 გავიდა. მანამდე საფრანგეთში განვითარებულ მოვლენების შესახებ ინფორმაცია “იმედის” საიტზე არ განთავსებულა. ჟურნალისტმა რეპორტაჟში აღნიშნა, რომ შაჰიდის ქამრებით შეიარაღებული თვითმკვლელი ტერორისტების სამიზნე 6 ობიექტი გახდა, ხოლო ტერაქტების სერიის შედეგად 153 ადამიანი დაიღუპა (თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მათი რიცხვი ნაკლები იყო).

ტელეკომპანია „მაესტროს“ მაყურებელმა საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტების შესახებ პირველად 12:00 საინფორმაციო გამოშვებიდან გაიგო. მანამდე ინფორმაცია ტერაქტების შესახებ არხის საიტზე არ გამოქ-

ვეყენებულა. 12 საათზე გასულ სიუჟეტში საერთაშორისო მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერილ იქნა ტერაქტი და მისი შედეგები. არხის ჟურნალისტებმა ჩაწერეს სატელეფონო ინტერვიუ საფრანგეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესთან, რომელმაც განაცხადა, რომ პარიზში მოსახლეობისათვის გადაადგილება შეუზღუდულია, შეშინებული ხალხი ქუჩაში არ გამოდის, შეფერხებულია ტრანსპორტის მოძრაობა. თუმცა აღნიშნული განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მოქალაქეებისთვის გადაადგილების შეუზღუდავად ადგილი არ ჰქონია - საფრანგეთის ხელისუფლებამ მათ უბრალოდ ურჩია, აუცილებლობის გარეშე სახლიდან გარეთ არ გამოსულიყვნენ. ხოლო ეთერში გასულ კადრებში ტრანსპორტის მოძრაობა იყო დაფიქსირებული.

რაც შეეხება ტელეკომპანია “კავკასიას” და “GDS-ის”. ამ არხების საიტებზე ინფორმაცია საფრანგეთის ტერაქტების შესახებ საერთოდ არ განთავსებულა. ხოლო ეთერში დღის მთავარი მოვლენა მხოლოდ 14 ნოემბერს საღამოს გავიდა. დილის საინფორმაციო გამოშვებაში, რომელიც “GDS“-ზე 07:00 გადის, 13 ნოემბრის “2030“-ის ჩანაწერი გავიდა.

სოციალური ქსელები

საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა პარიზის ტერაქტების „გამუქება“ სოციალურ ქსელებშიც. სამწუხაროდ ძალიან ოპერატიულად გავრცელებულ ინფორმაციებთან ერთად ბევრი დეინფორმაციაც გავრცელდა, რომელიც ხშირად ისედაც დამაბულ ვითარების კიდევ უფრო მეტ ესკალაციას ახდენდა.

მაგალითად, “Facebook“-ში აქტიურად ვრცელდებოდა **ჩაზნელებული ეიფელის კოშკის ფოტო**. ინტერნეტმომხმარებლების ნაწილის მტკიცებით, კოშკის ჩაქრობა ტერორისტულმა შეტევამ გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა რომ საფრანგეთის მთავრობამ კოშკის განათება გარდაცვლილთა პატივის მისაგებად გამორთო. ხოლო სინამდვი-

ლეში ეიფელის კოშკი ყოველ დამე 01:00 ითიმება და სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო, სადაც სწორედ განათების ჩაქრობაა აღბეჭდილი, Sky News-მა 2014 წლის იანვარში გადაიღო.

ფოტო, რომელიც სოციალურ ქსელებში ათასობით ადამიანმა გააზიარა და სადაც ჯგუფის Eagles of Death Metal-ის სოლისტები და სავსე საკონცერტო დარბაზია გამოსახული, Bataclan-ში არ არის გადაღებული. მიუხედავად ამისა მედია და სოციალური ქსელები მას ისე ავრცელებდნენ, თითქოს ის აღნიშნულ საკონცერტო დარბაზში 13 ნოემბრის დამეს იყო გადაღებული. Google-ის ფოტოძიებით მარტივად დგინდება, რომ ეს ფოტო 12 ნოემბერს დუბლინში ჩატარებული კონცერტის დროს არის გადაღებული.

კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა. შარლი ებდოს ტერაქტის შემდეგ აშშ-ს საპრეზიდენტო კანდიდატმა **დონალდ ტრამპმა გამოაქვეყნა განცხადება**: „გასაკვირია არაა, რომ ტერაქტი მოხდა საფრანგეთში. ქვეყანაში, რომელიც ასე მკაცრად აკონტროლებს იარაღს“. თუმცა სოციალური ქსელის მომხმარებლებმა ტრამპის ეს განცხადება 13 ნოემბრის მოვლენების დაუკავშირა.

ფოტოები, რომელზეც აღბეჭდილია 13 ნოემბრის საღამოს **მიგრანტების ბანაკში** გაჩენილი ხანძარი ძალიან სწრაფად გავრცელდა Facebook-სა და twitter-ზე. მომხმარებლების ნაწილმა ფოტოებზე აღბეჭდილი ხანძარი ფრანგი ხალხის რევანშით ახსნა. თუმცა სინამდვილეში ხანძრის გაჩენის მიზეზი მიგრანტების მიერ ღია გაზის ქურების დაუდევარი გამოყენება იყო.

სამწუხაროდ როდესაც მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ასეთი მასშტაბის ტრაგედია ხდება, ყოველთვის ვრცელდება გადაუმოწმებელი ინფორმაციები. თუმცა ერთია, როდესაც ასეთი ინფორმაცია ვრცელდება კერძო პირის მიერ და მეორე - ნაციონალური მაუწყებლის, რომლის პირდაპირი ვალდებულება არის ნებისმიერი ინფორმაციის გადამოწმება.

ლიტერატურა:

1. В.В. Пашинская., - Освещение терактов в СМИ: этический аспект. – 2010.
2. <http://mediachecker.ge>
3. <http://mediakritika.by/> - Освещение терактов в СМИ: рекомендации, правила и ограничения, 2015
4. <http://observers.france24.com/>

Мадина Гагиева, Докторант Грузинского технического университета

Резюме

Ключевые слова: парижские теракты, работа телекомпаний, медиа, Франция

Парижские теракты 13 ноября 2015 годы с первых же минут оказались в центре внимания мировых СМИ. Все ведущие телеканалы и радиостанции мира направили в эпицентр событий своих журналистов и операторов. К сожалению, Грузия в этот раз стала исключением. Съёмочные группы грузинских телекомпаний оказались в Париже только на следующий день. Кроме того, вряд ли можно назвать оперативной и работу информационных выпусков. В эфир некоторых телеканалов события 13 ноября попали только следующий день. Зачастую в эфир шла не перепроверенная информация. Какой была реакция грузинских СМИ на теракты в Париже и насколько они готовы к работе в столь экстренных условиях? Вопросы, на которые мы попытались найти ответы в указанной работе.

Madina Gagieva
Georgian Technical University

Summary

Key words: *Paris terrorist attacks, media, work of broadcasting companies, France*

Terrorist attacks of November 13th, 2015 became the “breaking news” of the world media from the first minutes.

All major TV and radio stations from different countries have sent their crews to the epicenter of events. Unfortunately, we can’t say the same

thing about Georgian broadcasting companies. Georgian TV crews arrived to Paris a day later – on November, 14.

We also can’t say that information departments of TV-channels showed their best. Some of them aired Paris terrorist attacks only the next day. Besides, sometimes they even didn’t check the information. What was the reaction of the Georgian media to the attacks in Paris and are they ready to work in such emergency conditions? The answers to these questions we have tried to find in this work.

საბჭოთა კპრიოდის ქართული ჟურნალისტიკა

დათუკიშვილი მანანა, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა, ჟურნალი, გაზეთი, პარტია, დიქტატი, დამოუკიდებლობა.

1921 წლის 11 თებერვალს რუსეთის XI არმია საქართველოში შემოიჭრა. საოკუპაციო ჯარები ოთხი დღის განმავლობაში უტევდნენ ქვეყანას. მეკავშირეებისაგან მიტოვებული ქართული სამხედრო შენაერთების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გაწევს მიუხედავად, რუსეთის ჯარები თბილისში შემოიჭრნენ და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხეს. ქვეყანაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან შეიცვალა ქართული პრესის მიმართულება, შინაარსი, თემატიკა. დაიხურა ყველა პარტიის პერიოდული ორგანო, გამოიცემოდა მხოლოდ გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ დააარსა 1920 წელს და მისი მთავარი პერიოდული ორგანო გახდა. „კომუნისტი“ მიესალმებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველმხრივ ცდილობდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების პარტიის დიქტატისათვის დამორჩილებას.

1921 წლის 8 მაისს არსდება საქართველოს პროფკავშირთა პირველი პერიოდული ორგანო, გაზეთი „მუშის შრომა“. მისი გამოცემა მნიშვნელოვანი იყო ახალი ხელისუფლებისათვის. მას ხელი უნდა შეეწყო საბჭოთა საქართველოს წინსვლასა და ახალი ცხოვრების განმტკიცებაში.

გაზეთი დაარსების პირველსავე დღეებიდან ყურადღებას ამახვილებდა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და მისი შემდგომი განვითარების გზებზე. მასში დაყენებული იყო მრავალი აქტუალური საკითხი, რომელთა გადაჭრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებისათვის. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნდა შრომის

დისციპლინის განმტკიცება. პროფკავშირებს მოუწოდებდა, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ სიზარმაცის, დეზერტირობის, დაუდევრობისა და საბოტაჟის წინააღმდეგ; საგანგებო ყურადღებას ამახვილებდა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე; დიდ ადგილს უთმობდა მუშათა საერთაშორისო მოძრაობებს. ამ მიზნით რუბრიკებიც კი ჰქონდა შემოღებული.

გაზეთი იდგა საბჭოთა ქვეყნის სამსახურში. ამიტომაც მკითხველს თანმიმდევრულად უჩვენებდა, თუ რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს. ხშირად მიმართავდა დაპირისპირების მეთოდს – ერთმანეთს უდარებდა მუშების მდგომარეობას წინათ და ახლა, ხაზს უსვამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს პროლეტარიატზე, აუმჯობესებს მათს მდგომარეობას, მენშევიკური მთავრობა კი ფუჭი დაპირებებით კვებავდა მშრომელებს და რეალურად არაფერს აკეთებდა.

„მუშის შრომამ“ საფუძველი ჩაუყარა პროფკავშირულ პრესას, რომლის ტრადიციები შემდგომ გააგრძელა და ახალ საფეხურზე აიყვანა გაზეთმა „მუშამ“ /1922 წ./.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ახალგაზრდების შეკავშირება და დარაზმვა კომუნისტური პარტიის ირგვლივ, მათი ჩაბმა სოციალისტური ქვეყნის მშენებლობაში. ამ მიზნით 1921 წლის 13 აგვისტოს გამოდის კომკავშირული გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. სულ მალე იგი გადაიქცა მგზნებარე ტრიბუნად კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში. ასეთი დამსახურებისათვის იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენითაც დაჯილდოვდა.

„ახალგაზრდა კომუნისტისათვის“ დამახასიათებელი იყო ახლის ძიება, დროის მაჯისცემის

შეგრძნება, ისეთი თემების გაშუქება, რომლებიც მოცემულ მომენტში განსაკუთრებით აღელვებდა საზოგადოებას, პირველ რიგში, ახალგაზრდობას. ამიტომაც იყო, რომ გაზეთი მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა მკითხველთა შორის.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე საპატიო ადგილი დაიჭირა საბჭოთა პედაგოგიურმა პრესამ, რომელიც სისტემატურად აშუქებდა საბჭოთა სკოლის, თვისებრივად ახალი სკოლის შენებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

1921 წელს გამოდის განათლების სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი ორგანო, ჟურნალი „სახალხო განათლება“. ჟურნალის რედაქცია პირველსავე ნომერში აყენებდა ახალი სკოლის მშენებლობის საკითხს და სახალხო განათლების ფრონტის ყველა მუშაკს მოუწოდებდა, აქტიური მონაწილეობა მიეღო სკოლის რევოლუციურად გარდაქმნასა და ახალი თაობის აღზრდაში.

საბჭოთა პედაგოგიური პრესის პირველი პერიოდი 1921–1930 წლებია. ამ პერიოდის ადრინდელი პედაგოგიკური ორგანოებია: განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი „სახალხო განათლება“/1921 წ./, სახალხო განათლების ქუთაისის სამაზრო განყოფილების ორკვირეული პედაგოგიკური ჟურნალი „განათლების მოამბე“/1923 წ./, თელავის სამაზრო განყოფილების პედაგოგიკური ჟურნალი „მასწავლებლის ხმა“/1923 წ./, თბილისის პოლიტიკური განათლების სამმართველოს ორგანო, ჟურნალი „კომუნისტური განათლება“/1923წ./ და თბილისის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“/1924 წ./ ამ ჟურნალების ისტორია ხანმოკლე იყო. თითოეულს ერთ წელიც არ უარსებია, მაგრამ ისინი ყურადღების ღირსნი არიან, რადგანაც ამ ჟურნალებით იწყება ქართული საბჭოთა პედაგოგიკური პრესის ისტორია, პირველად მათ დააყენეს და გააშუქეს საბჭოთა საქართველოში სკოლის რევოლუციურად გარდაქმნისა და სოციალისტურ მშენებლობაში ადამიანის აღზრდის პრობლემა.

ცოტა მოგვიანებით კი უფრო სტაბილური

და სოლიდური პედაგოგიური ჟურნალები არსდებოდა. ესენია: განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ყოველთვიური პროფესიულ-პედაგოგიური ჟურნალი „განათლების მუშაკი“/1923–1929/ და საქარ-თველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“/1924–1930/. თუ 1921–1924 წლების პედაგოგიკური ჟურნალები საკითხის მხოლოდ დაყენებით კმაყოფილდებოდნენ, ამ ჟურნალებში ბრძოლა მიმდინარეობდა საბჭოთა სკოლის მშენებლობისა და პედაგოგიკის საკითხების გარშემო.[3.].

საქართველოში თანდათანობით იზრდება პრესის რაოდენობა. გასაბჭოებიდან ერთი წლის შემდეგ არსდება ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილი ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც კულტურული რევოლუციისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ესენია: გაზეთები: „ბახტრიონი“/1922–1923 წწ./, „ლაშარი“/1923 წ./, „რუბიკონი“/1923 წ./, „ხომლი“/1923 წ./, „ივერია“/1923 წ./, „ქართული სიტყვა“/1923–1924“ წწ./, „ხელოვნების დროშა“/1924 წ./; ჟურნალები: „ხომლი“/1921–1922 წწ./, „მომავალი“/1921–1924 წწ./, „ილიონი“/1922–1923 წწ./, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“/1922–1923 წწ./, „უქიმერიონი“/1922 წ./, „კავკასიონი“/1924“/, „მნათობი“/1924 წლიდან/ და სხვ.

თბილისში გამოდის ასევე სამხარეო ორგანოები, გაზეთი „ზარიავოსტოკა“/1922 წლიდან/ და მრავალი პერიოდული გამოცემა რუსულ ენაზე. გაზეთები იბეჭდება სომხურ, აზერბაიჯანულ და აფხაზურ ენებზეც. თანდათან ფეხს იკიდებს რეგიონული გამოცემები.

ამ პერიოდის პრესა ყოველმხრივ ცდილობდა მკითხველის დარწმუნებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სიკეთე მოაქვს ხალხისათვის.

საბჭოთა პერიოდის პრესის შინაარსი, მისი თემატიკა კონკრეტული პერიოდის სოციალ-პოლიტიკური ვითარებით განისაზღვრებოდა. მაგალითად, 1926–1928 წლები ცნობილია, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წლები და ბუნებრივია, რომ საქართველოს პრესა, პირველ რიგში, ეკონომიკის, მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს აშუქებდა, ცენტრალურ ადგილს შრომის ნაყოფიერების ამაღლების,

უყარათობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს უთმობდა. ამ პერიოდის დასაწყისში 15 გაზეთი და 32 ჟურნალი გამოდიოდა, თუმცა მასიდან მათი რაოდენობა შემცირდა. ძირითად მიზეზად ქალაქის ნაკლებობა იყო დასახლებული, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ პარტიას მრავალი ჟურნალ-გაზეთის საქმიანობა არასაიმედოდ მიაჩნდა და ისინი დახურა, სამაგიეროდ, შეიქმნა კომუნისტური ორიენტაციის მთელი რიგი ახალი გამოცემები. მათ შორის გაზეთები: „განათლების მუშაკი“ და „კოოპერაციული ცხოვრება“; ჟურნალები: „მშრომელი ქალი“/1926–1929/, „საბჭოთა სამართალი“/1926–1930/, „პიონერი“/1926 წლიდან/, „ქართული მწერლობა“/1926–1930/ და სხვ.

1929–1932 წლები მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დამთავრებით, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლით. ქართული პრესის შინაარსიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლას ემსახურებოდა, ამასთანავე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე კომუნისტური პარტიის დიქტატის განმტკიცებას გულისხმობდა. 1931–1940 წლების მთავარი თემა მეორე და მესამე ხუთწლეულების შესრულებასთან, საკოლმეურნეო წყობილებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება იყო. ამავე პერიოდიდან შეინიშნება პრესის ორგანოების ქსელის ზრდა. მოიმატა მრავალპარტიანი გაზეთების რაოდენობამაც. 1931 წლიდან გამოდის გაზეთები: „ნორჩი ლენინელი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“, „საბჭოთა მასწავლებელი“; ჟურნალები: „ახალგაზრდა მწერალი“, „ჩვენი თაობა“, „ტექნიკა და შრომა“ და სხვ.

საქართველოში 1933 წელს გამოდიოდა 170 გაზეთი, 1940 წელს კი 120 გაზეთი და 77 ჟურნალი. როგორც ცნობილია, გერმანიამ დაარღვია შეთანხმება „О дружбе и границах“ და 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყო დაპყრობითი ომი.

1941 წლის კვირის გაზეთები არ იტყობინებოდნენ ამ უბედურებაზე. მკითხველმა არ იცოდა, რომ დასავლეთის საზღვრებთან სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ფა-

შისტურ გერმანიასთან. 1941 წლის 22 ივნისის 12 საათზე კი ცენტრალურმა რადიომ უკვე გადმოსცა მთავრობის განცხადება ამ ფაქტთან დაკავშირებით. 45 წუთის შემდეგ ეთერში გადაიცა ომის დროის „Последные известия“-ს პირველი გამოშვება, ღამის ეთერში კი პირველი ცნობები ფრონტის ხაზიდან.

24 ივნისს შეიქმნა „Совинформбюро“, რომლის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ფრონტის ხაზიდან ოპერატიული ცნობების გადმოცემა იყო.

ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ცენტრალური გაზეთების რედაქციებსა და საკავშირო რადიოში შეიქმნა სამხედრო განყოფილებები.

ეს იყო ბეჭდვითი სიტყვის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანის პირველი ნაბიჯები. ომის საჭიროებას დაექვემდებარა პარტიული და საბჭოთა პრესის მთელი საქმიანობა.

ომის დასაწყისში საბჭოთა ჟურნალისტიკა მოწოდებული იყო, ეჩვენებინა მტრის ცბიერი ჩანაფიქრი, გამოეაშკარავებინა მისი დამპყრობლური გეგმები. პრესას ევალებოდა მთელი თავისი აგიტაცია-პროპაგანდისტული და ორგანიზაციული საქმიანობა იქითკენ წარმართა, რომ წითელარმიელებისათვის და მთელი მოსახლეობისათვის აეხსნა ამ ომის სამართლიანობა საბჭოთა ხალხისათვის, რადგან ის იცავდა თავის სამშობლოს, მის დამოუკიდებლობას.

ახალმა ამოცანებმა, რომლებიც პრესის წინაშე დადგა, მოითხოვეს მისი საქმიანობის გარდაქმნა, მისი სტრუქტურის ისეთი რეორგანიზება, რომელიც მკაცრად დაექვემდებარებოდა ომის მოთხოვნებს.

ქართულმა ცენტრალურმა გაზეთებმა უმოკლეს დროში მოახერხეს მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. გაიზარდა სამხედრო პრესის ქსელი, რამაც სამოქალაქო პრესის შემცირება გამოიწვია. რესპუბლიკურ გაზეთებში გაჩნდა განყოფილებები, რომლებიც აშუქებდნენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და მიმოიხილავდნენ ფრონტის ცალკეულ უბნებზე საომარ მოქმედებებს. ჟურნალ-გაზეთები რაზმავდნენ ხალხს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ორგანომ, გაზეთმა „კომუნისტმა“ თავისი მუშაობა ქვეყანაში შექმნილ საომარ ვითარებას დაუქვემდებარა. გაზეთში გაჩნდა რუბრიკა „სამამულო ომის ფრონტზე“. მასში „საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან“ მიღებული ცნობები ქვეყნდებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ქართველი ჯარისკაცების გმირობისა და ვაჟკაცობის ამსახველ მასალებს. ამისათვის 1942 წლის სექტემბრიდან სპეციალური განყოფილება შეიქმნა სახელწოდებით, „საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტზე“. ამასთანავე დიდი ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო საკითხების გაშუქებას, ანტიჰიტლერული კოალიციის საქმიანობას, განსაკუთრებით კი მოკავშირე სახელმწიფოების მხრიდან გაწეულ დიდ დახმარებას, მათ მიერ გაშლილი საომარი მოქმედებების ჩვენებას.

საომარ ყაიდაზე გადავიდნენ რაიონული გაზეთებიც, რომელთაც რაიონული კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ.

ქართული პრესის საერთო ფონდს ასევე დაემატა საფრონტო გაზეთებიც, რომლებიც ნაციონალური დივიზიებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. მათში ასახვას პოულობდა სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე მდგომი ქართველი მებრძოლების სულისკვეთება, მისწრაფება ფაშისტური არმიების განადგურებისაკენ.

აღსანიშნავია, რომ საბრძოლო გაზეთები გამოდიოდა მაღალიდურ დონეზე და იყო პოლიგრაფიულად კარგად გაფორმებული. ამ გაზეთებში მოღვაწეობდნენ და წინახაზზე იბრძოდნენ გამოცდილი და უნარიანი ჟურნალისტები: ვ. მაჭავარიანი, ა. მაღულარია, ვ. სიხარულიძე, დ. ლომთაძე, ა. კელენჯერიძე, ბ. კიკნაძე, დ. დეკანოსიძე და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი შინ აღარც დაბრუნებულა. მათს კორესპონდენციებში, ნარკვევებში, ჩანახატებსა თუ ლექსებში მკაფიოდაა ასახული დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეების ისტორია[4].

ქართულმა პრესამ დიდი წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების მოპოვებაში. იგი თავისი

სიტყვით აღაფრთოვანებდა ფრონტის მეომრებსა და ზურგში მომუშავე ადამიანებს.

ომის დამთავრებისთანავე სამოქალაქო პრესა თავის პირვანდელ პოზიციას დაუბრუნდა. მნიშვნელოვნად შემცირდა სამხედრო გაზეთები. ჟურნალისტთა კადრები, ფულადი სახსრები და ქალაქი ახლა უკვე სამოქალაქო ჟურნალ-გაზეთების ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად იქნა მიმართული. აღდგა ომის დროს დახურული პრესის ორგანოები: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სახალხო განათლება“, „ნორჩი ლენინელი“ და სხვ. გაიზარდა რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების მოცულობა და პერიოდულობა. პრესის მთავარი საზრუნავი დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენის, სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის საკითხების, მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების შესრულებისათვის გაშლილი საქმიანობის გაშუქება იყო. ამასთანავე განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა კომუნისტური პარტიის დიქტატი. საბჭოთა პრესა დაუნდობელი გახდა კულტურისა და ხელოვნების მუშაკების, მეცნიერების მიმართ. იგი უსაფუძვლოდ ადანაშაულებდა მწერლებს, კომპოზიტორებს, კინოს ოსტატებს, მეცნიერებს უიდეობასა და აპოლიტიკურობაში. ყოველივე მიზნად ისახავდა კომუნისტური იდეებისადმი მათს დამორჩილებას. საბჭოთა რეჟიმი ყოველმხრივ ზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას, არ იცავდა ელემენტარულ სამართლიანობას.

1953–1985 წლებშიც ჟურნალ-გაზეთების მთავარი შინაარსი უცვლელი დარჩა. პარტიის მბრძანებლობა კვლავ გრძელდებოდა. ამ პერიოდში ქართულ პრესას შეემატა საინტერესო გაზეთები: „სოფლის ცხოვრება“, „თბილისი“, „ქართული ფილმი“; ჟურნალები: „ცისკარი“, „საქართველოს ქალი“, „დროშა“, „საქართველოს ბუნება“, „ვეჩერნი ტბილისი“ და სხვ. ეს პერიოდული ორგანოები დიდი პოპულარობითა და სიყვარულით

სარგებლობდა მკითხველ საზოგადოებაში.

1985 წლიდან ქვეყანაში დაიწყო გარდაქმნისა

და საჯაროობის პერიოდი, რომელმაც, ფაქტობრივად, რეალური შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა გზა გაეხსნა დემოკრატიას, შეიზღუდა პარტიის ბატონობა, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოში შეიქმნა ახალი პარტიები. ქვეყანა მოიცვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ. ამ ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და 1991 წლის აპრილში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყანაში ბოლო მოეღო კომუნისტური პარტიის ბატონობას, ხოლო მას შემდეგ, რაც მოსკოვში ჩაიფუშა „პუტჩი“, მთელ საბჭოთა კავშირში საბოლოო მარცხი განიცადა როგორც კომუნისტურმა პარტიამ, ისე სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის იდეამ [1].

ამ პერიოდიდან საქართველოს პრესაში კარდინალური ცვლილებები მოხდა. სახელწოდებები გამოცვალათ რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონულ, საქალაქო და მრავალტირაჟიან იმ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომელთა სათაურში იყო სიტყვები: „საბჭოთა“, „სოციალისტური“, „კომუნისტური“, გაუქმდა ცენზურა. გაზეთებიდან გაქრა ეპიგრაფი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ახალმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საკუთარი პრესის ორგანოები დააარსეს. მომრავლდა უპარტიო გაზეთებიც.

1990 წელს ჟურნალისტიკა კავშირის ეგიდით გამოვიდა პირველი თავისუფალი არაპარტიული გაზეთი „7 დღე“. 1991 წლის მაისში მისი რეორგანიზაციისა და ჟურნალისტიკა კოლექტივის გაყოფის შემდეგ იგი გაზეთი „დრონის“ სახელწოდებით გამოდის. მან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ქართველ ხალხში.

მატულობს თავისუფალ, არაპარტიულ პერიოდულ ორგანოთა რიცხვი. ამ პერიოდში ასზე მეტი ასეთი ორგანო გამოვიდა. მათ შორის გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ერი“ „ქართული ფეხბურთი“, „დრონი“, „კაბადონი“, „საქართველო“, „დვრიტა“; ჟურნალები: „კალთა“, „ნაკადული“, „კვალი“,

„ლიტერატურა და ხელოვნება“, „მანდილი“ და მრავალი სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკვე არსებულმა ჟურნალ-გაზეთებმა შეიცვალეს მიმართულება და ეროვნულ პოზიციაზე გადავიდნენ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, პირველ რიგში, კომპარტიის დედაქალაქის გაზეთი „თბილისი“, კომკავშირული გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი და „მოლოდიოჟ გრუზი“. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1990 წლიდან ახალი სახელწოდებით, „ახალგაზრდა ივერიელის“ სახელწოდებით გამოდის. ამ დროისათვის საინტერესოა ასევე „ნოვია გაზეთას“ არსებობა. ეროვნულ პოზიციაზე გადავიდა მწერალთა კავშირის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და კინემატოგრაფისტთა გაზეთი „ქართული ფილმი“, რომელიც, ფაქტობრივად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოდ იქცა.

საბჭოთა ჟურნალისტიკამ შეწყვიტა არსებობა, ფართო გზა მიეცა შეხედულებათა სხვადასხვაობას, აზრის თავისუფლად გამოხატვას.

ასეთია მოკლედ ქართული საბჭოთა პრესის ხანგრძლივი და რთული გზა, რომელიც მან განვლო დღიდან დაარსებისა. ახალი თაობა მის ფურცლებზე ამოიკითხავს, რა ვითარებაში უხდებოდა ჩვენს ხალხს ბრძოლა და შრომა ქვეყნის წინსვლისა და მისი უკეთესი მომავლისათვის.

ლიტერატურა:

1. გაგომიძე შ., „XX ს-ის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის პროგრამა“, ჟურნალისტიკა /პროგრამები/, თსუ, 2000.
2. გაგომიძე შ., „ახალგაზრდობის მეზრდოლი ორგანო“, კრებულში „ჟურნალისტიკის საკითხები“, ტ.7-8, თბ.1981.
3. გომელაური ბ., „პედაგოგიური ჟურნალები საბჭოთა საქართველოში“/1921-1930/, თბ. 1985.
4. მამუკელაშვილი ე., „ქართული საფრონტო პრესა“, თბ.1968.

*მანანა დათუკიშვილი, ასო
ცირებულ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი*

საბჭოთა პერიოდის ქართული პრესა

რეზიუმე

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის საოკუპაციო არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხო. ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ დღიდან ქართულმა პრესამ შეიცვალა მიზანი, მიმართულება, შინაარსი, თემატიკა. ჩამოყალიბდა ახალი იდეოლოგიაზე

დამყარებული ჟურნალისტიკა. იგი დაემორჩილა კომუნისტური პარტიის დიქტატს, უგულვებელყოფილ იქნა აზრის გამოხატვის თავისუფლება.

ნაშრომში გაანალიზებულია ის ხანგრძლივი და რთული პერიოდი, რომელიც ქართულმა საბჭოთა პრესამ განვლო დღიდან დაარსებისა. ნაჩვენებია მისი განვითარების ტენდენციები. ცალკეული ეტაპების მიხედვით შესწავლილია ჟურნალ-გაზეთების შინაარსისა და პრობლემატიკის ხასიათი, აღნიშნულია, რომ იგი განისაზღვრებოდა ქვეყანაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარებით. ნაშრომში გარკვეულია ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის ადგილი და მნიშვნელობა ჟურნალისტიკის ისტორიაში.

*Manana Datukishvili,
ассоциированный профессор,
Грузинский технический университет*

Грузинская пресса Советского периода

Резюме

Ключевые слова: Советский, журналы, газеты, партия, диктат, независимость.

25 февраля 1921 года российские оккупационные войска свергли Грузинскую демократическую республику. В стране установилась Советская власть. С этого дня грузинская пресса изменила свое направление, содержание, тематику и цели.

Сформировалась журналистика, которая основывалась на новую идеологию. Она подчинилась диктату коммунистической партии, была запрещена свобода выражения мысли

В статье проанализирован тот продолжительный и сложный путь, которую прошла грузинская советская журналистика со дня ее основания, показаны тенденции ее развития, по отдельным этапам изучен характер содержания и проблематики грузинской прессы названного периода, говорится, что она определялась тем социально-политическим положением, которое было в стране. В статье определено место и значение грузинской советской прессы в истории грузинской журналистики.

*Manana Datukishvili, associate Professor,
Georgian Technical University*
Georgian Press of Soviet Period

Summary

Key words: Soviet, magazine, newspaper, party, independence, dictatorship.

On 25 of February 1921, Russian occupational army overthrew the Democratic Republic of Georgia. Soviet government was constituted in the country. From this period, Georgian press changed its goal, direction, content, subject matter. Journalism depended on new ideology was established. It obeyed dictatorship of the Communist Party. Free expression of opinion was disregarded.

The abstract analyzes the long and difficult period, which the Georgian soviet press passed from the very first day of formation. Tendencies of its development are shown herein. It studies content and problematic character of newspaper-magazines according to the separate stages. It notes that it was defined by social-political situation being in the country. Place and sense of Georgian soviet press in the history of Georgian magazine is elucidated.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საზოგადოებაზე
ზეგავლენის კვლევა
(ამერიკული გამოცდილება)**

*პაპუნაშვილი მაია, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, ეფექტიანობა, საბჭოთა, ობიექტი, კომუნიკაცია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტიანობის, საზოგადოებაზე მისი გავლენის ხარისხის განსაზღვრის მიზნით საქართველოში კვლევები არ ჩატარებულა, ამიტომ კვლევის ჩატარების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მსოფლიოში არსებული გამოცდილება. კვლევების ისტორია კი იწყება მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკელი მეცნიერი მ. ჰოპკინსი ჯერ კიდევ 1970 წელს წერდა: „ჩნდება კითხვა: იციან მათ (საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა) ყველაზე ელემენტარული ტექნოლოგიები?“ [1] მ. ჰოპკინსს ამ კითხვაზე აქვს ასეთი პასუხი: „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის შესახებ სიტყვით გამოსვლას მხოლოდ ნახევარ საათს ანდომებს, რადგან ესმის, რომ მასობრივი სატელევიზიო აუდიტორია იწყენს და ინტერესს კარგავს, ბრეჟნევის სიტყვა კი, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება, 4 საათს გრძელდებოდა. საინტერესო იქნებოდა ამ გადაცემის რეიტინგის გაგება.“ [2]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მ. ჰოპკინსს მიაჩნია, რომ მედიასაშუალებების აუდიტორიაზე გავლენის კვლევა აუცილებელია, მაგრამ საბჭოთა კავშირში ამ საკითხით არავინ ინტერესდებოდა. შესაბამისად, ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, რა გავლენას ახდენდნენ საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მასებზე ან რამდენად სჯეროდა საბჭოთა ადამიანს იმ რეალობისა, რომელსაც მედიასაშუალებები

სთავაზობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევები არ არსებობს, ამიტომ მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება შემოვიფარგლოთ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასებზე ზეგავლენის ხარისხის კვლევის პიონერებად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიიჩნევიან ამერიკელი მეცნიერები. თავდაპირველად, 30-იან-50-იან წლებში, მათი კვლევების ერთადერთი მიზანი იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ადამიანებზე გავლენის ხარისხის შესწავლა.

ამ კვლევებში არ არის დიფერენცირებული მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა სახეები, არც გადაცემათა ტიპები. ეს კვლევები ერთიანად, კომპლექსურად განიხილავენ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას, მაგალითად, ბეჭდურ მედიას და რადიოს, მოგვიანებით - ბეჭდურ მედიას, რადიოსა და ტელევიზიას. ასევე ერთმანეთისგან არ განასხვავებენ, მაგალითად, ახალ ამბებსა და ტელესერიאלს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იმ პერიოდში ამგვარი იყო სოციალური დაკვეთა: კვლევებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება იმ მიზნით აფინანსებდა, რომ გაერკვია, რამდენად ეფექტიანი იყო მისი პროპაგანდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს; კვლევების დამფინანსებელთა შორის იყვნენ მსხვილი კორპორაციებიც. მათ აინტერესებდათ, რა გავლენას ახდენდა მომხმარებელზე მათ მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით წარმოებული სარეკლამო კამპანია. კვლევების განვითარებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ დღის წესრიგში დადგა

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტიანობის განსაზღვრის საკითხიც. [3]

ამ პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ პ. ლაზერსფელდის „ხალხის არჩევანი“. მის ნაშრომში საუბარი იყო იმაზე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არა უშუალოდ, არამედ ე.წ. „საზოგადოებრივი აზრის ლიდერების“ მეშვეობით ახდენენ გავლენას ადამიანებზე. [4]

„საზოგადოებრივი აზრის ლიდერებად“ იწოდებიან ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული პოპულარობით სარგებლობენ საზოგადოებაში. ესენი შეიძლება იყვნენ მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები, საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეები, მეცნიერები, უბრალოდ, პოპულარული ადამიანები და სხვა. მათი განცხადებებისა და აზრების დაფიქსირების შემდეგ, ერთი მხრივ, დღის წესრიგი იცვლება მათთვის, ვინც საზოგადოებრივ აზრის ლიდერებს უგდებს ყურს, ხოლო, მეორე მხრივ, მათთვისაც, ვისაც, უბრალოდ, აინტერესებს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები.

პ. ლაზერსფელდის აზრით, იდეები, ინფორმაციები საინფორმაციო საშუალებებიდან ვრცელდება საზოგადოებრივი აზრის ლიდერებამდე, მათგან კი - ნაკლებად აქტიურ სექტორებამდე. ინფორმაციის გავრცელება ხდება თანმიმდევრულ ნაკადად. ამგვარად, ინფორმაციის გავრცელებისას არსებობს ორი თანმიმდევრული ტალღა: პირველი აღწევს „საზოგადოებრივი აზრის ლიდერებამდე“, მეორე კი მათგან მიმდინარეობს და ვრცელდება სხვადასხვა არხის საშუალებით მათსავე აუდიტორიაში.

ლაზერსფელდი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განიხილავდა ზოგად ჭრილში, კომპლექსურად, მიუხედავად მათი სპეციფიკისა და შინაარსისა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლაზერსფელდი მაინც განასხვავებდა ერთმანეთისაგან რადიოსა და ბეჭდური მედიის გავლენას. მისი თქმით, რადიოს გავლენა უფრო

ძლიერი იყო, ვიდრე ბეჭდური მედიისა, თუმცა, მისივე თქმით, სხვაობა გავლენის ხარისხებს შორის მეტად უმნიშვნელო იყო. გაცილებით დიდი იყო განსხვავება საზოგადოებრივი აზრის ლიდერების საშუალებით საზოგადოებაზე მოხდენილ გავლენასა და უშუალოდ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით მოხდენილ გავლენას შორის. [5]

ლაზერსფელდის კვლევის მიზანი იყო კომუნიკაციის აქტის საბოლოო შედეგი, ამიტომ ის ყურადღებას არ ამახვილებდა შინაარსის თავისებურებაზე, მაგალითად, ცალკე არ იყო გამოყოფილი ახალი ამბები, როგორც კვლევის განსაკუთრებული ობიექტი. [6]

როგორც ვხედავთ, 30-იან-50-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევების თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ხდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (კომპლექსურად და არა მათი ცალკეული კომპონენტების მიხედვით) გავლენის შესწავლა ცალკეულ ინდივიდებზე.

ანალოგიური ვითარებაა მოგვიანო პერიოდის კვლევებშიც.

გაზეთები, რადიო, ტელევიზია ერთიანად, კომპლექსურად არის განხილული ჯ. კლაპერის ნაშრომში „მასობრივი კომუნიკაციის ზემოქმედება“. დასკვნები ყველას ერთად მიემართება - რადიოსაც, გაზეთსაც, ტელევიზიასაც, აგრეთვე ახალ ამბებსა თუ „საპნის ოპერებსა“ და შოუებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასკვნები საკმაოდ ფრთხილია: „მასობრივი კომუნიკაცია, როგორც წესი, არ არის აუცილებელი და საკმარისი წყარო ცვლილებებისათვის, მაგრამ ერთ-ერთია იმ ფაქტორებს შორის, რომლებსაც ცვლილებების გამოწვევა შეუძლიათ.“ თუმცა კლაპერი საუბრობს ერთგვარ გამონაკლის შემთხვევებზეც, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უშუალოდ ახდენენ გავლენას. [7]

კლაპერი განიხილავს კ. და გ. ლენგების ნაშრომს, [8] რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ ქმნიან ტელევიზიები ახალი ამბების საკუთარი, მხოლოდ მათთვის

დამახასიათებელი „ჩვენების სტილით“ თავიანთ განსაკუთრებულ სატელევიზიო რეალობას. კაპლერი სწორედ ამ შემთხვევას მიაკუთვნებს იმ გამონაკლისთა რიცხვს, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გავლენას ახდენენ მასებზე და ხელს უწყობენ სრულიად განსხვავებული შეხედულებების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, კაპლერს ლენგების ნაშრომში დასახელებული მაგალითი მოჰყავს იმ თეზისის დასადასტურებლად, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ინდივიდებზე გავლენის ეფექტურობა იზრდება იმ შემთხვევაში, როცა მათ წინასწარ წარმოდგენა არ აქვთ იმ საკითხებზე, რომლებზეც ინფორმაციას აწვდიან. [9]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე საუბრისას პ. ლაზერსფელდი აღნიშნავს, რომ მასმედიას შეუძლია შეცვალოს ცალკეული ინდივიდების შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ეს შესაძლებელია საზოგადოებისთვის პრობლემების ჩვენების საშუალებით. პობლემებმა, რომლებზეც ადამიანები ძალიან ცოტას ფიქრობდნენ ან საერთოდ არ ფიქრობდნენ, წინასაარჩევნო პერიოდის დროს შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინონ. [10]

ლაზერსფელდი ამ ფენომენით დიდად არ დაინტერესებულა, რადგან მიაჩნდა, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეგავლენით წინასაარჩევნო პერიოდში შეიცვალეს პოზიცია, ძალიან მცირეა. მაგრამ მან, ფაქტობრივად, წინ წამოსწია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ე. წ. „დღის წესრიგის“ შექმნის თემა, რადგან „დღის წესრიგის“ შექმნა სწორედ იმას გულისხმობს, რომ მასმედია გარკვეულ პერიოდებში წინ წამოსწევს გარკვეულ პრობლემებს, რათა საზოგადოებამ დაინახოს ეს პრობლემები და თავად განსაზღვროს, რომელ პოლიტიკურ ძალას შეუძლია ამ პრობლემების მოგვარება.

„დღის წესრიგის შექმნის“ თეორია მოგვიანებით, 1972 წელს, ჩამოყალიბეს მ. მაკომბსმა და დ. შოუმ. [11]

ამ თეორიის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე „დღის წესრიგის“ აგებით (Agenda-building).

როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ ამა თუ იმ პრობლემას, მათი აუდიტორიის მხრიდან ეს აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა. ამ აუდიტორიის წევრთა ცნობიერებაში ხდება მასმედიით გაშუქებული პრობლემების მიერ სხვა პრობლემების გადაფარვა. ამრიგად, აუდიტორიის ცნობიერებაში ხდება შესაბამისი დღის წესრიგის, ანუ განსაკუთრებული რეალობის, ჩამოყალიბება. ამ რეალობის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ ეს არის მედიის მიერ კონსტრუირებული რეალობა, სამყაროს „ახალი სურათი“.

მაკომბსისა და შოუს აზრით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ „დღის წესრიგის“ შექმნა განსაკუთრებით წარმატებულია, როცა ისინი საზოგადოებას აწვდიან მისთვის უცნობი სფეროებისა თუ საკითხების შესახებ ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში ადამიანი, უბრალოდ, იძულებულია, დაიჯეროს მასმედიის მიერ ინტერპრეტირებული რეალობა, ამიტომ „დღის წესრიგის“ ეფექტს შეიძლება ვუწოდოთ მასმედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის „რწმენის აქტი“.

უნდა აღინიშნოს, რომ „დღის წესრიგის“ შექმნის ეფექტი არ ემყარება აუდიტორიის მხრიდან იმის გაცნობიერებულ ანალიზს, რასაც აწვდიან. მისი საფუძველია აუდიტორიის მიერ იმის მექანიკურად დამახსოვრება, რაც ყველაზე ხშირად ფიგურირებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციებში. ასე რომ, მომავალში, როცა ესა თუ ის ინდივიდი სადმე კიდევ წააწყდება უკვე დამახსოვრებულ პრობლემას, მას ისე აღიქვამს, როგორც ნაცნობს, სინამდვილეში კი შეიძლება გაუჭირდეს პრობლემის არსის ჩამოყალიბება. [12]

როგორც ვხედავთ, „დღის წესრიგის“ შექმნას ძალზე ზედაპირული ხასიათი აქვს, რადგან იგი მიზნად არ ისახავს ინდივიდთა ცნობიერებაში

მწვავე საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ სრული და დაწვრილებითი ინფორმაციის ჩანერგვას. მისი მიზანია, საზოგადოებას შთააგონოს, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს და ეს პრობლემები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამის იქით მისი ზემოქმედება არ ვრცელდება.

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელ მეცნიერთა აზრით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასებზე ზემოქმედების ხარისხი არ არის მაღალი. მათი აზრით, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საკმარისი არ არის იმისთვის, რომ აუდიტორიის ცნობიერება რადიკალურად შეცვალოს.

ლიტერატურა:

1. Hopkins M. Mass Media in the Soviet Union. N.Y., 1970. გვ. 241.
2. დასახელებული ნაშრომი, გვ. 241.
3. Е. Г. Дьякова, А. Д. Трахтенберг, Проблемы конструирования реальности в процессах массовой коммуникации: “гипотеза «agenda-setting””. Научный ежегодник Института философии и права Уральского отделения Российской академии наук, 1999.– Екатеринбург, 1999. Вып. 1. გვ.145.
4. Lazersfeld P., Berelson B. & Gaudet H. დასახელებული ნაშრომი, გვ. 15
5. Lazersfeld P., Berelson B. & Gaudet H. The People’s Choice. How the Voter
6. Make up his Mind in a Presidential Campaign. N.Y., 1948. გვ.128.
7. Е.Г.Дьякова, А.Д.Трахтенберг, დასახელებული ნაშრომი, გვ.145.
8. Klapper J. The Effects of Mass Communication. N.Y., 1961. გვ.8.
9. Lang K. & Lang G.E. Politics & TV. Chicago, 1968.
10. Klapper J. დასახელებული ნაშრომი, გვ.111.

11. Lazersfeld P., Berelson B. & Gaudet H. დასახელებული ნაშრომი, გვ. 89
12. McCombs M., Eyal Ch., Graber D., Weaver D. Media Agenda-setting in the
13. Presidential Election. N.Y., 1981.
14. McCombs M., Eyal Ch., Graber D., Weaver D. დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

*მაია პაპუნაშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების
საზოგადოებაზე ზეგავლენის კვლევა
(ამერიკული გამოცდილება)**

რეზიუმე

უახლოეს წარსულში, როცა საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, არც საქართველოში და არც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტიანობისა და მასებზე მათი გავლენის კვლევა, რა თქმა უნდა, არტარდებოდა, ეს ბუნებრივია, რადგან ტოტალიტარულ საზოგადოებებში მსგავსი კვლევების ჩატარება მიზანშეწონილი არ არის - კვლევების გარეშე „ნათელია“, რომ მედია მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და არავითარ საფრთხეს არ უქმნის გაბატონებული დეოლოგიას. ბუნებრივია ისიც, რომ ასეთ სახელმწიფოებში არც ის საკითხი დგება ეჭვქვეშ, რომ მოქალაქეებს სჯერათ მედიის მიერ კონსტრუირებული რეალობისა.

მასებზე მედიის გავლენის ხარისხის კვლევის პიონერები იყვნენ ამერიკელი მეცნიერები. ასეთი კვლევები ამერიკაში მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლებიდან დაიწყო. სტატიაში საუბარია მედიის გავლენის ხარისხის კვლევის მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე, განხილულია ამერიკელი მეცნიერების მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები.

*Maia Papunashvili, докторант Грузинского
Технического Университета*

**Исследование степени влияния средств
массовой информации на общество
(Американский опыт)**

Резюме

Ключевые слова: Информация, эффективность, Советский, объект, коммуникация.

В недалёком прошлом, когда Грузия была одной из советских республик, ни в Грузинской ССР, ни в других республиках СССР не проводились исследования о эффективности и степени влияния средств массовой информации на массы. Это естественно, так как в тоталитарном обществе не целесообразно проводить такого рода исследования – и без них „ ясно“, что медиа производит на массы только положительный эффект и не создаёт никакую угрозу господствующей идеологии, граждане верят в ту реальность, которую конструирует для них масс-медиа.

Пионерами в исследованиях степени влияния на массы средств массовой информации были американские учёные, которые начали исследования в тридцатых-сороковых годах двадцатого века. В статье рассказывается о

первых шагах исследования степени влияния средств массовой информации на общество.

*Maia papunashvili, PhD,
Georgian Technical University*

**Research of The Mass Media Influence on Society
(The American Experience)**

Summary

Key words: Information, efficiency, Soviet, object, communication.

In the recent past, When Georgia was still a Soviet republic, neither in Georgia nor in any other Soviet republics, research of the effectiveness and the quality of the mass media influence on people, was not carried out, which is natural because in totalitarian societies similar researches are not advisable. It is obvious that the media only has a positive influence on society and poses no threat to the dominant ideology. It is also vital that such kind of state citizens accept the reality constructed by the media.

The pioneers who conducted the studies of the quality of mass media influence were American scientists. Similar studies started in the 30-40-ies of the 20-th century in America. The article is about the first steps towards the research of the quality of mass media influence.

მედია და კონფლიქტი

*სიხარულიძე აკაკი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

***საკვანძო სიტყვები:** კონფლიქტი, მედია, ინფორმაციული ომი, პასუხისმგებლობა.*

საბჭოთა რეჟიმიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართულმა მედიამ სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლად გადაინაცვლა. ეს იყო მართლაც „შიშველი ხელებით შოკური თერაპიის“ ეფექტი, რასაც ჰქონდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია ცხადყოფს, რომ საქართველოში ეთნოკონფლიქტებს საკმაოდ სერიოზული მიზეზები აქვს, აქედან გამომდინარე, მის შესწავლას, ანალიზს და დარეგულირების სამოქმედო გეგმას მრავალმხრივი ჩართულობა სჭირდება. უმნიშვნელოვანესია, მედიის როლი ეთნოკონფლიქტების გაშუქების საკითხში.

კონფლიქტებთანდაკავშირებული თემების ნაკლებობას მედიას ნამდვილად ვერ დავწამებთ, აი, შინაარსი კი ხშირად ორიენტირებულია უფრო მეტად სენსაციაზე და სკანდალზე, ვიდრე ჟურნალისტური სტანდარტების დაცვაზე. გასათვალისწინებელია, რომ ეთნიკურ უმცირესობებს მარადიული, ექსისტენციალური ინტერესები გააჩნიათ. მედიასაშუალებებში ეთნოპრობლემების გაშუქებისას გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები, ჟურნალისტების ინტონაცია და რიტორიკა, ვფიქრობთ, სასურველია, თავისუფალი იყოს ეთნოშოვინიზმისაგან და ფსევდოლიბერალური ინტერნაციონალიზმისაგან. როდესაც სტატიაში ლაპარაკია ტერიტორიების დაბრუნებაზე, აქცენტი მიწის კვადრატული მეტრობით დაბრუნებაზე კი არ უნდა კეთდებოდეს, არამედ ამ ტერიტორიებზე დასახლებული ადამიანებით დაბრუნებაზე.

ჟურნალისტის საქმიანობა კონფლიქტის არა თუ გადავივების, არამედ პრევენციის ხელმშემწყობი უნდა იყოს;

ეთნოპრობლემების გაშუქება უარესად სენსიტიური თემაა, ამდენად ის სრულიად თავისუფალი უნდა იყოს პროპაგანდისტული ელფერისგან და სიძულვილის ენისაგან. ჟურნალისტის პროფესიული კომპეტენცია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მასალა უნდა იყოს დაბალანსებული, ფაქტებზე დაფუძნებული, სარწმუნო და ეყრდნობოდეს რამოდენიმე წყაროს;

თანამედროვე მეგაპოლიტიზებულ სამყაროში ზოგადად კონფლიქტები და, მათ შორის, გამორჩეულად, ეთნოპოლიტიკური ხასიათის კონფლიქტები ისე მჭიდროდ გადაეჯაჭვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შემოქმედებით ინდუსტრიას, რომ ერთის განხილვა მეორის ანალიზის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ტერმინი „კონფლიქტი“ სოციოლოგიურ-პოლიტიკურ სივრცეში პირველად ამერიკელმა სოციოლოგმა ლუის კოზერმა გამოიყენა მე-20 საუკუნის დასაწყისში სხვა ზოგადსაკაცობრიო ტერმინებთან შედარებით ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტერმინია, თუმცა, სამწუხაროდ, სწორედ მე-20 საუკუნემ მიანიჭა მას განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა. თვალის ზერელე გადავლებაც კი კმარა საიმისოდ, რომ თვალსაჩინოდ დავინახოთ, რა თვისობრივი განსხვავებაა თანამედროვე კონფლიქტების ხასიათსა და იმ კონფლიქტებს შორის, რომელთაც მსოფლიოში ცნობილი კონფლიქტოლოგები, სოციოლოგები - ვ. სამნერი, მ.გლაკმენი, მ.ვებერი ან კ.დოიჩი აღწერდნენ თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში.

ტერმინ „კონფლიქტს“, როგორც ენციკლოპედიურ ერთეულს, თანამედროვე სამეცნიერო სამყაროში შემდეგი განმარტება იენიჭა: კონფლიქტი - სერიოზული

უთანხმოება, განხეთქილება დაპირისპირებულ მხარეებს შორის. კონფლიქტი შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი. შინაგანია კონფლიქტი, როცა ადამიანში ორი საპირისპირო განცდა ან შეხედულება ებრძვის ერთმანეთს. გარეგანი კონფლიქტი კი არის ის, როდესაც ორი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი უპირისპირდება ერთმანეთს. ამასთანავე, კონფლიქტი შეიძლება იყოს:

- **დროებითი, ხანმოკლე.** ის გადაჭრილად ითვლება, როცა ერთ-ერთი მხარე იმარჯვებს ან მარცხდება;
- **მარადიული, დაუსრულებელი.** ამ დროს ერთ-ერთი მხარე იმარჯვებს ან მარცხდება, მაგრამ კონფლიქტი გადაუჭრელი რჩება.

კონფლიქტების, იგივე სოციოლოგიური ქმედებების თავისეულ კლასიფიკაციას გვთავაზობს მე-19 საუკუნის პრუსიელი მეცნიერი, სოციოლოგი და კონფლიქტოლოგი მაქს ვებერი. მისი მოსაზრებით, არსებობს სოციოლოგიური ქმედების ორი ტიპი, რომელთაგან პირველი მიზანმიმართულ კატეგორიას მიეკუთვნება. მიზანმიმართულებაში ვებერი ქმედების ისეთ ფორმებს გულისხმობს, როცა კონფლიქტი მკვეთრად გამოხატულ მოტივაციას, ჩამოყალიბებულ საფუძვლებს ეყრდნობა და აქვს საბოლოო შედეგის მიღწევის შესაბამისი მეთოდოლოგია.

მიზანმიმართული კონფლიქტი მძლავრ ფესვთა სისტემაზე შეიძლება იყოს აღმოცენებული. მას აუცილებლად აქვს წარსული, რომელიც ამ ფესვთა სისტემას კვებავს, აქვს კარგად განვითარებული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მექანიზმიც, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონფლიქტის სიცოცხლისუნარიანობას, მის წარმატებულ განვითარებასა და დასასრულს.

თუ ვებერისეულ კლასიფიკაციას დღევანდებლობას მივუსადაგებთ, მიზანმიმართულ სოციოლოგიურ ქმედებებს, კონფლიქტებს მსოფლიო რუკის ორივე ნახევარსფეროში მრავლად აღმოვაჩენთ. თანამედროვე კონფლიქტთა უდიდესი ნაწილი სწორედ წარსულს, ისტორიას, წიაღიდან

დაწყებულ უთანხმოებებსა და იდეოლოგიის ტრადიციას ეყრდნობა. ასეთივე წარმოშობა აქვს საქართველოში ამჟამად არსებულ ცხელ წერტილებსაც.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, ვის შეუძლია და რას ხელეწიფება გაანეიტრალოს კონფლიქტის სიმძაფრე. გაჩნდა მოსაზრება, რომ მას უნდა დაუპირისპირდეს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ადამიანური ფენომენი - პასუხისმგებლობის გრძნობა. თანამედროვე მეთოდოლოგიებიდან და უახლოესი ისტორიის გამოცდილებიდან გამომდინარე, „ბექდურ სიტყვას“ შეუძლია გავლენა იქონიოს გარკვეულ მოვლენებზე მისი ავადმყოფობის საწყის სტადიაზე, თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მედია კარგად იცნობს, ღრმად სწვდება და შეგნებულად ათვითცნობიერებს კონფლიქტის ბუნებასა და საზოგადოების განწყობის თეორიას. აღნიშნული კონსტრუქცია დაახლოებით ასე გამოიყურება:

მიზანმიმართული კონფლიქტი - პასუხისმგებლობის გამმაფრებული გრძნობა - მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მედია მუშაკებისთვის აუცილებელი ხდება ისეთი ტექნიკურ-სტრატეგიული სტანდარტებისა და უნარ-ჩვევების ცოდნა, რომელიც თანამედროვე საინფორმაციო ომის წარმოების ტექნოლოგიებს შეეფერება. ამგვარი ცოდნა მხოლოდ გამოცდილებას როდი ემყარება. აქ გასათვალისწინებელია ღრმად განვითარებული ქვეყნების სპეციალურ ინსტიტუტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ხანგრძლივი ანალიზისა და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებისა და მათი ფორმულირების გაზიარება, რათა ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა საჭიროების შემთხვევაში სწორად აწარმოონ ინფორმაციული ომი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებამ საინფორმაციო ომი მეტად ეფექტური გახადა.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ინფორმაციული ომის სტრუქტურასა და აგებულებაში, საჭიროა შევისწავლოთ მისი ანატომია.

ტერმინი „ინფორმაციული ომი“ სხვადასხვა ინტერპრეტაციით გვხვდება. ერთერთი განმარტებით ეს არის სამოქალაქო საზოგადოებაზე ან მტრულად განწყობილი ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო წრეების წარმომადგენლებზე ზემოქმედება რაიმე ინფორმაციის გავრცელების მეშვეობით. არის სხვაგვარი განმარტებაც, კერძოდ, ინფორმაციის გავრცელების საშუალებით უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლა.

და ბოლოს, მოწინააღმდეგის საინფორმაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა და საკუთარის დაცვაზე ზრუნვა.

ამ ფორმულებით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ 90-იანი წლების სამოქალაქო, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დროს საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზიები ძირითადად ემოციური, პატრიოტული ინსტიქტებით მოქმედებდნენ. ობიექტურობის გრძნობამ, საომარი ვითარებების დროს საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის აუცილებლობამ უკიდურესად უკანა პლანზე გადაიწია. მთლიანად გამოირიცხა სხვა ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებზე ზემოქმედება რაიმე ტიპის ინფორმაციის გავრცელების მეშვეობით. არც ინფორმაციის გავრცელების საშუალებით მოპოვებულ უპირატესობაზე იქნა აქცენტი გადატანილი და, მით უფრო, არც მოწინააღმდეგის საინფორმაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა უფიქრია ვინმეს, რადგან იმ პერიოდში ქართულ მედიას ამის არც გამოცდილება ჰქონდა და არც უნარი. არადა, ინფორმაციულ ომს აქვს თავისი მკვეთრად გამოხატული თვისებები. მისი ობიექტი არის როგორც მასების, ისე ინდივიდების ცნობიერება, ინფორმაციული ომი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც ინფორმაციულ ქაოსში, ისე სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში, ამ ომის წარმოება შესაძლებელია ინფორმაციის გადაცემის ნებისმიერი საშუალებით - ობიექტური ინფორმაციით დაწყებული და შეგნებული დეზინფორმაციის გავრცელებით დასრულებული.

კონცეპტუალურ დონეზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მუდმივად ისწრაფვის მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მისი მიზნების შესრულებას, ისარგებლოს ამ ინფორმაციით და იმავდროულად დაიცვას იგი. ასეთი გამოყენება და დაცვა შესაძლოა განხორციელდეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში. ინფორმაციის ცოდნა, რომელსაც ფლობს მოწინააღმდეგე, წარმოადგენს საშუალებას, გავზარდოთ ჩვენი სიძლიერე და დავწიოთ მტრის ბრძოლისუნარიანობა ან წინააღმდეგობა გავუწიოთ მას, აგრეთვე დავიცვათ ჩვენი ღირებულება ჩვენივე ინფორმაციის ჩათვლით.

საინფორმაციო ომი - ეს არის მოქმედება საკუთარი ინფორმაციული ფუნქციის დასაცავად, საინფორმაციო ომი მხოლოდ საშუალებაა და არა საბოლოო მიზანი.

ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის, რომელიც არკვევს კონფლიქტისა და მედიის ურთიერთობას მისი მიმდინარეობისას, საინტერესო აღმოჩნდა გარდამავალი ფაზაც, ანუ პოლიგონი კონფლიქტის ჩასახვიდან მის გაღვივებამდე. გაჩნდა დამატებითი კითხვაც: მედიას, როგორც სოციოლოგიური ქმედებების ერთ-ერთ მუდმივ თანამგზავრს, დაპირისპირების დაწყებამდე თუ ძალუმს გავლენა იქონიოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ზოგადჰუმანურ განწყობაზე და ჩააცხროს საომარი ვნებები? ანდა პირიქით: შეუძლია თუ არა მედიას, მინავლებული კონფლიქტის გაღვივება და მისი ესკალაცია?

მედიამ სერიოზული როლი შეიძლება შეასრულოს კონფლიქტის პროცესებში. ამისათვის აუცილებელია სამშვიდობო ჟურნალისტიკის ხერხებისა და მეთოდების ათვისება. მაგალითად, ჟურნალისტიკის კითხვა - „რას არ ეთანხმებით?“ „რაში არ ემთხვევა თქვენი შეხედულებები?“ სამშვიდობო ჟურნალისტიკის პოზიციიდან ასე ჟღერს : „რას ეთანხმებით?“ „რაში ემთხვევა თქვენი შეხედულებები?“ - წმინდა ჟურნალისტური თვალსაზრისით ორივე შეკითხვა ერთი და იგივე მნიშვნელობისაა, მაგრამ ჟურნალისტი ეხება

რა საკითხს, რომელსაც ორი დაპირისპირებული მხარე ჰყავს, ამ ხერხით საკითხი კონფლიქტს მიღმა გაჰყავს. პროფესიონალური ჟურნალისტიკა მოითხოვს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის არსებული საკითხის ზედმიწევნით ღრმად შესწავლას. ჟურნალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ კონფლიქტი არ მოგვარდება, მანამ სანამ მოწინააღმდეგე მხარეები პრობლემის გადაწყვეტაში მხოლოდ საკუთარი ინტერესებს ეყრდნობიან. ბეჭდური მედია, პოტენციურად, შეიძლება განხილული იქნას კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო ინსტრუმენტად, და რაღა თქმა უნდა არა მარტო ბეჭდური მედია. უმნიშვნელოვანესია თავად ჟურნალისტის დამოკიდებულება პრობლემასთან. როდესაც ჟურნალისტი აცნობიერებს, რომ არსებობს პოზიტიური ალტერნატივა და კონფლიქტური სიტუაციის გაშუქებისას სწორედ ამ ალტერნატივის საშუალებით შეიძლება გვერდი აუაროს მტრულ მიდგომას საკითხისადმი მისი რეპორტაჟი თუ სხვა მასალა გაცილებით უფრო საინტერესო იქნება და რაც მთავარია, დადებით მუხტს შეიტანს პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში.

შორეულ 90-იან წლებში საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცხო იყო PR-ის ცნება, თუმცა, როგორც ფენომენი, ის ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. უბრალოდ, სახელი არ ერქვა. PR-ს იყენებდნენ ყველგან და ყოველთვის, მათ შორის, ყველაზე დიდი დოზით საომარი მოქმედებების დროს. მე-20 საუკუნეში ომის PR-მა სრულყოფილება განიცადა და თანამედროვე საბრძოლო იარაღებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. განსაკუთრებით საინტერესოა ომის PR-ის დანიშნულება და ფუნქცია უახლესი საომარი დაპირისპირებების დროს, რასაც უკვე მიაქციეს ყურადღება მეცნიერებმა. გ. პოჩეცოვი თავის ნაშრომში გვთავაზობს ინფორმაციული ომის დროს ერთგვარი PR-ის ელემენტების ჩართვა-გამოყენების პრაქტიკას. ამას ის ბრიტანეთის PR ინსტიტუტის წევრის პიერ გრინის მიერ

შემუშავებული მოდელის მაგალითზე აკეთებს, რომლის მიხედვითაც უნდა დაიგეგმოს PR კამპანია:

PR-ის ამოცანები უნდა ჩამოყალიბდეს საერთო ხედვასთან, საერთო კონტექსტთან შესაბამისობაში, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მიზნები. ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს სამიზნე აუდიტორია. აუცილებელია, განისაზღვროს, როგორი იქნება მთავარი გზავნილები, რა მიეწოდება სამიზნე აუდიტორიას, მისი შეხედულებებისა და იმ დეზინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მას უკვე აქვს.

სამიზნე აუდიტორიის ამერიკული სტრატეგია ასეთია:

- მიზნების განსაზღვრა.
- ძირითად აუდიტორიაზე ზემოქმედების პირობები.
- აუდიტორიის მიმღებლობის ხარისხის განსაზღვრა.
- მისი სუსტი წერტილების განსაზღვრა.
- ეფექტურობის განსაზღვრა.

აუდიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.

პიერ გრინის მოდელის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხოლოდ PR-ის ელემენტების გამოყენებით ინფორმაციის გადაცემით სასურველ ეფექტს ვერ მიაღწევენ. ამ შემთხვევაში აუცილებელია პიროვნებათშორისი კომუნიკაციის სისტემის ამოქმედებაც. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დროს ამგვარ კომუნიკაციას ადგილი არ ჰქონდა, ყველა ტიპის საკომუნიკაციო როლს მხოლოდ მედია იღებდა საკუთარ თავზე, ის საზღვრავდა მიზანსაც, სამიზნე აუდიტორიასაც და მის სუსტ წერტილებსაც, თუმცა, როგორც იკვეთება, ამ ყოველივეს აკეთებდა გამოუცდელი ხელით.

ინფორმაციული ომის ცნება მნიშვნელოვანი ფაქტორია ისეთი ტიპის

ტერიტორიული პრობლემების მქონე სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა.

საკითხი ღრმად არის შესასწავლი.

*Сихарулидзе Акаки, докторант Грузинского
Технического Университета*

Средства массовой информации и конфликты

Резюме

Ключевые слова: Конфликт, Медиа, информационная война, ответственность.

Грузинская Медиа от советского режима совершенно неожиданно и без всякой подготовки перешла в постсоветском пространстве. Это был действительно эффект “шоковой терапии с голыми руками”, после многих лет советской цензуры на свободу выражения. Естественно, это имело, как положительные, так и отрицательные последствия.

Грузия имеет положительный опыт векового сосуществования с людьми разных национальностей. История показала, что этноконфликты в Грузии имеют серьезные причины, следовательно, необходимо многосторонне изучить вопрос, проанализировать и выработать план действий по урегулированию проблемы. Роль средств массовой информации является наиболее важным в освещении этнических конфликтов. Невозможно винить СМИ за отсутствия тем, связанных с конфликтами, но содержание часто сосредоточено больше на эмоции и скандал, чем на журналистские стандарты.

Освещая такого рода темы, следует учитывать, что проживающие в Грузии этнические меньшинства имеют свои вечные, экзистенциальные интересы и они должны быть предусмотрены и защищены. Целесообразно, чтобы тон и риторика журналистов не были отягачены псевдолиберальным интернационализмом и шовинизмом. При подготовке материала о проблемах нацменьшинств, журналист должен помнить, что противоположная сторона конфликта - будь то этнические осетины или абхазы, они являются гражданами Грузии, недопустимо делить их на -

мы и они. Если в статье речь идет о возвращении территорий, то нельзя делать акцент на возвращение земельного пространства квадратными метрами, это абсолютно недопустимо, нажим должен быть сделан на возвращение людей, живущие на эти территории. Деятельность журналиста всецело должна быть направлена на предотвращение конфликта;

Освещение этноконфликта чрезвычайно чувствительный вопрос, поэтому он должен быть полностью свободен от пропаганды и языка вражды. Профессиональная компетентность журналиста отражается в том, что материал должен быть сбалансирован, основываясь на неопровержимые факты от нескольких источников;

В современном мире конфликты, в целом, и, в частности, национально-политические конфликты настолько тесно связаны с творческой индустрии средств массовой информации, что практически невозможно обсуждать их по-отдельности.

Очень важно определить, кто и что может противостоять интенсивности конфликта - есть соображение, что чувство ответственности может в какой-то степени нейтрализовать его.

*Sikharulidze Akaki, PhD,
Georgian Technical University*

Media and Conflict

Summary

Keywords: *The conflict, the media, the information war, the responsibility.*

It must be said that Georgian Media from the Soviet regime quite unexpectedly and without any preparation moved into the post-soviet space. It was indeed the effect of “shock therapy with bare hands”

, from many years of Soviet censorship to the freedom of expression. Naturally, It had as positive as well negative consequences.

Georgia has a positive experience of centuries of coexistence with people of different ethnic backgrounds. History reveals that ethno conflicts in Georgia have very serious reasons, therefore, to study the issue, analyse and work out the plan of action for the settlement of the problem needs multilateral engagement. The role of the media is the most important in the coverage of ethnic conflicts. Can not really blame the media for the lack of conflict-related topics, the content is often focused more on sensation and scandal than the journalistic standards are being observed.

It should be considered that ethnic minorities have their eternal, existential interests. While coverage ethno problems, the interests of all national minorities living in Georgia should be envisaged and protected. Preferably, the tone and rhetoric of journalists be free of pseudo-liberal internationalism and chauvinism. While preparing the material about the problems of

etho, we must remember that the other side of the conflict - be they ethnic Ossetians or Abkhazians, they are the citizens of our country, it is inadmissible to divide them on – we and they. When the article is about the return of territories, focusing on the return of the land space size is absolutely unacceptable, emphasis should be made on the areas inhabited by the people back. A journalist's job is not to encourage the conflict but prevent it;

Covering the problems of ethno is extremely sensitive issue, so it must be completely free of propaganda and language of hatred. The journalist's professional competence is reflected in the fact that the material has to be balanced, evidence-based, credible and based on a number of sources;

In the modern politicized world the conflicts, in general, and particularly , ethno-political conflicts are so closely tied to the creative industry of mass media, that it's impossible to discuss them separately.

It is very important to define how should be counteracted conflict intensity – there is an idea that the sense of responsibility could resist it.

**სოციალური და
ზოგადსამეცნიერო დისციპლინები**

**СОЦИАЛЬНЫЕ И ОБЩЕНАУЧНЫЕ
ДИСЦИПЛИНЫ**

SOCIAL AND SCIENTIFIC DISCIPLINES

ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მისია ვარშავაში

*გაბუნია მარიამი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: უნიატი კათოლიკობა, კათოლიციზმი, მისია, კათოლიკე მისიონერები.

სტატიაში მიზნად დავისახეთ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ევროპული პოლიტიკისა და მისი დესპანის ნიკიფორე ირბახის ვარშავაში ელჩობის ზოგიერთი საკითხის გარკვევა-დაზუსტება; ჩვენ განვიხილავთ ნ. ირბახის ვიზიტს პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-სთან და ვილნოს წმ. სამების უნიატური მონასტრის მიტროპოლიტ იოსებ რუტსკისთან, გავარკვევთ რა საკითხებზე აწარმოებდა ნ. ირბახი მოლაპარაკებას ვარშავაში და როგორი იყო ამ მისიის შედეგები.

1928 წლის 29 დეკემბერს ნიკიფორე ირბახი იტალიის ქალაქ ფლორენციიდან ავსტრიის გზით მიემგზავრება პოლონეთისაკენ. (2, 368). ქართველი დესპანის ვარშავაში დიპლომატიური მისიის განხილვამდე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ ფაქტზე: საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოსკენ მომავალ ირბახს წმ. კონგრეგაცია “დე პროპაგანდა ფიდემ” თან აახლა ორი თანამგზავრი. ესენი იყვნენ ბერძნები - ვინმე იაკობი (Giacomo Greco) და დიაკონი მარმატორი (diacono di Marmatori) (3, 189-190). ისინი ახლდნენ ქართველ ელჩს რომიდან სტამბულამდე (3, 190). საინტერესოა, იყვნენ თუ არა ეს ბერძენი სასულიერო პირები უნიატი კათოლიკეები და მეორე, რა მიზნით ახლდნენ

ისინი ნიკიფორე ირბახს? წყაროთა უქონლობის გამო, ამ კითხვებზე უტყუარი პასუხის გაცემა ძნელია. პროფ. მ. პაპაშვილის აზრით, იაკობი და დიაკონი მარმატორი, ალბათ, უნიატი ბერძნები იყვნენ. აქ მეცნიერი იმ ლოგიკას ემყარება, რომ წმ. კონგრეგაცია ირბახს ორთოდოქს ბერძნებს არ აახლებდა იმის გათვალისწინებით, რომ ქართველ ელჩს ვარშავაში ელოდა ი. რუტსკისთან მოლაპარაკებები ეკლესიათა უნიის საკითხებზე. რაც შეეხება მეორე კითხვას, პროფ. მ. პაპაშვილი ვარაუდობს, რომ იაკობი და მარმატორი, ალბათ, თარჯიმნის როლსაც ასრულებდნენ და ასევე ვარშავაში ეკლესიათა უნიის სასარგებლოდ მუშაობაც უნდა გაეწიათ (4, 20-21).

ძნელია ზუსტად ითქვას, თუ როდის მივიდა ირბახი ფლორენციიდან პოლონეთში, მაგრამ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იგი ვარშავაში 1629 წლის 14 აპრილამდე იმყოფებოდა. ამის არგუმენტად პროფ. მ. პაპაშვილს მოაქვს ფაქტი: ვარშავაში პაპის სამოციქულო ნუნციო ანტონიო, სელევკიის არქივისკოპოსის (Antonio Arcivescovo di Seleucia) ვარშავიდან 1629 წლის 4 აპრილის წერილით კურიას აუწყებდა, რომ ნიკიფორე ირბახი აქედან “ჩემით კმაყოფილი გაემგზავრა”-ო (4, 21).

დაადგა თუ არა ფეხი პოლონეთის მიწას, ქართველი ელჩი უმაღვე დაუკავშირდა სამოციქულო ნუნციოს ვარშავაში. მისი მიღების პროცედურა ნუნციატურაში არ ყოფილა ძალზე

თავდაჭერილი. ნიკიფორე ირბახმა, “როგორც კი შემატყობინა ჩამოსვლის ამბავი, - წერდა ნუნციო კურიას, - მის წამოსაყვანად ჩემი ჯალაბობიდან ეტლებით გავაგზავნე რამდენიმე კაცი... მამა ნიკიფორე ჩვენთან (ნუნციატურაში) დავაბინავე და თავაზიანობითა და სიყვარულით სავსე სტუმართმოყვარეობა არ მოგვიკლია მისთვის. შევახვედრე მის უდიდებულესობას (პოლონეთის მეფეს სიგიზმუნდ III), თან გავაყოლე პატივისცემი ხალხი და გავაგზავნე ყველა მთავარ მოხელესთან, ვისთანაც შეხვედრა და საუბარი სურდა” (4, 21).

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ნიკიფორე ირბახის ვიზიტი ვარშავაში წარმატებით შედგა. სამოციქულო ნუნციომ თავისი როლი ღირსეულად შეასრულა. მისი ხელშეწყობით შედგა ირბახის აუდიენცია პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-სთან და ქართველი ელჩის შეხვედრა “ყველა მთავარ მინისტრთან”. ეტყობა, პაპის კურიაც ირბახის ვიზიტს ყურადღებით ადევნებდა თვალს, რადგან ვარშავაში მისი “... ყოფნისას წმ. კონგრეგაციიდან განუწყვეტლივ იღებდა წყალობასა და პატივისცემას...” (4, 21).

ძნელია განისაზღვროს, თუ რა საკითხებზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს ირბახი პოლონეთის მეფესთან და მის მინისტრებთან, ან რა ეფექტი იქნა მიღწეული ამ შეხვედრებიდან. უეჭველია, რომ მოლაპარაკებების ძირითადი თემა, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, რელიგიური ურთიერთობის, კერძოდ, უნიის საკითხები იქნებოდა. ცხადია, ამ პრობლემაზე საბოლოო შეთანხმების მიღწევა მიტროპოლიტი ი. რუტსკისთან უნდა შემდგარიყო, მაგრამ, ჩანს, მოვლენების განვითარებამ ვარშავაში საწინააღმდეგო მიმართულება მიიღო. მ. თარხნიშვილის მიერ წარმოდგენილი მასალები გვამცნობს, რომ პოლონეთი და იქ მცხოვრები კათოლიკე-უნიატები ნიკიფორე ირბახმა არცთუ ისე კეთილი მოგონებებით დატოვა. მ. თარხნიშვილის მიერ მოტანილი წყაროს თანახმად, 1629 წელს ვარშავიდან პაპის ნუნციო კურიას ატყობინებდა შემდეგს: “მე მგონია, რომ არაა საჭირო გაჩუმება იმის შესახებ, რაც ჩემთვის ამასწინათ გახდა ცნობილი: ამ მამამ (ნიკიფორე ირბახმა) თავის თავზე ცუდი სახელი დატოვა

ქალაქში, ვინაიდან ამბობენ, რომ მან მისცა ხელოსნებს წმინდანების რელიკვიები, აგნუს დეი, მედლები - ყოველივე ეს სხვადასხვა საგნებზე გაცვალა; ცვლიდა წმინდანთა გამოსახულებებს და ძვირფას საგნებს სხვა საგნებზე და სურათებზე - ერთ-ერთი სომხისა და გაქრისტიანებული ებრაელის დახმარებით; და ფიქრობენ, რომ ისინი წაიყვანა თან. ისინი წავიდნენ საიდუმლოდ და დატოვეს დიდი ვალი...” (2, 369). ამ წერილზე სხვა ხელით მიწერილია: “რომ ის (ნიკიფორე) ცუდ რამეებს ამბობდა უნიატებზე. სულ არ უნდოდა მათ შეხვედროდა; მიტროპოლიტმა (რუტსკიმ) გამოთქვა სინანული, რომ არ მიეცა შესაძლებლობა მასთან დაედო სამოკავშირეო შეთანხმება. ის წავიდა” (2, 369).

ყოველივე ზემოთქმულიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ირბახის ელჩობას პოლონეთში ჩრდილოვანი მხარეები არ აკლია. გაკვირვებას იწვევს ის, თუ რა გაუჭირდა სამოციქულო ნუნციოსაგან პატივდებულ და მატერიალურად სათანადოდ უზრუნველყოფილ მაღალი ზნეობის ქართველ ელჩს, რომ მან წმინდანების რელიკვიები, “Agnus Dei” და წმინდანთა გამოსახულებები ძვირფას ნივთებზე გადაცვალა. პროფ. მ. პაპაშვილს მიაჩნია, რომ ეს ირბახს შეჩენილი, ხხენებული ავანტიურისტი პირების ნამოქმედარია. ნუნციოს არ ეპარება ეჭვი, რომ ყოველივე ეს “ერთ-ერთი სომხისა და გაქრისტიანებული ებრაელის დახმარებით” მოხდა. სავარაუდოა, ისინი ვაჭრები ყოფილიყვნენ და თავიანთი მაქინაციებით ნიკიფორე ირბახი ბნელ საქმეში გარიეს. ასეა თუ ისე, ამ ფაქტმა ნიკიფორე ირბახის პიროვნებას ჩრდილი მიაყენა (4, 22-23).

რაც შეეხება მეორე სერიოზულ ბრალდებას, რომ ნიკიფორე ირბახი “ცუდ რამეებს ამბობდა უნიატებზე” და ჯიუტად ცდილობდა არ შეხვედროდა “უნიატებს” და მიტროპოლიტი რუტსკის, ეს უნდა მომდინარეობდეს მისი თანამგზავრი ბერძენი იაკობისა და დიაკონი მარმატორისაგან. ძნელია იმის ვარაუდი, თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული პირები ირბახის საწინააღმდეგოდ “იღვწოდნენ” ვარშავაში. არა მარტო ჩვენ, არამედ სამოციქულო ნუნციოს, როცა ზემოხსენებულ წერილს წერდა, ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ირბახი “ცუდ რამეებს ამბობდა

უნიატებზე”. ის ამას მიაწერდა არა ნიკიფორეს, არამედ “უფრო მის მსახურებს” (2, 369).

1629 წლის 14 აპრილს დატოვა რა პოლონეთი, ნიკიფორე ირბახმა გზა განაგრძო საქართველოსაკენ (2, 368). იმავე წლის 14 აგვისტოს ის უკვე გორში იყო (1, 38; 3, 193). აქედან 1629 წლის 22 ოქტომბერს მან წერილი გაუგზავნა წმ. კონგრეგაციის მდივანს ფრანჩესკო ინგოლის. მასში, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ნათქვამია: “თქვენო მაღალღირსებავ! მინდა იცოდეთ, რომ იაკობ ბერძენმა, რომელიც წმ. კონგრეგაციამ მე მომცა თანამგზავრად, გზაზე, როგორც მოლდავეთში, ასევე კონსტანტინოპოლში, დიდი ტკივილი მომყენა; იგივე გააკეთა კონსტანტინოპოლში... დიაკონმა მარმატორიმ; ეპისკოპოსმა მეტიმემ კონსტანტინოპოლის პატრიარქ კირილესთან (ცნობილი საეკლესიო და პოლიტიკურ მოღვაწე, კათოლიკეთა თავგამოდებული მტერი) დამასმინა, თითქოსდა, მე აქ დიდი თურქის (ოსმალეთის სულთნის) წინააღმდეგ ვაწყობ ხრიკებს” (3, 413-415). წერილის ბოლოს ირბახი სთხოვდა ფრანჩესკო ინგოლის, რომ წმ. კონგრეგაციას ჩადენილი საქციელისათვის სასტიკად დაესაჯა ხსენებული პირები (3, 413; 6, 370). საგულისხმოა ისიც, რომ “კონსტანტინოპოლში ბერძენებმა (ალბათ, იაკობმა და მარმატორიმ) ნიკიფორეს წართვეს მადრიდში ესპანეთის მეფის სახელით ნაჩუქარი ორ ათას დუკატად ღირებული ოქროს ჯვარი (5, 37).

ასეთია ის ნეგატიური მხარე, რომელიც ახლდა ნიკიფორე ირბახის ელჩობას ვარშავიდან სტამბულამდე. აქედან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ნიკიფორე ირბახი წინააღმდეგი იყო ვარშავაში იოსებ რუტსკისთან დაედო ხელშეკრულება ეკლესიათა უნიაზე. რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, წყაროთა უქონლობის გამო, ძნელია, მაგრამ არაპირდაპირ მასალებზე დაყრდნობით მას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ამის არგუმენტად პროფ. მ. პაპაშვილს მოაქვს შემდეგი ფაქტები:

დასავლეთის კათოლიკურ სასულიერო წრეებსა თუ საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს შორის, ვინც კი ირბახს

იცნობდა, ყველა მას ახასიათებდა, როგორც რომის პაპისადმი ერთგულ პიროვნებას. ფლორენციული ნუნციო ნიკიფორის ქებით არ იღლება რომის ეკლესიისა და პაპისადმი მისი “...არაჩვეულებრივი კეთილმსურველობისა და უდიდესი გულმოდგინების გამო...” (2, 369). “ასევე პატივისცემით ეპყრობოდა ის კარდინალებს, რომლებსაც მოიხსენიებს თავის წერილებში მთელი შესაძლებელი პატივისცემით, უწოდებს რა თავის თავს მათ მონას და არ ივიწყებს წერილის ბოლოს ფორმულას: “ვკოცნი თქვენს ხელებს” (2, 369). ათი წლის მანძილზე ნიკიფორე ირბახთან ახლო ურთიერთობაში მყოფი არქანჯელო ლამბერტი წერდა: “მე ყოველთვის ვამჩნევდი მასში უცვლელ პატივისცემას რომის მღვდელმთავრისადმი”. ასევე ათ წელზე მეტი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ნიკიფორე ირბახთან თეატინელ მისიონერს დონ მარი ჟოზეფ ძამპის, რომელიც თავის ვრცელ ნაშრომში ნიკიფორე ირბახს ყველგან თეატინელ მისიონერთა პატივისცემულ პიროვნებად ასახელებს, კერძოდ, იგი წერდა, რომ მისი მოკრძალება კათოლიკე მესვეურთა წინაშე მადლობის გრძნობაზე უფრო მაღალი იყო. “სათნოება იმდენად ღრმად განმტკიცდა ნიკიფორეს სულში, რომ ეს მისი ხასიათის მთავარი არსი იყო”. ის ამას აშკარად გამოხატავდა თავის გამოთქმებში, ხოლო სხვები აქებდნენ მას ამის გამო. ასე, მაგალითად, არქიეპისკოპოსი სალონიკსკი წერდა ვარშავიდან: “ჩამოვიდა აქ (მამა ნიკიფორე) და განუწყვეტილად აღნიშნავდა სიკეთეს და პატივს, რომელიც მას აღმოუჩინეს წმ. კონგრეგაციაში” (2, 369), მისი პირადი წერილები სავსეა მადლობის გამომხატველი სიტყვებით. ის განუწყვეტილად მადლობას უძღვნის თავის ქველმოქმედებს მიღებული საჩუქრებისათვის: “მე მუდამ დავალებული ვიქნები ამის გამო... მე ამით შეგბუნებული ვარ”. ფლორენციიდან ის თავის ქველმოქმედს რომში წერდა: “მე შემოდია დავაბრუნო ჩემი ვალეები მხოლოდ სამუდამო მადლობით და შევატყობინო მათ შესახებ ჩემს ბატონ მეფეს”; იგი ევედრება მადლობა უთხრან ნუნციოს და ჰპირდება სამაგიერო სამსახური აღმოუჩინოს მისიონერებს თავის სამშობლოში (2, 370).

ნიკიფორე ირბახმა პირნათლად შეასრულა ეს დაპირება. მან ბევრი რამ გააკეთა მისი-ონერებისათვის. მას არ შეშინებია საჯაროდ და-ეცვა კათოლიკე პატრები მოწინააღმდეგეთა წი-ნაშე. ირბახმა წაიყვანა თეატინელები გურიასა და სამეგრელოში. დაბოლოს, ის დაჟინებით და განუხრელად ხელს უწყობდა უნიის საქმეებს. ამას ამტკიცებს მისი წერილი წმ. კონგრეგაციის მდივან ფრანჩესკო ინგოლისადმი (1622-1649). იგი წერდა: “როგორც ზემოთ ხსენებულ მეფესთან (თეიმურაზ I-თან), ისე სხვებთან ასეთი მანერით ვამბობდი, რომ, თუ საჭირო იქნებოდა, საკუთარ სიცოცხლესაც არ დავზოგავდი, რათა ამ წმიდა სარწმუნოებას (კათოლიკობას) ჰქონდეს ისეთი მნიშვნელობა (საქათველოში), რომელიც მას აქვს იქ (რომში)” (3, 413, 640; 2, 370).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით:

ნიკიფორე ირბახი ეკლესიათა უნიის მომ-ხრე ქართველი სასულიერო პირია. მისი ბასი-ლიანელობა ანუ უნიატი კათოლიკობა ამ მიზნის შემადგენელი ნაწილია. ვატიკანის და-ვალეებით მას ეკლესიათა უნიის საკითხებზე მოლაპარაკებები უნდა გაემართა უნიატური ეკლესიისათვის მეზრძოლ პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-სთან და უნიათ მიტროპოლიტ იოსებ რუტსკისთან. ეს უკანასკნელი მზად იყო ეკლესიათა უნიის საკითხზე დაედო შეთანხმება ნიკიფორე ირბახთან. ძნელია დანამდვილებით ითქვას, თუ რა ფაქტორებმა შეუშალეს ამას ხელი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული საქმე ვარშავაში ჩაშალეს ნიკიფორე ირბახის თანამგზავრებმა – წარმომოხი ბერძენმა იაკობ-მა და დიაკონმა მარმატორიმ. ამაში შესაძ-ლებელია კონსტანტინოპოლის პატრიარქის კირილეს ხელიც ერია, რადგან იგი, როგორც კათოლიკეთა აშკარა მტერი, წინააღმდეგი იქნებოდა საქართველოში კათოლიკობის გავ-რცელებისა, ნიკიფორე ირბახი კი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა სიმპათიებს რომის ეკლესიის მიმართ და აქტიურად უჭერდა მხარს კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქარ-თველოში. ეს ყველაზე დიდი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ მას სინამდვილეში სურდა ეკლესიათა უნია.

ნიკიფორე ირბახის ევროპული მისია სა-ქართველოს დასავლური ორიენტაციის პრაქ-ტიკული გამოვლინების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო. სამწუხაროდ, თავის პრობლემაში ჩაფლულმა ევროპამ საქარ-თველოსათვის ვერ მოიცალა და მეფე თეიმურაზ I იძულებული გახდა ქვეყნის გადარჩენის სხვა გზები ეძებნა.

ლიტერატურა:

1. Luis Gil Fernandez, Iia M. Tabagua, Fuetes para La Istoria de Georgia, En Bibliotecas y archives espanoles (iglos XV-XVII) Madrid, ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1993.
2. მიხეილ თარხნიშვილი, წერილები, თბ., 1994
3. Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и Грузия, Тб., 1994.
4. მურმან პაპაშვილი, უნიის საკითხი ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მოგზაურობის დროს, იხილეთ.: საერთაშორისო კონფერენ-ცია ქართულ-პოლონურ რელიგიურ ურთი-ერთობათა შესახებ, ორი ეკლესიის პირისპირ“. თბ., 2002
5. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. II (1600-1628), თბ., 1986.
6. მარიამ გაბუნია, ნიკიფორე ირბახი და ორი იბერიის ნათესაობის საკითხი ქართულ-ეს-პანურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში (1626-1627 წწ.), იხ.: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თსუ გამომც., თბ., 2014, გვ. 224-233.

მარიამ გაბუნია, დოქტორანტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მისია
ვარშავაში**

რეზიუმე

ნიკიფორე ირბახი ეკლესიათა უნიის მომ-ხრე ქართველი სასულიერო პირია. მისი ბასი-

ლიანელობა ანუ უნიატი კათოლიკობა ამ მიზნის შემადგენელი ნაწილია. ვატიკანის დავალებით მას ეკლესიათა უნიის საკითხებზე მოლაპარაკებები უნდა გაემართა უნიატური ეკლესიისათვის მეზობელ პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-სთან და უნიათ მიტროპოლიტი იოსებ რუტსკისთან. ეს უკანასკნელი მზად იყო ეკლესიათა უნიის საკითხზე დაედო შეთანხმება ნიკიფორე ირბახთან. მნელია დანამდვილებით ითქვას, თუ რა ფქტორებმა შეუშალეს ამას ხელი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული საქმე ვარშავაში ჩაშალეს ნიკიფორე ირბახის თანამგზავრებმა – წარმოშობით ბერძენმა იაკობმა და დიაკონმა მარმატორიმ. ამაში შესაძლებელია კონსტანტინოპოლის პატრიარქის კირილეს ხელიც ერია, რადგან იგი, როგორც კათოლიკეთა აშკარა მტერი, წინააღმდეგი იქნებოდა საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისა, ნიკიფორე ირბახი კი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა სიმპათიებს რომის ეკლესიის მიმართ და აქტიურად უჭერდა მხარს კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში. ეს ყველაზე დიდი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ მას სინამდვილეში სურდა ეკლესიათა უნია.

*Mariam Gabunia, PHD student,
Georgian Technical University*

Nikiphor Irbak's diplomacy mission in Warsaw

Resume

Key words: *Catholican Unia, Catholicism, Catholic missionaries, mission.*

The first successful result may be considered adoption of Catholican Unia and foundation of Theatin Mission. On his part, Nikiphor Irbak had to establish unia ideas in Georgia. He had to discuss with the King of Poland – Sigizmund III and Mitropolit I. Rytski.

Above mentioned agreement was interfered by Irbak's passenger-travelers Greek Iakob and Diakon – Marmatori. According to this conception the author confirms us that Irbak had particular sympathies toward Catholicism and always defended Catholic mis-

sioners in Georgia.

The ambassadors sent by Teimuraz I and led by Nikipore Irbakhi are being in the centre of researchers' attention for a long time. Nearly every researcher declares that the aim of these ambassadors was the creation of anti Ottoman coalition. To our mind, this fact contradicts historical sources and even there is no logical reality. The king Teimuraz aimed to find anti Iranian and anti Ottoman force in Europe (this interest drove him to Spain royalty. Teimuraz and his partners supposed that Spain had anti Iranian course but later they found out that the opposition was not strong enough to create anti Iranian coalition. That's why Nikipore Irbaki and Spanish guards instead of creating anti Iranian coalition worked out the plan of anti Ottoman coalition). Diplomatic relation between Kartl-Kakheti and Spain did not continue any more.

*Мариам Габуниа, докторант Государственного
Технического Университета*

Дипломатическая миссия Никофора Ирбаха в Варшаве

Резюме

Ключевые слова: униатское католичество, католицизм, миссия, католические миссионеры.

Никифор Ирбах как духовное лицо, сторонник Унии Церквей. Базилианство, т.е. униатское католичество, часть этой цели. По поручению Ватикана он должен был вести переговоры с монархом Польши Сигизмундом III и с униатским митрополитом Иосифом Рутским. Трудно сказать, какие факторы помешали этим переговорам. В их срыве активно участвовал Константинопольский патриарх Кирилл, как явный противник католицизма он был против распространения католицизма в Грузии, а Никофор Ирбах до последних дней своей жизни сохранял симпатии к Римской Церкви и активно поддерживал деятельность католиков-миссионеров в Грузии. Это самый большой аргумент в пользу того, что он действительно желал унию Церквей.

ოჯახში ძალადობა და მისი დაქვემდებარების სამართლებრივი ბუნება

გვასალა თამარი, დოქტორანტი,
კავკასიის უნივერსიტეტი
მარიამ მაჭარაშვილი, დოქტორანტი,
კავკასიის უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, ძალადობა, სამართალი.

ოჯახში ძალადობა ქართული რეალობის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. დიდი ხნის განმავლობაში ამ ტიპის ძალადობას საზოგადო მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და ერთგვარად კერძო, შიდა ურთიერთობის პრობლემად აღიქმებოდა. ამიტომაც, ადამიანები ამ თემაზე საჯაროდ არ საუბრობდნენ, ძალადობის ფაქტების შესახებ მწირი იყო სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებაც. საბოლოო ჯამში კი ეს გარემოებები ხელს უშლიდნენ პრობლემაზე სამართლებრივ და ეფექტურ რეაგირებას. თუმცა, ადამიანის უფლებათა სტანდარტების ზრდამ, კანონმდებლობის სრულყოფამ და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებამ ხელი შეუწყო პრობლემის გამოვლენას. ამ მიმართულებით სხვადასხვა დონეზე გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც რეალურად ხელს უწყობს საზოგადოების წევრებს იყენებინონ დაცულნი ყველა დონეზე, მათ შორის პირადი და ოჯახური ურთიერთობის ფარგლებშიც. თუმცა, ამ ცვლილებებით პრობლემა ბოლომდე არ გადაჭრილა. ოჯახში ძალადობის ფაქტებს დღესაც აქტიური ხასიათი აქვთ. საზოგადოების წევრთა დაცვის უზრუნველყოფისათვის პირველ რიგში აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს როგორ უნდა მოაგვაროს პრობლემა სამართლებრივად, რა გარანტიებს უქმნის მათ სახელმწიფო, რათა იყენებინონ დაცულნი ოჯახური ძალადობისაგან.

პირველ ეტაპზე, სანამ პრობლემას ვიწრო ხასიათი მიეცემოდა საქართველოს კანონმდებლობით კონკრეტული ნორმები ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ არ არსებობდა. მსგავსი ქმედებებით გამოწვეული „ზიანის“



ანაზღაურება შეიძლებოდა სამოქალაქო სამართლის წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი.¹ სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ასევე არამატერიალური ზიანის ანაზღაურების წესსაც. მატერიალური ზიანი ყოველთვის დაკავშირებულია დაზარალებულის ქონებრივი ზიანის მიყენებასთან, მორალური ზიანი კი არაა. მორალური ზიანი გარკვეულ სულიერ განცდებთან, ტანჯვასთანაა დაკავშირებული დამისიფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამასთან სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.² იმისთვის რომ პირმა მოახდინოს აღნიშნული უფლების რეალიზება მან უნდა მიმართოს მისი უფლების და ინტერესების დასაცავად სასამართლოს.

მას შემდეგ რა ოჯახში ძალადობის ფაქტებმა აქტიური სახე მიიღო და სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლეს პრობლემის გამოვლენა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი რომელიც უშუალოდ არეგულირებდა ოჯახში ძალადობის საკითხს. კონკრეტულად, კი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით ძალადობა განიმარტა როგორც „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992
² იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 413

და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.¹ კანონში წარმოდგენილია ძალადობის პრევენციის ხერხები, რაც აღიარებულ სტრატეგიებად ითვლება ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. ის გულისხმობს თავდაპირველად ოჯახში ძალადობის ფაქტების მიზეზების შესწავლას, ეფექტური სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად, შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს ან უკვე აქვთ მსგავსი ძალადობა ჩადენილი. მსხვერპლთა და დანარჩენი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების შესახებ. ამ კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო იმ ქმედებების საკანონმდებლო ნორმით განსაზღვრა, რომლებიც ოჯახში ძალადობის სახეს წარმოადგენდა. ოჯახში განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, შეექმნა ამ ქმედებათა აღკვეთისა და მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის სწრაფი და ეფექტური მექანიზმი, მოეხდინა ძალადობის ლოკალიზება, უზრუნველყო მოძალადისა და მსხვერპლის მყისიერი განცალკევება, ეფექტური პრევენციის და რეაბილიტაციის მექანიზმი.² ეს კანონი აქცენტს აკეთებს თანასწორი და სამართლიანი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე, რათა საზოგადოების წევრებმა, ყველა დონეზე შეძლონ ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბება, მშვიდი ოჯახური თანაცხოვრება.

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით მხოლოდ ამ მექანიზმებით არ შემოიფარგლება. ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც ძირითადად ორინტეგრირებულნი არი-

ან ამ მიმართულებით აქტიურად გამოიყენონ სამართალდამცავი ორგანოების (პირველ ეტაპზე კი საპატრულო პოლიციის) როლი. საქართველოს კანონი, ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, დამცავ და შემაკავებელ ორდერებს იყენებს. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც ასევე განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება: მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები, მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები, მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა, მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები, მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

რეაგირება ოჯახში ძალადობაზე შსს სამინისტროს მასშტაბით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საუბნო სამსახური აქტიურად არის ჩართული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოჯახში ძალადობის შესახებ ფაქტის ცნობის საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გადის შესაბამისი ეკიპაჟი.

¹ იხ. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

² კობა ბოჭორიშვილი, შალვა დემეტრაძე, ლელა ცანავა - „პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე“, 2008წ, გვ.5.

იმ ადგილებში, სადაც არ ვრცელდება საპატრულო პოლიციის სამოქმედო კვადრატი, გამოძახებაზე გადის უბნის ინსპექტორი. ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის და ძალადობის განმეორების თავიდან აცილების მიზნით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი. ოჯახში ძალადობისგან მოქალაქეთა დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წელს განხორციელებული ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. რომლის თანახმადაც, ძალადობა, თუკი ის კონკრეტულ კრიტერიუმებს შეიცავს (**სხეულის განზრახ მიმღე დაზიანება, გაუპატიურება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი.**) ისჯება სისხლის სამართლის წესით და სიმძიმის მიხედვით მისთვის სხვადასხვა სახის სასჯელია დადგენილი. სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც ეს კანონი ვრცელდება. ამ კოდექსით ოჯახში ძალადობის **მსხვერპლად** მიჩნეულია ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება. ხოლო **მომალადე** არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა განახორციელა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ რომ, დღეს საქართველოს კანონმდებლობა მეტანკლებად მოწესრიგებული და სრულყოფილია, რათა დაიცვას ადამიანები ოჯახში ძალადობის ყოველგვარი ფაქტებისგან. საკანონმდებლო ბაზა უზრუნველყოფს როგორც ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, ასევე მოძალადის პასუხისმგებლობასა და რეაბილიტაციას. თუმცა, ამ კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მაინც რჩება პრობლემის „ოჯახს გარეთ“ გატენის, სამარ-

თალდამცავი ორგანოების ინფორმირების საკითხი. საზოგადოების სამართლებრივი შეგნების ამაღლება, სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ სწორი და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება, მეტად ეფექტურს და მოქნის გახდის სახელმწიფოს მცდელობას ებრძოლოს ოჯახში ძალადობის ფაქტებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
5. ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ, ინოსენტ დაიჯესტი #6, 2000 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა (თარგმანი), თბილისი, 2006
6. პოლიცია და ძალადობა ოჯახში, ირმა ალადაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, მარინე მესხი, თბილისი, 2008წ.
7. ოჯახში ძალადობა, კავშირი “საფარი”, 2007წ
8. კობა ბოჭორიშვილი, შალვა დემეტრაძე, ლელა ცანავა - „პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე“, 2008წ
9. <https://www.gadfcs.org/familyviolence/formsoffv.php>
10. <http://toolkitnb.ca/emain.asp?459>

*თამარ გვასალია, დოქტორანტი,
კავკასიის უნივერსიტეტი
მარიამ მაჭარაშვილი, დოქტორანტი,
კავკასიის უნივერსიტეტი*

ოჯახში ძალადობა და მისი დამლევის სამართლებრივი გზები რეზიუმე

ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილეთ ოჯახში ძალადობა როგორც სოციალური და სამართლებრივი პრობლემა. განვსაზღვრეთ ოჯახში ძალადობის

წარმოშობის ძირითადი ფაქტორები. სტატიაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ოჯახში ძალადობის გადაჭრის გზებს. კონკრეტულად ჩამოყალიბდა როგორც სოციალური, ფსიქოლოგიური მეთოდები, ასევე ხაზი გაესვა იმ სამართლებრივ მექანიზმებს რომლებიც მოქმედებენ ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევის მიზნით. გამოიკვეთა როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის როლი ამ მიმართულებით. ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს, როგორც ოჯახში ძალადობის დაძლევის ძირითად მექანიზმს საქართველოში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს როლს დანაშაულის აღკვეთის კუთხით.

*Tamar Gvasalia,
Mariam Macharashvili*

**Domestic violence and legal methods
against this problem**

Summary

Key words: Family, violence, justice

In this article, we have considered one of the acute problems in the modern sphere of Georgian Law – domestic violence. We have discussed about the foremost reasons of this problem, social and legal aspects.

One of the main points in the work is to determine the strategies of problem solving of domestic violence. We have reviewed, all legal methods which work against this curial problem in Georgia, outlined the role of civil and public law against the domestic violence as well as the role of criminal law. In addition, the most important of all in this article is the analysis of the changes in Georgian legislation.

*Tamar Gvasalia,
Mariam Macharashvili*

**Семейное насилие и правовые решение
проблемы**

Резюме

Ключевые слова: семья, насилие, право

В данной работе мы рассмотрели одну из острых проблем в сфере правовых дел Грузии – которая касается насилия в семьях. мы так же сформировали факторы которыми вызванных насилия в семьях и пути их решения. В статье огромное место занимает анализу изменения законодательств, речь идет о положительных сторонах постановления. несения ответственности по вопросу насилия в семьях и о роле министерства внутренних дел по предъявлению несения ответственности.

ანტისაბჭოთა ქართული ენციკლოპედია „ციმბირის ცენტრი“

გიორგაძე ირაკლი, დოქტორანტი,
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ხელისუფლება, ციმბირის ცენტრი, ინტელიგენცია, პოლიტ. სამმართველო, შინსახკომი.

დასრულდა XX საუკუნის 20-იანი წლების სისხლიანი პირველი მსოფლიო ომი თავისი მძიმე შედეგებით. ევროპის ქვეყნები თანდათან დაუბრუნდნენ შემოქმედებით მშვიდობიან ცხოვრებას. ეს წლები (1914-1918) თავისი საბრძოლო-საომარი მოვლენებით მტკივნეული გამოდგა კაცობრიობისათვის და კერძოდ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის.

მალე, პირველი მსოფლიო ომის წლებშივე, ადამიანთა გულისყური მიიპყრო რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა და სამხედრო მოვლენებმა. იქ, რუსეთში, რევოლუციით დაემხო გაბატონებული რომანოვების დინასტია, შეიქმნა დროებითი მთავრობა. ის კი, დროებითი მთავრობა, შეიცვალა ოქტომბრის (1917) სოციალისტური რევოლუციის შედეგად. რევოლუციურმა ტალღამსანქტ-პეტერბურგიდან რუსეთის განაპირა, შორეულ კუთხეებს მიაღწია. შეიცვალა ძალთა თანაფარდობა, შეიცვალა ადამიანთა დამოკიდებულება, შეიცვალა სახელმწიფოთა მართვის პოლიტიკური მიმართულება.

ამ დროის საქართველო ჩაბმული აღმოჩნდა საერთაშორისო პროცესებში სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით. ქართველები მონაწილეობდნენ პირველ მსოფლიო ომში, ქართველები აქტიურობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში დამყარდა დემოკრატიული რესპუბლიკებისათვის აუცილებელი სახელმწიფო მმართველობა. ქვეყნის ხელისუფლებაში აღმოჩნდა არც თუ ძლიერი პოლიტიკური ნების ადამიანების ჯგუფი, რასაც მოჰყვა შემდგომში

რთული და მტკივნეული მოვლენები ქართველი საზოგადოებისათვის. 1918-1921 წლების საქართველოს მთავრობა და მათი თანამდგომი პოლიტიკური თუ სამხედრო ძალები გაერიდნენ საქართველოს, წავიდნენ ემიგრაციაში, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში. რუსეთიდან შემოჭრილმა რევოლუციურმა ძალებმა განსაზღვრეს ქართული პოლიტიკური და სამხედრო ემიგრაციის აუცილებლობა. 20-იანი წლების მკაცრმა სინამდვილემ დაქსაქსა და გააბნია ქართველი ემიგრანტები დედამიწის კუთხეებში.

ქართული ეროვნული მოძრაობის წინაშე გამოიკვეთა სრულიად ახალი ემიგრანტული მიმართულება, რომელიც საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საზღვარგარეთული ძლიერი ანტისაბჭოური ხანგრძლივი მოქმედებით ხასიათდება. ვფირობთ ეს არის ერთი თავისებურება, რომელსაც დაბეჯითებითი კვლევა ესაჭიროება საერთო მოვლენებთან კავშირში.

საინტერესო კითხვები ჩნდება მერი ბარბაქაძის ნარკვევის: - „ციმბირის ცენტრი“, გადასახლებულ ქართველ მენშევიკები“-ს განზოგადებისას.

ავტორის მიერ შემოთავაზებულია საინტერესო ცნობა, რომ 1936 წელს, შინსახკომის, N00242 ბრძანებით საერთო არქივიდან განსაკუთრებულ არქივს გადაეცა დასავლეთ ციმბირის შინსახკომის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საქმე, სახელწოდებით - „ციმბირის ცენტრი“. ის გადასახლებაში მყოფი ქართველ მენშევიკების წინააღმდეგ აღიძრა. განსაკუთრებულ არქივში ბრალდებულთა სრული სია გადაგზავნეს. მათს შორის ორი ქალბატონი არის წარმოდგენილი - ელისაბედ ნაკაშიძე - ბოლქვაძე და მარიამ ალექსის ასული კალანდაძე.

ერთ მეტად განსხვავებულ და მნიშვნელოვან

თავისებურებას წარმოადგენს ქართველ ემიგრანტ ქალთა თავდადებული საქმიანობა.

ცალკე გამოიკვეთა ელისაბედ ბოლქვაძის მოღვაწეობა-საქმიანობის საგამომიებო საქმიანობა დასავლეთ ციმბირში ქ. კამნეში, როგორც იქ ჩამოყალიბებული მენშევიკთა არალეგალური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არქივის მასალებში მინიშნებულია, რომ მისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა საქართველოს მენშევიკთა კონტრევოლუციონერთა ცენტრი, რომელიც აერთიანებდა მენშევიკთა ჯგუფებს კრასნოიარსკის მხარესა და ურალში. ელისაბედი ეწეოდა მთელს საბჭოთა კავშირში გაბნეული ქართველი მენშევიკების აწერას. იმ პერიოდისათვის მათი რაოდენობა აღწევდა 12000 კაცს. (ჩვენ ეჭვი გვეპარება ამ ციფრობრივი მონაცემის სიზუსტეში).

როგორც ჩანს ქ. კამენიდან იგზავნებოდა ინსტრუქციები და დირექტივები-ტარის, ნარიმის, კოიანოიარის, ბისკის, ტურინის კოლონიებში. ე. ბოლქვაძე მუდმივად ღებულობდა წერილებს შორეული ქალაქებიდან – ტომსკიდან, მინუსინსკიდან, კრასნოიარსკიდან, ბოსკიდან, ალმა-ატიდან, ტურუხანსკიდან, ნოვოსიბირსკიდან. (თუ ვირწმუნებთ არქივის ამ ცნობას საქმე გვაქვს ვრცელ ორგანიზებულ საქმიანობასთან). გადასახლებულ ქართველ მენშევიკთათვის ჰქონდათ ბიბლიოთეკა 345 წიგნით. იმ პერიოდისათვის ქ. კამნეში ცხოვრობდა 30-მდე ქართველი მენშევიკი. შინსახკომმა დააპატიმრა - „ციმბირის ცენტრის“ თითქმის ყველა წევრი.

ავტორი გვიზიარებს თავის განწყობას: - „საქმის მასალებიდან არ ირკვევა ცამეტწლიანი გადასახლებიდან დაბრუნდა თუ არა სამშობლოში ელისაბედ ბოლქვაძე-ნაკაშიძე. გაურკვეველია რა ბედი ეწია ამ ქალბატონს“.

ამრიგად აშკარად გამოიკვეთა XX საუკუნის 30-იან წლებში ქართული ანტისაბჭოთა მოძრაობა, მიუხედავად დადგინდა, რომ „ციმბირის ცენტრი“ ჩამოყალიბდა გადასახლებაში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერ.

„ციმბირის ცენტრის“ ძირითადი მიზანი იყო, ეწარმოებინა ქართველ მენშევიკთა იატაკქვეშა კონტრევოლუციური, არალეგალური საქმიანობა, აღედგინა კავშირი ყოფილ მენშევიკებს შორის. ასეთი ამოცანა – გადასახლებაში მყოფი ქართველი მენშევიკებისათვის ხორციელდებოდა ელისაბედ ბოლქვაძის წერილობითი კავშირით საზღვარგარეთის ბიუროსთან პაროზში. იგი, ელისაბედ ბოლქვაძე დაკითხვისას ჩვენებაში აცხადებდა: „...გადასახლებაში მყოფი მენშევიკების სულიერ მდგომარეობაზე. საბჭოთა კავშირში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე „ცენტრალურმა კომიტეტმა მე დამაკისრა საზღვარგარეთის ბიუროსთან კავშირი და ამ დავალებას ვასრულებ“ (იხ. შსს არქივის (1), ფ. N6. ტ. 12, საარქივო 128580. ფ.1). მსგავსი დაკითხვის ოქმები 13 ტომიან საქმეში მრავლად არის შემონახული.

როგორც მასალებიდან ჩანს ელისაბედ ბოლქვაძეს გადასახლებაში ყოფნის ვადა 1936 წელს ეწურებოდა, მაგრამ ხელახალი ბრალდების საფუძველზე 5 წლით გაუხანგრძლივეს. ამავე პერიოდში, 1936 წელს შინსახკომმა დააპატიმრა „ციმბირის ცენტრის“ თითქმის ყველა წევრი.

ამრიგად, ისტორიამ საარქივო დოკუმენტების სახით შემოგვინახა გასული საუკუნის, XX-ე საუკუნის პირველი ნახევრის, დამაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები და მათში მოღვაწე პიროვნებათა თავგადასავლები:

1. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთ-საქართველოს ომი საქართველოსთვის არახელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობდა.
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დასავლეთში ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და წავიდა ევროპაში.
3. ემიგრანტული მთავრობა კვლავ გააგრძელებდა ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის;
4. 1921 წლიდანვე დაიწყო და სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა;

5. ქვეყნის, საქართველოს, სხვადასხვა მხარეში აჯანყებების პარალელურად გაძლიერდა ახალი ხელისუფლების ბრძოლა მათ მიმართ;
6. 1921 წელსვე შეიქმნა საქართველოს დროებითი საგანგებო კომისია, რომელსაც დაევა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგობის დათრგუნვა;
7. საგანგებო კომისიამ სასწრაფოდ დაიწყო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა გამოვლენა, დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა, განადგურება;
8. ანტიეროვნული რეპრესიები ეხებოდა განურჩევლად ყველა სოციალურ ფენას, ქალსა თუ კაცს;
9. „ციმბირის ცენტრი“-ს საგამომიება საქმე, - დასავლეთ ციმბირში შინსახკომის მიერ 1936 წელს აღიძრა გადასახლებაში მყოფი ქართველი მენშევიკების და პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ.
10. XX-ე საუკუნის 30-იანი წლები სასტიკი, სისხლიანი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის.

ქართული ეროვნული მოძრაობის მტკიცე-ული თავისებურება იყო განუკითხაობა მოღვაწე მამაკაცთა და ქალბატონთა მიმართ.

ლია კერესელიძე საინტერესოდ გადმოგვცემს ნაშრომში - „იყო დრო, როდესაც მეტეხი იყო საქართველოში, დადგა დრო, საქართველოა მეტეხში“ (რეპრესირებულთა შვილების ნაამბობიდან).

XX საუკუნის 30-იან წლებში საერთო ვითარების შესაბამისად საქართველოშიც გამოჩნდა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებები - „კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-მავნებლურ-ტერორისტული თუ ტროცკისტული ჯგუფები“. ამ ბრალდებებით დაიწყო და მიმდინარეობდა გამორჩეულ პირთა დევნა, შევიწროება, გადასახლება, დაპატიმრება, დახვრეტა.

მრავალთაგან ყურადღებას მივაპყრობთ:

1. ქვეყნის სამსახურში მყოფი მამაკაცების თავგადასავლებს;
2. ქართველი მანდილოსნების

დაპატიმრება-დახვრეტების შესახებ საარქივო მასალებში არსებულ მასალებს.

მამაკაცები

1. გიორგი ქუთათელაძე – პირველი მსროლელი დივიზიის მეთაური, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა სარდლის მოადგილე, სამხედრო კორპუსის მეთაური ჩრდილოეთ კავკასიაში – მას 1937 წლის 19 აპრილს ქ. კრასნოდარში სასწავლო მანევრებისას განუცხადა არმიის სარდალმა, რომ მისი დაპატიმრების ორდერი მოუვიდათ.

გიორგი დამსახურების აღმნიშვნელი იყო: - „წითელი დროშის ორდენი; ჯიბის ოქროს საათი და რევორვერი სამახსოვრო ჯილდოები. მაგრამ დააპატიმრეს, გამოკეტეს მეტეხის ციხეში და გავიდა წლები – ოჯახმა თითქმის ოცი წლის მერე გაიგო მისი დახვრეტის ამბავი. ის სოღანლუღში დახვრიტეს. 1956 წელს კი ცნობილი გახდა - „გიორგი ქუთათელაძე უდანაშაულოდ არის რეპრესირებული.“

2. კასიანე კვერენჩილაძე – ხე-ტყის საწარმოს ხელმძღვანელი იყო ბათუმში, დამოუკიდებელი საქართველოს გვარდიის – ოფიცერი, 1937 წლის ზაფხულში „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

3. შალვა კილურაძე – თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების უფროსი. 1937 წლის 19 ივლისს დააპატიმრეს – ოჯახს მხოლოდ 1942 წელს მოუვიდა ცნობა მისი დახვრეტის თაობაზე.

4. ლევან ღოღობერიძე – იმერეთის ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახისშვილი 1937 წელს „ხალხის მტრისა“ და „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით დახვრიტეს.

5. ალიოშა მასხარაშვილი – ჭიათურის მარგანეცის მრეწველი. 1924 წელს დაიჭირეს, ბრალად ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების ხელშეწყობა დასდეს. იჯდა ჯერ „ჩეკას“ დილეგში, მერე ორთაჭალის საგუბერნიო ციხეში, ბოლოს მეტეხში. მასთან ერთად იყვნენ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, მიტროპოლიტი

კალისტრატე ცინცაძე შემდეგში კი ალიოშა ინგლისის შპიონაჟის ბრალდებით დაიჭირეს და 1932 წელს ვოლგისპირეთში, სარატოვში გადაასახლეს თავისუფალი წესით.

ქალები

ძალიან მცირე მონათხრობი ამ მამაკაცთა ოჯახების ქალბატონებზე.

1. გიორგი ქუთათელაძეს მეუღლე ნინო სიამაშვილ-ქუთათელაძე – წერდა - „მე, ნინო სიამაშვილ-ქუთათელაძეს მასახლებენ 8 წლით. მივეყვართ ეტაპით: ის ჯერ ბაქოში ჩაიყვანეს, შემდეგში ტაშკენტში, იქიდან დოლინკის გამანაწილებენ პუნქტში, ბოლოს აკმოლნსკში;

2. კასიანე კვერენჩხილაძის მეუღლე მარგალიტა მიქავა წაიყვანეს ჩეკისტებმა. 8 წლით გადაასახლეს ჯერ მორდოვეთში, პოტმას გამანაწილებელ ბანაკში, შემდეგ ჩეგეჟაში, ლაგოდისა და ონეგის ტბებთან ახლოს, მერე გადაიყვანეს ყაზახეთში, აკმოლნსკში, სადაც 4 წელი დაჰყო. იგი ძალიან დაუახლოვდა. ოჯ. – ანიკო დუმბაძეს, ელენე ვირსალაძეს, ელენე თათარიშვილს, ქეთევან ორახელაშვილს, ქეთევან ორახელაშვილს. 1945 წელს ჩამოვიდა საქართველოში;

3. შალვა კილურაძის მეუღლე – ბარბარე კილურაძე (26 წლის) დააპატიმრეს, 5 წლით გადაასახლეს ჯერ მორდოვის ტემნიკოვსკის, შემდეგ ყაზახეთში, ჯეზყაზგანის ბანაკებში მოიხადა. იქ დაუახლოვდა ბუდუ მდიენის რძალს – თამარ ნასყიდაშვილის, თამარ ბაგრატიონ-მიწიშვილს (ნიკოლ მიწიშვილის მეუღლე);

4. ლევან ლოლობერიძის მეუღლე ნუცა ხუციშვილი დააპატიმრეს. ის 300 პატიმარ ქალთან ერთად იმიერპოლარეთის ბანაკიდან ბანაკში გადაჰყავდათ, პეჩორას მიუყვებოდა ხან გემით, ხან – ფეხით. არც ერთი ბანაკი არ იღებდა, რადგან უფრო ძლიერი მუშახელი სჭირდებოდათ. ბოლოს ვორკუტაში დაბანაკდნენ. ნუცა ხუციშვილი 1966 წლის 31 ოქტომბერს გარდაიცვალა;

5. ალიოშა მასხარაშვილის მეუღლე – ბაბო დადიანი 1937 წლის 27 დეკემბერს დააპატიმრეს.

თოთხმეტი დღე იარეს საქონლის გადასაცვანი ვაგონებით ჩაიყვანეს სამხრეთ ყაზახეთში პახტარალის რაიონში, ყველაზე დაუსახლებელ ადგილას, ოცდაათ გრადუსიან ყინვაში შეასახლეს მიწურში. წლების მერე 1999 წლის ნოემბერში გარდაიცვალა 96 წლის ასაკში.

ჩვენს მიერ მოტანილი მასალები მხოლოდ მცირე ნაწილია XX საუკუნის 40-იანი წლების ურთულესი მოვლენებისა. მათ საფუძვლად დაედო სახელდახელოდ შექმნილი ბრძანებები და განკარგულებები. ასეთი იყო პოლიტიურის 1937 წლის 5 ივლისის დადგენილება. მის საფუძველზე 15 აგვისტოს გამოიცა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისრის, ეჟოვის ოპერატიული ბრძანება N00486, რამაც დიდად განაპირობა მოვლენების მსვლელობა. საქართველოს საზოგადოების ცხოვრებაში, სადაც გაჩნდა დახვრეტილ-დაპატიმრებულ მამაკაცთა ცოლების სიები თავისი თავგადასავლებით.

ლიტერატურა:

1. დაუშვილი, ა. „თბილისი 1937“. თბ. 1997
2. ბაბი დადიანი, „მოგონებათა დღიური“, თბ. 2008
3. ქურხული, ა. „...და რომ გახსოვდეს“. თბ. 2004
4. ზალდასტანიშვილი ს. „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“. თბ. 1989, გვ.44
5. ლაშქარაშვილი მ. „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“. 1991
6. ლებანიძე შ. „მაესტროს დაბრუნება“.
7. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, ალექო ასლანიშვილი „განაჩენს ხელს აწერს სამეული“, 2007, 1166-172
8. Очерки истории российской внешней разветки, М. 1999 т. I-IV

წყაროები:

1. საქართველოს შსს-ს არქივი (II), ფ. №6, ს. №22-21, ფ.7
2. იქვე, ფ. №8, ოქმი №110, ფ.34

3. იქვე, ფ. №6, ს. №2221, ფ.52
4. იქვე, ფ. №6, ს.№21317, ფ.25
5. იქვე, (I), ფ. №6. ტ. №1, ს.№28580, ფ.1, 134, 139
6. იქვე, (I) ფ. №8,ს. №37436, ოქმი №79, ტ.1 ფ.93
7. იქვე, (I), ფ. №8. ს. №37410, ოქმი №50, ტ.1 ფ.67
8. იქვე (I) ფ. №8. ს. №3749, ოქმი №49, ტ.2. ფ.38
9. იქვე (I) ფ. №8. ს. №37372, ოქმი №12, ტ.1. ფ.82
10. იქვე (II) ფ. №14. აღწ. №103, ს. №3, ფ. 4-6
11. იქვე, (II), ფ. №14, აღწ. №103. ს. №3. ფ. 14-33

*ირაკლი გიორგაძე, დოქტორანტი,
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*
**ანტისაბჭოთა ქართული მენშევიკური
„ციმბირის ცენტრი“**

რეზიუმე

XX-ე საუკუნის 20-იან წლებში სააქართველოში დამყარებული სჭოთა ხელისუფლება სასწრაფო წესით შეუდგა ქვეყნის გაწმენდას მენშევიკების, ტროცკისტებისა და სხვა ანტისაბჭოთა გამოვლინებისაგან. საქართველოში არსებულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი პროგრამული იდეოლოგია შეიცვალა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიების, ასევე სპეციალისტების ერთ-ერთ ძირითად მიზნად იქცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი და დაუნდობელი დაპირისპირება, ეს კი ძვირად დაუჯდა ქართულ საზოგადოებას. დაპატიმრებები მიმდინარეობდა რუსეთის მსგავსად-სასულიერო წოდების, მემამულეთა და ბურჟუაზიის კლასის, ინტელიგენციის, მოღალატე სოციალისტების, ესერების და სხვათა მიმართ.

ქართული საზოგადოების ნაწილი თავიდანვე ოპოზიციამი ჩაუდგა მმართველ ძალას და მთავარ მიზნად ქვეყნის გათავისუფლება დასახა, ზოგი იარაღით ხელში ტყე-ტყე იბრძოდა, ზოგი დიპლომატიური ხერხებით.

ამასთან ქვეყანაში შეიქმნა საპირისპირო ძლიერი ორგანოები:- საგანგებო კომისია (ЧК), სახელმწიფო პოლიტ სამმართველო (ГПУ), შინსახკომი (НКВД), რომლებიც ფხიზლად ადევნებდნენ თავალს და გასაქანს არ აძლევდნენ იწვოდნენ თავისუფლებისაკენ.

Иракли Гиоргадзе
**ГРУЗИНСКИЙ АНТИСОВЕТСКИЙ
МЕНШЕВИТСКИЙ
«СИБИРСКИЙ СЕНТР»**

Резюме

Ключевые слова: идеология, Управление, Народный, Аресты, Комиссия.

В 20-ые годы XX века советская власть, которая была основана в Грузии по срочном правиле начала очистить страну от меньшевиков, троцкистов и антисоветского выявления. Различные политические партии в Грузии изменили свою программную идеологию. Главной целью национальных демократов и специалистов стала борьба за независимость Грузии, что последовало длинное и жесткое противоборство, это дорого обходилось обществу Грузии. Аресты проходили, как и в России – священных, землевладельцев, буржуазного класса, интеллигенции, предателей социалистов, эсеров и других.

Часть грузинского общества с самого начала встала во главе оппозиции перед правящей власти и её основной целью стала освобождение страны, некоторые из них боролись с оружием в руках в лесу, а некоторые – дипломатическим путем. Вместе с этим, в стране были основаны противоположные сильные органы: - Чрезвычайная Комиссия (ЧК), Государственное Политическое Управление (ГПУ), Народный комиссариат внутренних дел (НКВД), которые трезво наблюдали и притесняли тех людей, кто боролся за независимость.

Irakli Giorgadze
**Anti-Soviet Georgian Menshevik
„Siberian center “**

Resume

Keywords: *Anti-Soviet, manifestation, Mensheviks, Commissariat, freedom.*

In 20s of XX century the Soviet government established in Georgia began urgency to clean the country of Mensheviks, Trotskyites and other anti-Soviet manifestation . Different political parties existing in Georgia had changed its software ideology. As for The National Democrats also, for Socialists had become one of the main aims of the struggle for independence

of Georgia, followed by a long and merciless confrontation, this cost it dearly in Georgian public. The arrests took place like Russia - towards clerical rank, landlords and the bourgeoisie class, intelligentsia, the traitor Socialists, SRs and Towards others.

From the very beginning The part of Georgian public was in opposition of ruling power and the main aims was the liberation of the country, some fought with weapons in the hands in the forest, some diplomatic ways. Also in country had created the opposite powerful bodies: - Special Commission (ЧК), the Political (ПТИУ), Commissariat of Foreign Affairs (НКВД). Who watched and did not give chance to those people who worked for freedom.

ნატოს ISAF-ის მისიაში კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს, საქართველოს მონაწილეობა – ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ბარანტი

გრიგოლია თენგიზი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კუპრეიშვილი თამარი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: ნატო, ISAF, ტრანსატლანტიკური ალიანსი, ავღანეთი, რეჟიმი, გაერო.

ტრანსატლანტიკური ალიანსი - ნატო უშუალოდ ხელმძღვანელობს საერთაშორისო ძალებს ავღანეთში, რათა დახმარება გაუწიოს ავღანეთის ხელისუფლებას დაამყაროს მშვიდობა სამოქალაქო ომის შემდგომ აღდგენის პროცესში მყოფ ქვეყანას. ზოგიერთების აზრით ნატო-ს აღნიშნული ქმედება აღიქმება, როგორც დახმარებად და სევეინტერვენციად.

ავღანეთის რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, სადაც სახელმწიფოებრივი წყობილება გარდამავალ პერიოდშია, მისი ტერიტორია 6555 ათ. კვ. კმ, მოსახლეობა – 22470 ათასი, დედაქალაქი – ქაბული (2029 ათასი მცხოვრები), სახელმწიფო ენა – დარი (ფარსი – ქაბული ანუ ქაბულის სპარსული) და პუშტუ (ავღანური), ფულის ერთეული – ავღანი.

ავღანეთში ცხოვრობს 20-მდე ეროვნების ხალხი, რომელთა უმრავლესობას ავღანელი სუნიტები შეადგენენ (9 მილიონი), ცხოვრობენ აგრეთვე ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ყირგიზები, ყაზახები, არაბები და სხვები.

ქვეყანაში სახელმწიფო რელიგია ისლამია. ავღანეთი გაეროს წევრია 1946 წლიდან, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული აქვს 1994 წლიდან.

ნატოს ყოფნა ახლო აღმოსავლეთის ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში, როგორც ავღანეთია 2011 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგია.

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტული

აქტიდან სულ მოკლე ხანში შეერთებულმა შტატებმა დაიწყო კონტრტერორისტული ოპერაციის განხორციელება Enduring Freedom, რითაც გაძევებულ იქნა ქვეყნიდან თალიბების რეპრესიული რეჟიმი, სულ მალე გამოიკვეთა საშიშროება, რომ ავღანეთის ოპოზიცია და ავღანეთის უსაფრთხოების ძალები დამოუკიდებლად ვერ განახორციელებდნენ ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარებას: აღებულ იქნა კურსი იქითკენ, რომ შეექმნათ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები.

2001 წლის დეკემბერში ბონის კონფერენციაზე ავღანელი ოპოზიციონერები გამოვიდნენ ინიციატივით, რათა მიეღოთ რეალური დახმარება ავღანეთის რეკონსტრუქციისათვის და დასავლეთი დახმარებოდა მათ, რომ შექმნილიყო გარდამავალი ავღანური მთავრობა. გაერომ თავისი მანდატირებული კონცეფციის თანახმად, საერთაშორისო ძალებზე აქცენტირებით დაამტკიცა ტრანზიციული ავღანური მთავრობა. აღნიშნული ქმედებით მისიას უნდა მოეხდინა ავღანეთში უსაფრთხო გარემოს შექმნა, ქაბულში მშვიდობიანობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და შეექმნა სათანადო პირობები ავღანეთის რეკონსტრუქციისათვის.

მიღწეულმა შეთანხმებებმა შექმნა სამართლებრივი ბაზა სამხრეთი პარტნიორობისათვის: ავღანეთის ოპოზიციურ მთავრობას, გაეროს ავღანეთისათვის დახმარების მისიასა (UNAMA) და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებს შორის (ISAF).

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ISAF-ის მისია არც ნატოს და არც გაეროს ეკუთვნოდა. იგი დასავლეთის კოალიციას წარ-

მოადგენდა, რომელსაც ქონდა მისწრაფება გასულიყო გაეროს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. ISAF-ში მონაწილე მოხალისე ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, გერმანია და ნიდერლანდები 6-თვიან როტაციებს ახორციელებდნენ.

2003 წლიდან მისიის წარმოების მანდატი მთლიანად გადაეცა ნატოს, რომლითაც ISAF-ის მისი იგნორირება გაუკეთა 6-თვიან ეროვნულ როტაციებს. ISAF-ის მისია უფლებამოსილი გახდა აელო მეურვეობა ძალების მეთაურობაზე, კორდინაციასა და დაგეგმვაზე. ჩამოყალიბებულ იქნა სარდლობა და მეთაურობა მთლიანად ავღანეთის ტერიტორიაზე.

ISAF-ის მანდატი თავიდან მოკრძალებული იყო მისიის მოქმედების არეალი მხოლოდ ქაბულსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას წარმოადგენდა. მხოლოდ 2003 წლის ოქტომბერში გაეროს მანდატმა მას საშუალება მისცა მთლიანად დაეფარა ავღანეთის ტერიტორია.

თავიდანვე ნატო-ს ISAF-ის როლი ავღანეთში წარმოადგენდა საერთაშორისო თანამეგობრობის ფართო ჩართულობის ორგანულ ნაწილს.

ISAF-ის მისიის რეალიზაცია ოთხი ეტაპის საფუძველზე წარიმართა.

პირველი ეტაპი: ჩრდილოეთი – 2003 წლის დეკემბერში დაიწყო. ჩრდილო-ატლანტური საბჭოს უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალ ჯეიმს ჯონსმა გასცა ბრძანება ISAF-ის მისიის არეალის გაფართოების შესახებ, რომლის თანახმად გერმანულმა პროვინციულმა რეკონსტრუქციის ჯგუფმა (PRT) მეთაურმა საკუთარ თავზე აიღო კუნლუზის პროვინციაში. იგი 2003 წლის 31 დეკემბერს დაექვემდებარა ISAF-ის სარდლობას. 2004 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა ISAF-ის ავღანეთში ექსპანსიის პირველი ეტაპი, მისიამ ქვეყანას ჩრდილოეთით 9 პროვინციის უსაფრთხოება აიღო პასუხისმგებლობაში.

ISAF-ის მეორე ეტაპი - დასავლეთი, 2005 წლის თებერვლიდან ნატომ გააკეთა განაცხადი, რომ მისი მისია გაფართოვდებოდა ავღანეთის დასავლეთით. პროცესების რეალიზება 2006

წლის მაისის ბოლოს დაიწყო მაგდის პროვინციის ქალაქ ქალა-ე-ნიუში. იგი გახლდათ ISAF-ის დასავლეთით ექსპანსიის ბოლო წერტილი.

ISAF-ის მესამე ეტაპი – სამხრეთით გაფართოების გეგმა დაისახა ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინაში წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე წარმოდგენილ გეგმაში. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2006 წლის 31 ივლისს. მისი მეთაურობა გადმოიბარა აშშ-მა, კიდევ უფრო გაფართოვდა მოქმედების არეალი და კონტროლის ქვეშ აიყვანა შემდეგი პროვინციები: ლაიკუნდი, ჰელმანდლი, კანდაჰარი, ნიმროზი, ურეზგანი და ზაბული. სამხედროების რიცხვმა 10 000-დან 20 ათასს მიაღწია.

მეოთხე ეტაპი - აღმოსავლეთით, ასევე, მთლიანად ჩაიბარა კონტროლი ავღანეთზე 2006 წლის ოქტომბერში ISAF-მა, რითაც დაასრულა გაფართოების ბოლო ეტაპი.

მისიის მიზანს შეადგენდა და შეადგენს ISAF-ის მიერ ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მხარდაჭერა, ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების ქმედით უნარიანობის გაზრდა და მათი გამოყენება სახელმწიფო მმართველობასა და სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის, რათა მოხდეს უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება.

ISAF-ის ძალები აწარმოებენ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ოპერაციებს ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებთან ერთად ავღანეთის ტერიტორიაზე და არიან ჩაბმულნი ავღანეთის ეროვნული არმიის ფორმირებაში, წვრთნასა და შეიარაღებაში.

ISAF-ის მისიის კომპეტენციაში შედის ავღანეთის რეკონსტრუქცია და განვითარება, მმართველობითი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განმტკიცება, კორუფციის შემცირება, ავღანური დამოუკიდებელი ანტი-კორუფციული ტრიბუნალის ჩამოყალიბება, მსხვილი კრიმინალის მოწინააღმდეგე ძალების შექმნა, პილოტური საფინანსო პროგრამებით უზრუნველყოფა, სუბ-ეროვნული მმართველობის განვითარება, პროვინციებში განვითარების სამუშაო ჯგუფების შექმნა, ავღანეთის სოფლის

მეურნეობის სექტორის აღდგენა, ავღანეთის კანონის უზენაესობის განვითარება, ავღანეთის რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ავღანეთის ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა.

ავღანეთის ISAF-ის მისიაში მონაწილეობას იღებს 50 ქვეყნის სამხედრო კონტიგენტი, რომელთაგანაც საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტრიბუტორია პარტნიორ ქვეყნებს შორის ავსტრალიის შემდეგ. ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რამდენჯერმე დადებითად შეაფასა საქართველოს ესოდენ მაღალი მხარდაჭერა აღნიშნული მისიისათვის და მადლობა გადაუხადა მათ წვლილის გაზრდისათვის. დღეისათვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაზრდილი მისია იმყოფება ავღანეთში, ქართული კონტიგენტები იმყოფება დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სარდლობის ქვეშ, ქართული საჯარისო ნაწილები ძირითადად განლაგებული არიან ქაბულსა და ჰელმანდლის პროვინციებში.

ISAF ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფება დემოკრატიულად არჩეული მთავრობის სურვილის საფუძველზე. მისიას ავღანეთში ყოფნა და მანდატი უზრუნველყოფილია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს №1386 რეზოლუციის შესაბამისად, მშვიდობის უზრუნველყოფის მანდატით, ქარტიის VII თავის თანახმად.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ISAF-ის ოპერაციამ პრობლემებიც წარმოაჩინა. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა უარს აცხადებს რეგიონებიდან საჯარისო ნაწილების სახიფათო რეგიონში გადაყვანაზე. საქართველო ISAF-ის ოპერაციებში მონაწილეობით იძენს საჭირო სამხედრო-პოლიტიკურ გამოცდილებას.

უელსის სამიტს ნატო-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი საფეხური უწოდა ალიანსის ახლად არჩეულმა გენერალურმა მდივანმა. იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ძალაში რჩება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველო, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნატო-ს წევრი გახდება,

ვინაიდან საქართველომ შთამბეჭდავი პროგრესი განიცადა ბოლო წლების განმავლობაში.

2014 წლის ბოლოს ISAF-ის ძალების მიერ ავღანეთის დატოვება არ ნიშნავს ნატოს მისიის დასრულებას, მომავალში თანამშრომლობა ნატოსა და ავღანეთს შორის გაგრძელდება გრძელვადიანი პარტნიორობის ფარგლებში.

ლიტერატურა:

1. Kemp R. Counterinsurgency in Easter Afganistan 2004-2008: A civilian Perspective, 2014
2. Progress in Afganistan Bucharest Summit, 2008
3. <https://www.gov.uk/government/publications/wales-summit-declaration-on-afghanistan/wales-summit-declaration-on-afghanistan>
4. <https://www.gov.uk/government/publications/our-5-priorities-for-the-nato-summit-wales-2014/our-5-priorities-for-the-nato-summit-wales-2014>
5. <http://bonapartistsblog.wordpress.com/2013/10/15/isaf-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E>

თენგიზ გრიგოლია, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თამარ კუპრიიშვილი, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნატოს ISAF-ის მისიაში კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს, საქართველოს მონაწილეობა - ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის გარანტი

რეზიუმე

2001 წლის დეკემბერში ბონის კონფერენციაზე ავღანელი ოპოზიციონერები გამოვიდნენ ინიციატივით, რათა მიეღოთ რეალური დახმარება ავღანეთის რეკონსტრუქციისათვის და დასავლეთი დახმარებოდა მათ, რომ შექმნილიყო გარდამავალი ავღანური მთავრობა. გაერომ დაამტკიცა ტრანზიციული ავღანური მთავრობა. ამ ხელშეკრულებამ საფუძველი დაუდო სამხრეთ

პარტნიორობას: ავღანეთის ოპოზიციურ მთავრობას, გაეროს ავღანეთისათვის დახმარების მისიასა (UNAMA) და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებს შორის (ISAF).

2014 წლის ბოლოს ISAF-ის ძალების მიერ ავღანეთის დატოვება არ ნიშნავს ნატოს მისიის დასრულებას, თანამშრომლობა ნატოსა და ავღანეთს შორის გრძელდება გრძელვადიანი პარტნიორობის ფარგლებში.

ნატოს ყოფნა ახლო აღმოსავლეთის ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში, როგორც ავღანეთია 2011 წლის 11 სექტემბრის ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგია.

ISAF-ის პროგრამის შემდეგ თუ როგორი იქნება ნატო-საქართველოს ურთიერთობა ბუნდოვანია. ნატოში საქართველოს გაწევრიანება მითი იქნება თუ რეალობა ამას მომავალი გვიჩვენებს.

Тенгиз Григолия, профессор,
Грузинский технический университет

Тамар Купреишвили, докторант,
Грузинский технический университет

**Участие в миссии ISAF по НАТО
центрального государства Кавказа, Грузии -
это гарант безопасности политики страны**

Резюме

Ключевые слова: НАТО, ИСАФ, трансатлантический альянс, Афганистан, режим, Организация Объединенных Наций.

В конце 2001 года на бонской конференции афганские оппозиционеры выступили с инициативой, чтобы получить помощь для реконструкции Афганистана и чтоб Запад помог им в деле создания переходящего афганского правительства. ООН утвердил транзитивное афганское правительство. Этот договор положил основу трехстороннему сотрудничеству: между оппозиционным правительством Афганистана, миссией ООН помощи Афганистана.

(UNAMA) и силами поддержки международной безопасности (ISAF).

Уход сил ISAF из Афганистана в конце 2014 года вовсе не означает прекращения миссии

NATO в этой стране, сотрудничество между НАТО и Афганистаном продолжается в пределах долгосрочного партнерства.

Пребывание НАТО в такой стратегически важной стране Ближнего Востока, как Афганистан, это результат осуществления теракта 11 сентября 2001 года в США.

Tengiz Grigolia, professor,
Georgian Technical University
Tamar Kupreishvili, PhD student,
Georgian Technical University

**The central state of Caucasus, Georgia's
participate in the NATO's ISAF mission – The
Security Policy Guarantee of the state**

Summary

Key words: NATO, ISAF, the transatlantic alliance, Afghanistan, the mode, the United Nations.

ISAF was created in accordance with the Bonn Conference in December 2001. Afghan opposition leaders attending the conference began the process of reconstructing their country by setting up a new government structure, namely the Afghan Transitional Authority. The concept of a UN-mandated international force to assist the newly established Afghan Transitional Authority was also launched at this occasion to create a secure environment in and around Kabul and support the reconstruction of Afghanistan.

These agreements paved the way for the creation of a three-way partnership between the Afghan Transitional Authority, the United Nations Assistance Mission in Afghanistan (UNAMA) and ISAF.

This new leadership overcame the problem of a continual search to find new nations to lead the mission and the difficulties of setting up a new headquarters every six months in a complex environment. A continuing NATO headquarters also enables small countries, less likely to take over leadership responsibility, to play a strong role within a multinational headquarters.

Wales Summit was called as an important step in NATO-Georgia's relations by the newly elected Secretary General of NATO.

ISAF force's leaving by the end of 2014 does not mean, that NATO's mission will be completed, in the near future NATO and Afghanistan will continue long-term partnership.

განსასჯელი პიროვნების ფსიქოლოგიური ასპექტები

მეტრეველი ლია, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, ფსიქოლოგია, კაცობრიობა, ადამიანი.

„კარგად შეისწავლე წესები, რათა იცოდე, როგორ დაარღვიო ისინი“ დალაი ლამა

ყველაფერი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაიწყო. პირველი დანაშაული კაცობრიობის ისტორიაში ადამისა და ევას შეცოდება იყო. ადამმა ვერ გააცნობიერა თავისუფლების აზრი და ამპარტავნებაში ჩავარდა. ყოველივე ამის შემდეგ მან მონანიების ნაცვლად დანაშაულის სხვაზე გადაბრალება არჩია და საბოლოოდ, შესაბამისი სასჯელი – ანუ სამოთხიდან განდევნა დაიმსახურა. დანაშაულს დანაშაული დაემატა, ცოდვას ცოდვა და ცოდვილი დედ-მამის შვილმა საკუთარი ძმა სიცოცხლეს გამოასალმა.

ცხოვრების ეს შეუცნობელი კანონზომიერება კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპს თანსდევს, ადამიანის გაცნობიერებული ქმედება ყოველთვის იმართება სუბიექტის ფსიქოლოგიური თავისებურებებით, დანაშაული საფრთხეს უქმნის ადამიანურობის არსს. საგანგაშო მდგომარეობაა ამ მხრივ მოზარდებში. განსაკუთრებით დანაშაული ხდება ადგილის დამკვიდრების მიზნით, მოზარდი ცდილობს მოირგოს „კარგი ბიჭის“ იმიჯი. ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ბავშვობაში გადატანილი ტრავმა, რომელიც აყალიბებს ადამიანის არაჯანსაღ ფსიქიკას.

ისმის კითხვა, რატომ ხება დანაშაული? ადამიანი ექსტრაორდინალურ სიტუაციაში კარგავს თავის მართვის უნარს და ნებით თუ უნებლიედ დამნაშავეს უბიძგებს დანაშაულის ჩადენისკენ. ადამიანის ქცევა რთული მოვლენაა. პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლები

და თავისებურებები, ყველაზე კარგად ზუსად მის მიერ განხორციელებულ ქცევით აქტივობაში გამოიხატება.

პიროვნების აქტივობის ასახსნელად ფართოდაა გავრცელებული, ქცევის ახსნის კაუზალური მოდელი. ადამიანის ქცევას ყოველთვის იწვევს გარკვეული ფაქტორები. მოგეხსენებათ ქცევა და მიზეზი ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება, ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად:

1. ბიოლოგიური ფაქტორები. კერძოდ, გენეტიკა (მაგრამ მარტო წერთნა რას იზამს...)
2. სოციალური ფაქტორები.

თანამედროვე კვლევებმა გვაჩვენა, რომ საყურადღებოა, მესამე ფაქტორი „ფსიქიკა“, ანუ ადამიანის ქცევას განაპირობებს ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორები, ამ სამფაქტორიანი მოდელის მიხედვით, პიროვნებას უყალიბდება ინდივიდუალური ფსიქიკა, რომელიც შემდგომ უშუალოდ პასუხისმგებელია ქცევითი აქტივობის განხორციელებაზე.

დამნაშავის პიროვნება ყოველთვის მაღალ საზოგადოებრივი ინტერესის ქვეშ იყო, არიის და იქნება. ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. ადამიანს ყოველთვის აინტერესებს ვინაა პირი, ვინც მისი სამართლებრივი სიკეთე დააზიანა. დამნაშავის პიროვნება საინტერესო თავად სასამართლო ორგანოებისათვის. დამნაშავის პიროვნების შესახებ სხვადასხვა თეორიების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში დაიწყო და დროის სვლასთან ერთად მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაიხვეწა. ამ დროისათვის კრიმინოლოგებთან ერთად ფსიქოლოგებიც ცდილობენ ახსნან დამნაშავის პიროვნება, რა იწვევს დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებას? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრობლემებს ზოგი გენეტიკაში

ხედავს, ზოგი სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში. მაგრამ ცალკე აღებულმა ერთმა ფაქტორმა შეიძლება არც გამოიწვიოს პირის დამნაშავეობა. ასეთ შემთხვევაში კომპლექსურად უნდა იქნეს გაანალიზებული ყოველი საკითხი, თითოეული ადამიანის ყოველი მხარე, ფაქტია, რომ ყველა დანაშაული ზიანის მომტანი და საცთუნებელია, რომელშიც გაბმის მიზეზი ხან ცხადი და აშკარაა, ხან კი უცნობი და გაუგებარია, რადგან ადამიანის ქვეცნობიერ ფსიქიკაშია მიჩქმალული, ის კი უდავოა, რომ დანაშაულის საბოლოო რეზულტატი საშინელებაა, იგი მოიცავს ადამიანის სულსა და სხეულსაც, საფრთხეს უქმნის ადამიანურობას ჰუმანურობის არსს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაული განისაზღვრება, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება/ უკუქმედება, არსებული განსაზღვრებიდან გამომდინარე დანაშაული განისაზღვრება, როგორც ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება არა ვიწრო გაგებით დადგენილ ნორმებს, არამედ უშუალოდ საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურულ ღირებულებებსაც და შესაბამისად ერთი აქტივობის ჩადენისთვის საქმის სუბიექტის წარდგინება ბარლი ანუ მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალური სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო.

როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულზე, როგორც მომხდარ ფაქტზე წინა პლანზე გამოდის მხოლოდ ობიექტური ნიშანი, ობიექტური მხარისა და უპირველეს ყოვლისა მომზადდეს შედეგები. თუმცა დანაშაული როდი წარმოადგენს გაყინულ სტატისტიკურ მოვლენას, არამედ, ეს არის პროცესი, რომელიც ვითარდება დროსა და სივრცეში.

ადამიანის მიერ გაცნობიერებული ქმედება, რაც აინტერესებს კანონმდებელს ყოველთვის იმართება სუბიექტის ფსიქოლოგიური თვისებებით, მისი ნებისყოფა, მოწმდება მის ცნობიერებაში ამა თუ იმ ხარისხით.

ამ დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, თვით

ადამიანის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მისი მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება გარკვეული სინამდვილისადმი, სხვა ხალხისადმი და, საერთოდ, მთლიანად საზოგადოებისადმი. ცნობილია, რომ დანაშაულებანი, სამწუხაროდ, მრავალფეროვანია და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნიშან-თვისებით. ყველა ეს ნიშნები შეიძლება შევადგინოთ განსაზღვრული საქმის სახით და განვალაგოთ ისინი სამ ჯგუფად:

1. ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის ობიექტს, ე. ი. რომლებიც იწვევენ დანაშაულს;
2. ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებს დანაშაულის ობიექტურ მხარეს, ე. ი. ჩადენილი ქმედებანი;
3. დანაშაულის სუბიექტის დამახასიათებელი ნიშნები ე. ი. ვინ ჩადის დანაშაულს.

დანაშაულის მიზეზების მეცნიერულ შესწავლას დასაბამი მიეცა მხოლოდ VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე, მაგრამ ამ პრობლემას იხილავდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის იურისტები და ფილოსოფოსები.

მეტად საინტერესოა პლატონისა და არისტოტელეს აზრები დანაშაულის მიზეზების შესახებ. პლატონი დანაშაულის მიზეზის დამნაშავეს პიროვნებაში ხედავს, ხოლო არისტოტელე კი სუბიექტურ მიზეზების გვერდით ცნობს დანაშაულის ობიექტურ მიზეზებსაც. ასეთი მიზეზებად მიიჩნევენ უწესრიგობას, მექრთამობას და სიღარიბეს. დანაშაული მისგან გამოწვეული სასჯელი, დასჯის სამართლიანობა ეს საკითხები არასოდეს კარგავდა და ალბათ არც დაკარგავს აქტუალურობას. რატომ? იმიტომ, რომ არ ვიცით მათი ჩადენის ზუსტი მიზეზები და არც ის, თუ როგორ ვითარებაში განხორციელდა იგი.

ლიტერატურა:

1. თეხელიშვილი სოლომონ, ფსიქოლოგიის ენციკლოპედია, თბ., 2001;
2. ნადარეიშვილი ვახტანგ, დამაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული

მოდელი, საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, თბ., 2008;

3. <http://www.ireporter.e/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/>

ლია მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განსასჯელი პიროვნების ფსიქოლოგიური ასპექტები

რეზიუმე

დამნაშავის პიროვნება - ინდივიდის ნეგატიური სოციალურად მნიშვნელოვანი ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თვისებების ერთობლიობაა, რომელიც განაპირობებს მის დანაშაულებრივ ქცევას, პიროვნების თვისებები უნდა იყოს განხილული სისტემატიურად, იერარქიულად, სტრუქტურირებულად. პიროვნების დანაშაულებრივი ქცევის სისტემით წარმოდგენილ ფაქტორებს წარმოადგენს მისი დესოციალიზაციის დონე დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიურ თვისებებთან და ფასეულობით-საორიენტაციო დეფორმირებულობასთან.

Лиа Метревели, ассоциированный профессор, Грузинский Технический Университет

Психологические аспекты одсудимого

Резюме

Ключевые слова: преступление, психология, человечество, человеческий

Личность виновного – совокупность негативных, социально значимых индивидуально-типологических качеств, которые обуславливают его виновное поведение, личностные качества должны рассматриваться систематически, иерархически, структурированно. Фактором, представленным системой виновного поведения личности, является уровень его десоциализации по отношению к личностным психологическим особенностям виновного и деформированности ценностной ориентации.

Lia Metreveli, associate professor, Georgian Technical University

The accused person's psychological aspects

Summary

Keywords: Crime, psychology, mankind, human

The guilty person – It is the unit of the individual negative socially significant individual-typological features, which leads its criminal behavior, traits of the person should be reviewed regularly, hierarchically, structured. The Individual criminal behavior of the system factors in the psychological characteristics of the personality of the offender desocialization level and value-orientation of the deformation.

ტრანსპორტი და ეკოლოგია

მოისწრაფიშვილი მზია, ასოცირებული პროფესორი
ბარბაქაძე მაია, ასოცირებული პროფესორი
უროტაძე თორნიკე, ბაკალავრი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

XX

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, ტრანსპორტი, გამონახობლები, მავნე მინარეგები.

შესავალი

XX საუკუნის შუა ხანებიდან ცივილიზებული სამყარო დადგა ეკოლოგიური კარტასტროფის საშიშროების წინაშე. შექმნილმა რეალობამ ადამიანები დააფიქრა თავის ნამოქმედარზე - დაირღვა ბიოლოგიური წონასწორობა სისტემაში - ადამიანი-ბუნება! დედამიწის გარემომცველ სტრატოსფეროში გაჩნდა ოზონის ხვრელები, წარმოიშვა გაურკვეველი ეტიოლოგიის დაავადებები. დაიწყო გლობალური დათბობა - მყინვარების დნობამ, მომატებულმა ტემპერატურამ, უხვმა ნალექებმა გამოიწვია დედამიწაზე ტექტონიკური ძვრები, ცვლილებები დაეტყო ფლორას და ფაუნას...

ადამიანები მიხვდნენ, რომ ბუნების ბიოლოგიური წონასწორობისთვის საჭიროა ბრძოლა სუფთა ჰაერისა და წყლის შესანარჩუნებლად.

აღნიშნული პრობლემა საერთაშორისო არენაზე პირველად 1969 წელს გაახშირნა გაერთიანებული ერების ფორუმზე უ ტანმა, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ცნობილი მოხსენებით „ადამიანი და გარემო“.

XX საუკუნეში გამოჩნდა ატმოსფეროს დაბინძურების ახალი წყარო - თბური ძრავები. მსოფლიოს გამალებულმა ავტომობილიზაციამ მკვეთრად შეცვალა მსხვილი და სამრეწველო ქალაქების, აგრეთვე მჭიდროდ დასახლებული პუნქტების ჰაერის შემადგენლობა მავნე კომპონენტების შემცველობით. პირველი საგანგაშო სიგნალი გამონახობლქვი აირების მავნე ზემოქმედების შესახებ გამოვლინდა კალიფორნიის შტატში ჭვარტლის სახით და

ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესებით. ამ მოვლენის შესწავლის შემდეგ, პირველი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ზღუდავდა გამონახობლქვი აირებში მავნე კომპონენტების კონცენტრაციას, გამოსცეს 1959 წელს აშშ-ში. 1969 წლიდან კი მსგავსი, აირში მავნე კომპონენტების კონცენტრაციის შემზღუდველი კანონი გამოიცა ევროპის მრავალ ქვეყანაშიც.

მოთხოვნილმა კანონებმა ავტომობილების მწარმოებლები აიძულა შეეტანათ ცვლილებები და გაეუმჯობესებინათ ავტომობილის ძრავის კონსტრუქცია, რამაც გამონახობლქვი აირებში ტოქსიკური კომპონენტების შემცველობა 70%-მდე შეამცირა, თუმცა ავტომობილები დღემდე ინარჩუნებენ ერთ-ერთ მოწინავე ადგილს გარემოს დაბინძურების საქმეში.

II. ძირითადი ნაწილი

მსოფლიო სატრანსპორტო სისტემა მოიცავს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს. ისინი განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და ტვირთზიდვისთვის. ტრანსპორტი ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს და ტრანსპორტის გარეშე დღევანდელი ცივილიზაცია წარმოუდგენელია.

მგზავრთა გადაყვანების მიხედვით საავტომობილო ტრანსპორტის წილი შეადგენს 80%, ხოლო სატვირთო გადაზიდვების წილი 8%. ადგილობრივ გადაყვანებში საავტომობილო ტრანსპორტი უკონკურენტოა. მისი უპირატესობებია: მაღალი მობილობა, დიდი სისწრაფე, მანევრირების კარგი შესაძლებლობა და ა.შ. დღეისათვის მსოფლიო საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 24 მლნ. კმ-ია, რაც შეადგენს ყველა სახეობის გზის 70% .

ავტომობილების წარმოება დაიწყო XIX საუკუნის მიწურულს და მისი განვითარება დიდი სისწრაფით გაგრძელდა. გაიზარდა სიჩქარეები, დაიხვეწა მანევრირების შესაძლებლობები, გადიდდა სიმძლავრეები, გამრავალფეროვნდა საავტომობილო პარკი.

2010 წელს კომპანია Wards Auto-ს მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ დარეგისტრირებული ავტომობილების საერთო რაოდენობამ (მსუბუქი და სხვადასხვა კლასის სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები) შეადგინა 1,015 მილიარდი ერთეული. ავტომობილების საერთო რაოდენობის შეფარდება დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანების საერთო რაოდენობასთან, ანუ ავტომობილების სიმჭიდროვის ინდექსი შეადგენს 1:6,8. ავტომობილების ყველაზე მეტი მფლობელი აშშ-ია - 1:1,3, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომობილი ყავს თითქმის ყველა მოქალაქეს. შემდეგ მოდის იტალია - 1:1,45, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონის - თითოეულში დაახლოებით 1:1,7. ჩინეთში ეს მაჩვენებელი 1:17,2-ია, ხოლო ინდოეთში - 1:56,4.

აქედან გამომდინარე, საავტომობილო პარკი გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. საშუალოდ, მსოფლიოში 1 კმ²-ზე მოდის 10 ავტომობილი, მაშინ, როცა განვითარებული ქვეყნების ქალაქებში ეს მაჩვენებელი 1500-3000-ია და ყოველწლიურად იზრდება, რაც ძალიან მავნე გავლენას ახდენს ქალაქის ეკოლოგიურ მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით ატმოსფეროზე. აშშ-ს სტატისტიკური მონაცემებით, ატმოსფეროს დაბინძურების 60% მოდის ყველა სახეობის ტრანსპორტზე, 17% - მრეწველობაზე, ენერგეტიკაზე - 14%, დანარჩენი 9% - შენობათა და სხვა ობიექტების გათბობასა და ნარჩენების გადამუშავებაზე.

მსოფლიოს მრავალ მსხვილ ქალაქში მწვავედ დგას ქალაქის ტრანსპორტის პრობლემა - „პიკის“ საათებში ქუჩებში მოძრაობა დიდ სირთულეებს და ნერვების გამოცდას უკავშირდება. იაპონიაში ტერიტორიის სიმცირის გამო ფართობის ერთეულზე მოდის 5-ჯერ მეტი ავტომობილი,

ვიდრე აშშ-ში. ავტოტრანსპორტის ასეთი კონცენტრაციის გამო ჰაერის დაბინძურების დონემ კრიტიკულს მიაღწია. ტოკიოს ცენტრში მომუშავე ქუჩის მომწესრიგებლები მუშაობენ ჟანგბადის ნიღბებით, იცვლებიან ყოველ 2 საათში და გადიან რეაბილიტაციას სპეციალურ საკნებში, რომლებიც მარაგდება ჟანგბადით.

ავტომობილები და მრეწველობა საშინელი ტემპით აბინძურებს ჰაერს, მდინარეებს, მთელ გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და ვსაქმიანობთ. ტრანსპორტით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ ფაქტორებად.

ლოკალურ გავლენას მიეკუთვნება: გავლენა ადამიანების ჯანმრთელობაზე; გავლენა ჰიგიენურ პირობებზე - საგზაო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაცია და ხმაური; გზისა და სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციული მასალების რღვევა ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვების გოგირდისა და აზოტის ნაერთების ზემოქმედებით;

რეგიონალური ფაქტორებია: ნიადაგის დაბინძურება გოგირდისა და აზოტის ნაერთებით; ჰაერის გაჯერება აზოტით; ტროპოსფერული ოზონის კონცენტრაციის ზრდა, რასაც მავნე გავლენა აქვს მცენარეებზე; გოგირდისა და აზოტის ნაერთების ზემოქმედებით კონსტრუქციული მასალების რღვევა. გლობალური ფაქტორებს მიეკუთვნება: სათბურის ეფექტი, რომელიც გამოწვეულია ნახშირორჟანგის (CO₂), მეთანის (CH₄), ოზონის(O₃), ფრეონის (CFC) და ა.შ. ზემოქმედებით; სტრატოსფერული ოზონის შრის განლევა, რაც გამოწვეულია ფრეონისა და აზოტის ოქსიდის (N₂O) მოქმედებით. ეკოლოგების გათვლებით, გლობალურ ფაქტორებს ექნება ხანგრძლივი მიმდინარეობა და გაგრძელდება მაშინაც კი, როცა გამომწვევი მიზეზები იქნება აღმოფხვრილი.

ტრანსპორტის ყველა სახეობებიდან გარემოს ყველაზე მეტად აბინძურებს საავტომობილო

ტრანსპორტი. მისი ექსპლუატაციისას გარემოზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. ჰაერისა და გარემოს დაბინძურება გამონაბოლქვებით;
2. ხმაური და ვიბრაცია;
3. გამოყოფილი სითბო (ენერჯის კარგვა).
4. ამ მავნე ფაქტორების გასაუვნებლყოფად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა:

იქმნება ახალი კონსტრუქციის ფილტრები, საწვავი ტყვიის ნაკლები შემცველობით, ტრანსპორტის ალტერნატიული სახეობები.


ეკოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანებზე მოქმედი ფაქტორებიდან, უპირობოდ, პირველი ადგილი უჭირავს ჰაერის დაბინძურებას, რადგანაც ჰაერი არის ორგანიზმისთვის უწყვეტი საჭიროების პროდუქტი. ჰაერის დაბინძურების ძირითადი მიზეზი საწვავის არასრული და არათანაბარი წვითაა განპირობებული: საწვავის მხოლოდ 15% იხარჯება ავტომობილის გადაადგილებაზე, ხოლო დანარჩენი 85% ჰაერში იბნევა! გარდა ამისა, ავტომობილის წვის კამერა ახდენს მავნე ნივთიერებების სინთეზს და გამოტყორცნის ატმოსფეროში. უწყინარი აზოტიც კი, ჰაერიდან წვის კამერაში მოხვედრის შემდეგ, გარდაიქმნება აზოტის მავნე ქანგებად.

შიგაწვის ძრავას გამონაბოლქვ აირებში 170 მავნე კომპონენტი, რომელთაგან 160 - ძრავაში არასრული წვის შედეგად წარმოქმნილი ნახშირწყალბადების ნაირგვარობაა. გარდა ამისა, გამონაბოლქვებში მავნე ნივთიერებების არსებობას განაპირობებს საწვავის გვარობა და მისი წვის პირობები. მავნე კომპონენტებს მიეკუთვნება ტყვიისა და ჭვარტლის შემცველი მყარი გამონატყორცნები, რომელთა ზედაპირზეც ადსორბირდება ციკლური ნახშირწყალბადები (ზოგიერთი მათგანი ატარებს კანცეროგენულ თვისებებს).

გარემოში გამოტყორცნისას, 1 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მყარი გამონაბოლქვები ილექება ემისიის ცენტრის სიახლოვეს ნიადაგსა და მცენარეებზე, წვრილი ფრაქციები (1მმ-ზე

ნაკლები დიამეტრით) კი ჰაერის მასებთან ერთად გადაადგილდებიან დიდ მანძილზე. ნახშირჟანგის მოქმედება მცენარეებზე ნაკლებ სახიფათოა, მაგრამ დიდ საშიშროებას წარმოადგენს გოგირდის ორჟანგი, აზოტმჟავა, ტყვია და მისი მინაერთები, ფოტოქიმიური რეაქციების პროდუქტები და ეთილენი. მცენარეებში აკუმულირების შემდეგ ისინი სახიფათონი ხდებიან ადამიანებისა და ცხოველებისთვის.

კარბურატორული ძრავების გამონაბოლქვებში არსებული ტყვიის გავრცელება ატმოსფეროში დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორცაა: გამონაბოლქვის წყარო, გზის მიმდებარე რელიეფი, მეტეოროლოგიური პირობები და სხვა. ტყვიის შემცველობა გზის პირას მდებარე მცენარეებში დამოკიდებულია მათ დაშორებაზე გამონაბოლქვების წყაროდან და გრაფიკულად ჰიპერბოლური მრუდით გამოისახება (იხ. გრაფიკი 1).



გრაფ. 1. ტყვიის შემცველობა მცენარეებში მათი გზის პირიდან დაშორების მიხედვით

80-90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას ავტომობილი საშუალოდ იმდენივე ქანგბადს გარდაქმნის ნახშირორჟანგად, რამდენსაც 300-350 ადამიანი. ერთი ავტომობილის წლიური გამონაბოლქვი შეიცავს 800 კგ ნახშირჟანგებს, 40 კგ აზოტმჟავას და 200 კგ-ზე მეტ სხვადასხვა ნახშირწყალბადებს. მათგან განსაკუთრებით საშიშია ნახშირჟანგი. მაღალი ტოქსიკურობის გამო, მისი დასაშვები კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში არ უნდა აღემატებოდეს 1 მგ/მ³. ცნობილია ადამიანების ტრაგიკული დაღუპვის

შემთხვევები, რომლებიც მანქანის ძრავას ამუშავებდნენ გარაჟში დაკეტილი კარებით. სტარტერის ჩართვიდან ერთადგილიან გარაჟში CO-ს სასიკვდილო კონცენტრაცია აღწევს 2-3 წუთის შემდეგ!

ეთილირებული ბენზინის წვისას მანქანის ძრავა გამოტყორცნის ტყვიას, რომელიც გარდა გარემოსი, აკუმულირდება ადამიანის ძვლებშიც. მაგისტრალებისა და მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების დონე დამოკიდებულია ავტომობილთა მოძრაობის ინტენსივობაზე, ქუჩის სიგანესა და რელიეფზე, ქარის სიჩქარეზე, მოძრავი შემადგენლობის ნაკადში სატვირთო ავტომობილების და ავტობუსების წილზე და სხვა ფაქტორებზე. თუ სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობა შეადგენს 500 ავტ/სთ, ნახშირჟანგის (CO) კონცენტრაცია ღია ტერიტორიაზე ავტომაგისტრალიდან 30-40 მეტრზე მცირდება 3-ჯერ და აღწევს ნორმას. ავტომობილების გამონაბოლქვების გაფანტვა გაძნელებულია ვიწრო ქუჩებში, შესაბამისად, ქალაქის მცხოვრებლები ინტენსიურად განიცდიან დაბინძურებული ჰაერიდან მავნე გავლენას.

აღსანიშნავია, რომ ნახშირწყალბადები ატმოსფეროში ხვდება არა მარტო მანქანის მუშაობის პროცესში, არამედ ბენზინის ბაკში ჩასხმისასაც. ამერიკელი მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ ლოს-ანჯელესში დღე-ღამეში ამ გზით ორთქლდება 350 ტ ბენზინი. ბენზინგასამართ სადგურზე მხოლოდ 300 გრ დაღვრილი ბენზინი აბინძურებს 200 ათას მ3 ჰაერს.

საწვავის შემადგენლობა არსებით გავლენას ახდენს ძრავას კვამლიანობაზე.

როგორც კვლევები აჩვენებენ, დიზელის საწვავის ხარისხი უმნიშვნელო გავლენას ახდენს ჰვარტლისა და აზოტის ჟანგების წარმოქმნაზე. ძრავას უქმი სვლისას და არასრული დატვირთვით მუშაობისას, უწვადი ნახშირწყალბადების და ალდეჰიდების გამოყოფაზე არსებით გავლენას ახდენს საწვავის აალების პროცესის მიმდინარეობა. დიზელის საწვავის ყველაზე არასასურველი კომპონენტია გოგირდი, რომე-

ლიც წვის პროცესში ჯერ წარმოქმნის SO₂, ხოლო შემდგომი დაჟანგვით SO₃.

ავტომობილების დიდი უმრავლესობა საწვავად მოიხმარს ბენზინს. დიზელის ძრავებში მიმდინარე წვის პროცესი განსხვავებულია კარბურატორულ ძრავებში მიმდინარე ანალოგიური პროცესისგან, რაც განპირობებულია ძრავას განსხვავებული კონსტრუქციით და მუშაობის სხვა პირობებით (ცხრ. 1).

ცხრილი 1

1 კვ საწვავის წვისას გამოყოფილი ტოქსიკური კომპონენტების რაოდენობა, (გრ)

კომპონენტი	საწვავის სახეობა	
	ბენზინი	დიზელის საწვავი
ნახშირჟანგი CO	465,59	20,81
აზოტმჟავა	15,84	18,01
ნახშირწყალბადები	13,28	4,16
გოგირდმჟავას ანჰიდრიდი	1,86	7,80
ალდეჰიდები	0,93	0,78
ჰვარტლი	1	5
ტყვია	0,5	---
სულ	509	51,56

დაჭირხნულ აირზე მომუშავე ძრავას ტოქსიკურობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ბენზინზე მომუშავე ძრავას ტოქსიკურობასთან შედარებით, რაც მიიღწევა საწვავის სრული წვის შესაძლებლობით. აორთქლებული დაჭირხნული აირი ადამიანზე არ ახდენს მომწამვლელ გავლენას, მაგრამ მისი შემცველობა ჰაერში იწვევს ჟანგბადით გაღარიბებას და დიდი კონცენტრაციის შემთხვევაში - მოგუდვას. აირებს არ აქვთ სუნის, ამიტომ მათი შემჩნევისთვის ახდენენ ოდორიზაციას - სპეციფიკური სუნის მინიჭებას.

გარდა ამისა, აირების ოქტანური რიცხვი აღემატება ბენზინის ოქტანურ რიცხვს (დაახლოებით 100 ერთეულით), რაც უზრუნველყოფს ძრავის მუშაობას ყველა რეჟიმში, პრაქტიკულად, დეტონაციის გარეშე.

ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხი ტოქსიკური გამონაბოლქვებით დამოკიდებულია

არა მხოლოდ მათ კონცენტრაციაზე ნამუშევარ აირებში, არამედ მათი გამოყოფის ინტენსივობაზეც. ავტომობილის მიერ ნამუშევარი აირების რაოდენობა და შემადგენლობა მჭიდრო კავშირშია ძრავას მუშაობის რეჟიმთან. მაგალითად, CO-ს კონცენტრაცია ძრავას უქმე სვლისას მნიშვნელოვანია, მაგრამ გამონაბოლქვი აირების საერთო რაოდენობა არ არის დიდი და პირიქით - ძრავას სრული დატვირთვით მუშაობისას CO-ს კონცენტრაცია უმნიშვნელოა, მაგრამ მისი ჯამური ოდენობა რამდენჯერმე აღემატება ამ კომპონენტის გამოყოფას უქმე სვლისას.

შესაბამისად, ძრავას მიერ ჰაერში გამოტყორცნილი ტოქსიკური ნივთიერებების რაოდენობა დამოკიდებულია არა მარტო ამ კომპონენტების კონცენტრაციაზე, არამედ გადამუშავებული აირების რაოდენობაზეც, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ძრავას ლილვის ბრუნვით სიხშირესა და მის დატვირთვაზე. დატვირთვის გავლენა მნიშვნელოვანია კარბურატორულ ძრავებში და უმნიშვნელოა დიზელის ძრავებისთვის.

საავტომობილო ტრანსპორტი ქალაქის ხმაურის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ქალაქების მაგისტრალურ ქუჩებში, სადაც მოძრაობის ინტენსივობა საათში საშუალოდ 2-3 ათასი სატრანსპორტო ერთეულია, აღინიშნება ხმაურის უდიდესი დონე 90-95 დბ.

ქალაქის ქუჩის ხმაურის დონეს განაპირობებს სატრანსპორტო საშუალებათა გვარობა, მოძრაობის ინტენსივობა, სიჩქარე, სავალი ნაწილის დაფარვის სახეობა და მდგომარეობა და სხვა ფაქტორები. სამრეწველო ქალაქების ქუჩებში დიდია სატვირთო მანქანების პროცენტული წილი, რომლებიც ხასიათდებიან ხმაურის მაღალი დონით. მაგისტრალის სავალ ნაწილში არსებული ხმაური (დათვლილია და შეადგენს 78 – 77 დბ) ვრცელდება მის მიმდებარე საცხოვრებელ ბინებშიც, სადაც, გაღებული ფანჯრების დროს, ხმაურის დონე მაგისტრალის ხმაურის დონეზე 10-15 დბ-ით ნაკლებია.

ბოლო დროს ქუჩის ხმაურის დონემ მოიმატა 10-15 დბ-ით, რაც ქალაქის ტერიტორიაზე ქმნის

მძიმე ხმაურის რეჟიმს და იწვევს შეშფოთებას.

ძლიერი ხმაურის მუდმივი მოქმედება უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ადამიანის სმენაზე, არამედ იწვევს მთელ რიგ გადახრებს: ნერვულ გამოფიტვას, ვეგეტატიურ ნევროზს, თავის ტკივილს, დაღლილობას, ენდოკრინული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მოშლას, შრომის მწარმოებლობის შემცირებას და ა.შ. ავსტრიელი მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ ხმაური დიდ ქალაქებში ამცირებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას 8-12 წ ზღვრებში.

ქალაქის ხმაურისგან ადამიანების დასაცავად აუცილებელია მისი ინტენსივობის და სპექტრალური შემადგენლობის დადგენა, მოქმედების ხანგრძლივობის გათვალისწინება და სხვა პარამეტრები. ჰიგიენური ნორმირებისას დასაშვებად მიიჩნევა ხმაურის ის დონე, რომლის ხანგრძლივი ზემოქმედება არ იწვევს ადამიანის ორგანიზმის ხმაურზე მგრძობიარე ორგანოების ფიზიოლოგიურ ცვლილებებს. გარე ხმაურის მახასიათებლად მიღებულია ბგერის დონე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსებისთვის 85-92 დბ, ავტობუსში მგზავრთა განყოფილებაში - 75 დბ, მოტოციკლეტისთვის - 80-85 დბ.

გარეთ თუ დახურულ ნაგებობებში ხმაურის დასაშვები ნორმების კონტროლით შესაძლებელია ადამიანთა ჯანმრთელობის და შრომიუნარიანობის შესანარჩუნება.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, ჩვეულებრივ ავტომობილებს გამოუჩნდა კონკურენტი ჰიბრიდული ავტომობილის სახით, რომელიც აღიძვრება ორგვარი ძრავით - ელექტრულით და შიგაწვის ძრავით. მათ აქვთ მაღალი მქკ და სვლის დიდი მარაგი. არიან ბევრად ეკოლოგიურები ჩვეულებრივ ავტომობილებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზის ტრანსპორტი მიეკუთვნება ტრანსპორტის ეკოლოგიურ სახეობას, რადგანაც იგი ძირითადად მოიხმარს ელექტრო ენერგიას. რკინიგზის ტრანსპორტის

შემთხვევაში, ძირითადი მიმართულება გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებაში არის წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირების რაციონალური ტექნოლოგიური პროცესების შერჩევა და გარემოს დაცვის საშუალებათა გამოყენება.

მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზღვაო გადაზიდვებს. ნაოსნობის შედეგად მსოფლიო ოკეანეში ხვდება ეკიპაჟის საყოფაცხოვრებო ნარჩენები, გადასაზიდი მასალები და ნივთიერებები, გემების მუშაობის ტექნოლოგიური ნარჩენები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ 1973 წელს მიღებულ იქნა სპეციალური საერთაშორისო საზღვაო კონვენცია MARPOL 73/78 (International Convention for the Prevention of Pollution from Ships), რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს გემებიდან ზღვის და საჰაერო სივრცის დაბინძურების აღსაკვეთად ნავთობით და ნავთობ პროდუქტებით, თხევადი ან შეფუთული მავნე და საშიში ტვირთებით, ნავით, გემების საექსპლუატაციო ან ავარიული სიტუაციებისას. ეს კონვენცია არის მთავარი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს საზღვაო გარემოს დაცვას დაბინძურებისგან.

კონვენციის მოთხოვნათა შესრულება მოთხოვნიდა ყველა იმ გემს, რომელთა დროშის ქვეყნები (90-ზე მეტი ქვეყანა) მიერთებულნი არიან მასზე ან მოქმედებენ კონვენციის მხარის იურისდიქციით. ამ მოთხოვნათა შესრულების შემოწმება წარმოადგენს გემების და განსაკუთრებით სპეციალური გემების - ყველა ტანკერის და საშიში ტვირთების გადამტანი გემების ინსპექტირების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

ავიაციის ძირითადი ზემოქმედება გარე სამყაროზე გამოისახება აკუსტიკური დაბინძურებით

და ატმოსფეროში გამოსროლილი ნამუშევარი აირებით, რაც იწვევს კლიმატის ცვლილებას და ჰაერის დაბინძურებას.

საჰაერო ტრანსპორტის პირდაპირი მოქმედების შედეგია ნახშირმჟავა აირების, აზოტის ჟანგების, წყლის ორთქლის, დაუწველი ნახშირწყალბადების (ბენზოლი, პროპანი, ეთანი, აცეტილენი, მეთანი და ა.შ.), სულფატური ნაწილაკების და ჰვარტლის ემისია. ირიბი მოქმედების შედეგია ოზონის წარმოქმნა. ნახშირჟანგისა და ჰვარტლის ემისიის შემცირება შესაძლებელია წვის კამერაში საწვავის გაფრქვევით და განაწილებით, მისი ჰაერთან შერევის დაჩქარებით.

დასკვნა

მეცნიერება ინტენსიურადაა ჩართული ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში და ყველა სიახლე განიხილება ეკოლოგიური მოთხოვნების ჭრილში. კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ტოქსიკური ნაბოლქვების შემცირების გზების ძიება, რაც მიიღწევა საწვავში ტოქსიკური მინარევების შემცირებით ან მათი განეიტრალებით. ამ მიზნით შეიქმნა ძრავის კონსტრუქციის მრავალი ვარიანტი და ჩატარდა მრავალი ცდა და კვლევა წვის პროცესზე ზეგავლენისთვის.

კარგი შედეგების მიღება შესაძლებელია წვის კამერის ზომებისა და ფორმის შერჩევით, რითაც იქმნება ჩაქრობის ზონის მინიმალური მოცულობა. ნამუშევარ აირებში CO და CnHn ს მნიშვნელოვანი შემცირება ან სრულად გამორიცხვა შესაძლებელია თუ ძრავას საკვებად გამოყენებული იქნება წყალბადი ან აირის საწვავი, აგრეთვე, ისეთი კონსტრუქტორული სრულყოფა, რომლითაც მიიღწევა ნარევის მიღება ფენობრივად.

საწვავის (ბენზინის) უშუალო გაფრქვევა ნაპერწკლური ანთების ძრავებში წყვეტს ძრავალ რთულ ამოცანას. ამ სისტემით უზრუნველყოფილია ნარევის თანაბარი განაწილება ყველა ცილინდრში და თანაბარი შერევა ჰაერთან.

შესაბამისად, გაცილებით სრულყოფილია წვა.

ეკოლოგიური მოთხოვნების გამკაცრება საკანონმდებლო დონეზე უკვე მიღებული პრაქტიკაა და ანგარიშგასაწევ ბარიერს წარმოადგენს ყოფა-ცხოვრების მრავალ სფეროში. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება მეცნიერების განვითარების თანმდევი და უწყვეტი პროცესია.

ლიტერატურა:

1. თ. გელაშვილი, მ. ბარბაქაძე. საზღვაო პორტები და მათი მექანიკური აღჭურვა. თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015.
2. Ю. Якубовский. Автомобильный транспорт и защита окружающей среды. М. Транспорт, 1979.
3. Хомяк Я.В., Скорченко В.Ф. Автомобильные дороги и окружающая среда. – Киев: Вища школа, 1983.

*მზია მოისწრაფიშვილი, ასოცირებული პროფესორი
მაია ბარბაქაძე, ასოცირებული პროფესორი
თორნიკე უროტაძე, ბაკალავრი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ტრანსპორტი და ეკოლოგია*

რეზიუმე

ტრანსპორტი ადამიანის ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია, რო-

მელიც განუწყვეტლივ განიცდის განვითარებას და სრულყოფას, თუმცა ეს განვითარება უნდა განიხილებოდეს კაცობრიობის მიღებული გამოცდილებით და სისტემის - „ადამიანი-გარემო“ ბალანსის შენარჩუნებით, რათა დედამიწა თავისი მოსახლეობით დაცული იქნას ეკოლოგიური კატასტროფებისგან.

*Mzia Moiscrapishvili, Maya Barbakadze,
Tornike Urotadze,
Georgian Technical University*

TRANSPORT and ECOLOGY

Summary

Keywords: *ecology, transport, emissions, harmful additives.*

Transport is one of the most important attribute of human lives that is continuously undergoing development and improvement, but it should be considered due obtaining by humanity experience and with maintaining of balance in the system - “human-environment”, because the earth’s population will be protected from ecological catastrophes.

საქონლის განსაზღვრა, რომელიც საჭიროებს რეკლამირებას; სარეკლამო სააგენტოსთან ერთად საქონლის რეკლამირების თავისებურებების განსაზღვრა;

სარეკლამო სააგენტოსთან ერთად სარეკლამო პროდუქციის შექმნისა და სარეკლამო ღონისძიებების ჩატარების გეგმის შემუშავება; სარეკლამო სააგენტოსთან ერთად სარეკლამო პროდუქციის შექმნისა და სარეკლამო ღონისძიებების ჩატარების ბიუჯეტის შემუშავება; ხელშეკრულების გაფორმება სააგენტოსთან სარეკლამო მასალების შექმნაზე, მისი გავრცელების ადგილებში რეკლამის განთავსებაზე, სარეკლამო ღონისძიებების ჩატარებაზე და სხვ.

შემსრულებლებისათვის თავდაპირველი მასალების მომზადებაში დახმარების გაწევა; პროდუქციის ან მომსახურების ტექნიკური და ფაქტობრივი მონაცემების გადაცემა; ტექნიკური

კონსულტაციები, მაკეტების, სარეკლამო მასალებისა და რეკლამის ორიგინალების დამტკიცება; შემსრულებლის ანგარიშების ანაზღაურება.

სარეკლამო სააგენტოები ამყარებენ კავშირებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, სტამბებთან, სტუდიებთან, ქმნიან სარეკლამო პროდუქციას მიღებული შეკვეთების საფუძველზე, შეიმუშავებენ კომპლექსური სარეკლამო კომპანიების, სხვა სარეკლამო ღონისძიებების გეგმებს და ა.შ.

რეკლამის გავრცელების საშუალება-ეს არის ინფორმაციის არხი, რომლის მიხედვითაც სარეკლამო გზავნილი აღწევს მომხმარებელამდე. მომხმარებელი - არის ის, რომლისკენაც მიმართულია სარეკლამო გზავნილი, რათა მათში აღძრან განსაზღვრული მოქმედების შესრულების სურვილი, რითაც დაინტერესებულია დამსაქმებელი.

ცხრილი

რეკლამის გავრცელების ძირითადი საშუალებების უპირატესობები და ნაკლოვანებები

რეკლამის საშუალება	უპირატესობები	ნაკლოვანებები
1	2	3
გაზეთები	ოპერატიულობა, აუდიტორიის მრავალრიცხოვნება, მაღალი სანდოობა, ერთ კონტაქტზე გაწეული შედარებით ნაკლები ხარჯები და სხვ.	არსებობის მოკლევადიანობა; აღქმის დაბალი ხარისხი; "მეორადი მკითხველების" უმნიშვნელო აუდიტორია; განთავსდება სხვა გამომგზავნების რეკლამის გვერდით
ჟურნალები	აღქმის მაღალი ხარისხი; არსებობის ხანგრძლივობა; "მეორადი მკითხველების" მრავალრიცხოვნება; სანდოობა; პრესტიჟულობა	ხანგრძლივი დროითი გარღვევა სარეკლამო ადგილის ყიდვასა და რეკლამის განთავსებას შორის; კონკურენტების რეკლამის მეზობლობა
ტელევიზია	მასშტაბურობა; მრავალრიცხოვანი აუდიტორია; ყურადღების მიქცევის მაღალი ხარისხი; გამოსახულების, ბგერისა და მოძრაობის შერწყმა; მაღალი ემოციური ზემოქმედება	მაღალი აბსოლუტური ღირებულება; რეკლამით გადატვირთვა; სარეკლამო კონტაქტის არახანგრძლივობა; სუსტი არჩევითი აუდიტორია
რადიო	აუდიტორიის მასიურობა; ერთი სარეკლამო კონტაქტის შედარებით დაბალი ღირებულება	ბგერითი წარმოდგენის შეზღუდულობა; ყურადღების მიქცევის დაბალი ხარისხი; სარეკლამო კონტაქტის არახანგრძლივობა
ბეჭდური რეკლამა	აღქმის მაღალი ხარისხი; ზოგიერთ მატარებელთან კონტაქტის მეტი ხანგრძლივობა (პლაკატები, კედლისა და ჯიბის კალენდრები); კონკურენტების რეკლამის არარსებობა კონკრეტულ მატარებელზე და სხვ.	შედარებით მაღალი ღირებულება, "მაკულატურის" სახე
გარე რეკლამა	განმეორებითი კონტაქტების მაღალი სიხშირე; დაბალი აბსოლუტური ღირებულება; სუსტი კონკურენცია	აუდიტორიის არჩევითობის არარსებობა; დამორეზულ აუდიტორიებთან კონტაქტის შეუძლებლობა; შემოქმედებითი ხასიათის შეზღუდვები

რეკლამა ტრანსპორტზე	აუდიტორიის მრავალრიცხოვნება; მიმღების ყურადღების მეტხანს მიქცევის შესაძლებლობა (სალონის შიდა რეკლამა); მოქნილობა; მიზნობრივი აუდიტორიის გეოგრაფიის გაფართოების შესაძლებლობა; მასშტაბურობა	კონტაქტის ხანმოკლეობა (გარე რეკლამა ტრანსპორტზე); მხოლოდ სფეროფიკურ აუდიტორიებამდე მიღწევა (მომუშავე მამაკაცები და ქალები, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით)
სასუვენრო რეკლამა	სუვენირები - უტილიტარული საგნებია, რომელთაც დამოუკიდებელი ფასულობა გააჩნია; სუვენირებით სარგებლობის ხანგრძლივობა; მიმღების კეთილგანწყობის მიღწევის მეტი შესაძლებლობა; მეორადი აუდიტორიის არსებობა	ძალზე შეზღუდული ადგილი მიმართვის განსათავსებლად; ერთჯერად კონტაქტზე მაღალი დანახარჯები; ტირაჟის შეზღუდულობა
ინტერნეტ-რეკლამა	საკომუნიკაციო სივრცე, ინტერაქტიურობა, მისაწვდომობის მკაფიოდ განსაზღვრული არხები, შემცირებული კომერციული ბარიერი, აუდიტორიის სიმრავლე, ბაზრის ოპტიმალური გამჭვირვალობა, აქტიური მომხმარებლები, კლიენტების ჯგუფებად დაყოფის შესაძლებლობა, ინფორმაციის ოპერატიული გადაცემა, მომხმარებელთა ქცევის სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობა, სისტემის ფუნქციის გაფართოების შესაძლებლობა	ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობას, ვიწრო მიზნობრივი აუდიტორია

ბოლო დრომდე სარეკლამო პროცესის აქტიური მონაწილე იყო მხოლოდ პირველი სამი რგოლი, ხოლო მომხმარებელს სარეკლამო ზემოქმედებისთვის გამიზნული აუდიტორიის ელემენტის პასიური როლი ენიჭებოდა. ამჟამად მომხმარებელი სარეკლამო პროცესის აქტიური მონაწილე ხდება, ხშირად კი ინიციატორიც. თანამედროვე სარეკლამო საქმიანობაში მომხმარებელი გვევლინება უკუკავშირის გენერატორად.

მეწარმეებსა და სარეკლამო პროცესის სხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობის დამყარებისას იდება ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურების გაწევაზე.

ასე, მაგალითად, დამსაქმებელსა და სარეკლამო სააგენტოს შორის ხელშეკრულებაში სასურველია მიეთითოს:

სარეკლამო სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებები, სარეკლამო პროგრამის შემუშავების ჩათვლით; რეკლამის საგნის ჩამონათვალი და მათი მახასიათებლები; ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადა; ხელშეკრულების საორიენტაციო საერთო თანხა; თავდაპირველი მონაცემების, რეკლამის საგნის ნიმუშებისა და მათი დაბრუნების წარდგენის წესი და ვადები; შესათანხმებლად სარეკლამო პროგრამის წარდგენის წესი და ვადები; სარეკლამო ღონისძიებების გეგმების, ტექსტების, მხატვრული ორი-

გინალებისა და სცენარების შეთანხმების წესი და ვადები; სარეკლამო ღონისძიებების ჩატარების შესახებ ანგარიშების წარდგენის წესი და ვადები; ხელშეკრულების შესრულების წესებისა და ვადების დარღვევისათვის მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის პირობები;

სხვა პირობები, რომლებიც დამსაქმებელსა და სარეკლამო სააგენტოს მიაჩნიათ მნიშვნელოვნად ხელშეკრულებაში გასათვალისწინებლად; ხელშეკრულების მონაწილეთა საგადასახდელო და საფოსტო რეკვიზიტები.

რეკლამისადმი მოთხოვნა იყოფა ზოგად და სპეციალურ მოთხოვნებად. ამასთან, საერთო მოთხოვნებს უყენებენ ყველა სახის რეკლამას, სპეციალურს კი - რეკლამის ცალკეულ სახეებს:

რეკლამის აკრძალვას საბავშვო ტელეგადაცემებში, თუ მათი ხანგრძლივობა აღემატება 25 წუთს; სპონსორული რეკლამის დროით შეზღუდვას საბავშვო გადაცემების დაწყებისა და დასრულებისას; რეკლამის აკრძალვას რელიგიურ გადაცემებში; სპორტული შეჯიბრებების ტრანსლირებისას რეკლამის ჩვენება ნებადართულია მხოლოდ შესვენებების ან თამაშის შეჩერებისას;

სარეკლამო ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო და კეთილსინდისიერი;

რეკლამა არ უნდა შეიცავდეს რეკლამირებუ-

ლი საქონლის არაკორექტულ შედარებებს კონკურენტების საქონელთან, არ უნდა ლახავდეს მათ ღირსებას ან არ უნდა უწევდეს დისკრედიტაციას მათ საქონელს;

აკრძალულია რეკლამა “ქოლგური ბრენდების” ტექნოლოგიით; ხმოვანი რეკლამის შეზღუდვას ტრანსპორტზე.

არსებობს სარეკლამო ხარჯების სამი სახე:

1) მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ჩატარებული სარეკლამო ღონისძიებების ხარჯები, მ.შ. ბეჭდურ ორგანოებში, რადიო- და ტელეგადაცემებში, ასევე ტელეკომუნიკაციურ ქსელში განცხადებების სახით;

2) განათებითი და სხვა გარე რეკლამის ხარჯები, სარეკლამო სტენდებისა და სარეკლამო ფარების დამზადების ჩათვლით;

3) გამოფენებში, ბაზრობებში, ექსპოზიციებში მონაწილეობის, ვიტრინების, გამოფენა-გაყიდვების, ოთახების ნიმუშებისა და სადემონსტრაციო დარბაზების გაფორმების, სარეკლამო ბროშურებისა და კატალოგების დამზადების ხარჯები.

რეკლამის მეშვეობით ბაზარი უფრო ღია და მისაწვდომი ხდება განსხვავებული გემოვნებითა და მოთხოვნილებებით, ფულადი შემოსავლების სხვადასხვა დონით, მომხმარებელთან მიმართებით არაერთგვაროვანი ტრადიციებით. რეკლამა ავრცელებს ინფორმაციას საქონლის არსებობის, მათი შესყიდვისა და მოხმარების პირობების შესახებ და მონაწილეობს სასაქონლო შეთავაზების და, აქედან გამომდინარე, მოთხოვნის ჩამოყალიბებაში.

რეკლამა უზრუნველყოფს კავშირს წარმოებასა და მომხმარებელს შორის. რეკლამის მეშვეობით ნარჩუნდება “უკუკავშირი” მიზნობრივი სეგმენტის მიერ, რაც უზრუნველყოფს საქონლის ბაზარზე გატანის გაკონტროლებას, მყიდველში პრიორიტეტების მდგრადი სისტემის შექმნასა და განმტკიცებას.

თამარ როსტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაია სოსელია, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნანა რინკიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეკლამა, როგორც მიზნობრივ სეგმენტში ეფექტიანი მონაწილეობის ინსტრუმენტი

რეზიუმე

რეკლამა, პერსონალური გაყიდვები, პიარი, ბაზრობები და გამოფენები, გასაღების სტიმულირება, შეფუთვა - ეს არის მარკეტინგული კომუნიკაციური ძალისხმევა, რომელიც ააქტიურებს გაყიდვის პროცესს, სტიმულს აძლევს ცალკეული საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას, მომხმარებელთა მომსახურების პროცესის რაციონალიზაციას. ნაშრომში განხილულია რეკლამის, როგორც მიზნობრივ სეგმენტში ეფექტიანი მონაწილეობის ინსტრუმენტის როლი, მოცემულია სამეწარმეო საქმიანობის დარგებსა და სფეროებში გამოყენებული რეკლამის სახეების თანამედროვე კლასიფიკაცია გაანალიზებულია რეკლამის გავრცელების ძირითადი საშუალებების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

Maya Soselia, Tamar Rostiasvili, Nana Rinkiasvili Advertisement as an effective participation instrument in a target segment

Resume

Key words: *Advertisement, opportunity of spreading of advertisement, customer, orderer of advertisement.*

Advertisement, personal sellings, PR, fairs and exhibitions, packing - are marketing communication efforts, that activates sales process, motivates certain goods and service realization, restores customer service process. It is discussed in the thesis, the advertisement as an effective participation tool's role in a target segment, modern classification of the types of advertisement used in business activities sectors and fields. The benefits and faults of basic utilities of spreading of advertisement are analyzed.

Экономическое развитие Королевства Марокко при Мухаммаде VI (1999-2010 гг.)

*Степанова Анастасия Владимировна
Национальный исследовательский университет
Высшая школа экономики
Санкт-Петербург*

Ключевые слова: Экономика, Марокко, Северная Африка, Природные ресурсы, Геополитика

Начало XXI века характеризуется невиданным усилением всех глобальных процессов и проблем развития. Арабский мир переживает переломный этап в своей истории, который примечателен неравномерным и негармоничным экономическим ростом, дифференциацией положения различных групп, классов и целых государств, сравнительно медленным осовремениванием социальных структур.

Существует многовариантное, но все же неуклонное движение к обновлению, к хозяйственной модернизации, социальному прогрессу и демократизации. Однако с ускорением процесса глобализации набирает силу и другая тенденция - стремление к регионализации. Региональная интеграция – это сложный процесс, и успех ее зависит от многих политических факторов. Марокко активно сотрудничает с рядом государств на уровне региональных и международных организаций, торгово-экономических соглашений, обмена делегациями, проводя политику расширения внешних связей при дальнейшем осуществлении реформ в рамках модернизации. В данной статье планируется осветить экономическое развитие Королевства Марокко в период первого десятилетия правления короля Мухаммада VI, так как нам представляется, что оно было наиболее насыщенным на события и значимым для

будущего страны, не подверженным влиянию потрясений в регионе, произошедшим позднее и получившим название Арабской весны (которая можно сказать обошла Марокко стороной). В данный период были приняты важнейшие решения для построения курса развития государства, и успешно преодолены некоторые сложности, о чем подробнее будет сказано ниже. За первое десятилетие правления Мухаммада VI Королевство Марокко сумело выйти на новый уровень развития. Для лучшего понимания исторической ретроспективы мы будем периодически обращаться к истории, описав в начале статьи экономическую структуру и базу, с которыми Марокко подошло к описываемому периоду, и иногда заглядывать вперед, так как отдельные законы, постановления и решения были приняты правительством и королем с расчетом на близкое или сравнительно далекое будущее, иногда с шагом в 15-30 лет.

Итак, к концу 80-х годов XX в. Марокко, основу экономики которого преимущественно составляли добыча фосфатов, выращивание цитрусовых и международный туризм, столкнулось с большими экономическими трудностями. Страна пережила серьезный экономический кризис, связанный с увеличением объема внешнего долга и выплат по нему, ростом дефицитов платежного баланса и государственного бюджета. Уже тогда необходимость реформировать хозяйство в направлении либерализации была сформулирована и принята руководством страны в качестве основной.

С точки зрения интеграции в мировую экономику, Марокко выполнило необходимые условия и присоединилось к Генеральному соглашению по тарифам и торговле (ГАТТ) в 1987 году, а спустя 7 лет на конференции в Марракеше в 1994 году, ГАТТ стало ВТО¹. Согласно соглашению об укреплении сотрудничества, ратифицированному в 2000 г., был запущен процесс модернизации в отношении практически всех отраслей, не только экономической структуры, но и правосудия, образования и т.д. В 2004 году Королевство подписало с США соглашение о свободной торговле, что подтвердило возможность “интеграции марокканской экономики в мировую”².

С 1989 года вступила в силу Программа структурного оздоровления экономики Марокко, в основу которой была поставлена децентрализация национальной экономики страны, снижение бюджетных расходов на социальные нужды в сочетании с крупномасштабной приватизацией. Реформы дали определенные положительные результаты, и в начале 90-х годов уже был отмечен рост ВВП, достигший 11,9%. Одновременно снизился внешний долг Марокко, увеличились объемы иностранных инвестиций.³

В 1991-98 гг. темпы экономического развития страны заметно сокращались – до 1,9% в среднем ежегодно. Частично это отражало ухудшение положения в сельском хозяйстве, снижение производства в котором

в количественном выражении составляло в среднем 0,8% в год. В значительной мере это было вызвано объективными факторами, в частности, повторяющимися засухами (в 1995, 1997, 1999 гг.). Заметно упали темпы роста и обрабатывающей промышленности – до 2,6 % в указанный период.⁴

Одним из способов повышения эффективности экономики была признана приватизация госсектора. Основой программы стал закон о приватизации, принятый в 1989 г. К 1998 г. были приватизированы 52 крупные государственные компании и 125 их дочерних фирм, что принесло в бюджет более 13 млрд дирх.⁵ Новая волна приватизации госпредприятий началась в 1998 г.⁶ В ряде секторов экономики, таких как телекоммуникации и табачная промышленность, государство сохраняет за собой право собственности, однако не исключая возможность совместного участия в отдельных проектах, что уже на тот момент практиковалось в производстве и распределении электроэнергии, водоснабжении, автодорожном строительстве. Таким образом, в наибольшей степени процесс приватизации затронул такие отрасли, как добыча цветных металлов (серебра, кобальта, свинца, меди), нефтепереработка, производство и продажа металлоизделий, продажа нефтепродуктов, удобрений, производство цемента, а также сферу финансового кредитования и страхования, гостиничное дело⁷. Для повышения эффективности использования приватизационных отчислений в 1999 г.

¹ Myriam Catusse, Morocco's political economy: Ambiguous privatization and the emerging social question, "The Arab State and Neo-liberal Globalization. The Restructuring of State Power in the Middle East», version 1 - 10 Jan 2011, с. 5-6

² Ministère des Finances et des Privatisations, "Oualalou s'exprime sur l'ALE Maroc/Etats-Unis", (n.d.), http://www.finances.gov.ma/portal/page?_pageid=33,4502299&_dad=portal&_schema=PORTAL (20 October 2008).

³ Хасянов А.Ж., Марокко в 90-е года XX века: реформы Хасана II и Мохаммеда VI (итоги и перспективы), сб. статей ИВРАН «Ближний Восток и современность», вып.12, М., 2001, с. 205-206

⁴ The World Bank. Country Assistance Strategy for Morocco, <http://www.worldbank.org/>

⁵ TheWorldBank.ReportN 19975-MOR, December 1999, <http://www.worldbank.org/>

⁶ <http://www.finances.gov.ma/>

⁷ Соловьева З.А., Экономические реформы в Марокко, сб. статей ИВРАН «Ближний Восток и современность», М., 2004, стр. 185-187

был организован Фонд экономического и социального развития Хасана II, целью которого стала активизация внебюджетного инвестиционного процесса в стране.¹

В 1995 г. был принят новый инвестиционный кодекс², согласно которому инвесторы стали получать многочисленные льготы, действительные для всех районов страны и всех отраслей хозяйства, чего не было в предыдущих инвестиционных кодексах. Также обеспечивалось снижение таможенных тарифов на 2,5–10% и отмена их при определенных условиях.³ На большое значение, придаваемое этой проблеме руководством Марокко, указывает создание Межминистерской комиссии по инвестициям в 1998 г. и региональных инвестиционных центров в 2002 г.

В 2001 г. в стране был зарегистрирован беспрецедентно большой объем притока иностранных прямых инвестиций – более 2,8 млрд долл.⁴ Главные иностранные инвесторы – предприниматели из экономически развитых государств (Франция, Испания, Германия, США, Португалия).⁵

В 2010 г. государственные инвестиции уже составили 14,3 млрд евро, из которых 45% пошло на образование, 10% – на здравоохранение, 10% – на строительство социального жилья. Инвестиции в водоснабжение и окружающую среду составили 370 млн евро, в энергетике – 900 млн. В сфере прямых иностранных инвестиций (ПИИ) наблюдается неуклонное сокращение – с 3,4 млрд евро в 2007 г. до 2,5

ამრიგად, მართონით გამოვლინდა უამრავი საინტერესო და ინოვაციური იდეები; ამ წამოწყებამ სტუდენტებს გარდა იმისა, რომ დამეგობრდნენ, უამრავი უნარჩვევები გამოუმუშავა: მონაწილეებს მიეცათ საშუალება მიეღოთ გამოცდილება რეალურ პროექტირებაში; გამოუვალ სიტუაციაში თეორიისა და პრაქტიკის შეთავსებით მოკლე დროში, მოეძიათ გზები იდეების განსახორციელებლად; თუნდაც ორი დღით, გარდაქმნილიყვნენ პრაქტიკოს არქიტექტორებად; შეიძინეს სწრაფი აზროვნების უნარი და გუნდური მუშაობის გამოცდილება; იდეის განხორციელება ლოკალურ ფორმატში; კონკრეტული მიზნის დასახვა და კრეატიული იდეების შექმნა მარტივი მასალისგან; იმის გაკეთება რაც ყველაზე კარგად იციან; ვიზუალური და ვერბალური კომუნიკაცია და პროექტის წარდგენის უნარი მარტივად და გასაგებად. მართონმა აჩვენა, რომ მხოლოდ პროფესიულ გარემოში შესაძლებელია განვითარება და პროფესიონალად ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, სასარგებლო იქნებოდა მსგავსი იდეა განსხვავებული ფორმატით გათვალისწინებული იყოს უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამაში. რაც თავისთავად ინოვაციურია. სწავლის პერიოდში, და არა საზაფხულო სკოლების ფორმატში, რომლის გამოცდილებაც გააჩნია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სტუდენტებს მიეცემათ საშუალება თეორიული კურსის გააზრება საპროექტო დავალების შესრულებით კონკრეტულ დროში.

*ნინო იმნაძე, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მარიამ გვაზავა, სტუდენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
**ხელოვნური განათების როლი და
ინოვაცია არქიტექტურაში**

რეზიუმე

ინოვაციური იდეების ძიება წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას არქიტექტურაში. ისმება კითხვა: სად და რა პრობლემაში შეიძლება დაიბადოს ახალი იდეები? ერთის მხვრივ კონკურსები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი იდეების დაბადებას და მეორეს მხვრივ სტუდენტური პროექტირების პროცესში. გარდა ამისა ერთ ერთი საუკეთესო გზაა ვორქშოპების ჩატარება, რადგან იგი ხელს უწყობს კრეატიული იდეების დაბადებას. ამ სივრცეში სტუდენტი არის თავისუფალი, შესაბამისად არქიტექტურული ფორმაც არის თავისუფალი. ეს არის სივრცე კრეატიული აზროვნებისთვის. დღეს ეს სფერო ძალიან პასიურია საქართველოში, ამ სფეროს გააქტიურების მიზნით სტუდენტებმა შექმნეს „არქიტექტურული ფორუმი“ და საფუძველი ჩაუყარეს სტუდენტურ მართონს - ღია შემოქმედებით მოედანს. მართონის თემა თავად დამფუძნებლებმა ჩამოაყალიბეს: „განათება არქიტექტურაში“-კრეატიული აზროვნება და იდეის შექმნა სინათლის საშუალებით. სტუდენტების ნამუშევრებით შეიქმნა უჩვეულო „არტ-გალერეა“. თვითოეულ პროექტში სინათლის, ჩრდილის, ფორმის სინთეზით გადმოცემულია კონკრეტული აზრი. ამრიგად, მართონით გამოვლინდა საინტერესო და ინოვაციური იდეები; ამ წამოწყებამ სტუდენტებს უამრავი უნარჩვევები გამოუმუშავა.

*Нино Имнадзе профессор,
Грузинский Технический Университет
Мариам Гвазава, студент,
Грузинский Технический Университет*

**Роль искусственного освещения и инновации
в архитектуре**

Резюме

Одна из актуальных проблем архитектуры это поиски инновационных идей. Одна из путей выявления новшеств это студенческое проектирование, организация творческих конкурсов и воркшопов, так как оно способствует рождению креативных идей. В этом пространстве студент мыслит свободно соответственно и архитектурная форма свободна. Здесь нет никаких запретов это пространство для креативной мысли. Связи с этим студенты при поддержке профессионалов организовали архитектурный форум и воркшоп. Тема воркшопа “Свет в архитектуре”. Студенческими работами было создана удивительная арт-галерея. В каждом проекте с помощью синтеза света, тени и абстрактной формы передана конкретная идея обладаа потенциалом реализоваться в художественное произведения. Во время марафона выявлено множество инновационных идей. В основу каждого из них лежит конкретная философия. Для выявления с помощью света эмоциональной и метафизической связи между человеком и пространством студенты оказались в междисциплиновом поле: фрактал, кинетика, оптика. Сами студенты стали воспринимать среду и пространство по-другому. Студенты в течение двух дней преобразили множество творческих и практических навыков.

*Nino Imnadze, professor,
Georgian Technical University
Mariam Gvazava, student,
Georgian Technical University*

**Role of lighting and innovations in
the architecture**

Summary

One of the actual problems of architecture is a search for innovative ideas. One of the ways to identify innovations is student projects, the organization of creative competitions and workshops, because it contributes to the birth of creative ideas. In this space student thinking freely and respectively the architectural form is free too. There are no prohibitions; this space is for creative thinking. Therefore, by students with support of professionals have organized Architectural Forum and the workshop.

The theme of the workshop is “Light in Architecture”. Amazing art gallery was created by the student works. With the help of synthesis of light, shadows and abstract shapes transmitted a concrete idea. Numerous innovative ideas were identified during the marathon.

Each of them is based in a concrete philosophy. To identify with light the metaphysical and emotional connection between the man and space, students entered in the interdisciplinary field: fractal, kinetics, optics. The students began to perceive differently the environment and space.

ჰიპერურბანული პროცესები თბილისში და მწვანე რეკონსტრუქციის პრობლემა

*მელქაძე მედეა, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლომიძე მარიამ, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



საკვანძო სიტყვები: რეკრეაცია, მწვანე სივრცე, ლანდშაფტი, ურბანული, ბალ-პარკები

პრეამბულა

ჰიპერურბანული პოლიტიკის ხანა შევიდა თავის განვითარების ჩიხში. დიდი ხანია ქალაქების საზღვრების ცვლილების საკითხი ჰიპოტეტური კითხვის სახით დაეკიდა მსოფლიო ურბანული აზროვნების კოორდინატთა სისტემაში.

მეგაპოლისები, ისეთი, როგორებიც არიან ტოკიო, მეხიკო, მოსკოვი და სხვა ქალაქები **გეგმიური განვითარების სტიქიური პარადოქსების კლანჭებშია მოქცეული.** ჩინეთში ყოველწლიურად 400. 000 000-ით იზრდება ქალაქების მოსახლეობა, რაც მეტყველებს კაცობრიობის მიგრაციის ავთვისებიან სენზე.

“მესამე ათასწლეულის დასაწყისში მოსალოდნელია ურბანული რევოლუცია: კაცობრიობის ისტორიაში პირველად მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი იცხოვრებს ქალაქებში. ეს ურბანული რევოლუცია გაგრძელდება მანამ, სანამ 30 წლის განმავლობაში ქალაქების მოსახლეობა სოფლისაზე ორჯერ მეტი არ გახდება. ქალაქური მოსახლეობის უმრავლესობა კი იქნება აფრიკისა და აზიიდან გამოსულთაგან შემდგარი, რომლებიც შეერწყებიან ევროპის, შტატებისა და ლათინური ამერიკის მოქალაქეებს, სადაც მოსახლეობის სამი მეოთხედი უკვე ურბანიზირებულია.”[1]

ეს ციტატა ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ბოლო დროს მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები მკვეთრად გამჟღავნდა ევროპაში აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან სტიქიური ემიგრაციის სახით,

რაც დაგვირგვინდა პარიზის ტრაგედიით და წარმოადგენს ჰაბიტატის კვლევების პირდაპირ ილუსტრაციას.

ჰუმანიტარული კატასტროფა გახდარა მიზეზი ზემომოყვანილი პროცესების აქტივიზაციისა, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან თავის მხრივ იწვევს მთელი რიგი სანიტრული, ეთიკურ-მორალური და ბიოკლიმატური პრობლემების გამოვლენას.

ამა თუ იმ სახით, ურბანული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ცხადია, არის და იქნება მთელი რიგი ჩამოყალიბებული სიტუაციის დესტრუქციისა და წონასწორობის დარღვევის - დისბალანსის მიზეზი.

თბილისი „საქალაქო რევოლუციის“ ზღვარზე [1]

ამრიგად, ზემომოყვანილი ჰაბიტატის 1999 წლისათვის ჩატარებული კვლევების ციტატა, ჩვენი დედაქალაქის დღევანდელი მძიმე ურბანული სიტუაციის წინასწარმეტყველება ყველა კომპონენტში, განსაკუთრებით კი მოსახლეობის მატების კუთხით.

სტატისტიკიდან ცნობილია, რომ თბილისში საქართველოს საგზაო ტრანსპორტის - მსუბუქი მანქანების - საერთო რაოდენობიდან 900000 მოძრაობს. ტრანსპორტის ეს რაოდენობა მკვეთრად დაეცო ქალაქს; თბილისში აღარ არსებობს პიკის საათები, საცობები მთელი დღის განმავლობაში **ჩვენი დედაქალაქის ნიშანი გახდა.**

-რას იწვევს ეს? - ბიოკლიმატური მდგომარეობის კატასტროფულ დამძიმებას არამარტო მძიმე აირებით, არამედ: 1. ტემპერატურული რეჟიმის დარღვევით - **მანქანების სითბური გამო-სხივება;** 2. ხმაურის ფონის გაზრდით - 10 დბ-

ით; 3. ადამიანის სავალი ნაწილის ოკუპაციით - **ტროტუარებზე მანქანების გაჩერების მოწყობით;** 4. **მწვანე საფარის ფართის შემცირებით,** იგივე მიზეზების გამო და ა.შ და ა.შ.

შეიძლება, ამ მონაცემების ოპონირება და თქმა, რომ პარიზში მანქანების გაჩერების პრობლემა იგივეა და რა მოხდა? -პასუხი ასეთი იქნება: - პარიზში არის არაერთი პარკი ქალაქის საზღვრებში, როგორცაა: ტიულრის, ბულონის ტყე და სხვა, რომელთა ფართი და მწვანე საფარის ხარისხი განუზომელ კომფორტს ქმნის ადამიანისთვის, ვიდრე ჩვენი გადაპარსული და ცვედანი სკვერები და ე.წ. პარკები.

მწვანე საფარის განადგურება ურბანიზაციის პროცესის თანმდევი რომ არ არის, ამის კარგი მაგალითია მსოფლიოს არაერთი ქალაქი, დაწყებული ნიუ-იორკითა და დამთავრებული მოსკოვით.

რა მოვლენები ან ობიექტები შეიძლება გახდეს ქალაქის ქსოვილში ახალი მწვანე სივრცეების შექმნის საბაზი?

- რამდენიმე, მათ შორის: ა) **ამორტიზირებული ან თავის დროზე ისტორიული უბნების** განადგურების შედეგად აშენებული ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილზე პარკის ან სხვა სახის მწვანე სარეკრეაციო სივრცეების შექმნა-აღდგენა; ბ) **ძველი ანულირებული ნაგავსაყრელების რევიტალიზაცია;** გ) **ისტორიული შენობებისათვის** ახალი ფუნქციის მინიჭება და **მათი ლანდშაფტური არქიტექტურის პრინციპებთან სიმბიოზი;** დ) **არსებული ავთენტური ბუნებრივი გარემოს რევიტალიზაცია;** ე) **სატრანსპორტო მოძველებული ინფრასტრუქტურის რევიტალიზაცია;**

განვიხილოთ თანმიმდევრობით ზემომოყვანილი პოზიციები.

ა) **ნაგებობების დემონტაჟი.** - ამის კარგი მაგალითია, მოსკოვში თავის დროზე ცნობილი სასტუმრო «როსიას» დემონტაჟი და მის ადგილზე 13 ჰა-ის ფართის პარკის შექმნის იდეა. 2013 წელს გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი: პარკი «ზარადიე»-ს დაგეგმარებაზე. გაიმარჯვა აშშ-ს

ბიურომ Diller Scofidio+Renfo პროექტმა, მის მიერვე არის გაკეთებული High Line-ის სკვერი ნიუ-იორკში [2]

ბ) **ნაგავსაყრელების რევიტალიზაცია.** - ამის კარგი მაგალითია, ნიუ-იორკში, ბრონქსში, მდ. ბრონქსის სანაპიროზე 20 მ-ის სიმაღლის ნაგავსაყრელის მოჭრა და მის ადგილზე 1 ჰა-იანი პარკის გაშენება.

თბილისში ამის საშუალება არის: 1. მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველ ნაგავსაყრელზე აშენებული პოლიციის შენობის ტერიტორია;

2. თბილისი-ფონიჭალის ტრასაზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დემონტირებული ნაგავსაყრელის ადგილი და სხვ;

აქედან გამომდინარე, მსგავსი ადგილების გამოსამქლავნებლად, თბილისის ფარგლებში უნდა მოხდეს მსგავსი დემორალიზებული ანტისანიტარული სივრცეების მონიტორინგი.

გ) **ისტორიული შენობების რევიტალიზაცია.** - ამ კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული:

1. ყოფილი აბრეშუმის ქარხნის შენობებისათვის ახალი ფუნქციისა და მათ ტანში, - გადახურვებზე, კედლებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური მწვანე საფარების შექმნა დაკიდულ ბალებსა და მწვანე ხიდებთან სიმბიოზში. ამ სახის პროექტი გაკეთდა კონცეფციის სახით. ავტორები: მაგისტრანტი ლევან აზნიაშვილი, ხელმძღვანელი პროფ. მედეა მელქაძე.

2. ყოფილი კიროვის ქარხნის ტერიტორია ქარხნის შენობების ნაწილობრივი შენარჩუნებით, სადაც მივიღებთ ლანდშაფტურ-ტერასულ - რთულ რელიეფზე გაშენებულ უნიკალურ პარკს. ქარხნის ისტორიული ცეხების ეპიზოდური შენარჩუნებით. უნდა მოხდეს შენარჩუნებული ცეხების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია სათბურებად ეგზოტიკური ნარგავებისათვის. ეს გახდება კარგი პრეცედენტი ასეთი საპარკო არქიტექტურისა და პოლიფუნქციური ბოტანიკური ბაღის შესაქმნელად, ლონდონის ბოტანიკური ბაღის პრინციპის გამოყენებით.



ყოფილი აბრეშუმის ქარხნის რევიტალიზაციის პროექტი. გენ-გეგმა

დ) არსებული ავთენტური გარემოს რევიტალიზაცია. - ამის კარგი პრეცედენტია კორეის დედაქალაქის სეულის მაგალითი, სადაც 50 წლის განმავლობაში ენდემური ტრანსპორტის მაგისტრალით გადახურული იყო მდინარის კალაპოტი. 2005 წელს მდინარე დაუბრუნდა თავის ბუნებრივ მდგომარეობას და ქალაქს გაუჩნდა ახალი რეკრეაცია პარკის სახით.

ამ კონცეფციის ფარგლებში თბილისში, 2011 წელს შეიქმნა სამაგისტრო ნამუშევარი, ავტორები: მაგისტრი გიორგი მელაძე, ხელმძღვანელი

მედეა მელქაძე. პროექტში მოხდა მდინარე ვერეს აკვატორიაში გაყვანილი 2,8 კმ-იანი სიგრძის ვაკე-საბურთალოს ტრასის გადახურვა ხელოვნური ლანდშაფტითა და პარკით.

ა.წ. ივნისში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ ერთი საბუთი შექმნა ამ იდეის სისწორისა. როგორც აღვნიშნეთ, პროექტში მოხდა არსებული გზის გადახურვა სპეციალურ კონსტრუქციაზე შექმნილი ლანდშაფტური პარკით, რითაც ვაერთიანებდით საბურთალოს და ვაკის უბნებს და ქალაქს ვუბრუნებდით გა-



ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტი (მაკეტი)

ნადგურებულ ავთენტურ მწვანე ლანდშაფტს. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰოლანდიაში თავის დროზე იყო მიღებული კანონი ხელოვნური ლანდშაფტის შექმნის შესახებ, რაც არის და-

დასტურება, თუ რა ვანდალური პროცესები ვითარდება თბილისში, განსხვავებით მსოფლიოს პროგრესული მაგალითებისა.

ე) სატრანსპორტო მოძველებული ინფრა-

სტრუქტურის რევიტალიზაცია. - ამის კარგი მაგალითია ნიუ-იორკის High-Line-ის სკვერი. ამ კუთხით შეიძლება მოხდეს დიდუბეში ე.წ. ელექტროდეპოსთან შემაერთებელი საფეხმავლო ხიდისა და სადგურის ტერიტორიიდან ნაძალადევში გადასასვლელი ხიდის, მწვანე დაკიდულ ბაღად გადაქცევა. ამავე კონტექსტში, შეიძლება განხილულ იქნას ყველა საფეხმავლო გადასასვლელი ხიდი, რომლებიც შეიქმნა როგორც უსაფრთხო გადასასვლელები ქალაქისათვის. დღესდღეობით, კი, სინამდვილეში, ყველა ჩამოთვლილი ხიდი არის ანტისანიტარიის, სტიქიური ვაჭრობისა და ღამით კრიმინალურად საშიში ობიექტები. მათი გადაქცევა მწვანე ფუნქციურ სკვერებად წაადგება ქალაქს, როგორც თბილისის ბიოკლიმატური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება.

დასკვნები

სტატიაში გაკეთებული ანალიზიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი პოზიციები:

1. თბილისი ტექნოზირებული კატასტროფის ზღვარზე;
2. თბილისში ნათლად იკვეთება ჰავის ცვლილების ტენდენცია ეკოლოგიური ბალანსის რღვევის ფონზე;
3. დედაქალაქში 1 სულ მოსახლეზე გამწვანების წილი 1996 წლის მონაცემებით იყო 4.5 მ², რაც 2015 წლისათვის უფრო შემცირდა;
4. დედაქალაქში რესპირატორული დაავადებებისა და ე.წ. გრიპის (გაუგებარი ეტიმოლოგიის) სიხშირე იზრდება და კარგავს სეზონურობის ხასიათს;
5. თბილისში ჰაერის დამტვერიანების ფონი, შეჯერებული მძიმე აირების გამონაბოლქვთან კატასტროფულად გაიზარდა.



ჩვენს მიერ ტექსტში ჩამოყალიბებული ახალი ბაღ-პარკებისა და სკვერების დისლოკაციის ადგილები

რეკომენდაციები

დასკვნებიდან გამომდინარე, ჩვენი სტატიის მიზანია, ჩამოვყალიბოთ ის კონცეპტუალურ-შინაარსობრივი ჩარჩოები, რამაც შეიძლება მოგვცეს საშუალება, ჩამოვყალიბოთ თბილისის-

სათვის და ზოგადად ქალაქებისათვის მწვანე ლანდშაფტის სივრცეების ბაღ-პარკების დისლოკაციის ადგილები.

ამისათვის უნდა მოხდეს: 1. ქალაქის ყველა უბანში არსებული სიტუაციის შესწავლა-განა-

ლიზება, ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეთავის მიხედვით;

2. შესწავლილი მასალის სისტემატიზაცია;

3. სისტემატიზაციის საფუძველზე ობიექტების დისლოკაციის ადგილების მონიშვნა ქალაქის სქემაზე. ქალაქის გენ-გეგმაზე - ახალი მწვანე ზონების, ქალაქის განვითარების კონცეფციაში დაფიქსირება შემდგომი განხორციელების პერსპექტივით;

4. თბილისის ფარგლებში დემორალიზებული-ანტისანიტარული სივრცეების მონიტორინგი, შემდგომში მათი დისლოკაციის ადგილების მონიშვნით გენ-გეგმაზე, ქალაქში მწვანე კუნძულების შექმნის მიზნით.

5. თბილისის მოსახლეობის ანკეტირება და ინტერნეტგამოკითხვა, მიზნით - რომელი რაიონების რა ადგილებში, რომელი ამორტიზებული სივრცეებისა თუ შენობების მაგივრად ისურვებდნენ მწვანე რეკრეაციების - ბაღ-პარკების ან სკვერების გაშენებას.

ლიტერატურა:

1. Воскресенский И. “Строительство дизайн”. Международная ассоциация Союзов архитекторов. МОСКВА 1992,4 (14) ст.1
2. <http://assets.thehighline.org/pdf/high-line-map.pdf>
3. <http://www.theguardian.com/world/2013/nov/13/moscow-new-park-hotel-rossiya>
4. <http://www.vedomosti.ru/reality/articles/2013/11/12/park-na-meste-gostinicy-rossiya-postroyat-po-amerikanskomu>
5. <http://www.centralparknyc.org/about>
6. https://en.wikipedia.org/wiki/Bronx_Park

*Medea Melkadze, professor,
Georgian Technical University
Mariam Gomidze, doctorant,
Georgian Technical University*

Процессы гиперурбанизации и проблема зеленых рекреации в городах

Резюме

Гиперурбанизация это знак современного мира, где к середине XXI века большая часть населения земли будет жить в городах и соответственно будет стоять проблеме биоклимата и фактически жизни и здоровья каждого человека.

Цель нашей статьи, выявить все деструктивные зоны в ткани Тбилиси, или других городов, где можно и нужно создать озеленные острова в виде парков, скверов висячих, террасных или вертикальных зеленных насаждений.

*Medea Melkadze, professor,
Georgian Technical University
Mariam Gomidze, PhD student,
Georgian Technical University*

The processes of hyper-urbanization and the problem of urban recreational green

Summary

Hyper urbanization is a sign of the modern world, where the middle of the twenty-first century, most of the world's population will live in urban areas and, accordingly, will be the problem of bioclimate and in fact the life and health of everyone.

The purpose of this article, identify all the zones in the tissue destructive Tbilisi or other cities, where it is possible and necessary to create a landscaped island in the form of parks, hanging gardens, terraced or vertical greenery.

არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა, როგორც არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა

მუჯირი ვანდა, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: არქიტექტურული პროპედევტიკა, მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია, სწავლების მეთოდოლოგია

არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა შეიძლება დახასიათებული იყოს, როგორც არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა, რომელიც იყო სოციალ-კულტურული პროგრესისა და ხელოვნების ევოლუციის შედეგი. ის არის აღიარებული და აპრობირებული სამეცნიერო-პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც ეფექტიანად წყვეტს საბაზისო პროფესიული გამოცდილების ათვისების ამოცანას.

XX საუკუნეში არქიტექტურული სკოლის პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროპედევტიკული მიდგომა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი მეთოდური თვალსაზრისით.

არქიტექტურულ-პედაგოგიური კონცეფციები, მიდგომები, პრინციპები ასახავენ მხატვრული გამოცდილების ამა თუ იმ მეთოდებს. ამით აიხსნება კონცეფციების სიმრავლე, რომლებიც წარმოდგენილია წამყვანი პედაგოგების საავტორო პროგრამებში და გამოხატულია ამა თუ იმ სასწავლებლის პედაგოგთა კოლექტივების მიერ.

არქიტექტურული პროპედევტიკის ფუნქციონირების წლების განმავლობაში დაგროვილია წარმატებული მეთოდური მიგნებების მთელი არსენალი, რომლებიც დაკავშირებულია მათი შემქმნელების სახელებთან. დღეს ისინი ქმნიან მხატვრული პროპედევტიკის შინაარსობრივ სასწავლო ბაზას, რომლის გამოყენების მიზანშეწონილობაზე მეტყველებს არქიტექტურული სკოლის განვითარების გამოცდილება.

გერმანიისა და რუსეთის სამხატვრო სკოლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებ-

შიც არქიტექტორებისა და მოქანდაკეების სწავლებისათვის გამოიყენებოდა აბსტრაქტული მოდელები (მაკეტები), ხოლო მხატვრების სწავლებისათვის – უსაგნო ფერწერა, ქართულმა არქიტექტურულმა სკოლამ მოძებნა მომავალი ხუროთმოძღვრების კომპოზიციური მომზადების განსხვავებული გზა.

როგორც ჩვენი, ასევე უცხოური გამოცდილება კიდევ ერთხელ ამტკიცებს არქიტექტურული პროპედევტიკის, როგორც პედაგოგიური ინსტრუმენტის მნიშვნელობას, რომელმაც უზრუნველყო არქიტექტორთა რამდენიმე თაობის წარმატებული მომზადება, რომლებიც შემოქმედების აქტიურ ფაზაში შევიდნენ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში.

დასავლურ გამოცდილებაში თვალში საცემია პროპედევტიკული დისციპლინების ჩართვის საერთო ტენდენცია პროფესიული განათლების მთლიანი პროგრამის სისტემაში.

დღეს, არქიტექტურულ პრაქტიკაში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გავრცელებასთან დაკავშირებით ხდება სერიოზული ცვლილებები. ეს ეხება საპროექტო პროცესის ისეთ ძლიერ დამხმარე ხერხებს, როგორც კომპიუტერული უზრუნველყოფა. იცვლება არქიტექტურული ჩანაფიქრის, პროექტის ასახვის ხერხები. ესე იგი ახალი ვიზუალური ენა ახალ საპროექტო აზროვნების ფორმად იქცევა. ასეთ პირობებში მიგვაჩნია, რომ სკოლა აუცილებლად უნდა პასუხობდეს ახალ სიტუაციას მეთოდოლოგიაში. ეს მოითხოვს ახალი იდეების ძიებას განათლების საწყისი ციკლის ორგანიზებაში, არქიტექტურულ პროპედევტიკაში. სწავლების კომპიუტერული ფორმა უკვე აქტიურად ერთვება სასწავლო დაპროექტების პროცესში და მისი როლი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

სავარაუდოა, რომ ახალი დროის არქიტექტურის ფორმათწარმოქმნის პრინციპები ძირითადად უცვლელი დარჩება, მაგრამ მისი ამოცანების გადაწყვეტის ხერხები აუცილებლად შეიცვლება კომპიუტერული მიღწევების ჩართვის საშუალებით. კომპიუტერი ძირითადად ცვლის შემოქმედებითი ძიების სამაკეტო ფორმას და საპროექტო გამოსახულების ხერხს.

დღეისათვის ძალზედ აქტუალურია არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლების ტრადიციულად განმსაზღვრელი დისციპლინების (შესავალი სპეციალობაში, არქიტექტურული დაგეგმარების საწყისები, არქიტექტურული კომპოზიცია, მაკეტირება, ფოტოგრაფია, ხელოვნების ისტორია, სახვითი ხელოვნება, მხაზველობითი გეომეტრია, არქიტექტურული ინფორმატიკა და კომპიუტერული დაგეგმარება, აზომვითი პრაქტიკა, მათემატიკა, გეოდეზია) ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე გამოწვევებისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური შესაძლებლობებთან შესაბამისი პარადიგმის საფუძველზე.

საერთო ტექნიკურ და ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ ბაზასთან ერთად სხვადასხვა დისციპლინების ინტეგრაცია უნდა მოხდეს გამაერთიანებელი მეთოდოლოგიური პრინციპით, ინტუიციური და შემოქმედებითი ფენომენის გათვალისწინებით.

სიმპტომატურია ზემოაღნიშნული პრინციპის გამოყენების მცდელობა სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში ფორმათწარმოქმნის კანონზომიერებათა პოსტულატების კრებულში, როგორცაა “ტრადიციული” დისციპლინა – კომპოზიცია.

მომავალი არქიტექტორების ჩამოყალიბებაში პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის დებულებების გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან ისინი ეხება კულტურის ტრანსლაციას, პიროვნების ფსიქიკური თვისებების პროცესების დახვეწას, აღმზრდელებისა და აღსაზრდელების ურთიერთობების კანონზომიერებებს.

არქიტექტურული პროპედევტიკის მეთოდიკა, როგორც სხვა ნებისმიერი საგნის, უნდა მუშავდებოდეს მეცნიერულად და ყალიბდებოდეს თეორიულ-მეთოდურ კონცეფციაში. მასში

უნდა აისახებოდეს მომიჯნავე მეცნიერებების მონაცემები: პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ქმედების თეორიის, კულტუროლოგიის და სხვა.

არქიტექტურის დაუფლებისას პირველობა უნდა ენიჭებოდეს სწავლების იმ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ მის სისტემურ-კომპოზიციურ ერთიანობას, ირჩევენ იმ სასწავლო მასალას, რომელიც უზიძვებს არქიტექტურული მოღვაწეობის მთლიანობის გააზრებისკენ. ასეთ მეთოდად უპირობოდ გვევლინება კონკრეტული ობიექტების არქიტექტურული დაპროექტება.

არქიტექტურის სწავლების ლოგიკა უნდა ვითარდებოდეს არა დავალებების ფუნქციონალური გართულებების, არამედ არქიტექტურაზე სისტემური წარმოდგენის გაღრმავების გზით, მისი კომპოზიციური შინაარსის გახსნით, ჰარმონიისა და ერთიანობის ესთეტიური პრინციპების, ფორმების ვიზუალური ბალანსის, რითმული აგებების, სივრცულ-პლასტიური თვისებების გამოხატვით.

დღეს სწავლების პროცესის მოდელს პედაგოგიკაში ექცევა დიდი ყურადღება. ჩვენს საუკუნეში, როდესაც იზრდება ინფორმაციისა და ცოდნის მოცულობა, პირველობა უნდა ენიჭებოდეს სწავლების იმ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია არა სტუდენტთა მეხსიერების დატვირთვაზე მზა ცოდნით, არამედ მეთოდის ფორმირებას, რომელიც კერძო მოვლენების მთელი სისტემის დამოუკიდებელი ასახვის საშუალებას იძლევა.

მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, პიროვნების აუცილებელი პროფესიული მონაცემების და კულტურის ფორმირებისათვის. უპირატესობა ენიჭება იმ მეთოდებს, რომლებიც ეხმიანებიან დროს, შესაბამებიან დიალექტიკური აზროვნების ფორმებს, რომლებიც ჩადებულია ნებისმიერი შემოქმედების, მათ შორის მხატვრულის საფუძველში.

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდოლოგიის კორექტირება სტუდენტთა შეფასებებიდან გამომდინარე მათი საჭიროებების, სწავლების კურსის ფორმის და თავისებურებების გათვალისწინებით.

არქიტექტურულ-მხატვრული ფორმათწარმოქმნის სკოლა, რომელიც მომავალი არქიტექტორების მომზადების პროცესში ეყრდნობა პროპედევტიკული მიდგომის იდეებს, შეიძლება იყოს დახასიათებული, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა საუკუნის მხატვრულ კულტურაში. მისი შინაარსი, ფორმები და მეთოდები კანონზომიერია.

არქიტექტორთა შემოქმედებით პრაქტიკას, არქიტექტურული კომპოზიციის თეორიასა და არქიტექტურულ-მხატვრული ფორმათწარმოქმნის სწავლების შინაარსს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. თეორიასა და პრაქტიკაში მიღწეული წარმატებები გვევლინება პროფესიულ ინსტრუმენტად, რომელიც ასახავს არქიტექტორების გამოცდილებას და არქიტექტორული პედაგოგიკის სფეროში სასწავლო შინაარსში ტრანსფორმირდება. პროპედევტიკული მოდელი კი მისი წარმოდგენის ერთერთი შესაძლო ვარიანტია, რომელიც ასათვისებლად ადვილია.

არსებული მონაცემების ანალიზით არ არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც მეტყველებენ არქიტექტურული პროპედევტიკის რესურსების ამოწურვაზე. ამკარაა, რომ ახალ ათასწლეულში ის დარჩება აპრობირებულ ინსტრუმენტად არქიტექტურული კომპოზიციის ოსტატობის ათვისებაში. ამასთან ერთად არქიტექტურული პროპედევტიკის შინაარსობრივი ბაზა არ წარმოადგენს დოგმას, მისი არსენალი არ არის ამოწურული.

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა, როგორც არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა

რეზიუმე

არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა შეიძლება დახასიათებული იყოს, როგორც არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა, რომელიც

იყო სოციალ-კულტურული პროგრესისა და ხელოვნების ევოლუციის შედეგი. ის არის აღიარებული და აპრობირებული სამეცნიერო-პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც ეფექტიანად წყვეტს საბაზისო პროფესიული გამოცდილების ათვისების ამოცანას.

*Ванда Муджири, Академический доктор архитектуры
Грузинский Технический Университет*

Современная школа архитектурной композиции, как новаторское явление в системе архитектурного образования

Резюме

Современная школа архитектурной композиции может быть охарактеризована как новаторское явление в системе архитектурного образования, которое явилось итогом социально-культурного прогресса и эволюции искусства. Это признанная и апробированная научно-педагогическая концепция, которая эффективно решает вопросы восприятия профессионального базисного опыта.

*Vanda Mujiri, Academic Doctor of Architecture
Georgian Technical University*

Modern School of Architectural Composition as an Innovative Phenomenon in the System of Architectural Education.

Summary

Modern school of architectural composition can be characterized as an innovative phenomenon in the system of architectural education, which was the result of social and cultural progress and the evolution of art. It is recognized and approved scientific-pedagogical concept that effectively addresses the underlying question of perception of basic professional experience.

არქიტექტურულ პროპედევტიკაში, და რა სახეც არ უნდა მიიღოს ახალმა არქიტექტურამ, ფორმათწარმოქმნის მისი სიღრმისეული იმპულსები დარჩება გამოხატული პროპედევტიკული კონცეფციით. არქიტექტურული პროპედევტიკის ტრადიციულ ფარგლებში კი, მოსალოდნელია დიდი და პატარა პედაგოგიური აღმოჩენები, ვინაიდან მისი არსენალი ჯერ არ არის ამოწურული.

არქიტექტურული განათლების საწყის ეტაპზე არსებობს მრავალი პრობლემა. უპირველესია - მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის და არქიტექტურული დაპროექტების კავშირი. ნათელი გახდა, რომ ის არ შეიძლება გადაწყდეს ეტაპობრივი გზით, სადაც წყვეტის საშიშროება განსაკუთრებით დიდია.

წამყვანი არქიტექტურული სკოლების გამოცდილება მეტყველებს საპროექტო პროცესის განვითარების და მასში მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის მასალის პარალელურად ჩართვის მიზანშეწონილობაზე. ამ შემთხვევაში მოცულობით-სივრცითი კომპოზიხია გვევლინება, როგორც საწყის ფაზაში ძირითადი სახვითი იდეის ძიების ინსტრუმენტი.

თეორიულ ასპექტში საჭიროა მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სამეცნიერო დებულების გარკვევა, ფორმათწარმოქმნის თეორიის განვითარება, არქიტექტურული კომპოზიციის კატეგორიების განხილვა. არქიტექტურული პროპედევტიკის ინტერესებშია, რომ ახალი ცოდნა უწყვეტად აისახებოდეს კომპოზიციური პრაქტიკუმის მეთოდურ ფორმებში, პედაგოგისა და სტუდენტის ერთობლივ შემოქმედებაში.

თანამედროვე არქიტექტურის საგნობრივ-სივრცითი შინაარსი ლოგიკურად განაპირობებს ახალი ტიპის პროფესიული აზროვნების მიზანდასახულ განვითარებას. ზუსტად აქაა მოსალოდნელი მრავალი აღმოჩენა.

შეიძლება დავუშვათ, რომ დღეს არ არსებობს მეთოდური და თეორიული ერთიანობა თემის “ფორმის გამოვლენა” გაგებაში. აქ საჭიროა კატე-

გორიის “არქიტექტურული ფორმის გამოვლენა” უფრო ღრმა დამუშავება, ანალიზი და ამ კომპოზიციური ნაწილის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა. ასეთივე ყურადღებას მოითხოვს თემა “ტექტონიკა”. მოცულობით ფორმაში ტექტონიკური დამოკიდებულებების ფართო შესაძლებლობების გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე არქიტექტურის მხატვრული ხერხების მთელი პალიტრის წარმოდგენა.

დღეს, არქიტექტურულ პრაქტიკაში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გავრცელებასთან დაკავშირებით ხდება სერიოზული ცვლილებები. ეს ეხება საპროექტო პროცესის ისეთ ძლიერ დამხმარე ხერხებს, როგორც კომპიუტერული უზრუნველყოფა. იცვლება არქიტექტურული ჩანაფიქრის, პროექტის ასახვის ხერხები. ესე იგი, ახალი ვიზუალური ენა ახალ საპროექტო აზროვნების ფორმად იქცევა. ასეთ პირობებში მიგვაჩნია, რომ სკოლა აუცილებლად უნდა პასუხობდეს ახალ სიტუაციას მეთოდოლოგიაში. ეს მოითხოვს ახალი იდეების ძიებას განათლების საწყისი ციკლის ორგანიზებაში, არქიტექტურულ პროპედევტიკაში.

სწავლების კომპიუტერული ფორმა უკვე აქტიურად ერთვება სასწავლო დაპროექტების პროცესში და მისი როლი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

სავარაუდოა, რომ ახალი დროის არქიტექტურის ფორმათწარმოქმნის პრინციპები ძირითადად უცვლელი დარჩება, მაგრამ მისი ამოცანების გადაწყვეტის ხერხები აუცილებლად შეიცვლება კომპიუტერული მიღწევების ჩართვის საშუალებით. კომპიუტერი ძირითადად ცვლის შემოქმედებითი ძიების სამაკეტო ფორმას და საპროექტო გამოსახულების ხერხს.

არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპზე ჩნდება პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ მხატვრული ფორმათწარმოქმნის ყველა შესაძლებლობის უფრო ღრმა გააზრებას. ამ ასპექტში არქიტექტურული კომპოზიციის თეორიის სფე-

რო არის დაუსრულებელი კვლევების საგანი. არქიტექტურული პროპედევტიკის ძირეული იდეების განვითარების უზარმაზარი სივრცე არსებობს.

პერსპექტივაში მოსალოდნელია უამრავი აღმოჩენა, რომელებიც დადებით გავლენას მოახდენენ მომავალი არქიტექტორების მომზადების ეფექტურობაზე.

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურული პროპედევტიკის განვითარების პერსპექტივები

რეზიუმე

მოსალოდნელია, რომ არქიტექტურული პროპედევტიკის შინაარსი და მასთან ერთად არქიტექტურული მოღვაწეობის მეთოდოლოგია დინამიკაში შეიცვალოს სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად. მასში, რა თქმა უნდა, გაძლიერდება მეცნიერული კომპონენტი, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას და მხატვრული შემოქმედების მეთოდებს, მეცნიერების შესაძლებლობები შეზღუდულია და ის ვერასოდეს ვერ შეცვლის მხატვრის, ხელოვანის ინტუიციას.

Ванда Муджири, Академический доктор архитектуры
Грузинский Технический Университет
Перспективы Развития Архитектурной Пропедевтики

Резюме

Ожидается, что содержание архитектурной пропедевтики и методология архитектурного преподавания, изменятся вместе с быстрым развитием научных достижений и технологий. В нем, конечно, усилится научная составляющая, хотя в части, которая относится к искусству и художественным приемам творчества, наука ограничена и никогда не сможет заменить интуицию творца.

Vanda Mujiri, Academic Doctor of Architecture
Georgian Technical University

Perspectives of Development of Architectural Propaedeutics

Summary

It is expected that the content of architectural propaedeutics and methodology of architectural teaching, will change together with the rapid development of scientific achievements and technologies. The scientific component surely will be intensified, but in part that relates to art and artistic techniques of creativity, science is limited and can never replace the intuition of the creator and artist.

თბილისის ფლორისტულ-მხატვრულ გაფორმებებში წყლის დეკორაციების მნიშვნელობა, ერთიან კომპოზიციაში ჩართვის აპრესაპტივები და განვითარების კონცეფცია

ფოჩხუა მარია, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქურდაძე ლუკა, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: ლანდშაფტის ფლორისტული გაფორმება, ალტერნატიული სარწყავი საშუალებები, მცენარეთა ბიო-მორფოლოგიური მახასიათებლები, წყლის დეკორატიული ავზები, ვიტოდინიზმი.

შინაარსი

თბილისის ბაღ-პარკებში, ქუჩებსა და მოედნებზე არსებული წყლის დეკორაციების ვიზუალურმა და ტექნიკურმა კვლევამ ცხადყო, რომ ზოგიერთი მათგანი აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილ სტანდარტებს. ასევე გამორჩეულია შესრულების ხარისხითა და ესთეტიური ღირებულებით. მიუხედავად ამისა ქალაქის რეკრეაციული სივრცეები იმ კომპონენტების დეფიციტს განიცდის, რომლებიც წყლით მიღებულ მაღალდეკორატიულ ეფექტზეა ორიენტირებული. უდავოა რომ, ხელოვნური და მცირე ზომის ტბის ან წყალსატევის ორიგინალური ფორმები დაამშვენებდა დედაქალაქში არსებულ ნებისმიერ გამწვანებულ ობიექტს. ფუნქციურად მსგავსი სახის ობიექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავი სისტემების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, რადგან მათ ეკისრებათ ალტერნატიული სარწყავი საშუალების ფუნქცია, რაც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზაფხულის ცხელ დღეებში მცენარეების ზრდა განვითარებისთვის და მათი დეკორატიული ეფექტის შენარჩუნებისათვის.

მცენარის ზრდა- განვითარების უპირობო და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მორწყვა. მოურწყველობა ზაფხულის მზიან დღეებში მის საკმაოდ სწრაფ გახმობას გამოიწვევს, რაც

ურბანული გარემოს ფიტოდინიზმში კატასტროფის ტოლფასია. ამგვარად, თბილისის გამწვანებული ობიექტების სტრუქტურაში წყლის სარკეებისა და ავზების ჩართვით პრაქტიკულად გამოვრიცხავთ გაუწყლოების პრობლემასა და მისგან გამოწვეულ შესაძლო კატასტროფულ შედეგებს.

სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების ავზში წყალი შეიძლება იყოს, როგორც გაჩერებული, ასევე მოძრავ მდგომარეობაში. შესაძლებელია საერთო კომპოზიციაში რომელიმე ნაპირის მხრიდან ნატიფი ფორმების მქონე ლოდებისგან შემდგარი მაქსიმალურად ბუნებრივი იერის მქონე ხელოვნური გორაკის ჩართვაც, საიდანაც უწყვეტად ჩამოედინება ნაკადული. ამ შემთხვევაში ვიზუალური და ხმოვანი ეფექტი უზრუნველყოფს პარკის ვიზიტორთათვის როგორც, ეკოლოგიურად გაწონასწორებული გარემოს შექმნას, ასევე მათ რელაქსაციას. მიუხედავად იმისა, თუ რა დინამიკაშია და რა მოძრაობას ასრულებს წყალი, სასურველია იგი იყოს კამკამა და გამჭირვალე, რაც მთელი რიგი მიზეზების გამო ერთიან კომპოზიციაში უფრო მეტად ხელსაყრელია. მიუხედავად სინათლე ხელოვნურია თუ ბუნებრივი გამჭირვალე წყალი უფრო მეტად აირეკლავს და გარდატეხს სინათლის სხივებს. წყლის გამჭირვალეობა საშუალებას იძლევა ვიზიტორმა ნათლად აღიქვას წყალსატევის ავზში დარგული წყალმცენარეების სილამაზე, ნატიფი ფორმების ქვებითა, კენჭებით მოპირკეთებული ფსკერი და ავზში ორიგინალური, ნაირფერადი შეფერილობის თევზები, რაც გვირგვინია წარმატებით განხორციელებული, მაღალი დეკორა-

ტიულობისა და მხატვრული სილამაზის მქონე წყლის კომპოზიციისთვის.

ბალ-პარკების მორწყვის თანამედროვე მეთოდიკა, მოდერნიზირებულ მექანიკურ სარწყავ სისტემებს გულისხმობს, რომელიც ავტომატურ რეჟიმში რწყავს მწვანე ნარგავებს, რაც საბალო ხელოვნებაში წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა თბილისის პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში სარწყავი მექანიზირებული საშუალებები ქაოტურად არის განლაგებული და წყლის ამოფრქვევის პროცესიც საკმაოდ არაესთეტიური ფორმებით მიმდინარეობს. ამისათვის აუცილებელია მწვანე სივრცის დაგეგმარების პროცესშივე მოხდეს ტექნიკური სარწყავი საშუალებების, წყლის ამოფრქვეული ნაკადის ფორმისა თუ დიზაინის შერჩევა, რაც ობიექტის ერთიან კომპოზიციაში გაერთიანებას უზრუნველყოფს და მასში შემავალი ელემენტების ფორმების ჰარმონიულ შერწყმას მოახდენს.

მცენარეთა ბიო-მორფოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, თითოეულ მათგანს სპეციფიური მორწყვის მოთხოვნილება გააჩნია, რაც გამოიხატება სარწყავი წყლის ოდენობითა და მორწყვის ინტენსიურობით, აგრეთვე მორწყვის ფორმითა და თავისებურებით. ასე, მაგალითად: ჩვენს კლიმატურ პირობებს მორგებული დეკორატიულ-ბუჩქოვანი მცენარე „წყავი“ ანუ „*Laurocerasus officinalis*.”

მიუხედავად იმისა, რომ სუბტროპიკული და ტროპიკული მიდამოების მოყვარული მცენარეა, მისი გამოყენება სწორი მოვლის პირობებში თბილისის მწვანე სივრცეების გაფორმებაშიც შეიძლება. ადგილობრივ კლიმატურ პირობებში აღნიშნული მცენარეზე პრაქტიკულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მორწყვის სპეციფიკა მიზანშეწონილია ხშირი დაფოთლილი ტოტების ძირში, სადაც მზის სხივები პრაქტიკულად ვერ აღწევს, ნიადაგის ფართოდ მორწყვასა და უხვად დასველებაში. ამ შემთხვევაში ხელოვნურად წარმოიქმნება მცენარის ირგვლივ ნესტიანი გარემო და იგი გარემოსადმი მედეგ პირობებში აღმოჩნდება.

ასეთი ტიპის სპეციფიური დამოკიდებულება აუცილებელია კონკრეტული მცენარის მოვლის დროს. მექანიზირებული სარწყავი სისტემები კი მცენარის ინდივიდუალურ მოთხოვნებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

წყალსატევების გაფორმების და კომპოზიციის ერთი თვალსაჩინო ელემენტია ქვა, რომლის გამოყენება შესაძლებელია ოთხი ძირითად მიმართულებით:

- ძირითადი საწყისი მასალა (წყალთან ერთად) ბალის საფუძვლის მშენებლობისთვის: ხელოვნური გორაკების ფორმირების ძირითადი მასალა; მასალა საძირკვლების ასაშენებლად.
- სივრცის გამიჯვნა ბალის კედლების და ფონური დეკორაციების მეშვეობით.
- ვერტიკალური კომპოზიციები შიდა ეზოებში, პატარა სცენებზე, კომპოზიციები ფერდობებზე, ტერასებზე, აქცენტების შექმნა.
- სანაპირო ხაზის მოჩარჩოება, ფერდობების გამაგრება, ბალის კიბეების, ბილიკების, გადასასვლელების, საყრდენი კლდეების ფორმირება.

ქვის ოვალური, კუთხოვან-წახნაგოვანი და სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების ფაქტურა შუქ-ჩრდილთა გარდატეხის ეფექტის მომცემია. ქვით ავზის ფსკერის მოპირკეთების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მცირე ზომის ჯამების დატოვება, წყალმცენარეების ჩარგვისთვის. აგრეთვე მიზანშეწონილია ქვის ჰარმონიული წყობით სხვადასხვა მონაკვეთში მცირე კუნძულების შექმნა, რომელთა გაფორმება ხავსით არის შესაძლებელი.

ქვემოთ მოყვანილია დეკორატიული წყალმცენარეების ასორტიმენტი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სწორედ ჩვენს მიერ შერჩეული პრინციპით:

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წყლის მცენარეების ასორტიმენტი სანიშუშოა და მისი გამდიდრება შესაძლებელია მცენარის დეკორატიულობის მანიშნებელი სხვადასხვა ელემენტებით, ისეთი როგორც არის ყვავილების ფორმა, ფერი, ყვავილობის ხანგრძლივობა და სხვა.

	მცენარის დასახელება	მორფობიოლოგიური მახასიათებლები
1	Chromulina	დამდგარი, მტკნარი წყლის მცენარე, შოლტიანი და უგარსო ორგანიზმი, მისი ცისტები არ სველდება, წყლის ზედაპირზე ქმნიან მკრთალ ოქროსფერ აფსკს.
2	Mallomonas	გავრცელებულია მტკნარ და სუფთა წყალსაცავებში, რომლის გარსებში არის გრძელკაჟიანი ეკლების მქონე შეფერილი ქერქილები.
3	Synura	ლამაზი მოოქროსფრო-ყვითელი ბურთულებია, რომლებიც ბზრიალასავით ბრუნავენ, ისინი შედგებიან ორი უთანაბრო შოლტის მქონე ჩაბრუნებულ კვერცხისებური უჯრედებისაგან.
4	Dinobryon	იგი წარმოადგენს აქტიურად მოძრავ ბუჩქისებრ კოლონიას, რომელიც შედგება ფართოდ გადაშლილი ბოკალისებრი ჯავშნებისგან.
5	Hydrurus	იგი ფუძით მიმაგრებულია ქვებზე, მორებზე და ა.შ. ლორწოში მოთავსებულია მომრგვალო-ელიფსური უშოლტო უჯრედები.
6	Pheoetamnion	იგი ეპიფიტურად ცხოვრობს მტკნარი წყლების ძაფისებრ წყალმცენარეებზე, იგი წარმოადგენს ერთწყებად უჯრედებისგან შემდგარ დატოტვილ ძაფს.

დასკვნა.

ამგვარად, ლანდშაფტური სივრცის, ბალ-პარკების, ქუჩებისა თუ სკვერების პეიზაჟურ გაფორმებაში, დეკორატიული მცენარეებისა და მწვანე მოლის შემდეგ წყალსატევი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც გაფორმებულ ფართობს ხდის უფრო მდიდარსა და სრულყოფილს. წყლის როლი სამმაგია; ერთის მხრივ - ის არის მაცოცხლებელი საშუალება მცენარეულობის ზრდა-განვითარებისთვის, მეორეს მხრივ - შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მიკროკლიმატის გამაუმჯობესებელი და სტაბილური ეკოლოგიური გარემოს შექმნის საშუალება, მესამე მხრივ - შეუცვლელი ესთეტიკური საშუალებაა მწვანე ნარგავების კომპოზიციური გაფორმებისას და მხატვრული ეფექტის შესაქმნელად.

ლიტერატურა:

1. ჯ. ლომიძე, ს. ხმალაძე, ლ. გვენცაძე, ილ. ფალავანდიშვილი, ე. გოგიტაშვილი. „ქ. თბილისის გამწვანებაში გამოყენებული მერქნიან, დეკორატიულ-ბალახოვან მცენარეთა აღწერა ბალ-პარკების ლანდშაფტურ-ესთეტიკური შეფასება და მათი კეთილმოწყობის ღონისძიებები.“ უნივერსალი. თბილისი.2014წ.

2. Голосова Е.В. – «Ландшафтная искусство Китая. »Российская академия наук. Москва изд. Наталис 2008 г.

*მარია ფოჩუა, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლუკა ქურდაძე, დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

თბილისის ფლორისტულ-მხატვრულ გაფორმებებში წყლის დეკორაციების მნიშვნელობა, მათი ერთიან კომპოზიციამში ჩართვის პერსპექტივები და განვითარების კონცეფცია.

რეზიუმე

ლანდშაფტის ფლორისტულ გაფორმებაში მაღალდეკორატიული ეფექტის შესაქმნელად ოთხი ძირითადი კომპონენტი არსებობს: ადგილის რელიეფი, მწვანე ნარგავები, წყალი და ხუროთმოძღვრული გაფორმება. თბილისის ბალ-პარკებში, ქუჩებსა და მოედნებზე არსებული წყლის დეკორაციების ვიზუალურმა და ტექნიკურმა კვლევამ ცხადყო, რომ ქალაქის რეკრეაციული სივრცეები იმ კომპონენტების დეფიციტს განიცდის, რომლებიც წყლით მიღებულ მაღალდეკორატიულ ეფექტზეა ორიენტირებული. აღნიშნულ სტატიაში ჩვენს

მიერ განხილულია თბილისის რეკრიაციულ ზონებში წყლის დეკორაციების, როგორც მცირე არქიტექტურული ფორმების, აგრეთვე სათადარიგო სარწყავი საშუალებების, როგორც ტექნიკური ასევე ვიზუალური განვითარებისა და რეკონსტრუქციის პერსპექტივები.

*Marika Pochkhua, Associate Professor,
Georgian Technical University
Luke Kurdadze, PhD student,
Georgian Technical University*

Importance of Water Decoration Features in Floristic and Artistic Design of Tbilisi, Prospects of Including them in Unified Compositions and Development Conception

Summary

There are four main components for creating high decorative effect in landscape floristic design: topography, green plantings, water and architectural design. Visual and technical studies of water decorations in the gardens and parks, streets and squares of Tbilisi have shown that the recreation areas of the city lack such components that are oriented to make high decorative effect from water.

The article covers discussion on water decoration features in the recreation areas of Tbilisi as small

architectural forms and reconstruction prospects of both technical and visual development of extra irrigation facilities.

*Марика Почхуа, асоциированный профессор,
Грузинский Технический Университет
Лука Курдадзе, докторант,
Грузинский Технический Университет*

Важность водяной декорации в флористическо-художественном оформлении г. Тбилиси, перспективы включения в единый состав и концепция их развития

Резюме

Для создания высоко декоративного эффекта в флористическом оформлении ландшафта существует четыре основных компонента: топография, зеленые насаждения, вода и архитектурные оформления. Визуальные и технические исследования садов и парков, улиц и площадей г. Тбилиси показали, что рекреативные местности в городе Тбилиси имеет дефицит тех компонентов, которые ориентируются на высоко декоративный эффект полученный водой. В статье обсуждается воденные декорации в рекреационных зонах г. Тбилиси через малых архитектурных форм, запасные ирригационные сооружения, перспективы как технического так и визуального развития и реконструкции.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „განათლების“ ISSN-ის ნომერი შეცდომით იყო მითითებული, როგორც ISSN N1512-102X, შეცდომა გამოსწორებულია.

2015 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „განათლება“ გამოვა ISSN ნომრით 2346-8300.

სარედაქციო კოლეგია